

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

---

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ნ. ე ლ ი ა ვ ა

განწყობის პრობლემა  
აზროვნების ფსიქოლოგიაში

---

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი—1964

15  
153+[016.3]  
ე554

აზროვნების მისი ობიექტით დეტერმინაციის ფაქტი აზროვნების ფსიქოლოგიის კარდინალურ საკითხს წარმოადგენს. საკუთარი ექსპერიმენტების ბაზაზე ავტორი ამ საკითხის გადაკრას განწყობის თეორიის პოზიციებიდან ცდილობს. მთელი გამოკლევა ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების—განწყობისა და აზროვნების პრობლემის შეხების ხაზზეა წარმოებული. სწორედ ეს აძლევს ავტორს შესაძლებლობას ახალი თვალსაზრისით—განწყობის თეორიის ივეალსაზრისით მიუდგეს აზროვნების პრობლემას და ახალ სფეროში—აზროვნების სფეროში შეისწავლოს განწყობის პრობლემა.

## I. ამოცანის გადაჭრის საკითხი თანამედროვე ფსიქოლოგიაში

ამოცანის გადაჭრა აზროვნების ფსიქოლოგიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს. აზროვნება პირველ რიგში ამოცანის გადაჭრის პროცესში იჩენს თავს, ამოცანის გადასაჭრელადაა განკუთვნილი. უბრალო მსჯელობაც კი, მაგ.: „ეს ვარდია“, გულისხმობს, რომ სუბიექტს რაღაც გაურკვეველის გარკვევა დასჭირდა, რომ მის წინაშე რაღაცის გარკვევის ამოცანა გაჩნდა. ეს აზროვნების გარჯის შედეგათაა, რომ „რაღაც“ გაურკვეველი საგანთა ცნობილ კატეგორიას მიეკუთვნა: რაღაც გაურკვეველი გარკვეულ საგნად—ვარდად—იქცა.

ანალიზი, სინთეზი, განზოგადება და სხვა აზრობრივი მოქმედება, ჩვეულებრივად, გარკვეული ამოცანის გადაჭრის პროცესში, როგორც მისი კომპონენტი. ჩაერთვის. მოცემული სიტუაციის ანალიზი! სუბიექტი მაშინ აწარმოებს, როდესაც ეს სიტუაცია პრობლემური და მას პრობლემის გადაჭრა სწადია.

თვით ცნების შემუშავებაც კი, რომელმაც აზროვნების ფსიქოლოგიაში დამოუკიდებელი პრობლემის მნიშვნელობა მოიპოვა და რომელიც მრავალრიცხოვან გამოკვლევათა სპეციალურ საგანს წარმოადგენს, ჩვეულებრივად, ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრის ეტაპს წარმოადგენს, ამა თუ იმ ამოცანასთან დაკავშირებით სწარმოებს ცნების შემუშავებას სუბიექტი მაშინ მიმართავს, როდესაც ამას რომელიმე ამოცანის გადაჭრა მოითხოვს. მხოლოდ სპეციალურ ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებში და, ალბათ, კიდევ სწავლის პროცესებშიც ცნების შემუშავება შეიძლება დამოუკიდებელ საქმეს წარ-

მოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში ამოცანად თვითონ ცნების შემუშავება იქცევა.

ტერმინის „ამოცანა“ (aufgabe) აღიარებულ ამოცანას, გაცნობამოცანის კონტექსტშია ჩართული.

აზროვნების თანამედროვე ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტული კვლევის საგანს, მეტწილად ის პროცესი წარმოადგენს, რომელსაც ამოცანის გადაჭრისაკენ მივყევართ. ეს პროცესი, ერთის მხრივ, ამოცანის პირობებით, ხოლო მეორეს მხრივ—ამოცანის მოთხოვნითაა განსაზღვრული: ამოცანის გადაჭრის პროცესი ამოცანის პირობებისა და ამოცანის მოთხოვნის ფარგლებითაა შეზღუდული. ამ პროცესის შესწავლას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა თვალსაზრისით უდგება.

ვიურცბურგის სკოლისათვის საკითხი იდგა იმ ფაქტორის შესახებ, რომელიც აზროვნების მიმდინარეობას ამოცანის გადაჭრის მიმართულებით წარმართავს. კულპე, შემდეგ უატი და ახი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამოცანის გადაჭრის პროცესში აზროვნების მსვლელობას ამოცანით აღძრული დისპოზიცია განსაზღვრავს. ამ დისპოზიციას „ვიურცბურგელები“ ისეთ ფაქტორად თვლიდნენ, რომელიც აზროვნებას ამოცანის გადაჭრის მიმართულებით წარმართავს.

ტერმინის „ამოცანა“ (Aufgaben) აღიარებულ ამოცანას, გაცნობიერებულ მიზანს წარმოადგენს. ამოცანა მოქმედებას წინ უსწრებს: თუ ამოცანა აღიარებულია, სუბიექტი უკვე მის შესატყვისადაა განწყობილი. ამოცანის გადაჭრის საკითხში „ვიურცბურგელები“ აქცენტს მიზანზე, ამოცანაზე აკეთებდნენ. აზროვნების პროცესის არსს „ვიურცბურგელები“ საგანზე მიმართულობაში ხედავდნენ. აზროვნების მსვლელობას, მათი შეხედულებით, ის „თემა“ განსაზღვრავს, რომლის შესახებ წარმოებს აზროვნება.

უფრო კონკრეტული ხასიათი „ამოცანის“ ცნებამ ზელცის კონცეფციაში მიიღო. ზელცი განსაკუთრებულ ყურადღებას აზროვნების დინამიკას აქცევდა. მისი კონცეფციის მიხედვით, კონკრეტული ამოცანა ანტიციპაციის სქემას წარმოადგენს. ამ სქემაში ამოცანის გადაჭრის გეზი წინასწარ მოცემულია. ანტიციპაციის სქემა ამოცანის გადაჭრის საერთო ორიენტაციას იძლევა და საჭირო ცოდნის ან საჭირო მეთოდის აქტუალიზაციას ახდენს. რაც შეეხება ამ აქტუალიზაციის მექანიზმს, მას, ზელცის მიხედვით, დასრულების ის ტენდენ-

ცია შეადგენს, რომელიც თვითონ ანტიციპაციის სქემას გააჩნია: არასრული კომპლექსი დასრულებისაკენ მიისწრაფის. ახის და უატის მიერ მოცემულ ამოცანის ცნებას ზელცმა ტოტალური ამოცანის ცნება დაუპირისპირა: ტოტალურ ამოცანაში აზროვნების მიერ წარმოებული სინთეზია ნაგულისხმევი. ტოტალური ამოცანა ზელცის ექსპერიმენტში ისეთ ახალ წარმოქმნას შეადგენს, რომელშიც ერთგვარად ამოცანის მოთხოვნა და ამოცანის კონკრეტული სიტუაცია ინტეგრირებული, მაგრამ ზელცთანაც ამოცანის ცნებაში მიზანი, ამოცანის მოთხოვნა აქცენტირებული. აზროვნების აღწერაში, რომელსაც ზელცი ფრანკლინის მაგალითთან დაკავშირებით იძლევა, არის საბოლოო მიზანი (ღრუბლებიდან დედამიწაზე ელექტრონის გატარება), ნაწილობრივი რეზულტატი (ღრუბლებსა და დედამიწას შორის კავშირის გაბმა) და X — ე. ი. ის საშუალება, რომლის მეშვეობით უნდა მოხდეს საბოლოო მიზნის მიღწევა. ამ აღწერაში ამოცანის პირობები არაა წარმოდგენილი: არც საბოლოო მიზანი, არც ნაწილობრივი რეზულტატი, არც საძებარი საშუალება არ შეადგენს ამოცანის პირობებს.

ზელცის იდეამ, რომ აზროვნება სქემატური კომპლექსის შევსებას წარმოადგენს, თავი იჩინა ერთ-ერთი თანამედროვე მოაზროვნის — ბარტლეტის კონცეფციაში.

ჩვეულებრივად, — ამბობს ბარტლეტი<sup>1</sup>, სიტყვას „აზროვნება“ იმ პროცესებთან დაკავშირებით იყენებენ, რომელნიც უშუალო აღქმის გარეშე მიმდინარეობენ. მაგ., როდესაც რაიმე დაგვაფიქვდა, ვამბობთ: „სამწუხაროდ, ამაზე არ მიფიქრია“. ან, როდესაც რამეს გავიხსენებთ, ვამბობთ: „მე ამაზე ვიფიქრე“. ზოგჯერ აზროვნება რწმენის სინონიმსაც წარმოადგენს და ჩვენ ვამბობთ: „ჩემის აზრით (ან ვფიქრობ) ეს სანდო პირია“. აზროვნება, ფართო მნიშვნელობით. ისეთი რამის აზრად მოსვლას გულისხმობს, რაც გარესიტუაციას არ ეკუთვნის. როდესაც სიტყვას „აზროვნება“ ასეთი ფართო მნიშვნელობით იყენებენ, აზროვნების სპეციფიკურობას, მის არსებით ნიშანს ისეთი რამის მომატებაში ხედავენ, რაც მომენტანურ გარემოცვაში არაა მოცემული. იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში გარესტიმულაცია ვერ განსაზღვრავს აზროვნებას, მიუხედავად იმ მჭიდრო კავშირისა, რომელიც აზროვნებისა და გარესტიმულაციას შორის არსებობს. ავტორი არ უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ აზ-

<sup>1</sup> F. Bartlett, Thinking.

როვნებას იმის მიმატება შეუძლია, რაც უშუალოდ არაა მოცემული, მაგრამ ის ხაზს უსვამს საჭიროებას განვასხვავოთ, საკუთრივ აზროვნება.—აზროვნება ვიწრო მნიშვნელობით, შემეცნების სხვა პროცესებისაგან: მოგონება—დავიწყებაც, დარწმუნებულობა — შეეკვებაც. შეცდომების დაშვებაც და უშუალოდ მოცემულის სწორე გამოყენებაც ისეთ პროცესთა რიგს ეკუთვნის, რომელიც გარესტიმულაციით არ არის განსაზღვრული, მასთან მკიდრო კავშირის მიუხედავად.

საკუთრივ, აზროვნების პროცესი, ბარტლეტის მიხედვით, თავს იჩენს მაშინ, როდესაც თვალსაჩინოდ მოცემული ინფორმაცია არასრულია და ხარვეზებს შეიცავს. აზროვნების ფუნქციას არასრულის დასრულება; თვალსაჩინო მოცემულობაში ხარვეზების შევსება შეადგენს. აზროვნება,—ამბობს ავტორი, ევიდენტობის გაშლას, ამ ევიდენტობაში არსებული ხარვეზების თანდათანობითი შევსებას წარმოადგენს. აზროვნება მოცემულ ინფორმაციას მიჰყვება და განკუთვნილია იმისათვის, რომ ეს მოცემული ინფორმაცია წინად და როვილი ინფორმაციით შეავსოს. თავისი ბუნების მიხედვით, აზროვნება, ბარტლეტის მიხედვით, ისეთ გაწაფულობას (skill) წარმოადგენს, რომელიც ხანგრძლივი, ბიოლოგიური განვითარების პროცესის შედეგათ იჩენს თავს და სხვა, უფრო მარტივი გაწაფვის სახეობებთან შედარებით, მაღალი დონის გაწაფულობას წარმოადგენს. როგორც ყოველგვარი გაწაფულობა, აზროვნებაც, ბარტლეტის თქმით, ადაპტაციასა და სიგნალებზე რეაგირებას ემსახურება, როგორც ყოველგვარი გაწაფულობა აზროვნებაც იმის ანტიციპაციას ახდენს, რაც მომდევნო მომენტში მოსახდენია.

ასე ახასიათებს ბარტლეტი აზროვნებას, თავის წიგნში აზროვნების შესახებ.

„ვიურცბურგელების“ და მათთან ერთად ზელცის წინაშე საკითხი იდგა ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორის შესახებ, რომელიც აზროვნების მიმართულებას განსაზღვრავს. „ვიურცბურგელებმა“ აზროვნების პრობლემა ელემენტთა კვლევის სიბრტყიდან დინამიკურ პროცესთა პერსპექტივაში გადაიტანეს: კვლევის საგნად აზროვნების მიზანშეწონილი პროცესი განმტკიცდა. აზროვნების მიმდინარეობის განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარებულ იქნა „ამოცანა“—ამოცანის მოთხოვნის მნიშვნელობით. „ვიურცბურგელებისათ-

ვის“ „ამოცანა“ წარმოადგენდა მიზანს, რომელიც აზროვნების შიშ-  
დინარეობას ამოცანის გადაჭრის მიმართულებით წარმართავს.

ამოცანის გადაჭრის საკითხის გაშუქება გეშტალტთეორიის წარ-  
მომადგენლებთან სხვა მიმართულებით გაიშალა; თუ ვიურცბურგე-  
ლები აქცენტს ამოცანის მოთხოვნაზე, საბოლოო მიზანზე, აკეთებდ-  
ნენ, გეშტალტფსიქოლოგიამ წინ წამოსწია ამოცანის პირობები—  
პრობლემური სიტუაცია.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ითვლება, რომ აზროვნების  
პრობლემაზე ყველაზე ძლიერი იერიში გეშტალტფსიქოლოგიამ მი-  
იტანა.

როგორც ოსგუდი<sup>2</sup> აღნიშნავს, სხვებზე უფრო გეშტალტფსი-  
ქოლოგიის წარმომადგენლები შეეცადნენ აზროვნების პრობლემის  
ფოკუსში მოქცევას.

აზროვნების ყველაზე სრულ გამოკვლევას, აღნიშნავს სტივენ-  
სი<sup>3</sup>, დუნკერისა და ვერთჰაიმერის გამოკვლევები წარმოადგენენ.  
„გეშტალტფსიქოლოგია,—აღნიშნავს ვან დე გერე,—ჩვენი აზრით,  
იძლევა ადამიანის მიერ პრობლემის გადაჭრის საკითხის ყველაზედ  
სისტემატურ შესწავლას“<sup>4</sup>. გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგე-  
ნელთა შორის, აზროვნების კვლევასთან დაკავშირებით, პირველ  
რიგში ვერთჰაიმერს ასახელებენ. თუმცა მისი წიგნი აზროვნების  
შესახებ<sup>5</sup> გამოვიდა მხოლოდ 1945 წ., აზროვნების კვლევა მან ჩვენი  
საუკუნის დასაწყისში დაიწყო და გეშტალტფსიქოლოგიის სხვა გა-  
მოკვლევებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ასე, მაგალითად.  
1935 წ. გამოსული დუნკერის ცნობილი შრომა ვერთჰაიმერის კონ-  
ცეფციას ემყარება. ითვლება, რომ თვით კელერის გამოკვლევაც აზ-  
როვნების შესახებ ვერთჰაიმერის ძლიერ გავლენას განიცდიდა<sup>6</sup>.

ვერტჰაიმერის წინაშე, აზროვნების პრობლემასთან დაკავშირე-  
ბით, შემდეგ საკითხთა რიგი იდგა. რა ხდება, როდესაც აზროვნება  
მართლაც პროდიქტიულად მოქმედებს? რა ხდება, როდესაც აზ-  
როვნება მართლაც წინ მიდის? რა მიდის წინ ასეთ პროცესში? წიგ-  
ნებს რომ მივმართოთ, ამბობს ავტორი, შეიძლება ამ საკითხებზე  
მოსწრებულ პასუხებს წავაწყდეთ, მაგრამ რეალური, ცოცხალი პრო-

<sup>2</sup> Ch. Osgood, Method and Theory in exp. psychol.

<sup>3</sup> Stevens, Handbook of Experimental Psychologie. 603—637.

<sup>4</sup> Van de Geer, A Psychological, Study of Problem Solving, 1953.

<sup>5</sup> Wertheimer M. Productive Thinking, 1945.

ცესის პირისპირ, — პროცესისა. რომელშიც სუბიექტი მართლაც არსებითის წვდომას ახერხებს, მართლაც პროდუქტიულად აზროვნებს. — ასეთი პროცესის პირისპირ წიგნებში მოპოვებული პასუხი ვერაფერს გაარკვევს, — მასში არ აღმოჩნდება სისხლი და ხორცი იმისი, რაც ნამდვილად მოხდა.

ჩვენი ცხოვრების მანძილზე — განაგრძობს ავტორი — ჩვენ ბევრ რამეზე ვფიქრობთ, ვაზროვნებთ და ხშირად ძალიან სერიოზულად. მაგრამ გვიფიქრია როდისმე იმაზე, თუ რას წარმოადგენს ის, რასაც ჩვეულებრივად აზროვნებას უწოდებენ? რა ხდება აზროვნების პროცესში? რა ხდება, როდესაც სუბიექტი აზროვნებს და აზროვნებს პროდუქტიულად? რაში მდგომარეობს ამ პროცესის გადამწყვეტი თავისებურება? როგორია ის პირობები, ის განწყობები. რომელიც ხელს უწყობენ ან, პირიქით, ხელს უშლიან ამ მნიშვნელოვან მოვლენას?

წარმოვიდგინოთ — განაგრძობს ავტორი, — რომ ჩვენ შევადგინეთ აზროვნების ძირითად ოპერაციათა სია. რა ოპერაციები იქნება აღნუსხული ამ სიაში?

ორი ათას წელზე მეტია, აღნიშნავს ავტორი, რაც საუკეთესო მოაზროვნეთა წარმომადგენლები ფილოსოფიაში, ლოგიკაში და ფსიქოლოგიაში ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ლამობენ. მიღწეულ შედეგთა ისტორია — სპეციალურ გამოკვლევებში და თეორიულ დისკუსიებში აღმოცენებული ბრწყინვალე იდეები და შესრულებული დიდი შრომა მდიდარ და მასთან ერთად დრამატიულ სურათს იძლევა. მრავალ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი რამ იყო მიღწეული. მაგრამ ამავე დროს იყო რაღაც ტრაგიკული ამ მიღწევათა ისტორიაში: ყოველთვის, როდესაც ესა თუ ის დიდი მოაზროვნე აზროვნების შესახებ მოპოვებულ დებულებებს აზროვნების ცოცხალ, ნამდვილ პროცესს ადარებდა, ის რწმუნდებოდა, რომ, რაც გასაკეთებელი იყო, მნიშვნელოვანია და დიდი, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, ვერ წვდება პრობლემის არსს.

ვერთჰაიმერი აღნიშნავს, რომ მისი წიგნი იმიტომ დაიწერა, რომ ტრადიციულ მიმართულებათა შრომებში უგულებელყოფილი დარჩა აზროვნების პროცესის მნიშვნელოვანი თავისებურებანი და ვერც ერთმა მიმართულებამ ვერ მოახდინა იმის წვდომა, რაც აზროვნების პროცესში მართლაც წინ მიდის.



აზროვნებასთან დაკავშირებულ წინსვლას ავტორი პრობლემური სიტუაციის დინამიკაში ხედავს. როდესაც სუბიექტმა:—ამბობს ვერთაჰიმერი,—პრობლემური სიტუაცია აღიარა, ამ სიტუაციის— $S_1$ —სტრუქტურული მხარეები და სტრუქტურული მოთხოვნები სუბიექტში დაძაბვას, ძალისხმევას იწვევს. ეს დაძაბვა და ძალისხმევა სუბიექტს სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ იწვევს. აზროვნების შედეგად მოპოვებული სიტუაცია— $S_2$ —შინაგანი ძალებით შექმნილ მდგომარეობას წარმოადგენს,—მდგომარეობას, რომელშიც ძირითად მოთხოვნათა ჰარმონია სუფევს და რომლის ნაწილები მოელის სტრუქტურით ისევე არიან განსაზღვრული, როგორც მთელი ნაწილთა მიერ. აზროვნება ისეთ პროცესს წარმოადგენს, რომელშიც სუბიექტი პირველი—პრობლემური სიტუაციის დაქსაქსულ აგრეგაციიდან საბოლოო სიტუაციის სრულყოფილ სტრუქტურაზე გადადის. პირველი სიტუაციის სტრუქტურა ზედაპირულია და მერყევი, პრობლემური აზროვნების შედეგად მოპოვებული სიტუაცია მყარ და დასრულებულ სტრუქტურას წარმოადგენს. აზროვნება  $S_1$ -დან  $S_2$ -ზე გადასვლის პროცესს წარმოადგენს. ამ პროცესის დინამიკა  $S_1$ -ის სტრუქტურული მოთხოვნებიტათა განსაზღვრული. ამ პროცესში პრობლემური სიტუაციის ( $S_1$ ) ელემენტთა ისეთი მოდიფიკაცია ხდება, რომელიც მთლიანი სიტუაციის სტრუქტურული რეორგანიზაციით მთავრდება.

მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ ხდება პრობლემური სიტუაციის ეს სტრუქტურული ტრანსფორმაციები? აზროვნების მოდელი  $S_1$ — $S_2$ , რომელიც პრობლემური სიტუაციის რეორგანიზაციას გამოხატავს, რალაცნაირად მოყვანილი უნდა იქნეს კავშირში სუბიექტთან, რომელიც აზროვნებს. ვერთაჰიმერი თავის კონცეფციას აზროვნების შესახებ დინამიკურ თეორიას უწოდებს. ამ თეორიის თანახმად, ყველაფერი, რაც აზროვნების პროცესში ხდება, ვექტორებითაა გამოწვეული. ვექტორს სიტუაციის დინამიკა განსაზღვრავს. აზროვნების გზით სუბიექტი სტრუქტურულად გაურკვეველ პრობლემურ სიტუაციიდან,  $S_1$ -დან, სტრუქტურულად გარკვეულ სიტუაციაზე,  $S_2$ -ზე, გადადის. აზროვნება  $S_1$ -ით იწყება და  $S_2$ -ით მთავრდება. აზროვნება  $S_1$ -დან  $S_2$ -ზე გადასვლას,  $S_1$ -ის  $S_2$ -ით შეცვლის პროცესს წარმოადგენს. ამ პროცესის ცალკე ნაბიჯების დინამიკა პრობლემური სიტუაციის სტრუქტურითაა დეტერმინირებული. აზროვნების გეშტალტფსიქოლოგიური თეორიის ცენტრალურ მო-

მენტს ეს გადასვლა წარმოადგენს,—გადასვლა დაქსაქსულ აგრეგაციიდან. ზედაპირულ სტრუქტურიდან უკეთეს, დასრულებულ სტრუქტურაზე. ეს გადასვლა  $s_1$ -დან  $s_2$ -ზე, ე. ი. აზროვნების პროცესი. ვერთჰაიმერის მიხედვით, პირველ რიგში თვით  $s_1$ -ის—პრობლემური სიტუაციის სტრუქტურაზეა დამოკიდებული.  $s_1$ -ის, ე. ი. პრობლემური სიტუაციის სტრუქტურა, შესატყვის ვექტორთა აღმოცენებას უზრუნველყოფს. აზროვნების პროცესში პრობლემური სიტუაციის ( $s_1$ ) ელემენტთა ისეთი რეორგანიზაცია ხდება, რომელიც მთლიანი სიტუაციის რეცენტრაციით, მისი სტრუქტურულ რეორგანიზაციით მთავრდება.  $s_1$ -დან  $s_2$ -ზე გადასვლის პროცესი ნაბიჯებისა და ოპერაციების რიგს შეიცავს. პროდუქტიული აზროვნების პროცესში ეს ნაბიჯები და ოპერაციები ურთიერთზე დამოკიდებულ და, ამგვარად, „სტრუქტურულად“ აზრიან ოპერაციებს წარმოადგენს.

ვერთჰაიმერი ხაზს უსვამს დებულებას, რომ  $s_1$ -ის ნამდვილი სტრუქტურული თვისებები თავისი განსაკუთრებული ბუნებით იწვევენ შესატყვისი მიმართულების, რომელობისა და ინტენსივობის ვექტორებს, რომელნიც, თავის მხრივ, აზრობრივ ოპერაციებს და ნაბიჯებს განსაზღვრავენ. ყველაფერი, რაც აზროვნების პროცესში ხდება, ხდება ისეთი ვექტორების საფუძველზე, რომელნიც პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ მოთხოვნას შეესატყვისება.

ვერთჰაიმერის კონცეპცია ერთგვარ ანგარიშს სუბიექტის ცნებასაც უწევს: პრობლემური სიტუაცია თავის შესატყვის ვექტორებს სუბიექტში იწვევს. ვერთჰაიმერის მიხედვით, პრობლემური სიტუაცია, აზრობრივ ოპერაციათა აღმოცენებას სუბიექტში გამოწვეულ ვექტორების მეშვეობით იწვევს. აზროვნების ამ თეორიაში სახეზე არის პრობლემური სიტუაციის, სუბიექტში გამოწვეული ვექტორების და აზრობრივ ოპერაციათა ცნებები. მაგრამ ავტორის მიერ მოცემულ აზროვნების სქემაში ( $s_1$ — $s_2$ ) შეყვანილია მხოლოდ პრობლემური სიტუაცია და აზროვნების შედეგად მოპოვებული სიტუაცია—აზროვნება პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციას ( $s_1$ — $s_2$ ) წარმოადგენს.

ვერთჰაიმერის მიხედვით, რთულ შემთხვევაში პრობლემის საბოლოო გადაჭრა, სტრუქტურულად სავსებით სრულყოფილი სიტუაციის მიღწევა პრობლემური სიტუაციის რამდენიმე რეორგანიზაციის შედეგათაა მოსახერხებელი. სქემატურად ამოცანის გადაჭ-

რის პროცესი, ვერტჰაიმერის მიხედვით, შემდეგნაირად გამოიხატება:  $S_1.. S_2.. S_3... X_n$  თითოეული სტრუქტურულად ახალი სიტუაცია რეცენტრაციის თანამიმდევარ ცალკე აქტთა შედეგად აღმოცენდება. თუ რეცენტრაციის ამ ცალკე აქტებს აღვნიშნავთ როგორც  $X_1...X_2, X_3... X_n$ .

რეცენტრაციის თითოეული აქტის შედეგად აღმოცენდება ახალი სიტუაცია— $S_2, S_3, S_4... S_n$   $S_2$ —ახალია  $S_1$ -თან შედარებით, ვინაიდან  $X_1$ -მა  $S_1$  რეორგანიზაცია მოახდინა;  $S_3$  ახალია  $S_2$ -სთან შედარებით, როგორც  $X_2$  ოპერაციის შედეგად მიღებული. იგივე ითქმის  $S_4$ -ს შესახებაც.

ჩვენ გვინტერესებს, საკუთრივ, აზრობრივი პროცესი,  $X_1, X_2... X$  აზრობრივი ოპერაციების რეცენტრაციის თანამიმდევარ აქტებს წარმოადგენენ. ისმის კითხვა: რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამოცანის გადაჭრა, რომელიც რეცენტრაციის ცალკეულ აქტებისაგან შესდგება ერთიან პროცესს წარმოადგენს. რა აერთიანებს რეცენტრაციის ცალკეულ ოპერაციებს ( $X_1, X_2... X$ ) აზროვნების მთლიან პროცესში?

ის გარემოება, რომ  $S_2$  ერთგვარ კავშირში არის  $X_1$ -თანაც (რამდენადაც  $S_2$  იმ რეორგანიზაციის შედეგია, რომელიც  $X_1$ -მა  $S_1$ -ში მოახდინა) და  $S_2$ -სთანაც (რამდენადაც  $X_2$ -ს  $S_2$ -მ ვექტორების საშუალებით გამოიწვია), ჯერ არაფერს ამბობს  $X_1$ -ის და  $X_2$ -ის კავშირის შესახებ. ის გარემოება, რომ ორი მოვლენა შესამესთან კავშირში იმყოფება, არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ვაღიაროთ რეალური კავშირის არსებობა პირველ ორ მოვლენას შორის. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კავშირი  $X_2$  და  $X_1$ -ს შორის, ერთის მხრივ, და  $S_2$ -ესა და  $X_2$ -ს შორის სხვადასხვანაირია. ჯერ ერთი, სხვადასხვანაირია თავისი სტრუქტურის მიხედვით: კავშირი  $S_2$ -ესა და  $X_2$ -ეს შორის გაშუალებულია ვექტორით— $V_2$ —, კავშირი კი  $S_2$ -ეს და  $X_1$ -ს შორის ვექტორით არაა გაშუალებული; და მეორე, ეს კავშირები სხვადასხვანაირია ფუნქციონალურადაც: პირველი კავშირი ( $S_2$ —ეს და  $X_2$ -ეს შორის) მდგომარეობს იმაში, რომ  $S_2$  იწვევს  $X_2$ -ეს, ხოლო კავშირი  $S_2$ -ს და  $X_1$ -ს შორის—იმაში, რომ  $X_1$  იწვევს  $S_2$  ( $S_1$ -ის რეორგანიზაციის გზით).

რასაკვირველია, პრობლემის გადაჭრის ცალკე ისტორიათა აღწერის დროს აზროვნების პროცესის მთლიანობითი ბუნების ფაქტი ვერტჰაიმერს გათვალისწინებული აქვს. მაგრამ აზროვნების ფსიქო-

ლოგიურ თეორიისათვის ეს საკმარისი არ არის: თეორიად უნდა ნათელყოს ამ ფაქტის კანონზომიერება, უნდა მოგვეცეს მისი ფსიქოლოგიური ახსნა. გეშტალტფსიქოლოგია ვერ იძლევა ცნებას, რომელიც შესძლებდა ამოცანის გადაჭრის მთლიან პროცესად მიმდინარეობის ფაქტის ახსნას. ამ ფაქტის ასახსნელად ისეთი ფსიქოლოგიური პირობის ცნებაა საჭირო, რომელიც ცალკე ფსიქიკურ პროცესთა ურთიერთშეკავშირებას უზრუნველყოფს.

აზროვნების, როგორც პრობლემური სიტუაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის გაგებასთან დაკავშირებით, სხვა საკითხებიც აღმოცენდება: რაში მდგომარეობს პრობლემური სიტუაციის რეორგანიზაცია? რა ახდენს ამ რეორგანიზაციას? ვერთჰაიმერის მიხედვით, პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ რეორგანიზაციას რეცენტრაციის აქტი ახდენს: რეცენტრაციის აქტთა შედეგად პრობლემური სიტუაცია სტრუქტურულად უკეთესი ხდება, რეცენტრაციის აქტთა შედეგად სტრუქტურულად დაქსაქსული პრობლემური სიტუაცია სრულყოფილი სტრუქტურის სიტუაციად იქცევა.

რეცენტრაციის ცნება ვერთჰაიმერთან ორი განსხვავებული მნიშვნელობითაა გამოყენებული: რეცენტრაცია, ერთის მხრივ, ნიშნავს აზროვნების სუბიექტის თვალსაზრისს, მის საერთო ორიენტაციას, ხოლო მეორეს მხრივ,—პრობლემურ სიტუაციაში ერთი რომელიმე მხარის წინ წამოწევას და ფოკუსში მოხვედრას. განვიხილოთ ცენტრაციის ორივე მნიშვნელობა.

როდესაც ავტორი ტერმინს „ცენტრაცია“ (ან რეცენტრაცია) პირველი მნიშვნელობით ხმარობს, მას მხედველობაში პრობლემურ სიტუაციისადმი სუბიექტის საერთო მიდგომა აქვს, ავტორი ასეთ შემთხვევაში ან „ეგოცენტრულ“ ან „ობიექტურ“ ცენტრაციას აღნიშნავს. რეცენტრაცია ამ შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ სუბიექტმა, მაგ. ეგოცენტრული მიდგომა დაძლია, ეგოცენტრული თვალსაზრისი ობიექტურ თვალსაზრისით შეცვალა და საქმის ვითარებას ახლებურად, ობიექტურად შეხედა. მაგრამ ეგოცენტრული ან ობიექტური მიდგომა უფრო პიროვნული თვისებების გამოვლინებას, ვიდრე ისეთ აზრობრივ ოპერაციას წარმოადგენს, რომელსაც პრობლემური სიტუაციის მოთხოვნა განსაზღვრავს „ეგოცენტრული“ ან „ობიექტური“ ცენტრაცია უფრო პიროვნების თვისებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, ვიდრე მოცემული სიტუაციის სტრუქტურაზე. ასეთი ცენტრაცია პიროვნების საერთო დისპოზიციისა ან მისი რომე-

ლიმე კონკრეტული მდგომარეობის გამოვლინებას უფრო უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე გარკვეულ აზრობრივ ოპერაციას; ავტორთან კი ცენტრაცია ისეთ აზრობრივ ოპერაციათა შორის ფიგურირებს, როგორცაა დაჯგუფება, სეგრიგაცია და სხვ.

მაგრამ თუ ცენტრაციას ან რეცენტრაციას გავიგებთ მეორე მნიშვნელობით, ე. ი. როგორც ისეთ აზრობრივ ოპერაციას, რომელიც პრობლემური სიტუაციის რეორგანიზაციაში, მასში ფოკუსის გადაადგილებით იწვევს, ისმის კითხვა: როგორ ხდება რეცენტრაციის ცალკე აქტთა ამოცანის გადაჭრის ერთიან პროცესში ურთიერთ შეკავშირება? როგორ ხდება, რომ რეცენტრაციის ერთ აქტს რეცენტრაციის ისეთი მეორე აქტი მოსდევს, რომელიც პირველთან ორგანულ, „სტრუქტურულ“ კავშირში იმყოფება. რა უზრუნველყოფს ცენტრაციის ცალკე აქტთა ორგანულ, „სტრუქტურულ“ კავშირს?—საკითხი აზროვნების პროცესის მიზანშეწონილი მიმდინარეობისა და ამ პროცესის ცალკეული ნაბიჯების ორგანული ურთიერთკავშირის შესახებ აზროვნების ცალკეულ ოპერაციათა სიბრტყეს სცილდება. ეს საკითხი სუბიექტის საქმეში ჩართვას გულისხმობს.

მართალია, ვერთპაიმერი ახსენებს სუბიექტსა და მის განწყობებსაც, მაგრამ ყველაფერე ეს მის კონცეფციასთან აზროვნების შესახებ ორგანულ კავშირში არ არის მოყვანილი. აზროვნება მისთვის პრობლემური სიტუაციის ისეთ ტრანსფორმაციათა რიგს წარმოადგენს, რომელსაც თვითონ პრობლემური სიტუაციის სტრუქტურა განსაზღვრავს. პრობლემური სიტუაციის სტრუქტურის შეცვლაში თვითონ სუბიექტი პასიურია; აქტიურად ის არ მონაწილეობს ამ სიტუაციის ტრანსფორმაციათა პროგრესულ პროცესებში: წინსვლას თვითონ პრობლემური სიტუაციის სტრუქტურული მოთხოვნა წარმართავს. მაგრამ აზროვნების პრობლემური სიტუაციის დინამიკურობით ახსნა წრეში იტრიალებს, თუ თვითონ ეს დინამიკურობა აოიქნება ახსნილი ასახსნელი აზროვნების გარეშე. ფაქტორი, რომელიც აზრობრივ ოპერაციათა მიმართულებას განსაზღვრავს, თვითონ არ უნდა ეკუთვნოდეს ამ ოპერაციათა რიგს.

გეშტალტფსიქოლოგიის დებულებაში, რომ აზროვნება პრობლემური სიტუაციის ისეთ გადასტრუქტურებას წარმოადგენს, რომელსაც თვითონ ამ სიტუაციის მოთხოვნა განსაზღვრავს, არის რალაცა ზელცის იდეიდან ისეთი ანტიციპაციური სქემის შესახებ. რო-

მელსაც თავად გააჩნია დასრულების ტენდენცია. მაგრამ აზროვნების წარმმართველ ფაქტორს ზელცისათვის უფრო ამოცანის მოთხოვნა და საბოლოო მიზანი, ხოლო ვერთჰაიმერისათვის ამოცანის პირობები—პრობლემური სიტუაცია წარმოადგენს. ამოცანის გადასაჭრელად ვერთჰაიმერის მიხედვით, პრობლემურ სიტუაციაში ფუნქციონალურად ღირებულია წვდომა საჭირო.

„ვიურცბურგელების“ მოსაზრება, რომ აზროვნების მიმდინარეობას ამოცანა და ამოცანაში წარმოდგენილი მიზანი განსაზღვრავს, რასაკვირველია, სწორია. მაგრამ განა აზროვნების მიმართულებას მხოლოდ მიზანი, მხოლოდ ამოცანა განსაზღვრავს. ერთი და იმავე მიზნის მიღწევა ხომ სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი, ერთი და იმავე ამოცანის გადაჭრა ხომ სხვადასხვანაირათაა მოსახერხებელი.

ეჭვი არ არის, რომ გეშტალტფსიქოლოგიის დებულება პრობლემური სიტუაციის სტრუქტურის შეცვლის შესახებ სწორია. ამოცანის გადაჭრა, ჩვეულებრივად, ნაბიჯთა რიგს წარმოადგენს. თითოეული ნაბიჯის წინსვლა პრობლემური სიტუაციის სტრუქტურის შეცვლით აღინიშნება. წინსვლა, მართლაც, ამოცანის ტრანსფორმაციაში, მის გადაფორმულირებაში მდგომარეობს. დუნკერის ექსპერიმენტებში ეს ბრწყინვალედ დამტკიცდა, სწორია, აგრეთვე, ბარტლეტის შეხედულებაც, რომ აზროვნება მიღებულ ინფორმაციაში ხარვეზების შევსებას აწარმოებს. აზროვნების ასეთი გაგება არც გეშტალტფსიქოლოგიის კონცეფციას ეწინააღმდეგება. პრობლემური სიტუაციის სტრუქტურის შეცვლა დამატებითი ინფორმაციის აზროვნების გზით შეიძენასა და გამოყენებას გულისხმობს. სიტუაცია მაშინაა პრობლემური, როდესაც სუბიექტს მის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნია. დამატებითი ინფორმაციის მიღებას, ინფორმაციაში ხარვეზის შევსება, ცხადია, პრობლემური სიტუაციის მოდიფიკაცია, მისი გადასტრუქტურება მოყვება.

მაგრამ აზროვნების საკვირველ ფაქტში განა მხოლოდ პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციებია აღსანიშნავი? ამოცანის გადაჭრის პროცესში პრობლემური სიტუაციის სტრუქტურის შეცვლა მართლაც სწარმოებს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად ისმის კითხვა. როგორ ახერხებს აზროვნება პრობლემური სიტუაციის სტრუქტურის შეცვლას, მოცემული ამოცანის გადაფორმულირებას? რეცენტრაციის გზით? მაგრამ პრობლემური სიტუაციის

სტრუქტურის შეცვლა ვერთპაიმერის მიხედვით, სწორედ რეცენტრაციის გამოიხატება, რეცენტრაცია, ამგვარად, აზროვნების შედეგია. აზროვნების ფსიქოლოგიამ უნდა ნათელყოს, რა გზით ახერხებს აზროვნება ამ შედეგის მიღწევას. სწორედ ამ საკითხს ეხება ს. ლ. რუბინშტეინის კონცეფცია.

რუბინშტეინი აზროვნების პროცესის ფსიქოლოგიურ არსს ამოცანის პირობების და ამოცანის მოთხოვნის ისეთ ანალიზში ხედავს, რომელიც მათი ურთიერთშეფარდების გზით ხორციელდება. ამ ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემთა აზროვნების პროცესში ჩართვა აზროვნების შემდგომ მსვლელობას აპირობებს; ანალიზის ძირითად ფორმას, რუბინშტეინის მიხედვით, „ანალიზი სინთეზის გზით“ — анализ через синтез შეადგენს: ახალ-ახალ კავშირებში ჩართვის გამო ობიექტი ახალ-ახალ თვისებათა მატარებლად გვევლინება. ასე სწარმოებს ობიექტის ახალ თვისებათა გათვალისწინება, მასში ახალი შინაარსების მოპოვება. ასე სწარმოებს, ავტორის თქმით, არსებულის სულ ახალი და ახალი ფენების წვდომა. „მზის სინათლეზე იმის გამოტანა, რაც მანამდე უცნობის სიღრმეში იმალებოდა“.

უნდა ვიფიქროთ, აზროვნების პროცესის აღნიშნული ინტერპრეტაციები, თავის სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთმანეთს არ გამოირიცხავენ. თუ მხედველობაში ამოცანის გადაჭრის მსვლელობა და ის გზებია მიღებული, რომლითაც აზროვნება ამოცანის გადაჭრას ახერხებს, ძირითადად, მართლაც, ისეთი ანალიზი წარმოადგენს, რომელიც სინთეზს—მონაცემთა ერთმანეთთან შეფარდებას—გულისხმობს.

ამ შემთხვევაში, მართლაც, პირველ რიგში ობიექტის ახალ კავშირში ჩართვა და სინთეზის საფუძველზე წარმოებული ანალიზი უნდა იქნეს აღნიშნული. მაგრამ, თუ მხედველობაში არა თვით აზრთა მსვლელობა, არამედ ის შედეგებია მიღებული, რომელიც ამოცანის გადაჭრის პროცესში იჩენენ თავს, მნიშვნელობას პრობლემური სიტუაციის „ტრანსფორმაციები“ ან „მიღებული ინფორმაციის შევსება“ იძენს. მაგრამ ყველაფერი ეს არ ეწინააღმდეგება რუბინშტეინის კონცეფციას: პრობლემური სიტუაციის ის ტრანსფორმირება და სტრუქტურის შეცვლა, რომელიც გელშტალტის ფსიქოლოგიას აქვს მხედველობაში, არსებითად, სწორედ სიტუაციის ცალკე მხარეების ახალ კავშირებში ჩართვის, მათი ახალი თვალსაზრისით განხილვის შედეგს წარმოადგენს. ანალოგიური მდგომარეობა იქმ-

ნება ბარტლეტის კონცეფციასთან დაკავშირებითაც: მიღებულ ინფორმაციაში ხარვეზების შევსება გულისხმობს, რომ ის, რაც მოცემულია, და ის, რაც საჭიროა, გაანალიზებულია მათი ურთიერთშეფარდების, მათი სინთეზის საფუძველზე.

აზროვნების ფსიქოლოგიისათვის, რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანია თვით აზრთა მსვლელობა—ის აზრობრივი მოქმედება, რომელზედაც რუბინშტეინი მიუთითებს. მაგრამ შეუძლებელია პრობლემური სიტუაციის იმ დინამიკის უარყოფაც, რომელსაც გეშტალტის კონცეფცია აღნიშნავს, ისევე როგორც შეუძლებელია ბარტლეტის მიერ ხაზგასმული ფაქტის უარყოფაც: აზროვნება, უდავოდ, ინფორმაციის შევსებას, მის გაშლას ახერხებს.

აზროვნების პრობლემასთან სამივე მიდგომა პასუხობს კითხვაზე: რა ხდება, როდესაც სუბიექტი მის წინაშე აღძრულ ამოცანას სწყვეტს. სხვადასხვა კონცეფცია ამ კითხვასთან დაკავშირებით სხვადასხვა გარემოებას აღნიშნავს. | გეშტალტფსიქოლოგია ხაზს უსვამს პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციათა ფაქტს, ხოლო ბარტლეტი აღნიშნავს მიღებულ ინფორმაციაში ხარვეზების შევსების ფაქტს; რუბინშტეინი ყურადღებას თვითონ აზროვნების მოქმედებას აქცევს და ნათელყოფს იმ ხერხს, იმ გზას, რომლითაც აზროვნება ამოცანის გადაჭრას ახერხებს. ამაშია რუბინშტეინის უპირატესობა. მის კონცეფციას აქვს 'ხვა, კიდევ უფრო არსებითი ხასიათის უპირატესობა: მაშინ, როდესაც, მაგალითად, გეშტალტფსიქოლოგიას საქმე ისეთ ფენომენოლოგიურ ობიექტთან აქვს, რომელშიც გაითქვიფა აზროვნების სუბიექტიც და აზროვნების ობიექტიც.—რუბინშტეინის მიხედვით, აზროვნება თავის ობიექტს უპირისპირდება და მასში, ამ თავის ობიექტში, ახალ მხარეთა აღმოჩენას აწარმოებს. მაგრამ რუბინშტეინის კონცეფციაც ეხება იმას, თუ რა ხდება აზროვნების პროცესში, იმას თუ რაში მდგომარეობს აზროვნება.

ვფიქრობთ. პასუხი უნდა გაეცეს სხვა კითხვაზედაც: როგორ ხდება, რომ სუბიექტი აზროვნებს და მის წინაშე აღძრულ ამოცანას წყვეტს? როგორ ხორციელდება აზროვნების მონაპოვრის აზროვნების შემდგომ მსვლელობაში ჩართვა? რაში მდგომარეობს ის შინაგანი ფსიქოლოგიური პირობა, რომლის საფუძველზე ხორციელდება ცალკე შემეცნებითი აქტების ურთიერთშეკავშირება და ურთიერთშეფარდება ობიექტის შექცევების ერთიან პროცესში. რუ-



ბინშტეინის მიხედვით, აზროვნებას მისი ობიექტი განსაზღვრავს და განსაზღვრავს არა უშუალოდ, არა პირდაპირ, არა მექანიკურად, არამედ სინთეზისა და ანალიზის პროცესების გაშუალებით. მაგრამ რუბინშტეინისათვის აზროვნებას სწორედ სინთეზისა და ანალიზის პროცესი შეადგენს. გამოდის, რომ თვითონ აზროვნება იმ შინაგან ფსიქოლოგიურ პირობას წარმოადგენს, რომელიც შესაძლებლად ხდის აზროვნების მისი ობიექტით დეტერმინაციის ფაქტს. გამოდის, რომ ცალკე აზრობრივ აქტთა აზროვნების ერთიან პროცესში შეკავშირება და შეფარდება თვითონ აზროვნებითაა გაშუალებული.

ვერთპაიმერის მიხედვით პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციას, მის გადასტრუქტურებას, სტრუქტურის შეცვლას. თვითონ ამ სიტუაციის სტრუქტურულ მოთხოვნათა წვდომა განსაზღვრავს. მაგრამ, არსებითად, პრობლემური სიტუაცია ხომ სწორედ ის არის, რის წვდომასაც სუბიექტი ობიექტურ სიტუაციაში ახერხებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ობიექტური სიტუაცია მაშინაა პრობლემური, როდესაც სუბიექტს მის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნია და ამის გამო მის წინაშე ინფორმაციის შევსების ამოცანა დგება. ძნელი წარმოსადგენია, რომ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ხდება იქიდან, რასაც ამ დამატებითი ინფორმაციის დანაკლისი ახასიათებს.

უნდა ვიფიქროთ, იმ პროცესის დერძს, რომელშიც ამოცანის გადაჭრა სწარმოებს, თვითონ ობიექტური სიტუაცია წარმოადგენს აზროვნების პროცესს, როგორც ამას რუბინშტეინი აღნიშნავს. მისი ობიექტი განსაზღვრავს და განსაზღვრავს „არა უშუალოდ“. „პირდაპირ“ „არა მექანიკურად“, არამედ შინაგანი, ფსიქოლოგიური პირობის გაშუალებით. მაგრამ ამ პირობას არ უდგება ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა მასშტაბი: იმ პირობის აღმოცენება, რომელიც აზროვნების მისი ობიექტით დეტერმინაციას უზრუნველყოფს,—უნდა მოხდეს სუბიექტისა და ობიექტური ვითარების კოორდინაციის ბაზაზე. სწორედ ასეთ პირობას განწყობის ის ცნება წარმოადგენს, რომელიც დ. უზნაძის კონცეფციაშია მოცემული.

## II. განწყობის თეორიის (დ. უზნაძე) სოციოლოგიური დებულება

განწყობის თეორიის თანახმად, „ცნობიერი ფსიქიკური პროცესების აღმოცენებას წინ უსწრებს მდგომარეობა, რომელიც ვერაფრითარ შემთხვევაში არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად ვერ ჩაითვლება“<sup>6</sup>, განწყობა, ამ თეორიის მიხედვით, ისეთ არაცნობიერ ფსიქიკურ რეალობას წარმოადგენს, რომელიც ცნობიერ ფსიქიკურ პროცესებს არა მხოლოდ წინ უსწრებს, არამედ კიდევაც მათი აღმოცენების პირობას წარმოადგენს<sup>7</sup>.

განწყობის თეორია იმ ფაქტიდან გამომდის, რომ სინამდვილესთან აქტიურ, უშუალო დამოკიდებულებას სუბიექტის მოქმედების ცალკე აქტები კი არა, თვითონ სუბიექტი ამყარებს. განწყობა წარმოადგენს იმ შინაგან ფაქტორს, სუბიექტის ისეთ მთლიანობით მდგომარეობას, რომელიც გარეზემოქმედების ფსიქიკურ ეფექტს აპრობებს. განწყობა არის სუბიექტის მზადყოფნა, იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით. ამ მზადყოფნის აღმოცენების პირობას, ერთი მხრივ, სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილება, მეორე მხრივ, სათანადო ობიექტური სიტუაცია შეადგენს.

განწყობის თეორიას საფუძვლად უდევს განწყობის აღმოცენებისა და მოქმედების კანონზომიერებათა ექსპერიმენტალური შესწავლა. ამ შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ განწყობის ფაქტის, არამედ აგრეთვე განწყობის ფსიქოლოგიური არსის დადგენაც. სუბიექტის მოცემული კონკრეტული მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოცემული, ობიექტური სიტუაციის პირობებში აღმოცენებული განწყობა სუბიექტის ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც თავის რაგვარობაში სუბიექტის მოქმედების ობიექტურ პირობებს ასახავს. განწყობის საფუძველზე აღმოცენდება მოქმედება, რომელიც მოცემულ ობიექტურ პირობებში სუბიექტის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით აღძრული და თავის შინაარსში მოცემული, ობიექტური ვითა-

<sup>6</sup> დ. უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, „ფსიქოლოგია“, VI ტომი, გვ. 88.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 7, 8.

რებით განსაზღვრული განწყობა სუბიექტის ისეთ მზაობას წარმოადგენს, რომელიც მოცემულ ობიექტურ პირობებს ასახავს და, ამგვარად, სუბიექტის ქცევას ამ პირობების შესაბამისად წარმართავს. როდესაც სუბიექტს აქვს რაიმე მოთხოვნილება და ობიექტურ სინამდვილეში მოცემული ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობები, საკითხი სათანადო განწყობის აღმოცენების შესახებ არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს. მოცემული აქტუალური მოთხოვნილება და მოცემული ობიექტური პირობები, სუბიექტის საგანგებო ჩარევის გარეშე, სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების მზაობას იწვევენ. ეს მზაობა, ეს განწყობა ყოველთვის კონკრეტული შინაარსის, გარკვეული რაგვარობისაა. სუბიექტური ფაქტორი—მოთხოვნილება და ობიექტური ფაქტორი—მოცემული სიტუაცია—ურთიერთს განსაზღვრავენ, ურთიერთს აკონკრეტებენ. მაგრამ საკითხი რთულდება, როდესაც სუბიექტის წინაშე პრობლემური სიტუაციაა, გადასაჭრელი ამოცანაა, და საქმეში აზრობრივი აქტივობა ჩაერთვის.

დებულება, რომ „ფსიქიკა სინამდვილის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს“<sup>8</sup>, განწყობის ფსიქოლოგიის ამოსავალ დებულებათა რიგს ეკუთვნის. ბუნებრივია, რომ ფსიქოლოგია, რომელიც ასეთ თეორიულ დებულებიდან გამოდის, თავის საგანსაც—ფსიქიკურ სინამდვილესაც—განვითარების ასპექტში განიხილავს.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დგას ფსიქიკის ფილოგენეტიკური განხილვის წინაშე, არის საკითხი ფსიქიკის ადამიანური საფეხურის აღმოცენების შესახებ.

„რას წარმოადგენს ის, შეიძლება ითქვას, სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ესოდენ მკვეთრად განაჩხვავებს ადამიანს ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან? როდესაც ამ საკითხს ვაყენებთ, ამბობს დ. უზნაძე, პირველ რიგში, რასაკვირველია, აზრი მოგვდის, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და რომ მას, როგორც ასეთს. როგორც სოციალურ არსებას, მეტყველების უნარი აქვს; რომელსაც სხვა ცოცხალი არსება ყველა მოკლებულია აბსოლუტურად“<sup>9</sup>. ფსიქიკის განვითარების ადამიანურ საფეხურზე მეტყველების არსებობის ფაქტი გულისხმობს გარესინამდვილესთან ისეთი

<sup>8</sup> დ. უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, „ფსიქოლოგია“, VI ტომი, გვ. 88.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 106.

დამოკიდებულების შესაძლებლობას, რომელიც სავსებით უცნობა განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურისათვის, თუ ცხოველზე გარემო მხოლოდ უშუალოდ მოქმედი გამლიზიანებლის მეშვეობით მოქმედობს, ადამიანზე, ამბობს დ. უზნაძე, „როგორც სოციალურ არსებაზე“, ის „ორმაგად ახდენს გავლენას“ პირდაპირ. უშუალოდ მოქმედი გამლიზიანებლისა და არაპირდაპირ, სიტყვიერი სიმბოლოს საშუალებით“<sup>10</sup>. ძირითადი განსხვავება ცხოველისა და ადამიანის ფსიქიკას შორის, ამგვარად, მდგომარეობს იმაში, რომ „ცხოველი მხოლოდ ცხოველია, რომელიც ცხოვრობს, მოქმედებს და მეტი არაფერი; ადამიანი კი არა მხოლოდ ცხოვრობს და მოქმედებს—ის კიდევაც აცნობიერებს იმას, რომ ცხოვრობს და მოქმედებს მის გარშემო არსებულ სამყაროში“<sup>10</sup>.

ბუნებრივია, რომ განწყობის თეორიის წინაშე დადგა საკითხი იმ ფსიქოლოგიური პირობის შესახებ, რომელიც ფსიქიკის ამ ახალ საფეხურის აღმოცენებას უზრუნველყოფს.

სიცოცხლის იმ დონეზე, სადაც მოცემული სინამდვილის პრაქტიკული გამოყენება სწარმოებს, სადაც ქცევის სუბიექტი—იქნება ეს ცხოველი თუ ადამიანი—ობიექტურ პირობებს მხოლოდ თავისი აქტუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყენებს, განწყობის თეორიის თანახმად, ქცევის დაწყებასა და მიმდინარეობას განწყობა განსაზღვრავს: როდესაც სუბიექტი თავის აქტუალურ მოთხოვნილებათა განუსაზღვრელად მდიდარ და მრავალფეროვან სინამდვილეში ისეთ პირობას ხვდება, რომელსაც მისი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, მას გარკვეული ქცევის მზაობა უჩნდება,—განწყობა, რომელშიც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოცემული კონკრეტული პირობებია ასახული. ამ განწყობის საფუძველზე ხორციელდება აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ქცევა. მას შემდეგ, რაც დასრულდა ქცევა, დაკმაყოფილდა მოთხოვნილება, ეს უკანასკნელი ისევე, როგორც მისი დაკმაყოფილების პირობა, კარგავს აქტუალურ ხასიათს და სუბიექტისათვის ფსიქოლოგიურად აღარ არსებობს. სუბიექტს სხვა მოთხოვნილება უჩნდება და სხვა ობიექტურ პირობებში სწარმოებს ამ ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. „სიცოცხლე. ამბობს დ. უზნაძე, ამ დონეზე ცვლილებათა რიგის უწყვეტ ნაკადს წარმო-

<sup>10</sup> დ. უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, „ფსიქოლოგია“, VI ტომი, გვ. 106.

ადგენს ახლის შეუწელებელ ქმნადობას“. სიცოცხლის განწყობისეულ დონეზე მნიშვნელობა აქვს სინამდვილის მხოლოდ იმ მონაკვეთს, რომელიც „აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ მოქმედებათა მიზანშეწონილი მიმდინარეობისათვისაა საჭირო“. სინამდვილე. სიცოცხლის ამ დონეზე „შეუწელებელ ცვლილებათა უსასრულო, უწყვეტ მდინარებას წარმოადგენს“<sup>11</sup>.

მაგრამ თავის აქტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზაზედაც ადამიანს ხშირად მოცემული სინამდვილის ამა თუ იმ მხარის გააზრების საჭიროება უჩნდება. გააზრების ფაქტი გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ობიექტურ მონაცემთან პრაქტიკული დამოკიდებულების ნაცვლად, სუბიექტმა შემეცნებითი დამოკიდებულება დაამყარა: გააცნობიერა იგი, შეჩერდა მასზე.

ამ სპეციფიკურ შეჩერებას დ. უზნაძე ობიექტივაციის აქტს უწოდებს.—აქტს, რომლის საჭიროება იმპულსურად, განწყობისეულად მიმდინარე ქცევის დაბრკოლების პირობებში იჩენს თავს. „გაჩნდება თუ არა დაბრკოლება, ქცევის აქტი, რომელიც უნდა მომხდარიყო—მორიგი რგოლი აქტთა ჯაჭვში. —ჩვეულებრივად აღარ უთმობს ადგილს მომდევნოს, მის მიერ სტიმულირებულ აქტს. ვინაიდან დაბრკოლება სწორედ ამ სტიმულაციის პროცესს ეხება. ამის შედეგად ქცევა ფერხდება და სათანადო რგოლი, ასე ვთქვათ, აქტთა ჯაჭვიდან ამოვარდება“<sup>1</sup>. ობიექტივაციისათვის პირველ რიგში შეჩერებაა დამახასიათებელი. ობიექტივაციის აქტი ყოველთვის შეჩერებაში ვლინდება, შეჩერებას წარმოადგენს. მაგრამ თავისებურ შეჩერებას, შეჩერება ხომ ფიზიკურ სამყაროშიც არსებობს. ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის დროსაც ხდება. შეჩერება იმპულსური ქცევის პროცესებისათვისაც არ არის უცხო. შეჩერება ყველგანაა მოსალოდნელი. მაგრამ ობიექტივაციის აქტის გამომხატველი შეჩერება აქტიურია. ამაშია მისი სპეციფიკურობა. შეჩერება, რომელიც ობიექტივაციის აქტს გამომხატავს, გულისხმობს, რომ სინამდვილესთან პრაქტიკული დამოკიდებულება შეწყდა და მის ნაცვლად იმავე სინამდვილესთან ახალი—თეორიული ხასიათის დამოკიდებულება დამყარდა. ობიექტივაციის აქტის გამომხატველი შეჩერების ფსიქოლოგიურ შინაარსს სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება შეადგენს. სინამდვილის უწყვეტ მდინარებიდან გამოყოფილ

<sup>11</sup> დ. უზნაძე, „განწყობის ფიქლოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლება“, გვ. 116.

და შეჩერებულ მონაკვეთს ობიექტივაციის აქტი ობიექტად, თავის-თავთან იდენტიფიცირებულ საგნად აქცევს. იმპულსური ქცევის შემთხვევაში სუბიექტი ჩართულია სინამდვილის „უწყვეტ მდინარე-ბაში“. ობიექტივაციის დონეზე სუბიექტი სინამდვილის გაობიექტივებულ მხარეს თავის თავს უპირისპირებს. ობიექტივაციის აქტის გამომხატველი შეჩერების დროს სინამდვილის მონაკვეთი, რომელიც იმპულსური ქცევის მიმდინარეობაში ერთხელ უკვე იყო მოცემული, მეორედ ეძლევა სუბიექტს, მაგრამ ახლა უკვე როგორც გაობიექტივებული, როგორც „ფსიქოლოგიურად დამოუკიდებელი საგანი“; რომელიც ახალ, შემეცნებით ქცევაში, როგორც აზროვნების საგანი ჩაერთვის.

ამგვარად, იმისათვის, რომ სინამდვილის ესა თუ ის მონაკვეთი აზროვნების საგნად იქცეს—იმისათვის, რომ მის შესახებ სუბიექტ-მა აზროვნება დაიწყოს, განწყობის თეორიის მიხედვით, საჭიროა ამ მონაკვეთის ობიექტივაცია, საჭიროა ამ მონაკვეთთან პრაქტიკული დამოკიდებულების ნაცვლად, შემეცნებითი დამოკიდებულების დამყარება. ობიექტივაციის აქტი, განწყობის ფსიქოლოგიის თანახმად, აზროვნების ფაქტის ფსიქოლოგიურ პირობას წარმოადგენს, ვინაიდან იმისათვის, რომ გაიშალოს აზროვნება სინამდვილის ამა თუ იმ მონაკვეთის შესახებ, საჭიროა ამ მონაკვეთის პრაქტიკული ქცევის უწყვეტ მდინარეებიდან გამოთიშვა და მისი ობიექტად, თავისთავთან იდენტიფიცირებულ საგნად გაჩერება მანამდე, სანამ დასრულდება აზროვნების პროცესი. ესაა, რომ ფსიქოლოგიურად შესაძლებლად ხდის აზროვნების პროცესში იგივეობის ლოგიკური კანონის დაცვას.

ობიექტივაციის აქტის ცნება გასაგებად ხდის ფსიქიკური ცხოვრების მაღალი, ადამიანური დონის აღმოცენებას,—ლონისა, რომელზედაც ადამიანს ძალა შესწევს თვითონ, ნებისმიერად. განსაზღვროს ისეთ განწყობათა აღმოცენება, რომელიც მის მიზნებსა და განზრახვებს შეესატყვისება. ობიექტივაციის აქტი საშუალებას აძლევს ადამიანს იმოქმედოს არა თავისი ინდივიდუალური მოთხოვნილების იმპულსით, არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ როგორც სოციალურად დეტერმინებული და ნებელობით აღჭურვილი სუბიექტი<sup>12</sup>. ამგვარად, ობიექტივაციის აქტი ადამიანის სწორედ თავისებურ, სპეციფიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, მდგომარეობას; რომელსაც მოკლებულია

<sup>12</sup> Д. У з н а д з е, Основные положения теории установки, 1960.

ცხოველი და რომელზედაც ადამიანის მთელი უპირატესობა აი-  
გება“<sup>13</sup>.

რასაკვირველია, ობიექტივაციის აქტი აუცილებელი, მაგრამ არა  
საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ მოხერხდეს ამ უპირატესობის  
მოპოვება. მხოლოდ აზროვნების შედეგად ახერხებს ადამიანი ამ  
უპირატესობის განხორციელებას. მისი მიზნებისა და განზრახვების  
შესატყვის განწყობათა ნებისმიერი შექმნა მხოლოდ ობიექტივაციის  
აქტით როდი არის გაპირობებული. იმისათვის, რომ ადამიანის ამ  
უპირატესობას სისხლი და ხორცი შეესხას, აზროვნება საჭირო. ამ  
უპირატესობის შინაარსობლივ აღჭურვას აზროვნება იძლევა. თვი-  
თონ ობიექტივაციის აქტი შინაარსს მოკლებულია და შინაარსს ვერ  
შექმნის. ის მხოლოდ სპეციფიკურ შეჩერებაში მდგომარეობს,—ის  
სუბიექტის შემეცნებით პოზიციას და არა თვითონ შემეცნებას წარ-  
მოადგენს.

ის, რასაც ადამიანი ობიექტივაციის დონეზე იძენს—იქნება ეს  
პრაქტიკულ ქცევაში რაიმე დაბრკოლების თავიდან აცილება თუ  
მეცნიერული აღმოჩენა,—იქნება ეს მორალური პრინციპი თუ  
ბრძოლის ხერხი,—ეს—მისი მონაპოვარია, ეს—უკვე შედეგია. ამ  
შედეგის მოპოვება აზროვნების გზით ხერხდება.

განწყობის თეორიაში ობიექტივაციის ცნება ლოგიკური აუცი-  
ლებლობით აღმოცენდა. ფსიქიკური სინამდვილის განვითარების  
ასპექტში განხილვამ, ფსიქიკის მაღალი დონის—ობიექტივაციის  
დონის—პრობლემა წარმოშვა. ობიექტივაციის აქტის ცნების მეშვე-  
ობით განწყობის თეორიის ავტორი ადამიანური ფსიქიკის უპირა-  
ტესობას და სპეციფიკურად ადამიანურ განწყობათა აღმოცენების  
შესაძლებლობას ხსნის: ობიექტივაციის აქტი. განწყობის ფსიქოლო-  
გიის მიხედვით, აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოად-  
გენს.

ობიექტივაციის აქტი ფსიქიკური ცხოვრების მეორე, მაღალი  
დონის აღმოცენებას მოასწავებს. ამ დონეზედაც სუბიექტს მო-  
თხოვნილება უჩნდება, აქაც, სუბიექტის ეს მოთხოვნილება დაკმა-  
ყოფილებას ესწრაფვის. მაგრამ ობიექტივაციის ნიადაგზე აღმოცე-  
ნებული მოთხოვნილება გნოსტიკურია, იგი კითხვას წარმოადგენს.  
მისი დაკმაყოფილება შემეცნების გზითაა შესაძლებელი: სუბიექტი  
აზროვნების აქტებს მიმართავს, რათა მის წინაშე აღმოცენებულ

<sup>13</sup> დ. უზნაძე, განწყობის ექსპ. საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, გვ. 115.

კითხვაზე პასუხი მოიპოვოს. განწყობის თეორიის მიხედვით, ობიექტივაციის პლანშიც, ფსიქიკური აქტივობა განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს. მაგრამ აქ, ობიექტივაციის დონეზე, ეს აქტივობა პავესებური. თეორიული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, აღქმულ კითხვაზე პასუხის მონახვას, ემსახურება.

ჩვენს მიზანს აზროვნების სფეროში განწყობის აღმოცენებისა და მოქმედების ექსპერიმენტული შესწავლა შეადგენს; საკუთარ ექსპერიმენტულ მონაცემთა საფუძველზე. ჩვენ შევეცდებით აზროვნების ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრობლემის განწყობის თეორიის თვალსაზრისით გაშუქებას. მაგრამ, სანამ შევუდგებოდეთ ჩვენი ექსპერიმენტალური მონაცემების განხილვას, შევჩერდებით განწყობის იმ ცნების განხილვაზე, რომელიც თანამედროვე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაშია წარმოდგენილი.

### III. განწყობის ცნება თანამედროვე ამერიკულ ფსიქოლოგიაში

ქართულ ტერმინს — განწყობას, ისევე როგორც რუსულ установка-ს და გერმანულ—Einstellung-ს, ამერიკულ და ინგლისურ ლიტერატურაში ორი ტერმინი შეესატყვისება: Attitude და Set.

ერთ-ერთ თავის ნაშრომში ოლპორტი აღნიშნავს<sup>14</sup>, რომ თანამედროვე თეორიულ და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში არც ერთი ტერმინი არ გვხვდება ისე ხშირად, როგორც ტერმინი განწყობა (Attitude). სიტყვა განწყობა, მისი თქმით. ერთის მხრივ. შესატყვისობას. ხოლო მეორის მხრივ—შეგუებას გულისხმობს. და გარდა ამისა, ტერმინი განწყობა მზაობის სუბიექტურ ან ფსიქიკურ მდგომარეობასაც ნიშნავს.

ატიტუდის ცნების ისტორია უფრო გრძელია, ვიდრე სეტის ცნების ისტორია. ატიტუდის ცნებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ. მაგ. ჰერბერტ სპენსერს, რომელიც უკვე 1862 წ. წერდა, რომ სწორი მსჯელობის წარმოება უმთავრესად განწყობაზეა დამოკიდებული,—განწყობაზე. რომელსაც ჩვენ ვინარჩუნებთ, როდესაც რომელიმე საკითხს ვიხილავთ. აღნიშნავენ აგრეთვე ბენს, რომელიც

<sup>14</sup> G. Allport, The Nature of Personality, 1950, გვ. 1—4.



1868 წ. წერდა, რომ აზროვნების პროცესის მიმართულებას განწყობა განსაზღვრავს. „სულიერი ძალები, მისი თქმით, ჩაერთვიან ხოლმე გარკვეული განწყობის კალაპოტში და ეს ხელს უშლის ჩვენი ყურადღების სხვა საგანზე გადატანას: აზრის აქტუალური მიმდინარეობის დროს სხვა საგნები ყურადღების გარეშე რჩება“<sup>15</sup>.

განწყობის ლაბორატორულ პირობებში პირველ შესწავლას ფსიქოლოგიის ისტორიაში ლანგეს აწერენ. ოლპორტი<sup>16</sup>, ბორინგი<sup>17</sup> და სხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ 1888 წ. ლანგემ ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ რეაქციის დრო წინასწარ განწყობაზეა დამოკიდებული. ამგვარად, ფსიქოლოგიის ინტერესი რეაქციიდან ყურადღებაზე იქნა გადატანილი.

50 წლის შემდეგ, ე. წ. დინამიკურმა ფსიქოლოგიამ, ლანგეს ეს გამოკვლევა განწყობის შესწავლის საწყისად აღიარა.

განწყობის ცნებას განსაკუთრებით თანამედროვე პერსონალიზტური და სოციალური ფსიქოლოგია იყენებს. ოლპორტის მიხედვით განწყობა პიროვნების ისეთ დინამიკურ კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც ინდივიდის მემკვიდრეობის და გამოცდილების გავლენით მისი სიცოცხლის განმავლობაში ყალიბდება<sup>18</sup>.

არსებული ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, ოლპორტი განწყობას (Attitude) როგორც ნეირო-ფსიქომზაობის ისეთ მდგომარეობას განსაზღვრავს, რომელიც გამოცდილების შედეგად. ორგანიზდება და ინდივიდის რეაგირობას განსაზღვრავს. განწყობისათვის, ოლპორტის მიხედვით. შემდეგია დამახასიათებელი: ა. ინდივიდის ქცევის რეგულირება. ბ. გამოცდილების შედეგად აღმოცენება. გ. პერმანენტული ხასიათი და დ. ის გარემოება, რომ მისი გამოწვევა სტიმულთა ფართე წრეს შეუძლია. განწყობა ოლპორტის მიხედვით, წარმოადგენს პიროვნების ისეთ კომპონენტს, რომელიც პიროვნების სისტემაში მის სხვა კომპონენტებთანაა კოორდინირებული. ისევე, როგორც პიროვნების სხვა კომპონენტები, განწყობაც ქცევაზე გავლენას ახდენს და, ამგვარად, დეტერმინაციის ტენდენციის სახით ფუნქციონირებს. ფსიქოლოგიას, ავტორის თქმით, არასო-

<sup>15</sup> G. Allport, The Nature of Personality.

<sup>16</sup> იქვე

<sup>17</sup> Boring, A History of Psychology.

<sup>18</sup> G. Allport, Personality.

დეს არ შეეძლო დეტერმინაციის ტენდენციის ისეთი ცნების გარეშე არსებობა, რომელიც რეაგირობისათვის მზაობას გულისხმობს. ასეთი ცნებების გარეშე, ამბობს ოლპორტი, ფსიქოლოგია ვერ შესძლებდა ქცევის შინაგანი შეკავშირების, ქცევაში ცალკე აქტთა ურთიერთშეფარდების ფაქტის ახსნას. დეტერმინაციის ტენდენციის ამა თუ იმ ცნების გარეშე, ამბობს ავტორი, ფსიქოლოგია მხოლოდ გაუგებარ აქტთა და ცნობიერების ცალკეულ შინაარსთა რეგისტრაციას მოახერხებდა<sup>19</sup>. განწყობა ოლპორტისათვის დეტერმინაციის ტენდენციის ნაირსახეობას წარმოადგენს: რეაგირებისათვის მზაობას არა მხოლოდ განწყობა, არამედ პიროვნების თვისებაც წარმოადგენს. მაგრამ განწყობას ყოველთვის აქვს ობიექტი, რომლისკენაც ის მიმართულია. ტერმინი განწყობა, ამბობს ავტორი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ, როდესაც სახეზე არის ობიექტთან კავშირა, როდესაც მზაობას სტიმული ან სტიმულთა კლასი იწვევს. რაც უფრო მრავალრიცხოვანია ობიექტთა ის კლასები, რომელთაც განწყობის გამოწვევა შეუძლია, მით უფრო უახლოვდება ეს განწყობა პიროვნების თვისებას.

რაც შეეხება განსხვავებას განწყობის ორ სახეობას—ატიტუდის და სეტის შორის, ოლპორტი აღნიშნავს, რომ ატიტუდი წარმოადგენს ქცევის ისეთ რეგულატორს, რომელიც ობიექტთა შედარებით მრავალრიცხოვან წრეს ეხება, რომელიც წარსულ გამოცდილებაზე უფროა დამოკიდებული და რომელიც პიროვნების თვისებას უფრო უახლოვდება. ატიტუდი, უფრო ზოგადი და უფრო პერმანენტული ბუნებისაა.

ოლპორტის კონცეფცია გულისხმობს, რომ ქცევას სუბიექტის ის შინაგანი ფსიქიკური ორგანიზაცია განსაზღვრავს, რომელიც ხელთ არის მოცემული მომენტისათვის. ქცევა რთული და ერთიანი ფსიქიკური ორგანიზაციითაა გაშუალებული. ეს ორგანიზაცია პიროვნების თვისებათა, მოტივთა, ცნებათა და განწყობათა სისტემების ერთიანობას წარმოადგენს. განწყობათა სისტემას ავტორი ამ ფსიქიკური ორგანიზაციის სხვა ასპექტებს უპირისპირებს. განწყობაზეა დამოკიდებული ის, თუ რა რეაქცია წარმოებს. პიროვნების თვისებები განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ წარმოებს რეაქცია,—განსაზღვრავენ რეაქციის მანერას. მოტივთა სისტემა—ეს უაღრესად ში-

<sup>19</sup> G. Allport, Personality. გვ. 290.

ნაგანი და ღრმა ორგანიზაცია—ადამიანური ქცევის რატომ-ს შეადგენს.

ამ რთულ ფსიქიკურ ორგანიზაციაში განწყობას განსაკუთრებული ადგილი უკავია: განწყობაა რომ ობიექტთან უშუალო კავშირში იმყოფება, იგი ყოველთვის ობიექტისკენაა მიმართული. განწყობას ავტორი როგორც ნეირო და ფსიქომზაობის ისეთ მდგომარეობას განსაზღვრავს, რომელიც წარსულ გამოცდილების და მემკვიდრეობის შედეგად ჩამოყალიბდა და მოცემულ სიტუაციაში ქცევას განსაზღვრავს, ოლპორტის კონფერენციამ განწყობის შესახებ ფართო გამოყენება სოციალურ ფსიქოლოგიაში მოიპოვა.

\* \* \*

ამოცანის გადაჭრის საკითხს ამერიკულ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში ძალიან ხშირად განწყობის (set) პრობლემას უკავშირებენ. განწყობას, ჩვეულებრივად, როგორც ისეთ ფაქტორს განიხილავენ, რომელიც გარკვეულ პირობებში ამოცანის გადაჭრის მიმდინარეობაზე ახდენს გავლენას. განწყობის (set) კვლევას, ამოცანის გადაჭრასთან დაკავშირებით ამერიკულ ფსიქოლოგიაში. პირველ რიგში, ის მნიშვნელობა აქვს, რომ აზროვნების შესწავლა პიროვნების პრობლემას დაუკავშირდა. „ამოცანის“, როგორც აზროვნების მიმართულების გარედან განმსაზღვრელი ფაქტორის ნაცვლად. კვლევის საგნად განწყობა (set) იქცა; მაგრამ განწყობა გაგებული იქნა, როგორც პიროვნების გარკვეული თავისებურების, როგორც პიროვნების რიგიდობის გამომხატველი. ყურადღების ცენტრში ის პიროვნული, ის სუბიექტური ფაქტორი მოექცა, რომელიც ობიექტურად მოცემულ ამოცანას უპირისპირდება და ამ ამოცანის გადაჭრას აფერხებს. ერთიმეორეს მოსდევდა გამოკვლევა განწყობის რიგიდობის, პიროვნების რიგიდობის და ქცევის რიგიდობის შესახებ. აზროვნების ფსიქოლოგიის წინაშე იდგა ამოცანა აზროვნების „მოტორის“ აზროვნების მიზანმიმართული მიმდინარეობის და ამ მიმდინარეობის განმსაზღვრელი ძალის შესახებ; ამერიკული ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად კი დადგინდა იქნა ფაქტორი, რომელიც აბრკოლებს აზროვნების მიზანმიმართულ მიმდინარეობას, რომელიც ხელს უშლის ამოცანის გადაჭრის წარმატებას. ლაჩინის ექსპერიმენტულ ტექნიკას, (რომელიც ფართოდ იქნა გამოყენებული მრავალ ავტორთა მიერ და ამერიკაში, შეიძლება

ოქვას. განწყობის (set) კვლევის ყველაზე გავრცელებულ ტექნიკას წარმოადგენს)<sup>20</sup>, არსებითად, განწყობის მხოლოდ ნეგატიური ეფექტის გამოვლენა შეუძლია. მართალია, ლაჩინსმა ბოლო ხანებში აღიარა განწყობის დადებითი ეფექტის შესაძლებლობაც, მაგრამ მის, ისევე როგორც მრავალი სხვა ავტორის, ექსპერიმენტებში ყოველთვის ამოცანის გადაჭრის შეფერხების ფაქტია ნაგულისხმევი.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით, აზროვნების ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ბუნებრივად დადგა საკითხი განწყობის დაძლევის შესახებ.

ერთ-ერთი ავტორი<sup>21</sup>, მაგალითად, აღნიშნავს, რომ, ამოცანის გადაჭრის თეორიაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ზოგიერთი დებულება ყველა ფსიქოლოგის მიერაა აღიარებული. ერთ-ერთი ასეთი დებულება, მისი თქმით, მდგომარეობს იმაში, რომ ცვალებადობა, ვარიაბილობა ქცევაში წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომელიც ხელს უწყობს ამოცანის გადაჭრის წარმატებას. ამოცანის გადაჭრის დადებით ფაქტორად მას განწყობის დაძლევის უნარი მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ განწყობის დაძლევის ფაქტი ამ ავტორთან ამოცანის შასატყვისი განწყობის აღმოცენებას არ უკავშირდება.

ლაჩინსის ცდა წარმოადგენს ტევადობის გაზომვის არითმეტიკულ ამოცანებს: ცდისპირს ეძლევა ხუთი საგანწყობო ამოცანა (Einstellung tasks). ყველა ამ ამოცანის გადაჭრა ერთი და იმავე ფორმულითაა შესაძლებელი (B—A—2C). ამ ფორმულით გადაჭრის ხერხს ავტორი საგანწყობო ხერხს (Einstellung method) უწოდებს. საგანწყობო ამოცანების შემდეგ ცდისპირს საკონტროლო ამოცანები (test tasks) ეძლევა. პირველი ორი საკონტროლო ამოცანა კრიტიკულია; მათი გადაჭრა შესაძლებელია როგორც საგანწყობო ხერხით (B—A—2C), ისე უფრო მარტივადაც (ფორმულით A+C ან A—C). მესამე, საკონტროლო ამოცანა—„ჩაქრობის“ ამოცანაა. მისი გადაჭრა მხოლოდ მარტივი ხერხითაა შესაძლებელი (ფორმულით A—C). ორი უკანასკნელი ამოცანა ისევე კრიტიკულია. მათი გადაჭრა ორივე—რთული და მარტივი—ხერხითაა შესაძლებელი.

<sup>20</sup> A. Luchins, A variational approach to the role of set in problem solving. Acta Psychologica, 1955, II, 215—217.

<sup>21</sup> Guetzkow, H. An analysis of the operation of set in problem-solving behavior, J. gener. Psychol. 1951, 45.

შედგეგებიდან გამოირკვა, რომ მაშინ, როცა ცდისპირებს პირდაპირ საკონტროლო ამოცანები ეძლეოდათ, ისინი ყოველთვის მარტივ ხერხს მიმართავდნენ. მაგრამ როცა იგივე მარტივად გადასაჭრელი ამოცანები მათ საგანწყობო ამოცანების შემდეგ ეძლეოდათ, მარტივი ხერხის გამოყენების ნაცვლად, ისინი რთულ, საგანწყობო ამოცანებში გამოყენებულ ხერხს მიმართავდნენ (ცდისპირთა მთელი რაოდენობის სამი მეოთხედი). რაც შეეხება იმ ამოცანას, რომლის გადაჭრა მხოლოდ მარტივი ხერხით იყო შესაძლებელი, ცდისპირთა უმრავლესობამ (სამმა მეოთხედმა) სულ ვერ მოახერხა მისი გადაჭრა. აი, ამ ფაქტს, იმას, რომ საგანწყობო ამოცანების ზეგავლენით სუბიექტი ვერ იყენებს ამოცანის გადაჭრის მარტივ ხერხს, ავტორები „განწყობის ეფექტს“ უწოდებენ.

აღნიშნული ექსპერიმენტის ვარიაციების საშუალებით ნაცადი იყო „განწყობის ეფექტის“ გადიდება-შემცირებისათვის სათანადო პირობების შექმნა. აღმოჩნდა, მაგალითად, რომ 6—8 საგანწყობო ამოცანის შემთხვევაში ეფექტი უახლოვდება მაქსიმუმს.

აღმოჩნდა, რომ დაძაბულ სიტუაციაში, როდესაც ცდისპირს მუშაობის სისწრაფე მოეთხოვება, ან როდესაც ის შეჯიბრშია ჩაბმული. „განწყობის ეფექტის“ მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალია. პირიქით, განწყობის ეფექტი კლებულობს საგანწყობო ამოცანათა ერთგვაროვნების დარღვევის პირობებში, როცა, მაგალითად, საგანწყობო ამოცანათა რიგში ისეთი ამოცანებიც ურევია, რომელთა გადაჭრა რთული და მარტივი წესითაა შესაძლებელი; სპეციალურ გაფრთხილება—„ნუ ხარ ბრმა“ ან „გაუფრთხილდი მეექვსე ამოცანას“—იწვევდა „განწყობის ეფექტის“ შემცირებას.

გამოირკვა, რომ „განწყობის ეფექტი“ საგანწყობო ამოცანათა რიცხვზედაცაა დამოკიდებული; მაგრამ, მეორე მხრივ, აღმოჩნდა ისიც, რომ განმეორება არ წარმოადგენს ამ ეფექტის ერთადერთ ფაქტორს; ასე, მაგალითად, როცა დავალება ცდისპირს სწრაფად შესრულების პირობებში ეძლეოდა, განწყობის ეფექტის გამოსავლენად ორი საგანწყობო ამოცანაც საკმარისი იყო; ჩვეულებრივად, ე. ი. აჩქარების განსაკუთრებული პირობების გარეშე, იმავე ეფექტისათვის ხუთი საგანწყობო ამოცანა აღმოჩნდა საჭირო. გამოირკვა, რომ „განწყობის ეფექტისათვის“, ე. ი. ხერხის გამოყენების ტენდენციის შემუშავებისათვის, მნიშვნელობა აქვს ხერხის სირთულესი მარტივსა (ე. ი. ასე, მაგალითად, როდესაც ამოცანის რიცხობრივი

მონაცემები ერთიადიგივეა, საგანწყობო ამოცანების მარტივი ( $A \div C$  ან  $A - C$ ) ფორმულით გადაჭრა არ იწვევს ეფექტს; რთული ( $B - A - 2C$ ) ფორმულის გამოყენება კი შესამჩნევ ეფექტს იძლევა. ავტორები აღნიშნავენ, რომ განწყობის ეფექტის ინტენსივობაზე განმეორების ფაქტის გარდა, გავლენას სხვა გარემოებებიც ახდენენ. მნიშვნელობა აქვს ამოცანის ხასიათს, სუბიექტის თავისებურებებს, წარსულ გამოცდილებას და სხვა. აღმოჩნდა, რომ „განწყობის ეფექტი“ სხვადასხვა პირთა შემთხვევაში განსხვავებული სიძლიერით იჩენს თავს, რომ, მაგალითად, ეს ეფექტი უფრო ძლიერია ქალებთან, ვიდრე მამაკაცებთან; ზრდადამთავრებულებთან, ვიდრე ბავშვებთან; ნევროტიულ ან ფსიქოტიურ პირებთან, ვიდრე ნორმალურ ადამიანებთან და სხვა. აღინიშნა, რომ ინტერინდივიდუალურმა სხვაობამ თავი იჩინა არა მხოლოდ განწყობის ეფექტის ინტენსივობაში. არამედ მის ხანგრძლიობაშიც: ზოგიერთ სუბიექტთან ეფექტი რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა.

რაც შეეხება განწყობის ეფექტის შეფასებას, ამოცანის გადაჭრის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორებთან განსაკუთრებით ხაზგასმულია განწყობის მავნე ეფექტი, მაგრამ უკანასკნელ გამოკვლევებში მისი დადებითი ეფექტიცაა აღიარებული<sup>22</sup>; გამოირკვა, რომ მაშინ, როდესაც ცდისპირებს შექმნილი ჰქონდათ რთული პროცედურის ( $B - A - 2C$ ) შესრულების განწყობა, ისინი ამ რთული წესის გამოყენებას იმდენად იყვნენ შეჩვეულნი, რომ, მარტივ წესთან შედარებით, ეს რთული ხერხი არ მოითხოვდა მეტ დროს. ისე რომ, პრაქტიკულად რთული წესის გამოყენება კრიტიკული ამოცანების მიმართ სავსებით მიზანშეწონილი აღმოჩნდა. განწყობის დადებითი ეფექტი იმაშიც გამოვლინდა, რომ საგანწყობო ამოცანებს ცდისპირები თანდათან უფრო და უფრო სწრაფად წყვეტდნენ.

ავტორები აღნიშნავენ, რომ განწყობის ერთსა და იმავე ეფექტს სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა პროცესი უდევს საფუძვლად. მათი აზრით, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ არსებობდა განსხვავებულმა პროცესებმა მოგვცეს განწყობის ერთნაირი ეფექტი.

<sup>22</sup> A. Luchins, მოხსენება საერთაშორისო კონგრესზე, მონრეალში.

ფსიქოლოგიურად. მათი თქმით, „განწყობის ეფექტი“ ყოველთვის ერთსა და იმავეს არ ნიშნავს. ტერმინს „განწყობის ეფექტი“ შეიძლება ჰქონდეს სულ სხვადასხვა მნიშვნელობა არა მხოლოდ სხვადასხვა სუბიექტის, არამედ სხვადასხვა ამოცანის შემთხვევაშიც.

ამგვარად, განხილული ექსპერიმენტები განწყობის მოქმედების ფაქტს ადასტურებენ. ამ ექსპერიმენტში გამოვლინებულია „განწყობის ეფექტი“, რომელიც ამოცანის გადაჭრასთან დაკავშირებით იჩენს თავს.

მაგრამ ეს ექსპერიმენტები ვერ ახერხებენ განწყობის ეფექტის შინაარსობლივი მხარის გამოვლინებას. დადასტურდა მხოლოდ ფაქტი, რომ საგანწყობო ამოცანათა გადაჭრის ზეგავლენით ცდისპირს გამოყენებული პროცედურის განმეორების ტენდენცია უჩნდება. მაგრამ როგორია ამ ტენდენციის ფსიქოლოგიური ბუნება, რას წარმოადგენს იგი შინაარსობლივად, ეს საკითხი ღიად რჩება; მეტიც. ავტორები აღნიშნავენ, რომ „განწყობის ეფექტი“ სხვადასხვა შემთხვევაში ფსიქოლოგიურად სხვადასხვას ნიშნავს. თუმცა ავტორები აღიარებენ განწყობის დადებითი ეფექტის შესაძლებლობას, მაგრამ მათ ექსპერიმენტებში ყოველთვის ამოცანის გადაჭრის შეფერხებაა ნაგულისხმევი.

ლაჩინისი ექსპერიმენტებში გამოვლინდა, რომ არსებობს რაღაც პროცესი, რომელიც გარკვეული მიმართულებით მოქმედების ტენდენციაში ვლინდება და ამგვარად ამოცანის გადაჭრაზე ახდენს გავლენას. ეს პროცესი ავტორებს წარმოდგენილი აქვთ განწყობის სახელწოდებით. მაგრამ რას წარმოადგენს ფსიქოლოგიურად ეს პროცესი, როგორია განწყობის ფსიქოლოგიური ბუნება, ამ კითხვაზე განხილული ექსპერიმენტული გამოკვლევები არ იძლევა პასუხს. ექსპერიმენტი ადასტურებს განწყობის ეფექტის ფაქტს. მაგრამ განწყობის კონცეფციის აგებისათვის საკმაო მონაცემებს არ იძლევა. აღნიშნული ავტორები არ იძლევიან განწყობის გაშლილ ცნებას. მათი გამოკვლევების კონტექსტში საკითხი ისმის განწყობის ეფექტის და არა განწყობის ფსიქოლოგიური არსის შესახებ.

თუ ვიუტრცტურგელებთან ამოცანა იყო აქცენტირებული, ხოლო სუბიექტი განზე რჩებოდა, თანამედროვე ამერიკელ ავტორებთან ყურადღების ცენტრში ამოცანის გადაჭრის სუბიექტური მხარე მოექცა, მაგრამ ამოცანა ხელიდან გამოეცალათ. ამერიკელ ავტორთა გამოკვლევებში აზროვნების მიმართულების განმსაზღვრელ ფაქტო-

რად განწყობაა (set) აღიარებული. მაგრამ განწყობა ამ გამოკვლევებში ისეთ სუბიექტურ მოვლენადაა განხილული, რომელიც პერსევერაციის ტენდენციას წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ განწყობის ასე გაგებულ ცნებას აღარ უნდა ჰქონდეს აზროვნების მიზანმიმართულების ახსნის პრეტენზია. განწყობა, ამ გამოკვლევების მიხედვით, სუბიექტის ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც მას აზროვნების მომხდარი ფაქტის შედეგად უჩნდება; თვითონ აზროვნების ფაქტი კი ისევ აუხსნელი რჩება. მაგრამ აზროვნების ფსიქოლოგიის წინაშე სწორედ ამ ფაქტის ახსნის ამოცანა იდგა. ვიურცბურგელები იმ პირობას ეძებდნენ, რომელიც აზროვნების მიზანმიმართულ მიმდინარეობას განსაზღვრავს. მაგრამ ამისათვის არც მიზნის, არც ამოცანის ცნება აღმოჩნდა საკმარისი, ვინაიდან,—რა გზას შეარჩევს სუბიექტი ამოცანის გადასაჭრელად,— არა მხოლოდ ამოცანაზე, არამედ სუბიექტზედაცაა დამოკიდებულია.

აღნიშნული ექსპერიმენტული გამოკვლევები, პირველ რიგში, ადასტურებენ ფაქტს, რომ ზოგჯერ ამოცანის გადაჭრა წარმატებით არ ხერხდება მხოლოდ იმიტომ, რომ სუბიექტს განმტკიცებული აქვს ისეთი მიმართულებით მოქმედების განწყობა, რომელიც მოცემულ პირობებს აღარ შეესატყვისება; მხოლოდ იმიტომ, რომ მას აქვს განწყობა „ახალ სტიმულზე უპასუხოს ისეთი რეაქციით, რომელიც წინანდელ სტიმულს შეესატყვისება“. თუმცა განწყობის ცნებას უკავშირებენ გამოცდილების გადატანის საკითხს და, განწყობის ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად, დადგენილ იქნა პოზიტიური გადატანა, ლიტერატურა განწყობის ექსპერიმენტული კვლევის შესახებ მეტწილად განწყობის უარყოფით ეფექტს ეხება.

ზოგიერთ ამერიკელ ავტორთან განწყობის საკითხი აზროვნების თეორიის ასპექტშია წარმოდგენილი. ვაინეკი<sup>23</sup>, მაგალითად, აზროვნების ისეთ კონცეფციას იძლევა, რომელშიც მნიშვნელოვან როლს განწყობის ცნება ასრულებს. აზროვნება, ავტორის თქმით, ადამიანური ქცევის ასპექტია. იგი შინაგანი და გარეგანი გარემოსადმი შეგუებას ემსახურება. როგორც ყოველი ქცევა აზროვნებაც სტიმულზე რეაქციას წარმოადგენს. აზროვნების მიმართულებასა და ხასიათს, პირველ რიგში, სტიმული განსაზღვრავს. მაგრამ სტიმული არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ავტორი ხაზს უსვამს მო-

<sup>23</sup> Vinacke W. E., The Psychology of Thinking, New-York, 1952



საზრებას, რომ აზროვნების ხასიათი და მიმართულება სელექციისა და რეგულაციის სისტემებზედაცაა დამოკიდებული. ეს სისტემები: წარსული გამოცდილების მანძილზე შექმნილი, სუბიექტის ფსიქიკურ კონტექსტს შეადგენენ. აზროვნება, ამბობს ავტორი, წინსვლას წარმოადგენს, მაგრამ თითოეული ინდივიდის შემთხვევაში ეს წანსვლა ამ ინდივიდის ფსიქიკური კონტექსტითაა განსაზღვრული: „ფსიქიკური კონტექსტის“ ორგანიზირებული სისტემა ყოველთვის დინამიკური რეორგანიზაციის მდგომარეობაში იმყოფება. ამ სისტემის ცალკე ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ურთიერთგავლენას განიცდიან. ფსიქიკური კონტექსტი წარმოადგენს სელექციისა და რეგულაციის სისტემათა კომპლექსს, რომელიც გამოცდილების შექმნის პროცესში ყალიბდება. აზროვნების მიმდინარეობა, ამბობს ავტორი, გასაგები გახდება თუ მას წარსულ გამოცდილებასთან და იმ მექანიზმებთან დაკავშირებით განვიხილავთ, რომელთა მეშვეობით წარსული გამოცდილება შემდგომ რეაქციაზე ახდენს გავლენას. ფსიქიკური კონტექსტი ამგვარად განსაზღვრავს იმ ფსიქიკურ აქტივობას, რომელიც სტიმულსა და რეაქციას შორის მიმდინარეობს. განწყობის ფსიქოლოგია—ამბობს ავტორი—გულისხმობს, რომ რეაქციას, სტიმულის გარდა. ის შინაგანი ორგანიზაციაც განსაზღვრავს, რომელსაც ადგილი აქვს სტიმულის აღმოცენების დროისათვის.

სუბიექტის წარსული გამოცდილება, ფსიქიკური კონტექსტის სახით ჩამოყალიბებული, წარმოადგენს პიროვნების თვისებათა, მოტივთა, ცნებათა და განწყობათა სისტემების ერთიანობას. განწყობათა სისტემას ავტორი ფსიქიკური კონტექსტის სხვა ასპექტებს უპირისპირებს. განწყობაზეა დამოკიდებული ის, თუ რა რეაქცია წარმოებს. პიროვნების თვისებები განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ წარმოებს რეაქცია. მოტივთა სისტემა—ეს უაღრესად შინაგანი და ღრმა ორგანიზაცია—ადამიანური ქცევის რატომ-ს წარმოადგენს.

ფსიქიკური კონტექსტის ამ რთულ ორგანიზაციაში განწყობას. როგორც ჩანს, განსაკუთრებული ადგილი უყავია: განწყობაა რომ რეაქციასთან უშუალო კავშირში იმყოფება. განწყობის დახასიათების დროს ავტორს განწყობის ცნების ის განსაზღვრა მოჰყავს, რომელიც ოლპორტის მიერაა მოცემული; განწყობა ვაინეკისათვის: ნეირო—და ფსიქომზაობის ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც გამოცდილებაში ყალიბდება და სტიმულზე რეაგირებას გა-

საზღვრავს. განწყობის დამახასიათებელ თვისებებს ავტორი შემდეგნაირად აჯამებს: ა. განწყობა ქცევის რეგულაციას აწარმოებს, ბ. განწყობა წარსული გამოცდილების შედეგად აღმოცენდება, გ. იგი შედარებით მუდმივი, პერმანენტული ბუნებისაა. დ. განწყობა სტიმულთა საკმარისად ფართო წრესთან დაკავშირებით აქტუალური ხდება. ავტორი განწყობის ორ სხვადასხვა ტერმინს იყენებს: attitude-სა და set-ს. ორივეს გამოყენება ავტორს კანონიერად და საჭიროდ მიაჩნია. განწყობის ეს ორი სახეობა ავტორის თქმით — ინდივიდის შინაგანი ორგანიზაციის ორ სხვადასხვა ასპექტს შეადგენს. ორივე, ატიტუდიც და სეტიც კვალიფიცირებულია, როგორც ინდივიდის მზაობისა, მისი მზადყოფნის მდგომარეობა, ორივე ქცევის სელექციისა და რეგულაციის მექანიზმს წარმოადგენს.

ავტორი აღნიშნავს, რომ განწყობის ამ ორ სახეობათა შორის არსებითი განსხვავება არ აღინიშნება. განსხვავებულია მხოლოდ მათი აღმოცენების მოდუსი: სეტი წარმოადგენს ქცევის ორგანიზაციისა და სელექციის ისეთ მექანიზმს, რომელიც იმ კონკრეტულ პირობებზე რეაგირებას განსაზღვრავს, რომელიც მისი აღმოცენების პირობებსაც წარმოადგენს. ატიტუდიც ქცევის ორგანიზაციის მექანიზმია, მაგრამ მისი აღმოცენების სიტუაცია მისი მოქმედების პირობებს არ ემთხვევა. მოცემული სტიმულის ზემოქმედებას ინდივიდი წარსულ გამოცდილებაში ჩამოყალიბებული ატიტუდით ხვდება. სეტთან შედარებით ატიტუდი უფრო ზოგადია და პერმანენტული. სუბიექტია წარსულ გამოცდილებაში ჩამოყალიბებული ატიტუდის მოცემულ სიტუაციაში გამოყენება სეტის მეშვეობით ხდება: სეტს ატიტუდა ფოკუსში მრჩევა. სეტი ინდივიდის ქცევას მხოლოდ რომელიმე ერთ კონკრეტულ სიტუაციაში განსაზღვრავს. ატიტუდი კი უფრო ზოგადია და მისი გამოყენების ასპარეზიც უფრო ფართოა—იგი მოიცავს სხვადასხვა სიტუაციათა რიგს. ქცევის თითოეულ აქტში. ამბობს. ავტორი, ორივე მონაწილეობს—სეტი-ცა და ატიტუდი-ც.

სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის შემდეგ ასპექტს პიროვნების თვისებები შეადგენს. ამ ასპექტის შემთხვევაში ნაგულისხმევაა ის, თუ როგორ წარმოებს რეაქცია. განწყობის შემთხვევაში კი მხედველობაში რეაქციის რაობაა მისაღები—ის. თუ რა რეაქცია წარმოებს. ამიტომ,—მსჯელობს ავტორი,—პიროვნების თვისებათა სისტემა განწყობათა სისტემას მოიცავს, ასე ვთქვათ, განწყობის მოქმედების მანერას წარმოადგენს. რაც უფრო

მრავალფეროვანი იქნება ის სიტუაციები, რომლებშიც ინდივიდის ქცევის დაკვირვება მოხდება, მით უფრო მოგვიხდება მისი ქცევის პიროვნების თვისებათა და არა განწყობათა ტერმინებში აღწერა<sup>24</sup>.

შემდეგ ავტორი განწყობას სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის ისეთ ასპექტს უპირისპირებს, როგორცაა მოტივები. მოტივების სისტემა უაღრესად შინაგან და ღრმა ორგანიზაციას—ადამიანური ქცევის რატომ-ს წარმოადგენს. განწყობა. როგორც შერჩევისა და მოწესრიგების სისტემა, განსაზღვრავს იმ გზას, რომლითაც მოტივი თავის გამოვლინებას პოულობს. რაც უფრო ღრმად შევიკრებით ინდივიდის ფსიქიკურ ორგანიზაციაში, მით უფრო საჭირო გახდება მისი ქცევის მოტივების ტერმინებში აღწერა.

ორივე სახის განწყობა, პიროვნების თვისებები და მოტივები წარმოადგენენ სელექციისა და რეგულაციის მექანიზმს რეაქციის მიმართ. ფსიქიკური კონტექსტის მეხუთე ასპექტს ცნებათა სისტემები შეადგენენ. ცნებათა სისტემა ცელექციისა და რეგულაციის მექანიზმს წარმოადგენს. მაგრამ ეს მექანიზმი მოქმედებს არა რეაქციის, არამედ სტიმულის მიმართ. ცნებები, ავტორის თქმით, აწარმოებენ კავშირს სუბიექტის ფსიქიკურ ორგანიზაციასა და გარესინამდვილეს შორის. ცნებები წარმოადგენენ იმ საშუალებებს. რომელთა მეშვეობით სუბიექტის წარსული გამოცდილება მოცემულ სტიმულს უკავშირდება. წარსულ გამოცდილებათა კავშირი სტიმულს მნიშვნელობას ანიჭებს და ამ გზით სუბიექტის სათანადო განწყობას აღძრავს.

ცნება ავტორისათვის სელექციისა და რეგულაციის ისეთ სისტემას წარმოადგენს რომელიც წარსულ გამოცდილებასა და მოცემულ

---

<sup>24</sup> პიროვნების თვისებათა და განწყობის განსაზღვრის საქმეში ავტორი, ოლპორტის თვალსაზრისზე დგას. ოლპორტი, როგორც უკვე იყო ნათქვამი, აღნიშნავს დიდ მსგავსებას პიროვნების თვისებათა და განწყობათა შორის. ორივე, მისი თქმით, რეაქციისათვის მზაობას, დისპოზიციას წარმოადგენს. განსხვავებას ფსიქიკური ორგანიზაციის ამ ორ ასპექტს შორის ოლპორტი იმაში ხედავს, რომ განწყობას ყოველთვის აქვს ობიექტი, რომლისკენაც ის მიმართულია, პიროვნების თვისებისათვის კი ობიექტზე ასეთი მიმართულება არაა დამახასიათებელი. გარდა ამისა, განწყობა, შეიძლება იყოს ზოგადიც და სპეციფიკურიც. პიროვნების თვისება ყოველთვის ზოგადია. ზოგადი განწყობა შეიძლება დაემთხვეს პიროვნების თვისებას. ასეთ შემთხვევაში, ამბობს ოლპორტი, ტერმინის შერჩევას საკითხის განხილვის საერთო კონტექსტი განსაზღვრავს.

სტიმულს ერთმანეთს უკავშირებს. ცალკე ცნებები, როგორც ორგანიზებული ქვესისტემები, ერთმანეთთან სტრუქტურულ მიმართებაში იმყოფებიან. ცნებები აზროვნების წინსვლის საქმეში მნიშვნელოვან დინამიკურ ფუნქციას ასრულებენ. გარესტიმულის ეფექტის შერჩევასა და მოწესრიგებას ცნებები აწარმოებენ. ამაშია ძირითადი განსხვავება ცნებათა და განწყობათა სისტემებს შორის. მაშინ, როცა ცნება წარმოადგენს სელექციისა და რეგულაციის მექანიზმს სტიმულის მიმართ, განწყობა რეაქციის შერჩევასა და მოწესრიგებას აწარმოებს. ცნებას ავტორი შემდეგნაირ დახასიათებას აძლევს:

1. ცნება სენსორულ მონაცემთა დამუშავებისა და კომბინაციის პროდუქტს წარმოადგენს.

2. ცნებათა სისტემები ინდივიდის წარსულ გამოცდილებაზე არიან დამოკიდებული.

3. ცნებები წარმოადგენენ ფსიქიკური ორგანიზაციის ისეთ სისტემებს, რომლებიც სენსორული გამოცდილების დაქსაქსულ მონაცემებს ერთმანეთს უკავშირებს.

4. ეს კავშირები სიმბოლური ბუნებისაა: ერთი და იმავე ცნების გამოწვევა სხვადასხვა სტიმულს შეუძლია. სიტყვა სხვადასხვა გამოცდილებას ერთსა და იმავე საგანს უკავშირებს,

5. სელექციას ცნება ინდივიდის შინაგანი პროცესების მიმართაც აწარმოებს. ერთი მხრივ, გარეგან სტიმულს სიმბოლური რეაქციის გამოწვევა შეუძლია; მეორე მხრივ, სიმბოლური რეაქცია აღქმით აქტივობას გარკვეულ მიმართულებას აძლევს. მაგალითად: რაღაც არსება მირბის გზაზე. ამ გარეგან სტიმულთან დაკავშირებით ცნობიერებაში ჩნდება სიტყვა „ძალი“, პირიქით, როცა, მაგალითად, მოწადირე ეძებს ფრინველს. სიმბოლო „ფრინველი“ მისი აღქმითი აქტივობის მიმართულებას განსაზღვრავს.

ცნებათა სისტემა, როგორც სელექციისა და ორგანიზაციის სისტემა. შესაძლებლად ხდის წარსული გამოცდილების გამოყენებას მოცემული სტიმულის მიმართ.

ამგვარად, ორივე სახის განწყობა (altitude და set) პიროვნების თვისებები, მოტივები და ცნებები, ვაინეკის მიხედვით, წარმოადგენენ ინდივიდის ფსიქიკური ორგანიზაციის ასპექტებს. ეს ორგანიზაცია ავტორს წარმოდგენილი აქვს სამი მიმართულებით: 1. გარეგანი სტიმულიდან გამოვლინებულ რეაქციისაკენ, 2. პიროვ-

ნების შინაგან კომპონენტებიდან გამოვლინებულ რეაქციისაკენ, 3. სტიმული-რეაქციის ერთი სისტემიდან მეორესაკენ.

ქცევა ამ კონტექსტში ავტორს შემდეგნაირად ესმის: სტიმული ცნებათა სისტემების აქტუალიზაციას ახდენს. ცნებათა სისტემები აღძრავენ მოტივთა და განწყობათა (attitude) სისტემებს, განწყობები აღძრავენ პიროვნების თვისებათა სისტემებს, ამგვარად, ორგანიზმის განზრახული მოქმედება არა მხოლოდ გარკვეულ ფორმას, არამედ რომელობათა გარკვეულ კონფიგურაციასაც იძენს. ამ გზით მოქმედების „რაობაც“ და „როგორობაც“ თავის გამოხატულებას პოულობს. დაბოლოს, განწყობა (set) რეაქციის შერჩევას აწარმოებს და რეაქციაც ხორციელდება.

ეს თანმიმდევრობა. აღნიშნავს ავტორი. აუცილებელი არ არის. მართალია, ზოგჯერ სტიმული მთელი ფსიქიკური ორგანიზაციის აქტუალიზაციას ახდენს, მაგრამ ზოგჯერ რეაქციის სტიმული შემოკლებული გზით, მხოლოდ ცნებათა და განწყობათა (set) სისტემების მონაწილეობით უკავშირდება. ამგვარად, გზა სტიმულიდან რეაქციისაკენ შეიძლება გართულდეს ისე, რომ სანამ რეაქცია მოხდება, ამოძრავდება მთელი სისტემა: პიროვნების თვისებები, მოტივები, ცნებები და განწყობები. გზა სტიმულ-რეაქციის შორის შეიძლება შემოკლდეს, მაშინ რეაქცია მხოლოდ ცნებებისა და განწყობების (set) სისტემათა აქტუალიზაციის შედეგად მოხდება.

რას იძლევა აზროვნების ფსიქოლოგიისათვის განწყობის კონცეფცია. მოცემული ვაინეის მიერ?

აზროვნების ფსიქოლოგიის წინაშე მისი ისტორიის დასაწყისიდან დღემდე დგას საკითხი აზროვნების მის ობიექტთან დამოკიდებულების შესახებ. როგორ ხდება, რომ აზროვნება აზროვნების ობიექტის შესატყვისად მიმდინარეობს.—ობიექტისა, რომელიც ჯერ არაა გაშლილი და აზროვნებისათვის საკითხის სახითაა მოცემული? როგორ ხდება, რომ გადასაჭრელი პრობლემის პირისპირ აზროვნება ამოცანის გადაჭრის გზას პოულობს?

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით აზროვნების ფსიქოლოგიაში თავი იჩინა ისეთმა ცნებებმა, როგორიცაა „დეტერმინაციის ტენდენცია“, „ანტიციპაციის სქემა“, „მიმართულება“ და მრავალი სხვა. განწყობის ცნების საკიროებაც ამ კონტექსტში აღმოცენდა. განხილულმა კონცეფციამაც პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე: რა განსაზღვრავს აზროვნების ისეთ მიმართულებას, რომელიც ამოცანის

მოცემულ ობიექტურ პირობებს შეესატყვისება? განწყობის ფსიქოლოგია, ავტორის თქმით, გულისხმობს, რომ რეაქციას სტიმულზე არა მხოლოდ სტიმული, არამედ სუბიექტის რთული შინაგანი ორგანიზაციაც განსაზღვრავს. ბიჰევიორისტების მექანიცისტურ მოდელს—სტიმული-რეაქცია—ავტორი უშუალოდ პოსტულატის დარღვევის ცდას უპირისპირებს. რეაქცია სტიმულზე, ვაინეის მიხედვით, გამოიხატება სქემით: სტიმული—ცნება—განწყობა—რეაქცია. სუბიექტის ერთიანი ფსიქიკური ორგანიზაციის ერთი ასპექტი—ცნება—სტიმულს განსაზღვრავს, ხოლო მეორე—განწყობა—რეაქციას. რეაქცია სტიმულზე პიროვნებით, წარსული გამოცდილებით დატვირთული სუბიექტითაა გაშუალებული. ეს ვაინეის მიერ წარმოდგენილი სქემის, და შეიძლება ითქვას მთელი მისი კონცეფციის დედააზრია. მაგრამ წარმოდგენილი მოდელის ეს ძირითადი იდეა ეწინააღმდეგება ზოგიერთ იმ მოსაზრებას, რომლის დასაბუთებაც ავტორი დაყენებით ცდილობს და რომელიც, რაც მთავარია, თვითონ ამ მოდელშია ნაგულისხმევი.

თუ მივიღებთ სქემაში გამოსახულ და ავტორის მიერ მრავალჯერ ხაზგასმულ დებულებას იმის შესახებ, რომ სტიმულის მიმართ სელექციისა და რეგულაციის მექანიზმს ცნებათა სისტემა შეადგენს, რომ ცნებათა სისტემა გარეგან სტიმულს განსაზღვრავს, მას მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო თვითონ სტიმულის უშუალო ზემოქმედების შედეგად აქტუალური ხდება, მაშინ არ იქნება კანონიერი დებულება, რომ სტიმულისა და რეაქციის მიმართება სუბიექტითაა გაშუალებული. ცნებათა სისტემა ჩამოყალიბებული წარსული გამოცდილების შედეგად, სუბიექტის აზროვნების სპეციფიკურ შინაარსს შეადგენს, მაგრამ თვითონ სუბიექტს არ წარმოადგენს. დებულება, რომ სტიმულის მიმართ სელექციისა და რეგულაციის მექანიზმს ცნებათა სისტემა შეადგენს, უშუალოდ პოსტულატს გულისხმობს, სტიმულსა და რეაქციას შორის უშუალო კავშირის აღიარებას ნიშნავს. მოცემული სტიმულის ცნებათა გარკვეული სისტემისათვის მიკუთვნება კატეგორიალური აღქმის აქტია—რეაქციაა, რომელსაც სუბიექტი სტიმულის ზემოქმედების საპასუხოდ აწარმოებს.

გარდა ამისა, თუ სწორია, რომ სელექციისა და რეგულაციის სტიმულის მიმართ ცნება აწარმოებს, მაშინ სუბიექტის შემდგომ მოქმედებასაც, მის ე. წ. გამოვლინებულს რეაქციასაც, საბოლოო ანგარიშში, ცნება განსაზღვრავს. როგორ იმოქმედებს სუბიექტი მო-

ცემულ სტიმულთან დაკავშირებით, პირველ რიგში, დამოკიდებუ-  
ლია იმაზე, თუ როგორაა გაგებული სტიმული, როგორაა იგი კვალი-  
ფიცირებული და მის მრავალფეროვან რაგვარობაში რომელი მხა-  
რებია შერჩეული. თუ ყველაფერი ეს ცნებათა სისტემების საქმეა.  
მაშინ სტიმულზე რეაქციასაც, ძირითადად, ცნებათა სისტემები გან-  
საზღვრავენ. რაღა გასაქანი ექნება რეაქციის შერჩევის საქმეში  
„ფსიქიკური კონტექსტის“ სხვა ასპექტებს, მათ შორის განწყობათა  
სისტემასაც, თუ მათი როლი ცნებათა სისტემაზე დამოკიდებულნი,  
ამ სისტემითაა შეზღუდული?

ამგვარად, ავტორმა უარი უნდა თქვას ან სტიმული-რეაქციის  
პიროვნებით გაშუალების იდეაზე, ე. ი. მის მიერ წარმოდგენილი  
მოდელის დედააზრზე, ან იმ მოსაზრებაზე, რომ სტიმულის მიმართ  
სელექციისა და რეგულაციის მექანიზმს ცნებათა ის სისტემა წარ-  
მოადგენს, რომელიც სტიმულის აღმოცენების დროისათვის სუბი-  
ექტის არსენალში მოიპოვება.

ამ ორ მოსაზრებათა შორის რომელია უფრო კანონიერი და  
მიზანშეწონილი? გადავწყვიტოთ ეს საკითხი მაგალითზე, რომელიც  
თვითონ ავტორს მოჰყავს.

გზაზე ძაღლი მირბის. ეს სტიმული აღძრავს ცნებათა გარკვეულ  
სისტემას, რომლის სახელწოდება არის „ძაღლი“.

ვფიქრობთ, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ აქ ორი სხვა-  
დასხვა შემთხვევაა შესაძლებელი. მოცემული სტიმულის ძალად  
კვალიფიცირება, მისი ამ გარკვეული ცნების სისტემისათვის მი-  
კუთვნება შეიძლება მოხდეს, ასე ვთქვათ, იმპულსურად, აზროვნე-  
ბის საგანგებო ჩარევის გარეშე; ძაღლი მირბის და მე მას ვხედავ.  
მაგრამ იმავე სტიმულის ძალად დანახვა ზოგჯერ მხოლოდ აზროვნე-  
ბის საგანგებო ჩარევის შედეგად ხერხდება. მაგალითად, სიბნელის  
ან მანძილის გამო ჩემი აღქმა შეიძლება ბუნდოვანი და დიფუზური  
აღმოჩნდეს. მე ვხედავ რაღაცას გაურკვეველს, რაც გზაზე მოძრა-  
ობს. ვაკვირდები. დაბოლოს, მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივი დაკ-  
ვირვების შედეგად, ვარჩევ: „აჰა, ეს ძაღლია“.

განვიხილოთ ჯერ პირველი შემთხვევა: ჩემს თვალწინ ძაღლი  
მირბის და მე მას ვხედავ. რა განსაზღვრავს ამ შემთხვევაში ძაღლის  
დანახვას, ვარდა თვით სტიმულისა? ვაინეკის კონცეფციის მიხედ-  
ვით, სელექციისა და ორგანიზაციას სტიმულის მიმართ ცნებათა ის  
სისტემა აწარმოებს, რომელიც სუბიექტს მისი წარსული გამოცდი-  
ლების შედეგად გააჩნია. მაგალითში ეს არის ძაღლის ცნება. მაგრამ

ხომ შესაძლებელია შემთხვევა, როცა სტიმულიც სახეზეა, სუბიექტსაც სათანადო ცნება გააჩნია, მაგრამ აღქმის აქტი მაინც არ ხერხდება. ადვილად წარმოსადგენია შემთხვევა, რომ ცოცხალი, რეალური ძალის თვალწინაა, მაგრამ ჩვენ მას ვერ ვხედავთ. მიუხედავად ამისა, რომ ძალის ცნება დიდი ხანია გავგაჩნია. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სტიმულის შერჩევა ცნებათა სისტემაზე კი არა, სულ სხვაგვარ ფაქტორზეა დამოკიდებული.

წარმოვიდგინოთ იმავე მაგალითის სხვა ვარიანტიც: რაღაც სწრაფად მოძრაობს გზაზე. ჩნდება კითხვა: რა არის ეს? ვაკვირდები და. ბოლოს, ვცნობ, ძალღია, რაღაც მოძრაობის გაურკვეველი აღქმა საგანთა გარკვეულ კატეგორიას მიეკუთვნა. სტიმულის ბუნდოვანი აღქმა წარსულში შემუშავებულმა ცნებამ—ძალის ცნებამ—განსაზღვრა. რაღაცა მოძრაობის დიფუზური შთაბეჭდილება წინათ შემუშავებული და განმტკიცებული ცნების მეშვეობით მკაფიო, დიფერენცირებულ აღქმად იქცა. ვაინეკის მოსაზრება ამ შემთხვევაში თითქოს სწორია: ძალის კატეგორიული აღქმის ჩამოყალიბება აქ აზროვნების ჩარევის გზით, სიტყვის გამოყენების შედეგად მოხერხდა. სტიმულის შემოქმედებასთან დაკავშირებით ამოტივტივებულმა ცნებამ აღქმის დიფუზური შინაარსი განსაზღვრა და გამოარკვია.

მაგრამ იმისთვის, რომ სუბიექტმა სტიმული მოვლენათა გარკვეულ კატეგორიას მიაკუთვნოს, იმისათვის, რომ მან სტიმულის დიფუზური, გაურკვეველი აღქმა, მის არსენალში არსებული ცნების გამოყენების გზით, გარკვეულ, დიფერენცირებულ აღქმად აქციოს. ეს სტიმული, უკვე უნდა იყოს მოცემული, დამოკიდებულება მას და სუბიექტს შორის უკვე უნდა არსებობდეს.

აზროვნებას სტიმულის შესახებ სუბიექტი მაშინ იწყებს, როცა მას არ აკმაყოფილებს ამ სტიმულთან უკვე დამყარებული ურთიერთობა. აზროვნების საჭიროებას სტიმულთან დამოკიდებულების არადამაკმაყოფილებელი ხასიათი იწვევს, იმისათვის, რომ სუბიექტს გაუჩნდეს საჭიროება იაზროვნოს სტიმულის შესახებ. დამოკიდებულება ამ სტიმულთან მას უკვე დამყარებული უნდა ჰქონდეს. სტიმულის შესახებ აზროვნება გულისხმობს ამ სტიმულის წინასწარ მოცემულობას. ეს სტიმულის მოცემულობის უქმარობაა, რომ აძლევს სუბიექტს მიმართოს წინათ შემუშავებული ცნებების მარაგს. წარსულში დაგროვილი ცოდნის გამოყენება სუბიექტს მხოლოდ იმის მიმართ შეუძლია, რაც რაღაცნაირად უკვე მოცემულია,



რასთანაც ის რაღაცნაირ ურთიერთობაში უკვე იმყოფება. რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სუბიექტის დამოკიდებულებას სტიმულთან პირველად ცნებათა სისტემა ამყარებს? იმისათვის, რომ სტიმული ამ სისტემის წინაშე წარსდგეს, ურთიერთობა სუბიექტსა და სტიმულს შორის უკვე უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, ასახსნელია აზროვნების ფაქტი. ავტორი შემდეგნაირად მსჯელობს: აზროვნება სტიმულზე რეაქციას წარმოადგენს. აზროვნების ხასიათი და მიმართულება, პირველ რიგში, სტიმულზეა დამოკიდებული. სელექციისა და რეგულაციის მექანიზმს სტიმულის მიმართ „ფსიქიკური კონტექსტის“ ერთ-ერთი ასპექტი, სახელდობრ, ცნებათა სისტემები შეადგენენ. მაგრამ რამდენად კანონიერი და ლოგიკურად გამართულია, აზროვნების განმსაზღვრელ ფაქტორად მის მარეგულირებელ მექანიზმად ცნებათა სისტემის აღიარება,—სისტემის, რომელიც თვითონ აზროვნების შედეგს, მის სპეციფიკურ შინაარსს წარმოადგენს?

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს აზროვნების დამოკიდებულება მის ობიექტთან, ის გარემოება, რომ აზროვნება კითხვის სახით მოცემული ობიექტის შესატყვისად მიმდინარეობს და დასმული კითხვის გადაჭრას ახერხებს, უნდა მოინახოს ისეთი ფსიქოლოგიური ცნება, რომელიც თვითონ აზროვნებას არ წარმოადგენს. ჩვეულებრივად სწორედ ამ გზით მიდიოდა ახსნითი ცნების ძიება აზროვნების ფსიქოლოგიაში: „დეტერმინაციის ტენდენცია“, „ანტიციპაციის სქემა“, „მიმართულება“ და სხვ. მსგავსი ცნებები ისეთ რამეს გულისხმობს, რაც აზროვნების ცნებას სცილდება, რაც თვითონ არაა აზროვნება.

გარდა ამისა, ვაინეკის კონცეფციის მიხედვით, განმსაზღვრელ ფაქტორს რეაქციის მიმართ განწყობა, ხოლო სტიმულის მიმართ ცნება წარმოადგენს. გაუგებარია, როგორ შეუძლია განწყობას განსაზღვროს რეაქცია სტიმულზე, თუ სტიმულთან მას პირდაპირი კავშირი არა აქვს. თუ სტიმული მის შინაარსში არ არის ასახული. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ შეუსაბამობამ წარმოადგენილ კონცეფციაში აიძულა ავტორი განწყობის ძირითადი ცნების—ატიტუდის გვერდით მიეღო განწყობის დამატებითი ცნება სექტი, რომელსაც ატიტუდი ფოკუსში მოჰყავს.

ამგვარად, განწყობის ცნება, მოცემული ვაინეკის კონცეფციაში ვერ წყვეტს საკითხს აზროვნების მის ობიექტთან დამოკიდებულების

შესახებ, ვერ ახერხებს იმ ფაქტის ახსნას, რომ აზრობრივი პროცესი სწორედ იმ მიმართულებით მიმდინარეობს, რომელიც კითხვის სახით მოცემულ ობიექტს, აღძრული ამოცანის ობიექტურ პირობებს შეესატყვისება. საკითხი, რომელიც თავიდანვე იდგა აზროვნების ფსიქოლოგიის წინაშე, გადაუჭრელი დარჩა.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება, როდესაც აზროვნების პრობლემას დ. უზნაძის მიერ მოცემული განწყობის თეორიის თვალსაზრისით ვიხილავთ. განწყობის აღმოცენებისა და მოქმედების კანონზომიერებათა ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ „განწყობის ეფექტის“, არამედ აგრეთვე განწყობის ფსიქოლოგიური არსის დადგენაც. განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობა სუბიექტის არსებობის ისეთ მოდულს, მის ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელსაც, ერთი მხრივ, მოცემული მოთხოვნილება, ხოლო მეორე მხრივ, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოცემული პირობა განსაზღვრავს. უნდა ვიფიქროთ, დებულება, რომ განწყობა იმ შინაგან, ფსიქიკურ ეფექტს აპირობებს, რომელიც გარეზემოქმედებას მოყვება, სწორედ იმ გარემოებას ემყარება, რომ მასში—განწყობაში—ერთ და იმავე დროს სუბიექტის მოცემული მოთხოვნილებაც, მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოცემული პირობებიცაა წარმოდგენილი. სწორედ ის, რომ განწყობაში ობიექტური ვითარება აისახება, გასაგებად ხდის აზროვნების მისი ობიექტით დეტერმინაციის ფაქტს.

განვიხილოთ აზროვნების ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრობლემა განწყობის თეორიის პოზიციებიდან.

#### IV. აზროვნების პროცესში წარსული გამოცდილების. ჩართვის პრობლემა განწყობის ცნების შუქზე

##### 1. პრობლემა

აზროვნებაში წარსული გამოცდილების მონაწილეობის საკითხი ყოველთვის ფსიქოლოგიის აქტუალურ პრობლემათა რიგს ეკუთვნოდა. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ფსიქოლოგიური მიმართულება არ უარყოფს აზროვნების პროცესებში წარსული გამოცდილების მონაწილეობის ფაქტს. პრობლემურია მხოლოდ საკითხი:

იმის შესახებ, თუ როგორ ხდება წინათ შექმნილი ცოდნის ჩართვა აზროვნების ცოცხალ პროცესში.

იდეათა ან წარმოდგენათა ასოციაციას ზელცმა პოტენციალური ცოდნის აქტუალიზაცია დაუპირისპირა: სქემატურ კომპლექსს, ზელცის მიხედვით, შევსების ისეთი ტენდენცია გააჩნია, რომელსაც თავად შეუძლია სათანადო ცოდნის აქტუალიზაცია ზელცისათვის აზროვნება, წინათ შექმნილი ცოდნის აქტუალიზაციაში მდგომარეობს. მაგრამ, როგორ ხორციელდება აპოკანის, შესავსები კომპლექსისა და სუბიექტის წინად შექმნილი ცოდნის ურთიერთშეკავშირება? ამ კითხვაზე ზელცის კონცეფცია ვერ იძლევა პასუხს ანტიციპატორული სქემა ამ კონცეპციაში თვითონ პრობლემურ სიტუაციას და არა იმ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ამ პრობლემურ სიტუაციას სუბიექტის წინად შექმნილ ცოდნას უკავშირებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბარტლეტის კონცეპციაში არის რაღაც ზელცის იდეიდან კომპლექსის შევსების შესახებ: ბარტლეტის მიხედვით აზროვნება მოცემულ ინფორმაციაში ხარვეზების შევსებას აწარმოებს, მაგრამ ანტიციპაციის სქემის ცნებას ბარტლეტთან სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: როდესაც მიღებული ინფორმაციის უკმარობის გამო, თავს იჩენს მისი შევსების ამოცანა, აზროვნება ამ შევსებას იმ სქემების მეშვეობით ახერხებს. რომლებიც მას წარსულ გამოცდილებასთან დაკავშირებით გააჩნია. ორგანიზმის უოველი რეაქცია, ამბობს ბარტლეტი სქემის აქტივობითაა დეტერმინირებული. სქემა, უშუალოდ მოცემულ იმპულსთან ერთად, „შესაძლებლად ხდის სპეციფიკურ რეაქციას“; სქემა ორგანიზმის ორიენტირებას სწორედ იმაზე ახდენს, რაზედაცაა სუბიექტი მიმართული. სქემა, ამბობს ავტორი, ისეთ რამეს წარმოადგენს, „რის საშუალებითაც ორგანიზმი მოქმედებას ახერხებს“ როგორც ჩანს, ბარტლეტის აღრინდელ შრომაში<sup>25</sup> მოცემული სქემის ცნება, ერთგვარად ემთხვევა გაწაფულობის (skill) ცნებას, მოცემულს მის უფრო გვიანდელ გამოკვლევაში<sup>26</sup>. სქემას ისევე, როგორც გაწაფულობას (skill). დროითი სტრუქტურა (timing) ახასიათებს. სქემის ეს დროითი სტრუქტურა ისევე როგორც გაწაფულობის დროითი სტრუქტურა. მომდევნო მოქმედების ანტიციპაციას უზრუნველყოფს: „იმის ანტიციპაცია. რაც მომდევნო მომენტში უნდა მოხდეს, ამბობს ავტორი. გაწაფულობის დროით სტრუქტურას გულისხმობს.“

<sup>25</sup> F. Bartlett, Remembering.

<sup>26</sup> იქვე.

ორივე—„სქემაც“ და „გაწაფულობაც“ განვითარებას განიცდის. განვითარების პროცესში სწარმოებს სქემათა რიცხვისა და დიაპაზონის ზრდა. რაც „რეაქციათა რიცხვისა და მრავალფეროვნების“ ზრდას უზრუნველყოფს. გაწაფულობაც განიცდის განვითარებას. აზროვნება, ბარტლეტის თქმით, უმაღლესი დონის გაწაფულობას გულისხმობს. „სქემა“ იმ შემოსულ იმპულსთან ერთად, რომელიც მას წინ უსწრებს, შესაძლებლად ხდის სპეციფიკურ შეგუებით რეაქციას. „სქემა“ ახდენს ორგანიზმის ორიენტაციას გარკვეულ მიმართულებით. ყოველგვარი გაწაფულობის შემთხვევაში, მარტივიდან დაწყებული ურთულესით გათავებული, ბარტლეტის თქმით, იმ მიმართულების წვდომა ხდება, რომლის მიხედვით ინფორმაციის მონაცემთა მოძრაობა სწარმოებს. ინფორმაციის თითოეულ მონაცემზე რეაგირება ხდება ისე, თითქოს თითოეულ ამ მონაცემს მიმართულების მიცემა შეუძლია. განვითარების შედეგად ახალი სტიმული არა მხოლოდ იწვევს ჩამოყალიბებულ რეაქციას, არამედ აგრეთვე შესაძლებლად ხდის წარსულში ჩამოყალიბებულ რეაქციათა წყების მიმართულების აღებას სწორედ იმაზე, რაც ჰოცემულ მომენტს შეესატყვისება. ჩამოყალიბებული რეაქციის დროს საჭირო „სქემის“ ასეთი შერჩევა გულისხმობს, რომ ორგანიზმს საკუთარი „სქემების“ განსხვავებისა და ხელახლად აგების უნარი გააჩნია. ამაში ხელავეს ბარტლეტი ორგანიზმის განვითარების გადამწყვეტ ნაბიჯს. ასე ესმის მას სქემაში ცნობიერების ჩართვის ფაქტი. ორივე—სქემაც და გაწაფულობაც წარსული გამოცდილების შედეგად აღმოცენდება და სწრაფი ადაპტაციის ხერხს წარმოადგენს, ორივე ბარტლეტის მიხედვით, ანტიციპატორულ ფუნქციას ასრულებს.

ამგვარად, ბარტლეტისათვის აზროვნება ანტიციპაციის სქემების მეშვეობით მოცემული ინფორმაციის წინათ დაგროვილი ინფორმაციით შევსებას აწარმოებს,—საგანთა და მოვლენათა შორის კავშირების დადგენას ახერხებს. მიღებულ ინფორმაციაში ხარვეზების შევსება წინა გამოცდილებაში დაგროვილი მასალით ხდება. მაგრამ წინათ მიღებული ინფორმაცია უცვლელი სახით კი არ უკავშირდება უშუალოდ მოცემულ ინფორმაციას, არამედ მასში ერთგვარი დინამიკური სტანდარტების სახით ჩაერთვის. ყოველთვის ცვალებადი და

მოდრავი სქემები ხელს უწყობენ ახალი მონაცემების ათვისება-დამუშავებას. აზროვნება, ბარტლეტის მიხედვით, ხარვეზიანი ინფორმაციის დამუშავებას გარკვეული სტანდარტების, შედარების და დამატებითი ცნობების მეშვეობით ახდენს. აზროვნების ყოველი სახე გამოცდილების გადატანას გულისხმობს; ამ გადატანის შედეგად უშუალოდ მოცემულ ინფორმაციაში ხდება ხარვეზების შევსება.

როგორც ზელცთან, ბარტლეტთანაც აზროვნების საქმეს ხარვეზიანი კომპლექსის—ნაკლოვანი ინფორმაციის შევსება წარმოადგენს. ამ შევსების მიმდინარეობას ორივე ავტორთან თვით მოცემული ინფორმაცია განსაზღვრავს. ზელცის თქმით—კომპლექსს დასრულების ტენდენცია გააჩნია; ბარტლეტის თქმით,—აზროვნება მოცემულობის გაშლას, მოცემულობაში ხარვეზების შევსებას თვით ამ მოცემულობის მიხედვით აწარმოებს, მაგრამ თუ ზელცთან „ანტიციპაციის სქემა“ ერთგვარად იმ ფენომენალურ ობიექტს წარმოადგენს, რომელიც სუბიექტის პოტენციალური ცოდნის აქტუალიზაციას ახდენს, ბარტლეტთან ანტიციპაციის სქემა სუბიექტის იმ ხერხს წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ მოცემულ იმპულსთან ერთად რეაქციას განსაზღვრავს. ბარტლეტის ანტიციპაციის სქემათითქოს მართლაც წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელსაც წარსული გამოცდილების აქტუალიზაცია შეუძლია, ვინაიდან თვითონ სქემა არსებითად, კონდენსირებულ გამოცდილებას წარმოადგენს. მაგრამ მეორე მხრივ, ისმის კითხვა: როგორ ხდება სქემისა და უშუალოდ მოცემულის ერთ აქტში გაერთიანება? ან რა აერთიანებს საერთო მოქმედებისათვის უშუალოდ მოცემულ ინფორმაციას და იმ სქემას, რომელიც სუბიექტს გამოცდილების შედეგად გააჩნია?

წინა გამოცდილების, წარსული ისტორიის მნიშვნელობის უგულებელყოფას ხშირად გეშტალტფსიქოლოგიას უსაყვედურებენ. მაგრამ, ფაქტიურად ეს ფსიქოლოგიური მიმართულებაც არ უარყოფს წარსული გამოცდილების როლს აზრობრივ მოქმედებაში. ვერთპაიმერი თავის წიგნში პროდუქტიულ აზროვნების შესახებ ხაზს უსვამს იმ მოსაზრებას, რომ წარსული გამოცდილების საჭირო ასპექტის შერჩევას პრობლემური სიტუაციის სტრუქტურული მოთხოვნა იწვევს.

რასაკვირველია, წარმატებით მიმდინარე აზროვნების შემთხვევაში წარსული გამოცდილებიდან სწორედ იმის გამოწვევა სწარმოებს, რაც პრობლემურ სიტუაციას. მოცემულ ამოცანას შეესატყვი-

სება. მაგრამ კითხვა ისმის: როგორ ხდება, რომ წარსულში დაგროვილ ცოდნათა არსენალიდან ცნობიერების დონეზე სწორედ ის ამოტივტივდება, რაც ამოცანის გადასაჭრელადაა საჭირო?

წარსული გამოცდილების აზროვნების პროცესში მონაწილეობის სპეციალური შესწავლა გეშტალტფსიქოლოგიის ორმა წარმომადგენელმა—დუნკერმა და მაიერმა აწარმოეს. დუნკერმა ფსიქოლოგიაში „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ ცნება შემოიტანა.

დუნკერისთვისაც, ისევე როგორც ვერთჰაიმერისათვის, ამოცანის გადაჭრის პროცესი პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციათა რიგს წარმოადგენს, ავტორი იძლევა ამოცანის ტიპური გადაჭრის სქემას, რომლის მიხედვით ამოცანის გადაჭრის პროცესი ორი ეტაპისაგან შესდგება: პირველად თავს იჩენს პრინციპი—ამოცანის ფუნქციონალური მნიშვნელობა და მხოლოდ შემდეგ, ამ პრინციპის კონკრეტიზაციასთან ერთად, ვითარდება საბოლოო გადაჭრა. პირველი ეტაპი—იდეის მოპოვება; ფუნქციონალური მნიშვნელობის წვდომა—შემოქმედებითია და ამოცანის წარმატებითი გადაჭრისათვის წამყვანია. ამოცანის გადაჭრის წინსვლა, ავტორის მიხედვით, ამოცანის გადაფორმულირებაში. პრობლემური სიტუაციის სტრუქტურის შეცვლაში მდგომარეობს. მაგრამ პრობლემური სიტუაციის ცალკე ელემენტს ხშირად რომელიმე ფუნქციონალური მნიშვნელობა იმდენად აქვს განმტკიცებული, რომ პრობლემური სიტუაციის საჭირო ტრანსფორმაცია აღარ ხერხდება და ამოცანა გადაუჭრელი რჩება. მაგ., ცდისპირს ევალება ასანთის ექვს ღეროდან ოთხი თანაბარგვერდოვანი სამკუთხედის შედგენა. ასეთი ამოცანის გადაჭრას ჩვეულებრივად ის გარემოება აძნელებს, რომ სუბიექტი სამკუთხედებს სიბრტყეში გულისხმობს, ნამდვილად კი გადაჭრა სივრცეში უნდა მოხდეს. ასეთ შემთხვევაში ამბობს დუნკერი, ამოცანის გადაჭრისათვის საჭიროა ნათელი იდეა იმისი, თუ რა უნდა გაკეთდეს,—საჭიროა ამოცანის ფუნქციონალური მნიშვნელობის ანალიზის გზით წვდომა.

ფუნქციონალური ფიქსირებულობის ფაქტებს დუნკერი ექსპერიმენტულად იკვლევდა. მის ცდებში დადასტურდა, რომ ობიექტის უჩველო ფუნქციით გამოყენება გაცილებით უფრო ძნელად ხდება მას შემდეგ, რაც ეს ობიექტი ჩვეული ფუნქციით იქნა გამოყენებული. დუნკერი ფუნქციონალური ფიქსირებულობის შემდეგნაირ

ახსნას იძლევა: ობიექტის თვისებათა კონფიგურაციაზე გავლენას ახდენს ობიექტის გარკვეული ფუნქციით გამოყენების ფაქტი: ობიექტის ის თვისებები, რომელიც ამ ფუნქციას შეესატყვისება, აქცენტირებულია, ხაზგასმულია; სხვა თვისებები კი ფონად იქცევა.

„ფუნქციონალური მნიშვნელობის“ ცნება დაკავშირებულია ღუნკერის თეორიასთან—წარსული გამოცდილების „ფსიქოლოგიური სტატუსის“ შესახებ. ღუნკერის თვალსაზრისის მიხედვით. წარსული გამოცდილება ობიექტის თვისებებად კრისტალიზდება. „ჩვენი მენსიერების საუკეთესო ნაწილი ჩვენს გარეშეა,—ამბობს ღუნკერი,—და, როგორც ამას პ რ უ ს ტ ი აღნიშნავს, გამოცდილება გარესამყაროში მნიშვნელობათა ბაღეს ქსოვს, რის შედეგად სამყარო ჩვენთვის ჩვეული ხდება“.

ღუნკერისათვის აქტუალური სიტუაცია არ უპირისპირდება წარსულ გამოცდილებას. მისთვის აქტუალურად აღქმული სიტუაცია აღმქმელის წარსულ გამოცდილებას ავლენს. ფსიქოლოგიური სიტუაციის განსაზღვრა, მისი აზრით, შეუძლებელია სუბიექტის გარეშე, ისევე როგორც შეუძლებელია სუბიექტის განსაზღვრა მისი წარსული გამოცდილების გარეშე.

ფუნქციონალური ფიქსირებულობის ცნებას მაიერმა „ჩვეული მიმართულების“ ცნება დაუპირისპირა. „მიმართულება“ (direction) წარმოადგენს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით სუბიექტი ამოცანის გადაჭრის პროცესში წარსული გამოცდილების შერჩევასა და გამოყენებას აწარმოებს. მაგალითად, როდესაც ექიმის წინაშე დაავადებასთან ბრძოლის ამოცანა დგას, წარსული გამოცდილების ელემენტთა შერჩევა დამოკიდებულია ექიმის თვალსაზრისზე.— იმაზე. თუ რა „მიმართულებით“ აწარმოებს ექიმი ამ ბრძოლას: პროფილაქტიკისა თუ მკურნალობის მიმართულებით. სუბიექტს. მაიერის მიხედვით ზშირად მოქმედების გარკვეული რაგვარობა აქვს აკვიატებული და ამოცანის გადაჭრას ის „ჩვეული მიმართულებით“ ცდილობს. ამოცანის გადაჭრა ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ არ ხერხდება, რომ სუბიექტი „ჩვეული მიმართულებითაა“ შეპყრობილი, მიუხედავად იმისა. რომ ამოცანა ახლებურ მიდგომას მოითხოვს.

განსხვავება „ფუნქციონალური ფიქსირებულობისა“ და „ჩვეული მიმართულების“ კონცეფციათა შორის მდგომარეობს შემდეგში: ღუნკერის მიხედვით, წარსული გამოცდილება თვითონ ობიექტებზე ახდენს გავლენას, მათ თავსიდა მიხედვით ცვლის; აზროვნების პრო-

ცესის მიმართულებას, ამ კონცეპციის მიხედვით, სუბიექტის წარსული გამოცდილებით გამსჭვალული ობიექტი განსაზღვრავს. „ფუნქციონალური ფიქსირებულობა“ ობიექტის თვისებას წარმოადგენს: ობიექტები სუბიექტისათვის მისი წარსული გამოცდილების შესატყვისად არიან შეცვლილი. სუბიექტის წარსული გამოცდილება. ობიექტთა „ფუნქციონალური მნიშვნელობის“ სახით კრისტალიზებული. ამოცანის გადაჭრაზე ახდენს გავლენას. მაიერის მიხედვით, „ჩვეული მიმართულება“ სუბიექტის იმ თვალსაზრისს წარმოადგენს, რომლის მიხედვით წარსული გამოცდილების სპეციფიკური ასპექტების შერჩევა და ორგანიზაცია ხდება. ორივე—„ფუნქციონალური ფიქსირებულობაც“ და „ჩვეული მიმართულებაც“ სუბიექტურ ფაქტორს წარმოადგენს. ეს ფაქტორი ხშირად ამოცანის გადაჭრის პროცესს ისეთი მიმართულებით წარმართავს, რომელიც მოცემულ ამოცანას არ შეესატყვისება და, ამგვარად, ამოცანის გადაჭრას აფერხებს.

აზროვნების მიმართულების საკითხი პირველად „ვიურცბურგელლებთან“ დაისვა. აზროვნების აქტის არსს ვიურცბურგელები საგნისაყენ მიმართულებაში ხედავდნენ. აზროვნების მიმართულების განმსაზღვრელ ფაქტორად მათ თვითონ აზროვნების საგანი მიაჩნდათ. ასოციაციის სუბიექტურ კანონებს ვიურცბურგის სკოლამ „ამოცანა“ დაუპირისპირა: აზროვნების პროცესის მიმდინარეობას, მისი შეხედულებით, სუბიექტის მიერ აღიარებული ამოცანა წარმართავს. „ვიურცბურგელებს“, ამგვარად, მხედველობაში მიზნისაკენ, ამოცანისაკენ მიმართულება ჰქონდათ.

დუნკერთან და მაიერთან აზროვნების მიმართულების საკითხი უკვე სხვანაირად დგას. აქ საქმე არა იმ მიმართულებას ეხება, რომელსაც ამოცანა განსაზღვრავს, რომელიც ამოცანიდან მიმდინარეობს, არამედ სუბიექტის გამოცდილებას, რომლის მიხედვით სუბიექტი ამოცანას უდგება ან რომლის მიხედვით ობიექტი სუბიექტს ევლინება. რასაკვირველია, სუბიექტის ცნება „ვიურცბურგელების“ კონცეფციაში არ არის მთლიანად უგულებელყოფილი: აღიარებული ამოცანა, მიზნის წარმოდგენა სუბიექტს გულისხმობს, მეორე მხრივ ამოცანა დუნკერის და მაიერის კონცეპციებშიცაა ნაგულისხმევი. „მიმართულებაც“ და „ფუნქციონალური მნიშვნელობაც“ ამოცანასთან დაკავშირებით, ამოცანის მიმართ იჩენს თავს. დუნკერთანაც და მაიერთანაც ამოცანა სავსებით არაა უგულებელყოფილი, მაგრამ აქ-



ცენტი: „ვიურცბურგელების“ შემთხვევაში, ამოცანას, აზროვნების საგანს ხვდება, ღუნკერთან და მაიერთან კი—აზროვნების სუბიექტს. „ვიურცბურგელებს“ მხედველობაში აზროვნების მიზანმიმართულება, აზროვნების ამოცანის შესატყვისად მიმდინარეობა ჰქონდათ, ღუნკერის და მაიერის ყურადღების ცენტრში კი სუბიექტი და მისი წარსული გამოცდილება მოექცა,—გამოცდილება, რომელიც სუბიექტის თვალსაზრისს აყალიბებს, ან საგნის თვისებებად კრისტალიზდება და საგანს ფენომენოლოგიურ ობიექტად ხდის.

ფუნქციონალური ფიქსირებულობა უდავო ფაქტია. ღუნკერის ექსპერიმენტები ამ ფაქტს ძალიან კარგად ადასტურებენ; მაგრამ როგორ აიხსნება ასეთი ფაქტები? როგორ აიხსნება, რომ მას შემდეგ, რაც სუბიექტმა საგანი გარკვეული ფუნქციით გამოიყენა, მას იმავე საგნის სხვა ფუნქციით გამოყენება უჭირს? „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ ცნება აღწერითი ცნებაა; მას მხოლოდ ფაქტის კონსტანტაცია შეუძლია. ასევე აღწერით ცნებას „ჩვეული მიმართულების“ ცნებაც წარმოადგენს. თავის ექსპერიმენტებში მაიერი ავლენს წარსული გამოცდილების აზროვნების მიმდინარეობაზე გავლენას, მაგრამ დადასტურებულ ფაქტების ახსნას არ იძლევა.

წარსული გამოცდილების პრობლემასთან დაკავშირებით უნდა იქნეს აღნიშნული კიდევ ერთი ავტორი, რომელიც აგრეთვე გეშტალტტესიქოლოგიის წარმომადგენლად ითვლება. მხედველობაში გვყავს სტეკელი? რომელსაც აზროვნების ფსიქოლოგიაში გამოკვლევათა რიგი ეკუთვნის. შევჩერდეთ ამ ავტორის ერთ-ერთ ექსპერიმენტზე. კვლევის საგანს ამ ექსპერიმენტში. ავტორის თქმით, წარსულ გამოცდილებასა და პროდუქტიულ აზროვნებას შორის არსებული კავშირი შეადგენს. ცდისპირს ისეთი ამოცანა ეძლეოდა, რომლის გადაჭრა ძირითადი ჰიდროსტატიკური კანონის (არქიმედის კანონის) გამოყენებას მოითხოვდა. ექსპერიმენტმა, სხვათა შორის, ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი გამოავლინა: ჰიდროსტატიკური კანონი არ აღმოჩნდა ფუნქციონალურად მოქმედი ზოგიერთ ისეთ ცდისპირთან, რომელსაც ეს კანონი ახსოვდა და მისი ვერბალური ფორმულირება შეეძლო; მეორე მხრივ, აღმოჩნდნენ ისეთი ცდისპირებიც, რომლებმაც გამოიყენეს ეს კანონი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ კანონის შესახებ არაფერი ახსოვდათ და მისი ვერბალურად ფორმულირება არ შეეძლოთ. ამგვარად, ერთი მხრივ, მეხსიერებაში აღბეჭდილი ცოდნა ზოგიერთ შემთხვევაში არ აღმოჩნდა

ფუნქციონალურად მოქმედი; მეორე მხრივ, ცოდნა, რომლის რეპრეზენტაცია მეხსიერებაში არ ხერხდება, რომლის ცნობიერებაში აღდგენა სუბიექტს არ შეეძლო, ზოგიერთ შემთხვევაში ფუნქციონალურად მოქმედი აღმოჩნდა<sup>1</sup>.

სცეკელის ეს ექსპერიმენტი, ჩვენი შეხედულებით, პირველ რიგში ისეთი ფსიქიკური ფაქტორის არსებობას ამტკიცებს, რომელიც ცნობიერ პროცესს წარმართავს, მაგრამ თავად ცნობიერ ფენომენთა რიგს არ ეკუთვნის და ცნობიერებაში არ არის აღბეჭდილი. „დავიწყება,—ამბობს დ. უზნაძე,—ორნაირია: „დავიწყება“ ცოდნის, როგორც ცნობიერი შინაარსისა, და „დავიწყება“ იმ განწყობისა, რომელიც წარსულის შთაბეჭდილებათა ზეგავლენით ყალიბდება პიროვნებაში“. „შესაძლებელია ბავშვობაში შესწავლილი ლექსი სრულიად არ მახსოვდეს, ცნობიერებაში მისი აღარაფერი იყოს დარჩენილი, მაგრამ ის განწყობა, რომელიც ამ ლექსის ზეგავლენით მქონდა შექმნილი, როგორც დისპოზიცია ამა თუ იმ სახით დაცული იყოს. ე. ი. სანამ იმავე პიროვნებას წარმოვადგენ, არ უნდა იყოს გამორიცხული შესაძლებლობა ამ განწყობის აქტუალიზაცია მოვახდინო. მისი მიმართულებით ვიმოქმედო“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, სცეკელის ექსპერიმენტის იმ სუბიექტებმა, რომელთაც ამოცანის გადაჭრის დროს ჰიდროსტატიკური კანონი გამოიყენეს. მისი დავიწყების მუხედვად, შერჩენილი ჰქონდათ სწავლის წლებში შემუშავებული განწყობა. ექსპერიმენტის დროს წარსულმა გამოცდილებამ თავი იჩინა არა ცნობიერი მოგონების, არამედ ოდესღაც შექმნილი განწყობის სახით: ექსპერიმენტის პირობებმა ძველი განწყობის აქტუალიზაცია მოახდინეს და ამ განწყობის საფუძველზე სათანადო ცნობიერი შინაარსი აღმოცენდა და ამოცანის გადაჭრის პროცესში ჩაერთო.

განვიხილოთ წარსული გამოცდილებების აზროვნების პროცესში ჩართვის საკითხი ჩვენი საკუთარი ექსპერიმენტის მონაცემებთან დაკავშირებით.

## 2. ექსპერიმენტის პროცედურა

ცდისპირს შერეული ტექსტი ეძლეოდა. ტექსტი შესდგებოდა სამი დამოუკიდებელი ნაწილისაგან: 1. შემოკლებული ნაწყვეტი ბალზაკის ნოველიდან—„ელვერდუგო“; 2. ინსტრუქცია ცდისპირის

<sup>21</sup> Székely, Knowledge and Thinking, Acta Psychol., № 1. 1950.

<sup>22</sup> დ. უზნაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“. თბილისი, 1940, 313.

მიმართ—ხაზგასმული (კრიტიკული სიტყვები, რომლითაც ცდისპირს წინადადება ეძლეოდა გადაებრუნებინა ფურცელი); 3. შემოკლებული ნაწყვეტი კალდერონის მოთხრობიდან—„ტყის ქვითინი“.

ტექსტი გარეგნულად გამოიყურებოდა როგორც ერთიანი. ცდისპირს იგი შემდეგი სახით ეძლეოდა:

მარკიზ ლეგანიესის ოჯახს სიკვდილით დასჯა მოელოდა. მოხუცმა მარკიზმა შუამდგომლობა აღძრა ფრანგი გენერლის წინაშე. მან ითხოვა სიცოცხლის ჩუქება მისი უფროსი ვაჟისათვის, რათა მისი ღიდებული გვარი მთლიანად არ ამოწყვეტილიყო.

გენერალმა თანხმობა გამოუცხადა ერთი პირობით: ქონებას და სიცოცხლეს ის პირდებოდა მარკიზის იმ ვაჟს, რომელიც ჯალათობას იკისრებდა და გამოტანილ განაჩენს სისრულეში მოიყვანდა.

მოხუცმა მარკიზმა ჯალათობა თავის უფროს ვაჟს ხუანეტოს დაავალა.

ამის გაგონებაზე ხუანეტომ თავი გააქნია უარის ნიშნად, სკამზე დაეცა მოწყვეტილი და მშობლებს უსიცოცხლო, შემზარავი თვალებით ჩააცქერდა.

მაშინ მისი და, მშვენიერი კლარა, მას მუხლებზე დაუჯდა და მხიარული ხმით უთხრა:

„ჩემო ძვირფასო ხუანეტო, ნეტა იცოდე, როგორი ტკბილი იქნება შენი ხელით სიკვდილი! მე არ შემეხება ჯალათის მურტალი ხელი, შენ შემიმსუბუქებ ტანჯვას...“

„გამხნევი, უთხრა ხუანეტოს საშუალო ძმამ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოისპობა ჩვენი თითქმის მეფური გვარი“.

ხუანეტო უმოძრაოდ იყო. მაშინ მოხუცი მამა მას თეხებში ჩაუვარდა და უთხრა:

„შვილო, ნუ თუ შენ არ გამოიჩენ ესპანურ გრძნობას და სულის ახოვანებას? განა შეგშვენის, რომ საკუთარ სიცოცხლესა და ტანჯვაზე იფიქრო?... ჩემი შვილია, თუ არა, ეს?“—სთქვა ბოლოს მოხუცმა და თავის მეუღლეს შეხედა.

„იგი თანახმაა!“—სასოწარკვეთილებით წამოიძახა დედამ, რადგან შეამჩნია, რომ ხუანეტომ წარბებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომლის აზრი მხოლოდ მას ესმოდა.

ერთი საათის შემდეგ მარკიზ ლეგანიესის სასახლის ტერასაზე ასი რჩეული მოქალაქე გამოცხადდა, რათა გენერლის ბრძანების თანახმად ამ ოჯახის სიკვდილით დასჯას დასწრებოდა. ცოტა ხნის

შემდეგ გამოჩნდნენ მარკიზის ოჯახის წევრები, რომელნიც გასაოცარი სიმტკიცით ახლოვდებოდნენ. მათი სახეების გამომეტყველება წყნარი და განათებული იყო. მხოლოდ ერთი მათგანი იყო ფერმკრთალი და სახეშეშლილი, იგი ძლივს მობარბაცებდა, ეტყობოდა მხნეობა დალატობდა, როგორც სასიცოცხლოდ განწირულს. კლარა პირველი მივარდა თავის ძმას.

„ხუანეტო, შესძახა მან, მაპატიე სულმოკლეობა, დაიწყე ჩემგან. კლარა უკვე დაჩოქილი იყო. მისი თეთრი კისერი ნაჯახს მოუწოდებდა.

—დაჰკარ ხუანეტო“, —სთქვა მან დაბალი ხმით.

ამ დროს ტერასაზე გამოჩნდა ფრანგი ოფიცერი და შესძახა: „გ ა დ ა ა ბ რ უ ნ ე თ ფ უ რ ც ე ლ ი, ს წ რ ა ფ ა დ გ ა დ ა ა ბ რ უ ნ ე თ ფ უ რ ც ე ლ ი, ა ხ ლ ა თ ქ ე ე ნ. გ ე ვ ა ლ ე ბ ა თ ს წ რ ა ფ ა დ გ ა დ ა ა ბ რ უ ნ ო თ ფ უ რ ც ე ლ ი.

—შესდექით, პატრონსიტო, იგი ამ წუთში გაბოროტებულია. ამიტომ მისი სისხლი შხამიანია, ხოლო ხორცი გამოუსადეგი. ჯერ ყელიდან სისხლი უნდა გამოვუშვათ.

მაიმუნი თვალს ადევნებდა ყოველ ჩვენს მოძრაობას და როცა თავის ყელთან გაღესილი მახვილი დაინახა, თვალეები დახუჭა, ისევე როგორც ჩვენ დავხუჭავდით ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ამასთანავე აიბურძგნა. გაისმა საშინელი კივილი, შემდეგ თითქოს მსახიობი ქალის ქვითინი, შემდეგ ბლავილისა და ხრიალის მსგავსი ხმაური, რომელმაც ჩემი თანამგზავრი წითელკანიანებიც შეაძრწუნა, თუმცა ისინი გულჩვილობას გადაჩვეულნი იყვნენ ტყეში“.

ცდა ჩატარდა 12 ცდისპირზე. ცდის დროს წარმოებდა ცდისპირთა ქვევის დაკვირვება. ოქმში აღინიშნებოდა კითხვის ტონის და სახის გამომეტყველებების შეცვლა ტექსტის ამა თუ იმ ადგილას, წამოძახებანი და საერთოდ გაკვირვების, ინტერესის, უკმაყოფილების და სხვა განცდათა გამოხატულებანი. როდესაც კრიტიკული სიტყვები შესაფერის რეაქციას არ იწვევდნენ და ცდისპირი არ აბრუნებდა ფურცელს, ჩვენ ვაკითხვინებდით ტექსტს განმეორებით, იმ ვარაუდით, რომ შეიძლება მეორე, მესამე ან მეოთხე წაკითხვის შემდეგ ის მიხვედრილიყო კრიტიკული სიტყვების მნიშვნელობას. თითოეული, განმეორებითი წაკითხვის შემდეგ ვთხოვდით ცდისპირს წაკითხულის შინაარსის თხრობას.

### 3. ექსპერიმენტის შედეგები

ჩვეულებრივად ჩვენი ცდისპირები მიწოდებულ ტექსტს დასაწყისში ინდიფერენტული ტონით კითხულობდნენ, მაგრამ თანდათან.—ზოგჯერ უფრო გვიან, ზოგჯერ უფრო ადრე,—ისინი მოთხრობის კურსში შედიოდნენ და კითხვის ტონითა და სახის გამომეტყველებით აშკარა ინტერესს გამოხატავდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის, როდესაც ტექსტში კრიტიკული სიტყვები—ზაზგასმული ინსტრუქცია—ჩნდება: ყველა ჩვენი ცდისპირი შესულია მოთხრობის კურსში და გარკვეულად ინტერესს იჩენს მოთხრობის შინაარსისადმი. რეაქცია კი კრიტიკულ სიტყვებზე სხვადასხვანაირი აღმოჩნდა: ცდისპირთა ერთი ჯგუფი მეორე კრიტიკულ ფრაზაზე უკვე კითხვის ტონით და სახის გამომეტყველებით, ზოგჯერ აგრეთვე ფრაზის განმეორებითაც გაკვირვებას გამოხატავს და მესამე კრიტიკულ ფრაზაზე ამბობს: „აჰა, მე უნდა გადავებრუნო!“ და აბრუნებს ფურცელს. მოვიყვანოთ ამ ჯგუფისათვის ტიპიური ოქმი.

ოქმი № 12. (ცდისპირი უმაღლესი ცოდნით, პედაგოგი) კითხულობს სწრაფად: თავისუფლად: გამომეტყველებით. მოთხრობის კურსში ადრე შევიდა. პირველი კრიტიკული ფრაზის პირველ სიტყვას—„გადააბრუნეთ“—კითხულობს იმავე ტონით, მაგრამ შემდეგ სიტყვაზე—„ფურცელი“—შეფერხდა. შემდეგ ფრაზას „სწრაფად გადააბრუნეთ ფურცელი“ კითხულობს გაკვირვებით. ჩერდება. უცბად გადაწყვეტილად: უაზრობაა!—განვავრძო კითხვა?“ შემდეგ სწრაფად. გადაწყვეტილად აბრუნებს ფურცელს.

ცდისპირთა მეორე ჯგუფიც მეორე კრიტიკულ ფრაზაზე გამოხატავს გაკვირვებას, შეფერხებას; როგორც ჩანს, ამ ჯგუფის ცდისპირებიც ამჩნევენ კრიტიკული ფრაზების მოთხრობის შინაარსთან შეუსაბამობას; მაგრამ ამ ფრაზების მნიშვნელობის გამორკვევაზე ცდისპირი არ ჩერდება. კითხვას ისევ განავრძობს, ზოგჯერ შეცვლილი ტონით, ნაკლები ინტერესით. ზოგჯერ შეფერხებით. გზადაგზა იძახის: „რა არის ეს? რაშია საქმე? რა უბედურებაა!“ ეს, განსაკუთრებით, მეორე ნაწყვეტის იმ ადგილების წაკითხვის დროს, სადაც შეუსაბამობა პირველ ნაწყვეტთან მეტისმეტად მკვეთრია.

\* ის შემთხვევები, როდესაც ცდისპირი ტექსტს ბოლომდე ინდიფერენტულად კითხულობდა და, როგორც ეტყობა, შინაარსს არ აკვირდებოდა, ლამუშავებულ მასალებში არ შეგვიტანია.

ასეთი ცდისპირის გაკვირვება, ჩვეულებრივად, თავის კულმინაციურ წერტილს იმ ადგილას აღწევს, სადაც ირკვევა, რომ დიდებულ ესპანელ ქალს კი არ ჰკლავენ, არამედ მაიმუნს, და ამ საქმეში წითელკანიანები მონაწილეობენ.

აი ასეთი ცდისპირის ნიმუში.

ოქმი № 13. (ცდისპირი უმაღლესი ცოდნით, მეც. მუშაკი). თავიდან კითხულობს უინტერესოდ, ინდიფერენტულად. მოთხრობის კურსში შედის გვიან—იქ, სადაც დასჯის ამბავი იწყება და მარკიზის ოჯახის წევრები ჩნდებიან. პირველ კრიტიკულ ფრაზას კითხულობს როგორც მოთხრობის გაგრძელებას; შემდეგ ფრაზაზე—გარკვეულად შეფერხდა. განმეორებით წაიკითხა კიდევ, მაგრამ მერე ისევ განაგრძობს კითხვას. მეორე ნაწყვეტს კითხულობს შეფერხებით. გზადაგზა იძახის „რა არის ეს?“ როდესაც ირკვევა, რომ მაიმუნზეა ლაპარაკი, ძლიერი შეფერხება აქვს. ამის შემდეგ კითხულობს ინდიფერენტულად, უინტერესოდ.

მესამე ჯგუფის ცდისპირები კრიტიკულ ფრაზებს შეუფერხებლად; შეუწყვეტლად კითხულობენ, ზოგჯერ მესამე და მეოთხე წაკითხვის დროსაც. გაკვირვებას ამ ცდისპირთა შემთხვევაში იწვევს მეტწილად მეორე ნაწყვეტის ზოგიერთი მომენტი.

აი, ასეთი ცდისპირის მაგალითი:

ოქმი № 11. (ცდისპირი უმაღლესი ცოდნით, მეცნიერი მუშაკი) თავიდან კითხულობს თავისუფლად, ყურადღებით, გამომეტყველებით. ეტყობა მაშინვე შევიდა მოთხრობის კურსში. კრიტიკული ფრაზები არავითარ გაკვირვებას არ იწვევენ, არავითარი შეფერხება არ ეტყობა. მეორე ნაწყვეტზედაც შეუფერხებლად გადადის. შემდეგ, როდესაც ირკვევა, რომ მაიმუნზეა ლაპარაკი, შეჩერდა გაკვირვებით გაიმეორა: „მაიმუნი? მაიმუნი?“. ამის შემდეგ კითხულობს შეფერხებით, ეტყობა ვერ ერკვევა, რაშია საქმე. ცდის შემდეგ ვეკითხები შთაბეჭდილებას. ამბობს, რომ ბოლოს რაღაცამ გააკვირვა; რაღაც ახალი, მოულოდნელი იყო. ვეკითხები, რა ადგილას.

„აი, მაიმუნი, სიტყვა მაიმუნი რომ იყო, ჯერ მეგონა ვითომ ცუდად ამოვიკითხე“. ვთხოვ მიაშინოს შინაარსი. მიაშინობს დალაგებულად, თავისუფლად: „ერთ ესპანურ ოჯახს მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა. მამამ, რათა მისი გვარი არ ამოწყვეტილიყო, სთხოვა ერთ-ერთი შვილისათვის სიცოცხლის ჩუქება. მეფე სიცოცხლეს იმას ჰპირდებოდა, ვინც ქალათობას იკისრებდა. მამამ ქალათობა უფროს

ვაჟს დაავალა. უფროსმა დამ სთხოვა პირველი ის მოეკლა. მგონი მოკლა კიდევ. აქ რაღაც ბუნდოვნად მასხოვს, ამის შემდეგ ბუნდოვანი შინაარსი რომ მოჰყვა, რაღაცნაირად დაჩრდილა ეს ადგილი!”

მეორე ცდისპირი (ოქმი № 17) ტექსტის მეორედ წაკითხვის შემდეგ გადმოგვეცემს შინაარსს: „მარკიზის ოჯახს სიკვდილით დასჯა მოელოდა. მარკიზმა სთხოვა ერთი შვილისათვის სიცოცხლის ჩუქება. მეფე დაჰპირდა სიცოცხლეს იმას, ვინც ჯალათობას იკისრებდა. მამამ ჯალათობა ხუანეტოს დაავალა. ხუანეტომ უარი სთქვა. მაშინ მისი და კლარა მას ფეხთ ჩაუფარდა და სთხოვა: შენ მომკალი. რომ ჯალათის ხელი არ შემეხოსო. უმცროსმა ძმამაც სთხოვა. — მამა გაუწყრა კიდევ ხუანეტოს და თავის ცოლს ჰკითხა: „ჩემი შვილია ეს თუ არა?“ შემდეგ ხალხი მოგროვდა სანახავად; შემდეგ კლარამ სთხოვა: ჯერ მე მომკვეთე თავიო. შემდეგ ისმის ხმა: „გადაბრუნეთ ფურცელი“; ვინ იძახის არ ვიცი. შემდეგ ისმის ხმა: „იგი გაბოროტებულია, სისხლი შხამიანია. ხორცი არ შეერგება“. ეს უთუოდ იმის სიტყვებია, ვინც დასჯის განკარგულება გასცა. მე ასეთი შთაბეჭდილება შემიქმნა, რადგანაც ხუანეტო ძალიან აღელვებულია, არ უნდა, რომ მან შეასრულოს განაჩენი. გაბოროტებულია და ამიტომ გულით არ აკეთებს, ამიტომ მისი სისხლი მოშხამულია. გაუგებარია, ვისთვის იქნება იგი მოშხამული“.

მესამე წაკითხვის შემდეგ კრიტიკულ ადგილს იგივე ცდისპირი ასე გადმოგვეცემს: „...მარკიზის ტერასაზე ხდება ეს აქტი. შემდეგ ქვევით, გადააბრუნეთ ფურცელიო, იძახის გენერალი. შემდეგ ისმის ხმა: „შესდექით!... ხუანეტოს მოწამლული აქვს სისხლი: „ალბათ წმინდა სისხლი უნდა დაიღვაროს“. ვეკითხები მოეწონა თუ არა მოთხრობა. „საინტერესოა“, მიპასუხა. მხოლოდ მაიმუნი რაში დასჭირდათ, მაიმუნს ხომ არ კლავენ?“ ვეკითხები: არის თუ არა რაიმე გაუგებარი. „არაფერი, მხოლოდ ის, მაიმუნთან დაკავშირებით ბოლომდე არ წამაკითხეთ“—მეოთხე წაკითხვის შემდეგ ისევ ვეკითხები, „რა არის მოთხრობაში გაუგებარი“. „მაიმუნი რატომ არის იქ?—მეკითხება,—ასეთი ჩვეულება ხომ არ იყო ესპანეთში. რომ სანამ სიკვდილით დასჯას სისრულეში მოიყვანდნენ, მაიმუნს ჰკლავდნენ? გაუგებარია მაიმუნის ამბავი და სისხლის შესახებ რომ არის ლაპარაკი“. მეხუთეჯერ კითხვის დროს გზადაგზა იძახის: „აი, „შესდექით“, ვინ იძახის? ყოველ შემთხვევაში, ხუანეტოსთვის უნდა დაეძახათ, ხუანეტო არის გაბოროტებული თუ კლარა, ვისზეა ლაპა-

რაკი? ჩემი აზრით... ეს განკარგულება რომ არის—, „შესდექით“— ხუნანტოს უძახიან თუ ოფიცერს! მე ასე მგონია: სასიკვდილო აქტი უნდა მოხდეს ფურცლის გადაბრუნებასთან ერთად“.

ამაზე ცდა შეწყვეტილ იქნა. ორი საათის შემდეგ ცდისპირი ტელეფონით მირეკავს და აცხადებს: „მე უნდა გადამებრუნებინა ფურცელი!“.

ჩვენს ექსპერიმენტში. უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია ის ვარემოება. რომ ტექსტში ჩართული ინსტრუქციის და მეორე ნაწყვეტის გაგება პირველი ნაწყვეტის შინაარსზე აღმოჩნდა დამოკიდებული: ინსტრუქციის ზაზგასმული ფრაზები და მეორე ნაწყვეტი ცდისპირმა პირველი მოთხრობის კონტექსტში ჩართო. როდესაც ტექსტში თავი იჩინა ინსტრუქციამ და მეორე მოთხრობამ, მათი გაგება დამოკიდებული აღმოჩნდა სუბიექტის წინამორბედ გამოცდილებაზე,— იმაზე, რაც მას უკვე წაკითხული ჰქონდა.

ისმის კითხვა: როგორია ის ფსიქოლოგიური პირობა, ის ფსიქიკური ბუნების ფაქტორი, რომელიც წინა გამოცდილების აწმყოში მიმდინარე აზრობრივ პროცესში გადატანას განსაზღვრავს?

ბარტლეტის ცნება სქემების შესახებ აქ ვერაფერს გვიშველის. არც „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ ცნებაა აქ გამოსაყენებელი. „ფუნქციონალური ფიქსირებულობა“ ობიექტის გარკვეული ფუნქციონალური მნიშვნელობით გამოყენებას გულისხმობს. ობიექტის განმტკიცებული ფუნქციონალური მნიშვნელობა. დუნკერის მიხედვით, ხელს უშლის იმავე ობიექტის სხვა მნიშვნელობით გამოყენებას. იმ წინამორბედ ტექსტში, რომელმაც ჩვენი ექსპერიმენტის დროს მომდევნო ტექსტის ადეკვატური გაგება შეაფერხა, არ იყო არაფერი არც „გადააბრუნეთ ფურცელის“, არც მაიმუნის ან წითელკანიანების შესახებ. ის, რაც ცდისპირმა უკუღმართად გაიგო. ტექსტში მას პირველად შეხვდა. ბალზაკის მოთხრობაში სრულიად არ იყო ნახსენები ის ობიექტები, ის ფრაზები და სიტყვები, რომელთაც ცდისპირმა მცდარი „ფუნქციონალური მნიშვნელობა“ მიაწერა.

ჩვენ ექსპერიმენტალურ მონაცემებთან დაკავშირებით, არც მაიერის „მიმართულების“ ცნებაა გამოსადეგი. მაიერის კონცეფციის კრიტიკაში დუნკერი სავსებით სამართლიანად ზაზს უსვამდა იმას, რომ „მიმართულება“, მაიერის გაგებით, ამოცანას, მიზანს წარმოადგენს. ზემოთ განხილულ იმ მაგალითში, რომელიც „მიმართულების“ ილუსტრაციადაა გამოყენებული, ის, რომ ექიმი პროფილაქტი-



კისა ან მკურნალობის გამოცდილებას იყენებს, რასაკვირველია, იმა-ზეა დამოკიდებული, თუ რა თვალსაზრისით, რა მიმართულებით აპირებს იგი დაავადებასთან ბრძოლას. მაგრამ ამ თვალსაზრისს, ამ მიმართულებას მიზნის, ან ამოცანის ცნება სავსებით ფარავს. ჩვენს ექსპერიმენტში მიზანი, ამოცანა უცვლელი რჩება და უცვლელად უნდა დარჩეს მთელი ტექსტის გასწვრივ: ცდისპირმა უნდა წაიკითხოს და გაიგოს წაკითხული.—და: ეს ძალაში რჩება ექსპერიმენტის ბოლომდე. რაღა იწვევს, პირველი ნაწყვეტის წაკითხვის შემდეგ მეორე ნაწყვეტის არაადეკვატურ გაგებას? მაიერის ცნება მიმართულების შესახებ ამ საკითხის გარკვევაში ხელს ვერ შეგვიწყობს.

ჩვენი ექსპერიმენტის შედეგებს არც განწყობის ის ცნება ნათელ-ყოფს, რომელიც ამერიკელ ავტორებთანაა წარმოდგენილი. სეტის ცნება ამ ავტორებთან პერსევერაციას, მოქმედების აკვიატებას გამოხატავს. ჩვენ ექსპერიმენტში კი წინათ შესრულებული მოქმედების პერსევერაციასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ახალი შინაარსის ძველ კონტექსტში გაგებასთან. ტექსტის მეორე ნაწილში ჩვენი ცდისპირი იმ მოქმედებას კი არ იმეორებს, რომელიც მის მიერ პირველ ნაწილში იყო შესრულებული, არამედ ახალ მოქმედებას აწარმოებს—ახალ ნაწყვეტს კითხულობს, მაგრამ ამ ნაწყვეტის ადეკვატური გაგება არ ხერხდება, ახალი ნაწყვეტი ცდისპირს შემცდარად ესმის, მაგრამ შეცდომები სპეციფიკურია: მათში წინანდელი, ძველი გამოსკვივის.

როგორ შეიძლება აღწერილი მდგომარეობის ახსნა?

წინანდელი ქცევის ახლანდელ ქცევაზე ზეგავლენის ფაქტი ისეთ პროცესსა ან მდგომარეობას გულისხმობს, რომელიც თვითონ სუბიექტის მთლიანობით გამოსახულებას წარმოადგენს. „ეხლა“ და „წელან“ მნიშვნელობას მხოლოდ სუბიექტთან დაკავშირებით იძენს. სუბიექტისაა ის წარსული, რომელიც მისივე აწმყოზე ახდენს გავლენას.

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, პირველი მოთხრობის ზეგავლენა ტექსტის შემდგომი ნაწილის გაგებაზე აზრობრივი აქტივობის შერჩევით მიმართულებაში, მის შინაარსთა თავისებურებაში გამოვლინდა: კრიტიკული ფრაზები ცდისპირებს წინათ წაკითხულის კონტექსტში, წინანდელი თვალსაზრისით გაუგიათ. საქმის ასეთი ვითარება ისეთ პროცესსა ან მდგომარეობას გულისხმობს, რომლისთვისაც ასიმულაციური მოქმედებაა დამახასიათებელი.

მოვახდინოთ მიღებული შედეგების ანალიზი განწყობის ცნების თვალსაზრისით. განწყობა ხომ სუბიექტს გამოხატავს და განწყობისათვის ხომ სწორედ ასიმილაციური მოქმედებაა დამახასიათებელი.

მიწოდებული ტექსტის წაკითხვის დროს ჩვენი ცდისპირები გარკვეულ ქცევას აწარმოებენ, ქცევას, რომელიც ცალკე მოქმედებებისაგან შედგება: თვით კითხვის პროცესი, წაკითხული შინაარსის გაგება და წარმოსახვა; მისი მენსიერებაში აღბეჭდვა და სხვა. ეს ცალკე მოქმედებები, ერთმანეთში გადახლართული, რთული ქცევის—მოთხრობის წაკითხვის ქცევის მთლიან სისტემაშია გაერთიანებული. განწყობა, სუბიექტის ის დინამიკური მდგომარეობაა, რომელიც ამ რთულ ქცევას უდევს საფუძვლად, ვითარდება და თავისი მოქმედების პროცესში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. განწყობის რეალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე განწყობა სხვადასხვანაირია. მოთხრობის წაკითხვის დასაწყისში სუბიექტი სხვანაირადაა განწყობილი, ვიდრე მაშინ, როდესაც ის უკვე შესულია მოთხრობის კურსში. მეორე მხრივ, ამ ცვალებადობის მიუხედავად, მოთხრობის წაკითხვის განწყობა ერთიან განწყობად რჩება: სუბიექტი მოთხრობის წასაკითხად არის განწყობილი და კითხვის პროცესში მისი ეს განწყობილება, მისი სამოქმედო მზაობა განვითარების ცვლილებებს განიცდის. დავუკვირდეთ კვალდაკვალ იმ პროცესს, რომელიც ჩვენ ექსპერიმენტში იჩენს თავს და ექსპერიმენტის გასწვრივ მიმდინარეობს. ინსტრუქციის შედეგად ცდისპირს უჩნდება მიზანი, წაკითხოს მიწოდებული ტექსტი. დასაწყისში მას ჯერ არა აქვს ნავარაუდები, რას წარმოადგენს ეს ტექსტი, არა აქვს წარმოდგენილი მისი შინაარსი. აღძრული მიზნის შესაფერისი ობიექტური სინამდვილე თანდათან სუბიექტის სიტუაციად იქცევა. დასაწყისში სუბიექტს აქვს განწყობა წაკითხოს რაღაცა. ჯერ კიდევ მისთვის უცნობი ტექსტი, რომელსაც მას ცდის ხელმძღვანელი აწვდის. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ტექსტი ქართულია, ამის შედეგად სუბიექტს სათანადოდ დიფერენცირებული განწყობა აქვს. იგი ეხლა განწყობილია რაღაც ქართული ტექსტის წასაკითხად. კითხვის პროცესში ირკვევა, რომ ტექსტი გარკვეულ მოთხრობას წარმოადგენს: სუბიექტი ეხლა ისეთი ქართულად დაბეჭდილი მოთხრობის წასაკითხადაა განწყობილი, რომელიც მარკიზ ლეგანიესის ოჯახს ეხება. მოთხრობის შინაარსის გაშლასთან ერთად გრძელდება განწყობის სათანადო დიფერენციაციაც. ცდისპირი მოთხრობის კურსში შედის—ეხლა ის განწყობი-

ლია წაიკითხოს მოთხრობა მარკიზ ლეგანიესისა და მისი ოჯახის სიკვდილით დასჯის შესახებ; მისი დამოკიდებულება კითხვის მასალასთან თანდათან იცვლება: თავში ცდისპირი არკვევდა იმას, თუ რას წარმოადგენს ეს ტექსტი, კითხვის მასალის რომელ კატეგორიას ეკუთვნის იგი; ეხლა ის ითვისებს გარკვეულ კონკრეტულ მასალას, ტექსტში მოთხრობილ ამბავს, განიცდის და წარმოისახავს მას. განწყობის შემდეგი განვითარება დამოკიდებულია თვით ამ მასალაზე, მოთხრობილი ამბის შემდეგ განვითარებაზე. იმ დროისათვის, როდესაც ტექსტში პირველი კრიტიკული ფრაზა ჩნდება, ტექსტის წაკითხვის განწყობა ჩამოყალიბებულია ამ კონკრეტული მოთხრობის წაკითხვის განწყობად. კითხვის ტონი და გამომეტყველება, ის გარემოება, რომ ცდის შემდეგ ცდისპირი ახერხებს წაკითხულის შინაარსის გადმოცემას, საერთოდ, მთელი ქცევა, ცდის დროს და ცდის შემდეგ მოწმობს, რომ ამ დროისათვის ცდისპირის განწყობა—წაკითხოს ეს კონკრეტული მოთხრობა—სავსებით განმტკიცდა და ჩამოყალიბდა.

ესლა ვნახოთ, რა ხდება შემდეგ; რა ხდება, როდესაც ტექსტში კრიტიკული ფრაზები და, შემდეგ, მეორე ნაწყვეტი ჩნდება?

როგორ იქცევა სუბიექტი ამ შემთხვევაში?

ცდისპირთა ერთი ჯგუფი, ტექსტის პირველივე წაკითხვის დროს. ჩერდება მეორე ან მესამე კრიტიკულ ფრაზაზე, განმეორებით კითხულობს მას, ვერბალურად ან სახის გამომეტყველებით გამოხატავს გაკვირვებას: ბოლოს, აცხადებს: „აჰა, მე უნდა გადავებრუნო ფურცელი“ და აბრუნებს ფურცელს.

ცდისპირთა მეორე ჯგუფიც მეორე ან მესამე კრიტიკულ ფრაზაზე ჩერდება და მის გაუგებრობას აღნიშნავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტექსტის კითხვას ისევ განაგრძობს—ზოგჯერ შეცვლილი ტონით, ნაკლები ინტერესით, მაგრამ მაინც განაგრძობს. გზადაგზა ხელახლა თავს იჩენს შეფერხება. გაკვირვება, ზოგჯერ უკმაყოფილება. „რა არის ეს“, „რა უბედურებაა“, „რაშია საქმე“ ამბობენ ჩვენი ცდისპირები მეორე ნაწყვეტის იმ ადგილებთან დაკავშირებით, სადაც შეუსაბამობა პირველ მოთხრობასთან განსაკუთრებით მკვეთრია.

მესამე ჯგუფის ცდისპირები კრიტიკულ ფრაზებს მესამე და მეოთხე წაკითხვის დროსაც შეუფერხებლად და შეუცვლელი ტონით კითხულობენ.

როდესაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ მეორე და მესამე ჯგუფის ცდისპირებს წაკითხულის გადმოცემა დაავალეთ. აღმოჩნდა, რომ მათ შერეული ტექსტი ერთ მთლიან მოთხრობად გაუგიათ; კრიტიკული ფრაზებიც. მეორე მოთხრობაც მათ პირველი მოთხრობის სიუჟეტში ჩართეს, ამ მოთხრობის კონტექსტში გაიგეს.

განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, საქმის ასეთი ვითარება შემდეგნაირად შეიძლება იქნეს ახსნილი: პირველი მოთხრობის წაკითხვის შედეგად, ცდისპირს ამ გარკვეული სიუჟეტის შესატყვისი განწყობა შეექმნა, როდესაც ტექსტში კრიტიკული ფრაზები გაჩნდა. სუბიექტის განწყობამ მათი ასიმილაცია მოახდინა: ფრაზა, რომელიც პირადად ცდისპირს ეხებოდა და მისგან გარკვეულ მოქმედებას მოითხოვდა, მოთხრობის სიუჟეტის შესატყვისი განწყობის საფუძველზე, ამ სიუჟეტის მომენტად იქნა გაგებული. ტექსტის შინაარსის გადმოცემის დროს ამ ფრაზების ინტერპრეტაცია, ჩვეულებრივად, შემდეგნაირი იყო: „მერე აღმოჩნდა რაღაც საბუთი როგორც ჩანს, გასამართლებელი. ალბათ აუქმებდა განაჩენს“. „საჭირო იყო რაღაც ფურცლის გადაბრუნება. სასწრაფოდ—სანამ განაჩენს შესრულებაში მოიყვანდნენ“.

უნდა ვიფიქროთ, ეს განწყობის ასიმილაციური მოქმედებაა, რომ ხელს უშლის ჩვენი შერეული ტექსტის სწორ გაგებას. ეს ასიმილაციური მოქმედება გამოიხატება, ამ შემთხვევაში, იმაში, რომ ცდისპირს ტექსტის მეორე ნაწილი პირველი მოთხრობის კონტექსტში ესმის. აქ წინამორბედი გამოცდილება მომდევნო გამოცდილებაზე ახდენს გავლენას. აქ სახეზეა წარსულში მომხდარ და აწმყოში მიმდინარე პროცესთა შორის ურთიერთკავშირის ფაქტი. ასეთი ფაქტი გასაგებია თვითონ სუბიექტის, თვითონ პიროვნების კონტექსტში: სუბიექტის არსებობის მოდუსი — მისი განწყობა, პირველი ნაწყვეტის წაკითხვის დროს ჩამოყალიბებული, ძალაში დარჩა ახალ ობიექტურ პირობებში—ახალი მოთხრობის წაკითხვის დროს.

აღწერილი ექსპერიმენტი საფუძველს იძლევა დაეუშვათ მოსაზრება, რომ წარსული გამოცდილების აწმყოში მიმდინარე აზროვნების პროცესში ჩართვას უბიექტის განწყობის მეშვეობით სწარმოებს. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი, რომ წინათ განმტკიცებული განწყობა ახალ პირობებში მიმდინარე ქცევაზე ახდენს გავლენას? ახალ ობიექტურ პირობებს თავისდა მიხედვით ასახავს? განწყობის

ფსიქოლოგიის მიხედვით, ყოველგვარი ფსიქიკური მოქმედების პირობას განწყობა წარმოადგენს; ყოველგვარი ქცევა, როგორც მისი რეალიზაციის პროცესი, განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს. როგორია ის განწყობა, რომლის საფუძველზე, ჩვენი ექსპერიმენტის დროს მეორე ნაწყვეტის და ხაზგასმული ფრაზების გაგება პირველი ნაწყვეტის კონტექსტში სწარმოებს? ის განწყობა, რომლის საფუძველზე პირველი მოთხრობის გაგება მოხდა და რომელიც ამ პირველი მოთხრობის დროს გაფორმდა და განმტკიცდა? ცხადია, არა. ის რამაც ტექსტის მეორე ნაწილის წაკითხვის დროს ცდისპირთა ცნობიერებაში იჩინა თავი მკვეთრად განსხვავდება იმისაგან, რაც მათ ცნობიერებაში პირველი მოთხრობის წაკითხვის დროს იყო წარმოდგენილი. ცნობიერ შინაარსთა შორის არსებული განსხვავება მოწმობს, რომ ამ შინაარსებს სხვადასხვა საფუძველი აქვს. მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარად ჩანს პირველად წაკითხულის გავლენაც. რა გზით და რამდენად ხორციელდება ეს გავლენა? ხაზგასმულ კრიტიკულ სიტყვებთან და მეორე ნაწყვეტთან დაკავშირებით აღმოცენებული შინაარსები იმის განმეორებას კი არ წარმოადგენენ, რაც გაცნობიერებული იყო პირველი მოთხრობის წაკითხვის დროს, არამედ ისეთ ახალ ცნობიერ შინაარსებს წარმოადგენენ, რომელშიც რაღაც ნაირად ძველიცაა წარმოდგენილი და ახალიც: ახალი მასალა ძველ კონტექსტშია ინტერპრეტირებული: მასალის ინტერპრეტაციაში ძველი განწყობის გავლენა იჩენს თავს.

ზემოთ განხილული ექსპერიმენტის შედეგები საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ წარსული გამოცდილების აზროვნების პროცესში ჩართვა წარსულში განმტკიცებული განწყობის მეშვეობით წარმოებს. შემდეგმა გამოკვლევამ უნდა დაადგინოს: წარსულში ჩამოყალიბებულ განწყობას რანაირად და რა ფარგლებში შეუძლია აწმყოში მიმდინარე ფსიქიკური პროცესების განსაზღვრა და ამ პროცესებში წარსული გამოცდილების ჩართვა.

ექსპერიმენტმა უნდა ნათელყოს ახალი ობიექტური პირობების ცნობიერი ასახვის დროს ისეთი განწყობის მონაწილეობის დინამიკა, რომელიც სხვა დროს და სხვა ობიექტურ პირობებში ჩამოყალიბდა.

# V. წინათ განმტკიცებული განწყობის ახალ პირობებში მოქმედების დინამიკა

## 1. ექსპერიმენტის პროცედურა

ცდისპირს ტაქისტოსკოპურად ეძლევა გარკვეული შინაარსის სურათის ოთხი სხვადასხვა ვარიანტი წინადადებით: ხმამაღლა გამოთქვას თავისი შთაბეჭდილებები. სურათებზე ხატია მოცეკვავე ქალი საცეკვაო ჭრელ კაბაში, ცეკვის სხვადასხვა პოზაში. თითოეული ვარიანტის ექსპოზიცია ხუთჯერ მეორდება. ამგვარად, სურათების ოცი ექსპოზიციის გასწვრივ სურათის საგნობრივი შინაარსი და ფერთა სიჭრელე თითქმის უცვლელი რჩება: მოცეკვავე ქალის საცეკვაო პოზის შეცვლასთან დაკავშირებით იცვლება მხოლოდ ნახატის კონტურები და ფერთა განლაგება. ამის შემდეგ სურათი ტაქისტოსკოპში ცდისპირისათვის შეუმჩნეველად იცვლება. ახალ სურათზე გამოსახულია ჭრელი ყვავილი, რომელსაც ჭრელივე პეპელა აზის: ფერების სიჭრელით ახალი სურათი ძველ სურათს წააგავს. თუ ცდისპირი ახალი სურათის ათი ექსპოზიციის შედეგად ვერ ახერხებს ადევნატურ აღქმას, იწყება იმავე შინაარსის სურათის მეორე ვარიანტის ექსპოზიციები. ამ ვარიანტში ჭრელი ყვავილი და ჭრელი პეპელა ისეა განლაგებული, რომ მსგავსება პირველ სურათთან (მოცეკვავე ქალის სურათთან) ნაკლებია. თუ ამ მეორე ვარიანტის 10 ექსპოზიციის შემდეგაც ცდისპირი სურათის ადევნატურ აღქმას ვერ ახერხებს, ტაქისტოსკოპში თავს იჩენს ყვავილის და პეპელას სურათის ახალი ვარიანტი, ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ნაკლებად გავს მოცეკვავე ქალის სურათს: ჭრელი პეპელა ჭრელ ყვავილს ზევიდან დაფრინავს.

აღწერილი ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა 24 ზრდადამთავრებულ ცდისპირთან. გარდა ამისა, 10 ცდისპირთან ჩატარებულ იქნა საკონტროლო ცდები.. საკონტროლო ცდებში ცდისპირს თავიდანვე ტაქისტოსკოპურად ეძლეოდა მეორე სურათის პირველი ვარიანტი. რომელშიც ჭრელი პეპელა ჭრელ ყვავილს აზის.

ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ საკონტროლო ცდებში, ე. ი. მაშინ, როდესაც ცდისპირს თავიდანვე ყვავილის და პეპელას სურათს ვაჩვენებდით, ცდის პირი პირველი ექსპოზიციის

დროს მის ადეკვატურ აღქმას ახერხებდა. მაგრამ ძირითად ცდებში, ე. ი. მოცეკვავე ქალის სურათის ექსპოზიციითა შემდეგ, „პეპელა და ყვავილის“ სურათის ადეკვატურ აღქმას მეტად ან ნაკლებად დიდხანს ვერ ახერხებდა ჩვენი ცდისპირების 87%:

ძირითად ცდებში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ პირველი სურათის (მოცეკვავე ქალის სურათების) ექსპოზიციები ჩვეულებრივ საგანწყობო ცდების მსგავსად საფიქსაციო ცდებს წარმოადგენენ. მოცეკვავე ქალის სურათის მრავალგზისი ექსპოზიციების შედეგად ცდისპირს უნდა გაუფიქსირდეს ამ სურათის აღქმის განწყობა. ამგვარად, პირველი სურათის ექსპოზიციები საგანწყობო ცდას წარმოადგენენ.

ჩვენი საგანწყობო ცდების დაწყებისთანავე, მიღებული მონაცემების მიხედვით ცდისპირს ექსპონირებული სურათის შესატყვისი განწყობა უჩნდება. ამ განწყობის რაგვარობა სურათის ექსპოზიციითა განმეორების პირობებში თანდათან ივსება, მწიფდება. თითოეული ექსპოზიციით აღძრული განწყობა მომდევნო ექსპოზიციის დროს ხელახლა მოქმედებს და, ამგვარად, ექსპოზიციითა განმეორების განმავლობაში მომწიფების და განმტკიცების პროცესში იმყოფება.

მოცეკვავე ქალის სურათის პირველივე ექსპოზიციისთანავე ჩვენის ცდისპირები, იშვიათი გამონალისით, მოცეკვავე ქალის სურათის ადეკვატურ აღქმას ახერხებენ, „ბალერინა“, „მოცეკვავე ქალია“, „ქალი ცეკვავს“—ამბობენ ჩვენი ცდისპირები. მომდევნო ექსპოზიციითა გასწვრივ მტკიცდება ამ გარკვეული შინაარსის სურათის აღქმის მზაობა. ცდისპირი სურათის ექსპოზიციითა განმეორების პირობებში უფრო და უფრო განეწყობა ამ შინაარსის სურათების შესატყვისად, მტკიცდება მისი მზაობა, აღიქვას მოცეკვავე ქალის სურათი. ის გარემოება, რომ ცდისპირს მოცეკვავე ქალის სურათის სხვადასხვა ვარიანტი ეძლევა, ხელს უწყობს განწყობის გარკვეული საგნის—მოცეკვავე ქალის მნიშვნელობის მიმართულებით განმტკიცებას: საგანწყობო ცდების განმავლობაში სუბიექტი ერთი და იმავე მნიშვნელობის საგანთან ურთიერთობაში იმყოფება, ერთ და იმავე სურათის სხვადასხვა ვარიანტს ჰკვრეტს. ის გარემოება, რომ

ახალ-ახალ ექსპოზიითა დროს ცდისპირი ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა მომენტის, სხვადასხვა დეტალის შემჩნევას აწარმოებს, კიდევ უფრო მტკიცედ ხდის ამ საგანთან უკვე დამყარებულ დამოკიდებულებას, მასთან უკვე დაწყებულ ურთიერთობას. ცდისპირს ამ პირობებში უფიქსირდება მოცეკვავე ქალის სურათის შესატყვისი განწყობა. თითოეული ექსპოზიციის სტიმულით ეს განწყობა ხელახლა აქტუალური ხდება და ხელახლა პოულობს თავის რეალიზაციას—მაშინაც, როდესაც ცდისპირი აღნიშნავს: „ისევ ის ლამაზი ზალერინაა“.—მაშინაც, როდესაც იგი ახალ დეტალს ამჩნევს: „ეხლა ხელი აქვს აშვერილი“, ან „შარფი აქვს ხელში“, „ჭრელი კაბა აცვია“ და სხვ.

აქ დეტალების შემჩნევის ცალკე აქტებს არ გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ისინი ერთიანი ქცევის ცალკე მომენტებს წარმოადგენენ. ეს ერთიანი ქცევა შემჩნევის ცალკე აქტების, შემჩნევის ცალკე ოპერაციების გზით სწარმოებს. „აშვერილი ხელის“, „ჭრელი კაბის“, „გაშლილი შარფის“ ან პოზის თავისებურების შემჩნევას მხოლოდ იმდენად აქვს აქ მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ექსპონირებულ სურათს—მოცეკვავე ქალის სურათს ეხება, მისი მხარეების ცნობიერ ასახვას წარმოადგენს.

ეხლა ვნახოთ, რა ხდება კრიტიკული ცდების დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც მოცეკვავე ქალის სურათის ნაცვლად ტაქისტოსკოპში ახალი სურათი—ყვავილის და პეპელას სურათი ჩნდება.

კრიტიკული სურათის ექსპოზიციითა დასაწყისში ცდისპირები ყვავილს და პეპელას მოცეკვავე ქალად აღიქვამენ. აქ, როგორც ჩანს, საგანწყობო ცდებში განმტკიცებულ განწყობასთან გვაქვს საქმე: მიუხედავად იმისა, რომ ტაქისტოსკოპის ფანჯარაში ახალი სურათი ჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური ვითარება შეიცვალა, სუბიექტი, ახალი სურათის ნაცვლად, ძველ სურათს ხედავს, ურთიერთობას წინანდელ ობიექტურ ვითარებასთან, წინანდელ საგანთან აგრძელებს. ახალი სურათის პირისპირ ის წინანდელი სურათის დასათვალისწინებლადაა მიმართული, წინანდელი სურათის შესატყვისადაა განწყობილი. ამგვარად, საგანწყობო ცდებში შექმნილი განწყო-



ბა ახალი სურათის ექსპოზიციათა დროსაც განაგრძობს მოქმედებას და ცდისპირი ყვავილს და პეპელას მოცეკვავე ქალად აღიქვამს. პეპელას ან ყვავილის ცალკე დეტალები—მაგ., პეპელას გაშლილი ფრთები ან ფოთოლი ყვავილის ღეროზე—ბალერინას სურათის ცალკე დეტალებად აღიქმება და ცდისპირი ამბობს: „ხელში ქრელი შარფი უჭირავს“ (პეპელას ფრთებზე), „Она представила ступню правой ноги к левому колену“ (ყვავილის ღეროზე აღმოსული ფოთლის შესახებ) და სხვა.

ყვავილის და პეპელას თვალახვეულ ბალერინად დანახვა, ყვავილის და პეპელას ისეთ მოცეკვავე ქალად აღიარება, „რომელიც სხვა ახალ პას აყეთებს“, გაუქუღმართებული, ილუზორული აღქმის შემთხვევას წარმოადგენს. ცხადია, ასეთი ილუზორობა საგანწყობო ცდებში შემუშავებული განწყობითაა პირობადებული. ყვავილის და პეპელას სურათს საკონტროლო ცდებში ჩვენი ცდისპირები თავიდანვე ადეკვატურად აღიქვამენ. ძირითად ექსპერიმენტში კი ცდისპირი ახალ სურათს წინანდელი შთაბეჭდილების მიხედვით აღიქვამს; იგი მას, როგორც წინათ ექსპონირებული სურათის ვარიაციას განიცდის. ილუზორული აღქმა აქ საგანწყობო ცდებში განმტკიცებული განწყობითაა პირობადებული — განწყობით, რომლის რაგვარობა პირველი სურათის ექსპოზიციათა ზეგავლენით გაფორმდა. ილუზიების რაგვარობაში აქ წინათ ჩამოყალიბებული განწყობის რაგვარობა აშკარად უდავოდ იჩენს თავს, მაგრამ რა განსახილველავს ამ განწყობის რაგვარობის რომელიმე ცვლილებებს ექსპერიმენტის გასწვრივ? რა იწვევს ამ განწყობით გამოწვეულ ილუზიათა დინამიკას ადეკვატური აღქმის მიმართულებით? ცხადია, აქ ფიქსირებული განწყობის მოქმედებას მოცემულიობიექტური ვითარება უპირისპირდება.

როდესაც სუბიექტი გარკვეული ფიქსირებული განწყობით ისეთ ობიექტურ მოცემულობას ხვდება, რომელიც თუმცა არ არის ამ განწყობის შესატყვისი, მაგრამ მაინც შეიცავს ამ განწყობის რეალიზაციის შესაძლებლობას, ფიქსირებული განწყობა ასიძილაციურად მოქმედებს: ახალ ობიექტურ ვითარებას ის თავისდა მიხედვით ასახავს. ასე, მაგალითად, ჩვენ ექსპერიმენტში სუბიექტის ფიქსირებული განწყობა—აღიქვას მოცეკვავე ქალის სურათი—მოქმედებს მაშინაც, როდესაც ცდისპირს ამ სურათის ექსპოზიციათა შემდეგ ვაჩვენებთ სურათს, რომელზედაც „ყვავილი და პეპელა“. სუბიექ-

ტის ფიქსირებული განწყობა, ამ შემთხვევაში, შეუფერებელ პირობებში მოქმედებს. მაგრამ ახალი სურათი—ახალი ობიექტური ვითარება სუბიექტზე პირველივე ექსპოზიციებისთანავე ახდენს გავლენას. მისი ფიქსირებული განწყობის რეალიზაცია მხოლოდ ნაწილობრივად ხერხდება: ცდისპირი, პეპელა და ყვავილის ნაცვლად ისევ მოცეკვავე ქალს ხედავს, დამოკიდებულებას ის წინანდელ ობიექტურ ვითარებასთან, წინანდელ საგანთან აგრძელებს. მაგრამ საგანწყობო ცდებში შექმნილი განწყობა სავსებით ვერ ხორციელდება. ამიტომაც, რომ ცდისპირი ეხლა „სხვა მოცეკვავე ქალს“, „უფრო უშნოს“, ან „სულ სხვანაირს“ ხედავს. პეპელას ან ყვავილის ცალკე დეტალები,—მაგალითად, პეპელას გაშლილი ფრთები,—მოცეკვავე ქალის სურათის დეტალებად აღიქმება,—დეტალებად, რომელნიც ახალ მომენტებს წარმოადგენენ, ცდისპირები ასეთ შემთხვევაში ამბობენ: „ხელში ეხლა ჭრელი შარფი უკავია“ (პეპელას ფრთებზე), „ეხლა შავი ნიღაბი აქვს“, ან „თვალეები აქვს ახვეული“ (პეპელას ტანის შესახებ)...

ყვავილის ან პეპელას თვალახვეულ მოცეკვავე ქალად დანახვა ან ისეთ მოცეკვავე ქალად აღიარება, რომელიც „ახალ პას აკეთებს“ და სხვა ამისდაგვარი მონაცემები ილუზორული აღქმის შემთხვევებს წარმოადგენენ. ასეთი ილუზორული აღქმა ისეთი ფიქსირებული განწყობის მოქმედების შედეგს წარმოადგენს, რომლის ფიქსაცია პირველი სურათის (მოცეკვავე ქალის სურათის პირობებში მოხდა, ხოლო მოქმედება ახალი სურათის (ყვავილის ან პეპელას სურათის) პირობებში სწარმოებს. თითოეული დეტალი, რომელსაც ცდისპირი აღნიშნავს, წარმოადგენს ფიქსირებული განწყობისა და ამ განწყობისათვის შეუფერებელი ობიექტური მოცემულობის შეხვედრის, მათი, ასე ვთქვათ, „შეჯამების“ ცალკე შემთხვევას. ასეთ მაგალითებში ორმხრივი ასიმილაცია იჩენს თავს. ილუზიის აღნიშნული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ არავითარი უფლება არა გვაქვს ილუზიები, რომელნიც თავს იჩენენ ექსპერიმენტის პროცესში, მივაწეროთ მხოლოდ იმ ასიმილაციას, რომელსაც ფიქსირებული განწყობა ობიექტური მოცემულობის მიმართ აწარმოებს. აღნიშნული ილუზიების შინაარსი მხოლოდ ფიქსირებული განწყობით გაპირობებული რომ ყოფილიყო, ცდისპირი სწორედ ისეთსავე მოცეკვავე ქალს დაინახავდა, რომელსაც ის საფიქსაციო ცდების დროს ჰვრეტდა. ის გაკემობა, რომ ცდისპირი „ეხლა სხვანაირ მოცეკვავე ქალს“ აღი-

ქემს, და ისეთ დეტალებს ხედავს, რომლებიც არც საგანწყობო, არც კრიტიკულ სურათში არაა მოცემული, აშკარად ამტკიცებს ორმხრივი ასიმილაციის ფაქტს: ობიექტური ვითარება, რომელიც მოცემულ მომენტში მოქმედებს სუბიექტზე, პირველ რიგში მის აქტუალურად მოქმედ ფიქსირებულ განწყობაზე ახდენს გავლენას, მის რაგვარობას თავის შესატყვისად სცვლის, მის შინაარსს თავისდა მიხედვით ავსებს. ის პირობები, რომელშიც ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედება წარმოებს, ამ განწყობაზე და მის ასიმილაციურ მოქმედებაზე ზეგავლენას ახდენენ. ასეთი ორმხრივი ასიმილაცია სხვა ექსპერიმენტებშიც იჩენს თავს. ასე, მაგალითად, როდესაც ერთ-ერთ ექსპერიმენტში ცდისპირს ლამაზი, ძველებურ კაბაში გამოწყობილი ქალის წარმოსახვას ვადალებთ და შემდეგ ღვინით სავსე ღოქის სურათს ვაჩვენებთ, ის ხედავს ისეთ რამეს, რაც არც მის წარმოსახვაში, არც ექსპონირებულ სურათში მოიპოვება. უშნო, გაშეშებულ ქალს, ქალს წითელი სარაფანით, მანეკენს და სხვ.—წარმოსახული ლამაზი ქალის ნაცვლად. ისეთ დეტალს, მაგ., როგორცაა ღოქის სახურავი, ცდისპირი „ჩეპჩიკად“ აღიქვამს, რომელიც ქალს ახურავს. ამგვარი ილუზია ჩვენ ცდისპირებს მათი ისეთი ფიქსირებული განწყობის საფუძველზე უჩნდებათ, რომელმაც მოცემული ობიექტური ვითარების ასიმილაციური ზემოქმედება განიცადა. ახალი პირობები, ის ახალი შეუფერებელი მასალა, რომლის ასიმილაციას ფიქსირებული განწყობა ახდენს, თავის მხრივ, მასზე—ფიქსირებულ განწყობაზე ასიმილაციურად მოქმედებს. მის რაგვარობაში ცვლილებები შეაქვს. საგანწყობო ცდებში ჩამოყალიბებული განწყობა ობიექტური პირობების ზემოქმედების შედეგად თანდათან ირღვევა. მისი ასიმილაციური მოქმედების ძალა კლებულობს და გზა ეხსნება ადეკვატური განწყობის აღმოცენებას. საგანწყობო მასალაზე შექმნილი განწყობა ჯერ ახერხებდა შეუფერებელი მასალის ასიმილაციას, მაგრამ თანდათან ეს ასიმილაციური მოქმედება სულ უფრო და და უფრო სუსტი ხდებოდა. სუბიექტის ფიქსირებული განწყობა ახალი ობიექტური ვითარების პირობებში ამ ობიექტურ ვითარებას დაუპირისპირდა, ახალმა ვითარებამ, სუბიექტზე ზემოქმედება აწარმოა და მისი ფიქსირებული განწყობის რაგვარობა თანდათან თავის და მიხედვით შეცვალა.

აღწერილ ექსპერიმენტში თავს იჩენს კოლიზია სუბიექტის ფიქსირებული განწყობისა და ობიექტურ მოცემულობას შორის.

ეს კოლიზია—განწყობისა და ობიექტური ვითარების მრავალგზისი დაპირისპირება—წარმოადგენს პროცესს, რომელშიაც ორმხრივი ასიმილაცია სწარმოებს: ფიქსირებული განწყობა ობიექტური მოცემულობის ასიმილაციას ახდენს, რამდენადაც იგი მას თავისდაგვარად ასახავს; ობიექტური ვითარება, თავის მხრივ, ფიქსირებული განწყობის ასიმილაციას ახდენს, რამდენადაც მისი ზემოქმედება ამ განწყობის რაგვარობას თავისდა მიხედვით ცვლის, ასიმილაციის ეს ორმხრივი პროცესი ერთდამივე დროს განწყობის ასიმილაციური მოქმედების შესუსტებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, ობიექტური მოცემულობის ასიმილაციური ზემოქმედების გაძლიერებისაკენაა მიმართული. ამ ორმხრივი ასიმილაციის პროცესში ფიქსირებული განწყობა გადაგვარებას განიცდის: თანდათან ის ჰკარგავს თავის დიფერენცირებულ ხასიათს და ბოლოს, იმდენად დიფუზური ხდება, რომ ველარ ახერხებს მოცემულ პირობებში რეალიზაციას,—ობიექტური ვითარების თავისდაგვარად ასახვას.

მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, ექსპერიმენტის გარკვეულ ეტაპზე სუბიექტის აღქმა იმდენად გაურკვეველი და ბუნდოვანი ხდება, რომ მას თითქმის აღარ გააჩნია საგნობრივი, აზრიანი ხასიათი: ჩვენი ცდის პირები „რალაც სიჭრელეს“, „რალაცას“. „რალაც გაურკვეველს“ ხედავენ. სუბიექტი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ექსპონირებული ობიექტის ადეკვატურად აღქმას. ეს გარემოება მოწმობს, რომ ფიქსირებული განწყობა ჯერ კიდევ ძალაშია და ხელს უშლის ადეკვატური განწყობის აღმოცენებას. სუბიექტი ისევ თავისი ფიქსირებული განწყობითაა შებოჭილი. მაგრამ ეს ფიქსირებული განწყობა ეხლა იმდენად დიფუზურია, რომ მას ძალა აღარ შესწევს ობიექტური მოცემულობის ასიმილაცია მოახდინოს: ეხლა შესაძლებელია მხოლოდ ადეკვატური აღქმა, ილუზიის შესაძლებლობა უკვე ამოიწურა, მაგრამ იმისთვის, რომ მოხდეს ადეკვატური აღქმა, უკვე გადაგვარებული, უკიდურესად დიფუზური ფიქსირებული განწყობის ნაცვლად, უნდა მოხდეს ადეკვატური განწყობის აღმოცენება. ობიექტური ვითარების შესატყვისმა განწყობამ უნდა შეცვალოს სუბიექტის ის ფიქსირებული განწყობა, რომელმაც ამ ვითარების ზემოქმედების შედეგად უკვე დაკარგა თავისი დიფერენცირებული, გარკვეული ხასიათი.

როგორც ჩვენი მონაცემებიდან ჩანს, ფიქსირებული განწყობის ადეკვატურ განწყობად სტრუქტურის შეცვლა სხვადასხვა გზით და სხვადასხვა სიმკვეთრით შეიძლება მოხდეს.

იმ ცნობიერი შინაარსების რაგვარობა, რომელიც სუბიექტს ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში უჩნდება, დამოკიდებული აღმოჩნდა წინათ გაფიქსირებულ განწყობაზედაც, უშუალოდ მოცემულ ობიექტურ პირობებზედაც. ის გარემოება რომ ჩვენ ცდისპირებს ისეთი ცნობიერი შინაარსები, ისეთი შთაბეჭდილებები უჩნდება, რომელიც უშუალოდ არც ფიქსირებული განწყობის, არც მოცემული ობიექტური პირობების რაგვარობას შეესატყვისება, ლაპარაკობს ამ ორი ფაქტორის—ფიქსირებული განწყობის და მოცემულ ვითარების—არა ერთმანეთის გვერდით, არამედ ერთმანეთთან შეხამებულად. ერთმანეთთან შეწყობილად მოქმედების შესახებ.

თითქოს არის რაღაც საერთო ფიქსირებულ განწყობის ცნებასა და „სქემის“ იმ ცნებას შორის, რომელიც ბარტლეტის კონცეფციაშია მოცემული<sup>29</sup>. „სქემა“ რეაქციას განსაზღვრავს. „სქემა“ იმ იმპულსთან ერთად, რომელიც მას წინ უსწრებს. ორგანიზმის ორიენტაციას ახდენს. მაგრამ მაშინ, როდესაც განწყობა ორგანიზმის ორიენტაციას იმდენად ახდენს, რამდენადაც ის თვითონ ორგანიზმის აქტივობის მიმართულებას წარმოადგენს. „სქემა“, ბარტლეტის თქმით, იმისკენ ახდენს ორიენტაციას, რაზედაცაა ორგანიზმი მიმართული. ამგვარად, „სქემა“ ორგანიზმის მიმართულებასთან ერთად მოქმედებს და ორგანიზმის მიმართულებითაა დეტერმინირებული. გარდა ამისა, ორგანიზმის ორიენტაციას „სქემა“ იმ იმპულსთან ერთად ახდენს, რომელიც მას წინ უსწრებს. „სქემა“ მეხსიერებაში ინახება<sup>30</sup> და „ერთგვარ სტანდარტს“ წარმოადგენს, რომელსაც ბარტლეტის თქმით ჩვენ ახალი გამოცდილების მიღების დროს ვიყენებთ. ფიქსირებული განწყობის მოქმედება კი, როგორც განხილულ ექსპერიმენტიდანაც ნათლად ჩანს, დამოკიდებულია არა მხოლოდ ფიქსირებული განწყობის რაგვარობაზე, არამედ იმ ობიექტურ პირობათა რაგვარობაზედაც, რომელიც ამ განწყობის აქტუალიზაციას იწვევს. განხილულ ექსპერიმენტში სუბიექტის ფიქსირებულ განწყობას ახალი ობიექტური ვითარება უპირისპირდება. როგორ იმოქმედებს ეს განწყობა, მხოლოდ თვითონ ფიქსირებულ განწყობაზე არაა დამოკიდებული, არამედ იმაზედაც, თუ რა პირობებში. ასე ვთქვათ, რა მასალაზე გამოვლინდება მისი მოქმედება. ბარტლეტის სქემა წარმოადგენს, ასე ვთქვათ, კონდენსირებულ წარსულ გამოც-

<sup>29</sup> Bartlett F., „Remembering“.

<sup>30</sup> იქვე.

დილებას—„ერთგვარ სტანდარტს“, როგორც ამბობს ბარტლემი, რომლის გამოყენება ორგანიზმის მიმართულების მიხედვით და იმპულსთან დაკავშირებით ხდება. ეს ორგანიზმის მიმართულებაზე და მოცემულ იმპულსზეა დამოკიდებული, რომელი „სქემა“ იქნება გამოყენებული, ან იქნება თუ არა გამოყენებული ესა თუ ის სქემა. მაგრამ თვითონ ესა თუ ის სქემა ყოველთვის ერთი და იგივეა. ვინაიდან „სქემა“ სტანდარტია და როგორც ასეთი, დინამიკური ბუნების არ უნდა იყოს—ის, ყოველთვის ჩამოყალიბებული, უცვლელი სახით უნდა არსებობდეს. ალბათ სწორედ ამიტომ დასჭირდა ბარტლემს „სქემის“ ცნების გვერდით მიმართულების ცნება. ფიქსირებული განწყობა კი გამოსაყენებელ სტანდარტს კი არ წარმოადგენს, არამედ თვითონ სუბიექტის გაფიქსირებულ მდგომარეობას, მის განმტკიცებულ მზაობას და ეს მზაობა თავისი არსის მიხედვით დინამიკურია და ცვალებადი. მოცემულ იმპულსთან დაკავშირებით არა მხოლოდ მისი გამოწვევა ხდება, არამედ შეიძლება მისი გადასხვაფერებაც მოხდეს, ჩვენს ექსპერიმენტში პეპელას შავი თავის ნაცვლად, ჩვენმა ცდისპირმა დაინახა ნილაბი, რომელიც მოცეკვავე ქალის სახეს ფარავს, აქ, ცხადია. ფიქსირებული განწყობის მოქმედებაა, მაგრამ თვითონ ეს განწყობა უკვე არ არის ისეთი, როგორც ის ფიქსაციის პერიოდში იყო. იგი ახალი ობიექტური პირობების გავლენით შეიცვალა და ამ შეცვლის შედეგად მან ახალი რაგვარობის ილუზია წარმოშვა. ისეთ ილუზიათა აღმოცენება, რომელიც არც ძველ, არც ახალ ობიექტურ პირობებს შეესატყვისება, ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას ორმხრივი ასიმილაციის შესახებ: ერთი მხრივ, ფიქსირებული განწყობა ახალი ობიექტური ვითარების ასიმილაციას ახდენს, მეორე მხრივ, ფიქსირებული განწყობა თვითონ განიცდის ახალი ვითარების ასიმილაციურ მოქმედებას. სუბიექტის და ობიექტური პირობების ამგვარი ურთიერთობის პროცესში შესაძლებელი ხდება მისი წარსული გამოცდილების აწმყოს პირობებში და პირობების შესატყვისად მონაწილეობა. აღწერილია ექსპერიმენტის მონაცემებს, ვფიქრობთ, ერთგვარად სინათლე შეაქვთ წარსული გამოცდილების შემეცნებით პროცესებში ჩართვის საკითხში.

აღწერილი ექსპერიმენტის ამგვარად ინტერპრეტირებული შედეგები გასაგებად ხდიან ჩვენი პირველი ექსპერიმენტის მონაცემებსაც: გარკვეული ობიექტური ვითარების—პირველი მოთხრობის.

შესატყვისად განწყობილი ცდისპირი ახალ, პირველი ნაწყვეტისაგან ობიექტურად დამოუკიდებელ ინფორმაციას, ისეთი ფიქსირებული განწყობის საფუძველზე ასახავს, რომელმაც სახე შეიცვალა, სტრუქტურა შეიცვალა ახალ ობიექტურ ვითარებასთან დაკავშირებით.

ფიქსირებული განწყობის მოქმედების ასეთ ინტერპრეტაციას შეუძლია სინათლის შეტანა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და უკვე ძველად შემჩნეულ ფსიქოლოგიურ ფაქტთან—აპერცეპციის ფაქტთან დაკავშირებით: ერთი და იგივე მოვლენა ან საგანი შეიძლება იქნეს აღქმული სხვადასხვანაირად, სხვადასხვა მნიშვნელობით და სხვადასხვა კონტექსტში. ეს ფაქტია. სხვადასხვაობა, ამ შემთხვევაში, აღმქმელის წარსულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ესეც ფაქტია. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომელიც უშუალოდ მოცემულის ასახვაში წარსული გამოცდილების ჩართვას ანხორციელებს. განწყობის თეორიის მიხედვით, ასეთ ფაქტორს სუბიექტის განწყობა წარმოადგენს—განწყობა,—გაგებული როგორც სუბიექტის ისეთი მდგომარეობა, რომელიც, თავისი არსის მიხედვით, ობიექტისათვის ყოველთვის ღიაა და ობიექტისაგან დეტერმინაციას მოელის. განწყობა იმ ფსიქოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენს, რომლის მეშვეობით სუბიექტის წარსული გამოცდილება მის მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებში ჩაერთვის.

## VI. გადანაცვლების პრობლემა აზროვნების ფსიქოლოგიაში

### 1. პრობლემა

წარსული გამოცდილების შემეცნებით პროცესში ჩართვის საკითხს სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიმართულება სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევს. ამ საკითხის განხილვას განწყობის თეორიის პოზიციებიდან შევეცადეთ.

აქლა ახალი საკითხი ისმის:

შემეცნებითი პროცესების მიზანშეწონილი მიმდინარეობისათვის ზოგჯერ სწორედ საწინააღმდეგო აქცია—წარსული გამოცდილების გავლენის დაძლევაა საჭირო.

ობიექტურ პირობებთან შეგუების დროს, ობიექტური ვითარების გარდაქმნის პროცესში ადამიანს ხშირად ახალი ქცევის დაწყება უკვე დაწყებული ქცევის შეწყვეტის პირობებში უხდება. ახალი მოქმედება ასეთ შემთხვევაში წინათ დაწყებული მოქმედების შეჩერების ანგარიშზე იწყება. ეს არის ფაქტი, რომელიც პროფესიონალური შრომის პროცესებშიც, სასკოლო სწავლების დროსაც. ყოველდღიური ცხოვრების პირობებშიც იჩენს თავს.

წინათ დაწყებული მოქმედების ნაცვლად, ახალი მოქმედების დაწყება. მოქმედების მიმართულების არა სპონტანურად, არამედ ობიექტური პირობების მოთხოვნით შეცვლა, არის გარკვეული აქტი, რომელსაც შეიძლება გადანაცვლების აქტი ეწოდოს. გადანაცვლებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ადამიანის დაწყებული ქცევა, მისი ჯერ კიდევ დასამთავრებელი მოქმედება ობიექტური პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით უნდა შეწყდეს და ადგილი ახალი პირობების შესატყვის მოქმედებას დაუთმოს.

ზემოთ გამოთქვით მოსაზრება, რომ წარსული გამოცდილების შემეცნებით პროცესებში ჩართვა ფიქსირებული განწყობის მეშვეობით სწარმოებს. რომ წარსული გამოცდილების ამ პროცესში მონაწილეობის ახსნა ფიქსირებული განწყობის ცნებითაა შესაძლებელი. ფიქსირებული განწყობა გასაგებად ხდის წარსულ შთაბეჭდილებათა, ოდესღაც მიღებული ცოდნის ცნობიერების დონემდე ამოტივტივებას, მათ პერცეპტულ და აზრობრივ მოქმედებაში ჩართვას. ამ მხრივ აზრობრივი პროცესის ნაყოფიერად მიმდინარეობის, აღმოცენებული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში ფიქსირებულ განწყობას გარკვეული წვლილი მიუძღვის.

მაგრამ ფიქსირებული განწყობის ცნებით შეუძლებელია გასაგები გავხადოთ ის, რაც აზროვნებისათვის არსებითია—ახლის წვდომა. ფიქსირებული განწყობა ძველის, განვლილის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ესაა მისი ფუნქცია; აზროვნების არსი კი ახლის წვდომაში, ახლის აღმოჩენაში მდგომარეობს. თუმცა აზროვნება ყოველთვის წარსულ გამოცდილებასთანაა დაკავშირებული, ყოველთვის ამ გამოცდილებას ემყარება. აზროვნების არსი ძველი გამოცდილების გადალახვას, ჩვეულის უკუგდებას, წარსულის ერთგვარ რუტინის დაძლევას გულისხმობს. აზროვნების ამ თავისებურებასთან დაკავშირებით საკითხი ისმის გადანაცვლების შესახებ. შეიძლება აღმოუჩნდეს გადანაცვლებას ან მის შეფერხებას მნიშვნელობა აზ-



რობრივი პროცესების ნაყოფიერი მიმდინარეობის, აღძრული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.

ამ ახალი საკითხის გასაშუქებლად ჩვენ ისეთი ექსპერიმენტის ჩატარებას შევეცადეთ, რომელშიც დავალების შესრულება სუბიექტისაგან აზროვნების აღებული და ჩვეული გეზის შეცვლას, მანამდე ჩამოყალიბებული თვალსაზრისის უკუგდებას და აზრობრივი აქტივობის ახალი მიმართულებით გაშლას მოითხოვს.

## 2. ექსპერიმენტის პროცედურა

ცდისპირს ეძლევა ტექსტობრივი მასალა, რომელიც სხვადასხვა შინაარსის პატარ-პატარა მოთხრობებისაგან შედგება, დავალებით, მოახდინოს მისი კლასიფიკაცია. კლასიფიკაციის პირობები შემდეგია:

1. კლასების რაოდენობა წინასწარ განსაზღვრულია და ცდის პირი გაფრთხილებულია რომ ჯგუფთა ეს რაოდენობა უნდა იყოს დაცული მთელი ცდის განმავლობაში.

2. კლასიფიკაციის პრინციპი უნდა იქნეს მონახული თვით ცდისპირის მიერ.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც მასალა აღარ ჯგუფდება, მიღებული პრინციპის მიხედვით საჭიროა ახალი პრინციპის მონახვა და მთელი მასალის ამ ახალი პრინციპის მიხედვით გადაჯგუფება.

საკლასიფიკაციო მასალის მიწოდება ისეთი თანმიმდევრობით წარმოებს. რომ ცდის პირველ ეტაპზე მისი დაჯგუფება შესაძლებელია მხოლოდ ერთი გარკვეული პრინციპის მიხედვით. მაგრამ ცდის მეორე ეტაპზე შემოდის ისეთი მასალა, რომლის იმავე პრინციპით კლასიფიკაცია აღარ ხერხდება, ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ახალი პრინციპის მონახვა, ახალ თვალსაზრისზე დადგომა და მთელი მასალის ხელახლად გადაჯგუფება. ცდის მესამე ეტაპზე ისევ საჭირო ხდება ახალ თვალსაზრისზე დადგომა და მასალის ახალი პრინციპით გადაჯგუფება.

ამგვარად, ცდისპირს ეძლევა მასალა დავალებით—მოახდინოს მისი კლასიფიკაცია. ამ დავალებასთან დაკავშირებით, მასალის მიღებისას მას გაუჩნდება ამოცანა—მონახოს ისეთი პრინციპი, რომლის მიხედვით მიწოდებული მასალის დაჯგუფება შესაძლებელია ჯგუფთა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის პირობებში, ამის შემდეგ ცდის პირმა უნდა აწარმოოს მასალის კლასიფიკაცია შერჩე-

ული პრინციპის მიხედვით. მაგრამ ექსპერიმენტი გრძელდება. მასა-  
ლა მატულობს და დგება მომენტი, როდესაც ახლად შემოსულ  
ტექსტებს შორის თავს იჩენს ისეთიც, რომელიც აღარ შეესატყვი-  
სება კლასიფიკაციის მიღებულ პრინციპს. თვითონ მიწოდებული მა-  
სალა, თვითონ ობიექტური ვითარება, მოუწოდებს ცდისპირს შე-  
ცვალოს თავისი თვალსაზრისი, მონახოს კლასიფიკაციის ისეთი ახა-  
ლი პრინციპი, რომელიც შესაძლებლად გახდის მთელი მასალის  
ჯგუფთა საჭირო რაოდენობის მიხედვით განაწილებას.

შეუფერებელი ტექსტის შემოსვლასთან დაკავშირებით მასალის  
ჯგუფების მიხედვით განაწილება უნდა შეწყდეს და ცდისპირი უნდა  
შეუდგეს ახალი პრინციპის ძიებას.

ასეთია ჩვენი ექსპერიმენტის ზოგადი დახასიათება. კონკრეტუ-  
ლად, ექსპერიმენტი მდგომარეობს შემდეგში:

ცდისპირს ეძლევა ცალკე ფურცლებზე სხვადასხვა შინაარსის,  
პატარა მოთხრობების მოკლე ტექსტები დავალებით: მოახდინოს მა-  
თი კლასიფიკაცია რაგინდარა პრინციპის მიხედვით, მხოლოდ ისე,  
რომ მასალა ზუსტად სამ ჯგუფად განაწილდეს. ცდისპირი გაფრთხი-  
ლებულია, რომ მას საჭიროების მიხედვით შეუძლია კლასიფიკაცი-  
ის პრინციპის შეცვლა და მასალის გადაჯგუფება.

თვით მასალა ისეა შედგენილი, რომ ცდის პირველ ეტაპზე მისი  
სამ კლასად დაჯგუფება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი,  
თუ ტექსტში მოთხრობილი ამბავი იქნება განხილული ქცევის კატე-  
გორიის თვალსაზრისით: მაგალითად, „თავგანწირვა“, „შეჯიბრი“,  
„ურჩობა“ ან სხვა ვარიანტი — „ტყუილის თქმა“, „ქურდობა“,  
„მკვლელობა“.

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე კლასიფიკაციის ეს პრინციპი  
აღარაა გამოსადეგი: ზედიზედ შემოდის ისეთი მოთხრობების ტექს-  
ტები, რომელთაც ქცევის აღნიშნულ კატეგორიათა კლასებთან არა-  
ფერი აქვთ საერთო. ამ ეტაპზე მასალის სამ ჯგუფად განაწილება  
მხოლოდ ქცევის მოტივის თვალსაზრისითაა შესაძლებელი: როგორც  
ქცევა ან ეგოისტური ან ალტრუისტული ანდა საზოგადოებრივი მო-  
ტივით.

ექსპერიმენტის მესამე ეტაპზე შემოდის ისეთი ახალი მასალა,  
რომლის კლასიფიკაცია ქცევის მოტივის თვალსაზრისითაც აღარ  
ხერხდება. აქ სამი ჯგუფის დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შე-

საძლებელი თუ ტექსტში მოთხრობილი ამბები განხილული იქნება როგორც სასაცილო, ამორალური ან ამაღლებული ქცევის ამბავი.

ცდისპირები გაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად:

I ჯგუფის ცდისპირებს მასალა ეძლეოდათ ისე, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი. I ჯგუფის ცდისპირს დავალების ბოლომდე შესასრულებლად ექსპერიმენტის სამივე ეტაპი უნდა გაეცლო: 1) მასალის ქცევის კატეგორიის მიხედვით განაწილება, 2) კლასიფიკაციის ახალი პრინციპის მონახვა და, შესატყვისად მასალის ქცევის მოტივის თვალსაზრისით გადაჯგუფება, 3) ისევ ახალი პრინციპის მონახვა და მასალის უკვე მესამე თვალსაზრისით გადასინჯვა და ტექსტში მოთხრობილი ამბის შეფასების მიხედვით (სასაცილო, ამორალური და ამაღლებული) დაჯგუფება. ამგვარად, ამ ჯგუფის ცდისპირებს ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით უნდა შეეცვალათ ქცევის მოტივის თვალსაზრისით, ხოლო ეს უკანასკნელი—მოთხრობილი ამბის როგორც სასაცილოს, ამორალურის და ამაღლებულის შეფასების თვალსაზრისით.

II ჯგუფი თავიდანვე პირველი და მეორე ეტაპის მასალას შერეულად ღებულობდა ისე, რომ აქ მასალის სამ ჯგუფად გასანაწილებლად ცდისპირი თავიდანვე უნდა დამდგარიყო ქცევის მოტივის თვალსაზრისზე. მასალის ახალი თვალსაზრისით გადასინჯვა და გადაჯგუფება აქ მხოლოდ ერთხელ—მესამე ეტაპის მასალასთან დაკავშირებით იყო საჭირო.

III ჯგუფს თავიდანვე შერეულად სამივე ეტაპის მასალა ეძლეოდა. ისე, რომ მასალის სამ ჯგუფად განაწილება აქ თავიდანვე უნდა მომხდარიყო როგორც სასაცილოს, ამაღლებულისა და ამორალურის.

ინსტრუქციასთან ერთად ცდისპირს ეძლეოდა ხმამაღლა მსჯელობის წინადადება. ცდის გასწვრივ ამ წინადადებას საჭიროებისა და მიხედვით ვუმეორებდით.

ექსპერიმენტატორის დახმარება ექსპერიმენტის მიმდინარეობაში ძირითადად მდგომარეობდა შემდეგში:

1. როდესაც ცდისპირი ისეთი დაჯგუფების ჰიპოთეზას უშვებდა, რომელშიც ერთი გარკვეული პრინციპი არ იყო დაცული, ცდის ხელმძღვანელი მიუთითებდა შეცდომაზე ან ნათელყოფდა ცდისპირის მიერ დაშვებული ჰიპოთეზის ნაკლოვანებას, მაგალითად: ცდისპირი გამოთქვამს დაჯგუფების ჰიპოთეზას: 1. ეგოიზმი, 2. სი-

ხარბე. 3. ტყუილის თქმა. ცდის ხელმძღვანელი მიუთითებს: ა. სინარბე ეგოიზმის გამოვლენაა. ბ. ტყუილის თქმა ქცევის ისეთი კატეგორიაა, რომელსაც ხშირად ეგოისტური მოტივი უღევს საფუძვლად.

2. როდესაც ცდისპირი ახალ ეტაპზე გადასვლას დიდხანს ვერ ახერხებდა, თუმცა გრძნობდა და კიდევაც აღნიშნავდა დაჯგუფების ძველი პრინციპის უვარგისობას. ა. ცდის ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ საჭიროა მოინახოს დაჯგუფების ახალი პრინციპი, რომ მთელი მასალა შეიძლება დაჯგუფებულ იქნეს სხვა პრინციპით, ბ. უკიდურეს შემთხვევაში, ცდისპირს ეძლეოდა ერთ-ერთი კლასის სახელწოდება. მაგალითად, მეორე ეტაპზე—„ეგოისტური ქცევა“ როგორც ერთ-ერთი ჯგუფის დასახელება.

დრო, რომელიც დასჭირდა ცდისპირს ექსპერიმენტის თითოეული ეტაპისათვის, აგრეთვე ყოველი დახმარების გაწევა აღინიშნებოდა ოქმში.

ცდა ჩატარდა 31 ცდისპირთან, მათ შორის: I ჯგუფში იყო 17; II ჯგუფში—7, III ჯგუფში—7 ცდისპირი, ცდისპირთა კონტიგენტს შეადგენდნენ მეცნიერი მუშაკები, ასპირანტები და აგრეთვე III და IV კურსის სტუდენტები.

### 3. მიღებული შედეგები

ა. რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი. ჩვენი ექსპერიმენტული მასალა იძლევა გარკვეულ რაოდენობრივ მაჩვენებლებს:

I ჯგუფის ცდისპირებს ექსპერიმენტი ზედიზედ სამ ამოცანას უყენებს: ცდისპირებმა უნდა მოახდინონ მასალის კლასიფიკაცია ექსპერიმენტის სამივე ეტაპზე. II ჯგუფის ცდისპირებმა მასალის კლასიფიკაცია ორჯერ უნდა მოახდინოს. III ჯგუფში კლასიფიკაციის ამოცანა ერთხელ დგება. ვინაიდან ოქმში აღინიშნებოდა კლასიფიკაციის ამოცანის გადასაჭრელად თითოეულ ეტაპზე დახარჯული დრო, საშუალება გვეძლევა გამოვარკვიოთ ექსპერიმენტის რომელი ეტაპი და რა შემთხვევაში წარმოადგენდა სიძნელეს ან, პირიქით, ადვილი აღმოჩნდა.

პირველ ჯგუფში ე. ი. ჯგუფში, რომელშიც საჭირო იყო ექსპერიმენტის სამივე ეტაპის გავლა, პირველი ეტაპის მასალის კლასიფიკაცია (ქცევის კატეგორიის მიხედვით) 17 კაციდან 16-მა (94%) მოახდინა. ამოცანის გადაჭრა ცდის მეორე ეტაპზე (კლასიფიკაცია ქცევის მოტივის თვალსაზრისით) მოახერხა ამ ჯგუფის 10-მა ცდისპირმა (53%). მესამე ეტაპზე კლასიფიკაცია ამ ჯგუფში ვერც ერთმა ცდისპირმა ვერ მოახერხა.

მეორე ჯგუფში, რომელიც მუშაობას პირდაპირ ექსპერიმენტის II ეტაპიდან იწყებდა, ამოცანა გადაჭრა ყველამ, ხოლო III ეტაპის ამოცანის გადაჭრა მოახერხა მხოლოდ ერთმა ცდისპირმა.

მესამე ჯგუფში III ეტაპის კლასიფიკაცია მოახდინა ყველამ, გარდა ერთი ცდისპირისა.

დრო, რომელიც თითოეულ ჯგუფს კლასიფიკაციის ამოცანის გადასაჭრელად თითოეულ ეტაპზე დასჭირდა, გამოიხატება შემდეგი მაჩვენებლებით:

პირველ ჯგუფში ცდისპირები I ეტაპზე კლასიფიკაციას ახერხებდნენ, საშუალოდ, 15 წ., II ეტაპზე კლასიფიკაციის ოპერაციას დასჭირდა შესამჩნევად მეტი დრო: საშუალოდ, 25—30 წ.; III ეტაპზე, როგორც აღვნიშნეთ. ამ ჯგუფიდან ამოცანის გადაჭრა ვერც ერთმა ცდისპირმა ვერ მოახერხა.

მეორე ჯგუფში, რომელსაც თავიდან II ეტაპის მასალა ეძლეოდა. ამ ეტაპის მასალის კლასიფიკაცია თითქმის ყველამ 10 წუთში მოახერხა, მხოლოდ ერთს დასჭირდა 15 წუთი. ამ ჯგუფის იმ ერთ ცდისპირს, რომელმაც მოახერხა III ეტაპის მასალის კლასიფიკაცია, ამ უკანასკნელისათვის დასჭირდა 40 წუთი (II ეტაპის მასალის კლასიფიკაცია მან 10 წუთში მოახდინა).

რაც შეეხება მესამე ჯგუფს, რომელსაც თავიდანვე III ეტაპის ე. ი. მთელი მასალა ეძლეოდა. კლასიფიკაცია ამ ეტაპის პრინციპის მიხედვით ცდისპირებმა 10-15 წუთში მოახერხეს.

ამგვარად, გვაქვს შემდეგი სურათი: როდესაც ცდისპირს თავიდანვე III ეტაპის მასალა ეძლევა, ის ადვილად და სწრაფად ახერხებს მიწოდებულ ტექსტში მოთხრობილი ამბების, როგორც ამორალურის, ამბლებულის და სასაცილოს, კლასიფიკაციას. მაგრამ იმავე მასალის იმავე თვალსაზრისით კლასიფიკაციას ცდისპირი ვერ ახერხებს, თუ მან წინასწარ მასალის თვალსაზრისით—ქცევის მოტივის თვალსაზრისით აწარმოა მასალის ქცევის მოტივის თვალსაზრისით

კლასიფიკაციასაც ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ცდისპირმა წინასწარ აწარმოა მასალის სხვა თვალსაზრისით—ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით დაჯგუფება: ცდისპირები ამ შემთხვევაში, ახერხებენ ამოცანის გადაჭრას, მაგრამ ამისთვის მათ გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ, ვიდრე იმ ცდისპირებს, რომელთაც იმავე მასალის იმავე თვალსაზრისით კლასიფიკაცია თავიდანვე უხდებოდათ.

ბ. რ ო მ ე ლ ო ბ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ცდისპირებს უხდებოდათ კლასიფიკაციის ერთი, ორი ან სამი ამოცანის თანმიმდევრულად გადაჭრა. შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ამოცანის გადაჭრის პროცესი, როდესაც ცდისპირის წინაშე მასალის სამ ჯგუფად კლასიფიკაციის ამოცანა პირველად ისმოდა (I ჯგუფისათვის ექსპერიმენტული მასალის პირველ ეტაპზე, II ჯგუფისათვის მეორე ეტაპზე და III ჯგუფისათვის მესამე ეტაპზე).

ვერ ვიტყვი, რომ კლასიფიკაციის პირველი ამოცანის გადაჭრას ჩვენი ცდისპირები ადვილად ახერხებენ. პირიქით, ექსპერიმენტი თავიდანვე ძნელია და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. ცდისპირთა ერთი ნაწილი მიწოდებული ტექსტების წაკითხვის პროცესში ცდილობს გაიგოს, რა პრინციპითაა შედგენილი ეს მასალა; დაკვირვების საგანს, ამ შემთხვევაში, მთლიანი მასალის შემადგენლობა წარმოადგენს. ასეთი ცდისპირების მუშაობის დასაწყისიდანვე გამოთქვამენ დაჯგუფების პრინციპის რომელიმე ჰიპოთეზას, შემდეგ, მოფიქრების ან ცდის ხელმძღვანელის მითითების შედეგად, ცდისპირები უარყოფენ დაშვებულ ჰიპოთეზას და ახალი ჰიპოთეზის ძებნას იწყებენ. მუშაობა მდგომარეობს, ასე ვთქვათ, იდეის ძებნაში.

ცდისპირთა მეორე ნაწილის მუშაობა არა ნაკლები დაძაბულობით, მაგრამ სხვა გზით მიმდინარეობს. თუ პირველ შემთხვევაში ცდისპირი ცდილობდა დაშვებული ჰიპოთეზის შესატყვისად მასალის შერჩევასა და მორგებას, აქ, პირიქით, სუბიექტი მასალას მიყვება, მას მისდევს. ჰიპოთეზა მას ჯერ არა აქვს; ის მხოლოდ აკვირდება მასალას, ამგვანებს სხვადასხვა ამბებს და მსგავსების მიხედვით, ადგენს ჯგუფებს. შემდეგ რომელიმე მოთხრობის ან ამბავთა შორის შემჩნეული მსგავსების ბიძგით ჩნდება ჰიპოთეზა.

ამგვარად, კლასიფიკაციის პირველივე ამოცანა ჩვენს ექსპერიმენტში გარკვეულ სიძნელესთანაა დაკავშირებული და დაძაბულ მუ-

შაობას მოითხოვს. მაგრამ, როდესაც იწყება ექსპერიმენტის შემდეგი ეტაპი, თავს იჩენს სპეციფიკურ სიძნელეთა რიგი.

პირველი სიძნელე ეხება პრობლემური სიტუაციის შემჩნევას. ექსპერიმენტის ახალი ეტაპი იწყება იმით, რომ შემოდის ახალი მასალა, მასალა, რომლის მოთავსება ცდისპირის დადგენილ სამ ჯგუფში შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც წინა ეტაპზე ეს სამი ჯგუფი დადგინდა, ცდისპირი მიღებულ ტექსტს კითხულობდა და შესაფერ ჯგუფში ათავსებდა. ახლა ზედიზედ შემოდის ისეთი ტექსტი, რომელიც დადგენილ ჯგუფებისათვის შეუფერებელია. ექსპერიმენტის კონსტრუქციის მიხედვით, უნდა მოხდეს მთელი მასალის გადასინჯვა, დაჯგუფების ახალი პრინციპის მონახვა და სამი ახალი ჯგუფის დადგენა. ასეთ ამოცანას უყენებს ცდისპირს ექსპერიმენტის ახალი ეტაპი.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად, პირველ რიგში, საჭიროა ამოცანის დანახვა, სიტუაციის პრობლემური ხასიათის აღიარება. როგორც წესი პრობლემური სიტუაციის დანახვას ჩვენი ცდისპირები ყოველთვის მეტად ან ნაკლებად დაგვიანებით ახერხებენ. ობიექტურად ახალი თვალსაზრისით დაჯგუფების ამოცანა უკვე დგას ცდისპირის წინაშე, ის კი ძველი თვალსაზრისით განაგრძობს მუშაობას.

მაგალითად, მეორე ეტაპის დასაწყისში ცდისპირებს ეძლევა შემდეგი შინაარსის მოთხრობა:

„ერთი პატარა გოგონა ზღვაში იხრჩობოდა. მისი პაპა, რომელიც ძალიან მოხუცებული იყო, საშველად წყალში გადავარდა. დიდხანს ებრძოლა ტალღებს მოხუცი. ბოლოს, მან თავისი შვილიშვილი ნაპირზე გამოათრია. მათ გარშემო ზალხი შეგროვდა. გოგონა გადარჩა, მაგრამ მის გადარჩენაში მოხუცმა სული დალია“.

ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით, მასალის ტყუილის თქმის, ქურდობისა და მკვლელობის კლასებად დაჯგუფების შემდეგ. ხუთმა ცდისპირმა ეს მოთხრობა „მკვლელობის“ ჯგუფში მოათავსა. მათ შორის სამმა ყოველივე შეფერხების გარეშე; ორმა კი—აშკარა შეფერხების შემდეგ. ამ ორმა ცდისპირმა ერთგვარი არგუმენტაციით დაასკვნა: „აქაც სიკვდილია“.

ჩვენი ცდისპირები, ქცევის კატეგორიის მიხედვით მასალის — ურჩობის, თავგანწირვისა და შეჭიბრის—კლასებად დაჯგუფების შემდეგ, ლებულობენ მეორე ეტაპის მოთხრობას: „პატარა ნიკოს ბურთის შეძენა უნდოდა. ამ მიზნით ის დიდი ხნის განმავლობაში

ფულს აგროვებდა და ბოლოს გაემართა სასპორტო მაღაზიისაკენ. ნიკოს გზაში დაღონებული ამხანაგი ვანო შეხვდა. როგორც გამოირკვა, ვანოს პატარა და ავად ყოფილიყო და დედას ვანო წამლისთვის აფთიაქში გაეგზავნა. გზაში ვანოს ფული დაკარგოდა და სირცხვილით სახლში დაბრუნდა ვერ გაებედა. ნიკომ მაშინვე ამოიღო ჯიბიდან წამლისათვის საჭირო ფული და გაუწოდა ამხანაგს. მართალია, ნიკომ სასურველი ბურთი ვეღარ შეიძინა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, ვინაიდან ამხანაგს დაეხმარა“. ამ მოთხრობას ცდისპირები, პირველ ეტაპზე მასალის თავგანწირვის, შეწირვის და ურჩობის ჯგუფებში განაწილების შემდეგ, ზოგჯერ თავგანწირვის ჯგუფში ათავსებენ, ხოლო ზოგჯერ ცდილობენ მისი „ურჩობის“ კლასისათვის მიკუთვნებას შემდეგი მოსაზრებით: „ეს ფული ნიკოსათვის ბურთის საყიდლად დედას რომ მიეცა, ურჩობად შეიძლება ჩაგვეთვალა“.

იმ ცდისპირათვის, რომელნიც მუშაობას პირდაპირ მეორე ეტაპიდან იწყებენ, აღნიშნული ორი მოთხრობა თავიდანვე ტექსტის შესატყვის ჰიპოთეზას იწვევს: „აქ ახლობლისადმი სიყვარულია,— ამბობენ ისინი—ალტრუისტული მოტივია“.

როდესაც ცდისპირს ექსპერიმენტის პირველი და მეორე ეტაპის შემდეგ ეძლევა მესამე ეტაპის მასალა ეს უკანასკნელი, აშკარა შეუფერებლობის მიუხედავად წინა ეტაპზე დაარსებულ კლასებში თავსდება. პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის დროს მიღებული გამოცდილება არ შველის მაგ., როდესაც 1 ჯგუფის ცდისპირი ექსპერიმენტის III ეტაპზე—კითხულობს ნაწყვეტს იგავ-არაკიდან. „მაიმუნი სარკის წინ“, ამ ტექსტს, იგი მეორე ეტაპზე მასალის კლასიფიკაციის შემდეგ ხშირად „ეგოიზმის“ კლასში შემდეგი დასაბუთებით ათავსებს: „ეგოიზმია“ თავის თავის მიმართ ძლიერი ყურადღება“. ან „მაინც ეგოიზმია, თავისი თავის ქებაა“ ან „ეგოიზმი, მართალია, არ ვარგა, მაგრამ...“; სამი ცდისპირი, ყოველი შეფერხებისა და დასაბუთების გარეშე, ამბობს: „ეს ეგოიზმია“ და ათავსებს ეგოიზმის კლასში.

ტექსტი „დათვის სამსახურის“ შესახებ ორ შემთხვევაში მეორე ეტაპზე მუშაობის გავლენით მოთავსდა „ეგოიზმის“ ჯგუფში; რვა ცდის პირმა იმავე ექსპერიმენტალურ პირობებში ეს ტექსტი „ალტრუიზმის“ ჯგუფს შემდეგი მოსაზრებით მიაკუთვნა: „ეს უკვე სხვისი გადარჩენა უნდოდა—ალტრუიზმია“. „ეს მეგობრობაა—ალტრუ-



იზმია“; კეთილი განზრახვით, მართალია, ცუდი შედეგი მოჰყვა. მაგრამ მაინც ალტრუიზმია “და სხვა.

მეორე ეტაპზე მუშაობის შემდეგ ცდისპირი აკუთვნებს ალტრუიზმის ჯგუფს მესამე ეტაპის შემდეგ ტექსტს („წინადაგიდან“): „მასწავლებელი: ჩვენ ხვალ ფეხბურთზე წავალთ—როგორი წინადადებაა, თამაზ? თამაზი: კარგი წინადადებაა, მასწავლებელო, ბილეთებს მე ვიშოვნი“.

მეორე ეტაპზე მუშაობის შემდეგ მესამე ეტაპის ტექსტს: „ერთხელ სოფლის გზაზე ორ ბიჭს შეხვდა დედაბერი, რომელიც ორ ვირს მიერეკებოდა.—გამარჯობა, ვირის დედაო—მიესალმნენ დედაბერს ბიჭები.—გმადლობთ, ჩემო შვილებო—დინჯათ უპასუხა მოხუცმა ქალმა“,—ცდისპირები მიაკუთვნებენ ზოგჯერ „ეგოიზმის“ ზოგჯერ „ალტრუიზმის“ ჯგუფს.

მეორე ეტაპზე მუშაობის შემდეგ მესამე ეტაპის ტექსტს: „კატამ ბებიას ხორცი მოპარა. ბუზლუნა ბებია კატას გრძელი ნოტაცია წაუკითხა. ამასობაში კატა კარგად გაძღა და დაიძინა“. ორმა ცდისპირმა მიაკუთვნა „ალტრუიზმის“ ჯგუფს, ხუთმა—„ეგოიზმის“ ჯგუფს. საინტერესოა, რომ დასაბუთება, რომელსაც იძლეოდნენ ცდისპირები, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო; ერთი ცდისპირი, მაგალითად ამბობს, ალტრუისტულ საქციელად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ბებია კატას ნოტაციას უკითხავდა“; მეორე ცდისპირს კი იგივე საბუთი ეგოიზმის ჯგუფის სასარგებლოდ მოყავს: „ეგოისტურია, რამდენადაც ბებია. ალბად, ნოტაციის წაკითხვის მოთხოვნილება ჰქონდა“... მესამე ცდისპირის შეხედულებითაც მოთხრობა „ეგოიზმის“ ჯგუფში უნდა მოთავსდეს. მაგრამ არა იმიტომ, რომ ბებია ნოტაცია წაიკითხა, არამედ „ვინაიდან კატამ ხორცი მოიპარა“.

იგივე მასალა, ექსპერიმენტის პირველი და მეორე ეტაპის გარეშე მიღებული, სულ სხვა მდგომარეობას ქმნის. მესამე ჯგუფის ცდისპირი მესამე ეტაპის მასალის აღნიშნული ნიმუშების წაკითხვისთანავე, ჩვეულებრივად ამბობს: „ეს სულ კომიკური ამბებია“. იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირმა ჯერ ვერ მოახერხა ამ მასალისათვის სათანადო კლასის დაარსება, მასალა მისთვის კითხვის ქვეშ რჩება,—ის სხვა კლასს ამ მასალას არ აკუთვნებს. სანამ არ მოწახსულა შესატყვისი კლასი, ეს მასალა ჯგუფების გარეშე რჩება. ასე. მაგალითად, როდესაც ერთმა ცდისპირმა სწრაფად დაარსა ორი

კლასი: „კარგი. ამალღებული ამბავი“ და „ცუდი, ამორალური ამბავი“. მაგრამ მესამე კლასის დაარსება დიდხანს ვერ მოახერხა, ყველა „კომიკური“ ამბავი კლასთა გარეშე რჩებოდა, სანამ ცდისპირმა მესამე ჯგუფის სახელწოდებაც (კომიკური) არ მონახა. ექსპერიმენტის შემდეგ ამ ცდისპირმა ასეთი ჩვენება მოგვცა. „თავიდანვე ვაჯგუფებდი შეფასების თვალსაზრისით, მაგრამ ეს გაცნობიერებული არ მქონდა. ვაკრიტიკებდი კიდევაც ჩემ თავს: რა პრინციპის, რა თვალსაზრისის მიხედვით ვაჯგუფებ ამ მასალას? თუ ადამიანის საქციელის მიხედვით, ეს მასალა (კომიკური) რა შუაშია?“

მაგვარად, III ჯგუფის ცდისპირთათვის აღნიშნული მასალა ან კომიკურია, ან გამოსარკვევია. I და II ჯგუფის ცდისპირები კი ამ მასალას შეუფერხებლად ათავსებდნენ კლასებში, რომელთა დაარსება წინა ეტაპზე ქცევის მოტივის თვალსაზრისით მომხდარა.

რას მოწმობს ყველა ის მაგალითი, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ? ცდისპირის წინაშე ექსპერიმენტის ობიექტური პირობები გარკვეულ ამოცანას სვამენ: მოინახოს მასალის კლასიფიკაციის ახალი პრინციპი და გადაჯგუფდეს, სტრუქტურა შეეცვალოს მთელ მასალას ამ ახალი პრინციპის მიხედვით. ექსპერიმენტის კონსტრუქცია ისეთია, რომ ახალი—მეორე ან მესამე—ეტაპი ცდისპირს ახალ ამოცანას უყენებს. პირველ ეტაპზე, მაგალითად, მასალის სამ კლასად დაჯგუფება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით. მეორე ეტაპზე შემოდის ისეთი მასალა, რომელიც ქცევის კატეგორიის კლასებში აღარ თავსდება. დავალება—მასალა სამ კლასად დააჯგუფოს—უცვლელი რჩება, მაგრამ მასალის—ე. ი. ექსპერიმენტის ობიექტური პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, სუბიექტის წინაშე ახალი ამოცანა დგება: ტექსტის ეგზემპლარები არა ქცევის კატეგორიის, არამედ ქცევის მოტივის თვალსაზრისით დააჯგუფოს. ეს ახალი ამოცანაა. ექსპერიმენტის ობიექტური პირობები ცდისპირს ახალ ამოცანას უყენებენ. ექსპერიმენტის სიტუაცია ცდისპირისათვის პრობლემური ხდება, პრობლემურ სიტუაციად იქცევა. პირველი სიძნელე აქ ჩნდება. რაში მდგომარეობს ეს სიძნელე?

ექსპერიმენტული მონაცემების ზემოთ მოყვანილი მაგალითები და მრავალი სხვა, რომელიც აქ არ იყო მოხსენებული, მოწმობს შემდეგს: ექსპერიმენტის ახალი ეტაპის აღმოცენებასთან დაკავშირებული სიძნელე, უპირველეს ყოვლისა, ამოცანის აღიარებას ეხება. ჩვენი ცდისპირი ვერ აღიარებს ახალ ამოცანას. ვერ ამჩნევს სიტუაციის

პრობლემურ ხასიათს. იმის ნაცვლად, რომ ობიექტურ პირობებიდან მომდინარე ამოცანა აღიარონ, ჩვენი ცდისპირები წინა ეტაპზე დაწყებულ ქცევას განაგრძობენ და მასალას ძველი, უკვე შეუფერებელი თვალსაზრისის მიხედვით აჯგუფებენ. როგორც ვნახეთ, დაჯგუფების პრინციპის ძიება ექსპერიმენტის დასაწყისში, ე. ი. როდესაც ცდისპირი კლასიფიკაციას პირველად ახდენს, იწყება—ტექსტის ეგზემპლარების წაკითხვასთან ერთად. იქ ცდისპირი თავიდანვე აღიარებს პრინციპის ძიების ამოცანას. აქ კი, ექსპერიმენტის ახალ ეტაპზე გადასვლის დროს, კლასიფიკაციის ახალი პრინციპის ძიების დაწყება აშკარად იგვიანებს.

მაგრამ ადრე თუ გვიან ცდისპირი ამჩნევს კლასიფიკაციის ახალი პრინციპის მონახვის საჭიროებას.

პირველი ნიშანი, რაც ახალი თვალსაზრისის ძიების დაწყებას მოასწავებს, არის შეფერხება. თუ ცდისპირი მანამდე, ყოველივე შეფერხების გარეშე, ათავსებდა უკვე დაარსებულ კლასებში, როგორც შესაფერ, ისევე შეუფერებელ მასალას, ახლა ძველი თვალსაზრისისათვის შეუფერებელი ტექსტის რომელიმე ეგზემპლარი იწყებს შეჩერებას და ცდისპირი განმეორებით კითხულობს მიწოდებულ ტექსტს. ამ შეჩერების და განმეორებითი წაკითხვის შემდეგ ცდისპირი ხედავს, რომ ეს ახალი მასალა წინათ დაარსებულ კლასებს არ შეეფერება. სწორედ ამიტომ ცდილობს ის დაასაბუთოს, გაამართლოს კლასიფიკაცია, რომელიც მის მიერ იყო წარმოსახული.

ზოგჯერ ცდისპირი თავის მოსაზრებებს კითხვით ან უარყოფით ფორმაში გამოთქვამს და გარკვეულად მერყეობას იჩენს. მაგალითად, ერთი ტექსტის შესახებ, რომელიც „კომიკურის“ ჯგუფში უნდა მოთავსებულყო, ცდისპირი ამბობს: „უფრო ეგოისტურია. არა, ეგოისტური არაა. ნუ, იყოს ეგოისტური“. მოთხრობაზე „დათვის მეგობრობა“ ერთი ცდისპირი შეფერხებისა და ფიქრის შემდეგ ამბობს: „ალტრუიზმი არ არის მკვლელობა?“. სხვა ცდისპირმა კატა და ბებიას ამბავი რომ წაიკითხა, აღნიშნა: „ალტრუისტული არ შეიძლება იყოს“. როდესაც იმავე ცდისპირს მაიმუნის შესახებ ტექსტი მივაწოდეთ მან აღნიშნა: „ეგოისტური არ შეიძლება იყოს“. ახალ-ახალი შეუფერებელი მასალის მიღებასთან დაკავშირებით, ცდისპირები იწყებენ ახალი პრინციპის საჭიროების აღნიშვნას: „ეს დაჯგუფება აღარ ვარგა“, „ახალი პრინციპით უნდა დავაჯგუფოთ“, „ყველაფერმა უნდა შეიცვალოს სტრუქტურა“—ამბობენ ჩვენი ცდისპირები.

ასეთია, დაახლოებით, ის გზა, რომლითაც ჩვენი ცდისპირები ობიექტურ სიტუაციიდან წამოსული ამოცანის აღიარებას უახლოვდებიან. ახლა ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს კლასიფიკაციის ახალი პრინციპის ძიება მას შემდეგ, რაც სუბიექტმა უკვე აწარმოვა კლასიფიკაციის ოპერაცია წინა ეტაპზე დადგენილი პრინციპის მიხედვით. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია ჩვენი ცდისპირების ქცევა, როდესაც ამოცანა—მონახოს დაჯგუფების ახალი პრინციპი—უკვე აღიარებულია მათ მიერ.

პირველი, რაც ყურადღებას იპყრობს, არის შემდეგი: ცდისპირმა იცის, რომ საჭიროა კლასიფიკაციის ახალ თვალსაზრისზე დადგომა; ის ამბობს, რომ უნდა შეიცვალოს სტრუქტურა“, „მასალის სხვანაირად დალაგება“, რომ საჭიროა „ახალი პრინციპის მონახვა“ და სხვა, მაგრამ მაინც ისევ ძველ უკუგდებულ თვალსაზრისს უბრუნდება.. მაგალითად, მესამე ეტაპზე „კატა და ბეზისა“ ამბის შესახებ ერთი ცდისპირი აღნიშნავს: „ალტრუისტული არ შეიძლება იყოს“. ეძლევა ტექსტი „დათვის მეგობრობა“... დიდხანს ფიქრობს; ამბობს, რომ „არც ერთ ჯგუფს არ უდგება“. უკმაყოფილება ეტყობა: „რა უნდა ამეებს აქ? ეს სულ უნდა შეიცვალოს“, „ქცევის მოტივის მიხედვით აღარ გამოდგება“. ათვლიერებს მთელ მასალას; აღნიშნავს, რომ „ძველი პრინციპი აღარ გამოდგება“. ისევ უბრუნდება ტექსტს „დათვის მეგობრობა“. აღნიშნავს: „მაინც ქცევაა. ქცევის კატეგორიაა, ახლოზღის ინტერესით მოქმედებაა“.—ერთმა ცდისპირმა, რომელმაც ექსპერიმენტის ახალ ეტაპზე განსაკუთრებით მკვეთრად განიცადა წინა ეტაპის გავლენა, ექსპერიმენტის მესამე ეტაპზე რამდენჯერმე გამოთქვა განზრახვა შეცვალოს კლასიფიკაციის ძველი პრინციპი—(ქცევის მოტივის პრინციპი) ტექსტი „დათვის სამსახური“ შეუფერხებლად „ალტრუიზმის“ ჯგუფში მოათავსა. როდესაც მას ტექსტი „მაიმუნი სარკის წინ“ მივეცით, მას აშკარად შეეტყო შეფერხება, გაკვირვება. ტექსტი განზე გადასდო, მივეცით ტექსტი „კატა და ბეზია“. იგივე რეაქციაა. სდუმს, შემდეგ აღნიშნავს: „აქ სხვა რაღაცაა. ქცევის მოტივი არ ვარგა. სხვა პრინციპი უნდა მოვნახო“. მიუხედავად ამისა, ისევ ძველ თვალსაზრისს უბრუნდება: „აი, ეს განაეგოიზმი არ არის კატის მხრივ, ხორცი რომ მოიპარა? დათვის მეგობრობა ალტრუიზმია. მაგრამ განა შეიძლება ასე ვილაპარაკოთ ცხოველზე? ყველაფერი უნდა დაიშალოს!“. დახმარების მიზნით, ცდისპირს ვეუბნებით, რომ მან ქცევის მოტივის პრინციპს თავი უნდა

დანებოს და თან ვშლით შედგენილ კლასებს. ცდისპირი ათვალე-  
რებს მასალას, რომელიც ახლა აღარ არის დაჯგუფებული, ისევ  
ჩერდება მასალაზე, რომელიც ექსპერიმენტის უკანასკნელ ეტაპზე  
შემოვიდა და განმეორებით კითხულობს მას. ახალი პრინციპის მო-  
ნახვა ისევ არ ხერხდება. უბრუნდება „დათვის“ ამბავს. ვეკითხებით:  
„განა ეს სასაცილო არ არის?“ „სასაცილოს თუ შემოვიტანთ,—  
აღნიშნავს ცდისპირი,—ესეც სასაცილოა (მაიმუნი სარკესთან), ესეც,  
ესეც (მესამე ეტაპის კომიკური მასალის შესახებ)“. ცოტა ხნის შემ-  
დეგ მიხვდა: „აჰა, სასაცილოს თუ შემოვიტანთ, მაშინ გვექნება შემ-  
დეგი ჯგუფი: 1) სასაცილო ან კომიკური, 2) კარგი, კეთილშობილური  
და 3) ცუდი, ამორალური“. ამ ცდისპირს მასალა ეძლეოდა პირდა-  
პირ მეორე ეტაპიდან. ამ ეტაპზე კლასიფიკაციის პრინციპის მონახ-  
ვას დასჭირდა 10 წუთი. მესამე ეტაპზე ახალი პრინციპი ცდისპირმა  
40 წუთის განმავლობაში ვერ მონახა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მას  
დაჯგუფების ერთი წევრი (სასაცილო) დაუსახელეთ, მან, როგორც  
იყო, მოახერხა კლასიფიკაციის პრინციპის წვდომა:

მოვიყვანთ კიდევ ერთი ცდისპირის მონაცემს. მასალა ეძლე-  
ვა მეორე ეტაპიდან. ათ წუთში ცდისპირი ახერხებს მასალის ქცე-  
ვის მოტივის მიხედვით დაჯგუფებას. თანდათან მესამე ეტაპის მასა-  
ლის შემოსვლა იწყება. ცდისპირი კითხულობს ტექსტს „დათვის სამ-  
სახური“ და აღნიშნავს: „აქაც ახლობლისადმი სიყვარულია, მეგობ-  
რული დამოკიდებულებაა“. ეძლევა „კატის და ბებიას“ ამბავი. შე-  
ფერხება. ცდისპირი ჩაფიქრებულია. კლასიფიკაციას ველარ განავრ-  
ძობს. დანარჩენ მასალაზედაც იგივე რეაქციაა. შემდეგ დაასკვნის:  
„სულ უნდა აირიოს!“ უკვე იცის. რომ ძველი პრინციპით მასალა არ  
დაჯგუფდება და საჭიროა ახალი პრინციპის მონახვა. მაგრამ ვერ  
ცილდება ძველ თვალსაზრისს: „ეს ორი ჯგუფი.—აღნიშნავს ცდის-  
პირი—ეგოისტური და საზოგადოებრივი უნდა დარჩეს. ეს აზრი იმ-  
დენად გამოკვეთილია ამ მოთხრობებში, რომ დაშლა არ შეიძლება,  
მაგრამ დანარჩენი ერთ ჯგუფში არ თავსდება“. ოცი წუთის განმავ-  
ლობაში ფიქრობს. ათვალეირებს აღნიშნული ორი ჯგუფის გარეშე  
დარჩენილ მასალას. ბოლოს, ხელით აურევს მთელ მასალას. გამოს-  
თქვამს კლასიფიკაციის სხვადასხვა ჰიპოთეზას. გამოთქმულ ჰიპოთე-  
ზებიდან ჩანს, რომ მისი აზრი ქცევის მოტივის პრინციპის გარშემო  
ტრიალებს. გამოთქმულ ჰიპოთეზების რაგვარობაში აშკარად ჩანს  
წინა ეტაპზე წარმოებული დაჯგუფების გავლენა. ბოლოს, გადაჭრით

ამბობს: „შეუძლებელია ამ მასალის სამ ჯგუფად დალაგება. აქ სულ სხვადასხვა ამბავია: კატის და ბებიას ამბავი, მაიმუნი სარკის წინ, აი, ეს (პაპა და შვილიშვილი). არაფერია საერთო“. დახმარების მიზნით ექსპერიმენტატორი აღნიშნავს: „განა არაფერი საერთო არ არის ამ ორ ამბავს შორის („კატა და ბებია“, „მაიმუნი სარკის წინ“), დახმარების მიზნით ვეკითხებით: „განა ორივე კომიკური ამბავი არ არის?“ ცდისპირი მაშინვე ხვდება: „აჰა, ასე შეიძლება! მაშინ 1. კომიკური; სასაცილო, 2. ტრაგიკული, არა, ამაღლებული, 3. ცუდი საქციელი“. ამგვარად, აქაც ცდისპირმა ხანგრძლივი (45 წუთი) მუშაობის შედეგად ვერ მოახერხა კლასიფიკაციის ახალი პრინციპის მონახვა. მისი აზრი ვერ მოსცილდა წინანდელი კლასიფიკაციის მიმართულებას, მაგრამ საკმარისი იყო ბიძგის მიცემა—დაჯგუფების ერთი წევრის დასახელება ექსპერიმენტატორის მიერ,—რათა კლასიფიკაციის პრინციპი მისთვის ნათელი გამხდარიყო.

უნდა ითქვას, რომ ყველა ის თავისებურება, რომელიც ექსპერიმენტული მასალის რომელიმე დახასიათებაში აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მკვეთრად იჩინეს თავს მეორე ეტაპიდან მესამე ეტაპზე გადასვლის დროს (ცდისპირთა I და II ჯგუფი). სწორედ აქ აღმოჩნდა განსაკუთრებით ძნელი კლასიფიკაციის ახალი პრინციპის მონახვა. რაც შეეხება მესამე ჯგუფის მონაცემებს, ჯგუფის, რომელიც თავიდანვე სამივე ეტაპის მასალას ღებულობდა, კლასიფიკაციის პრინციპის ძიების დროს აქ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს ან თავისებურებას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აქ პროცესი განსაკუთრებით იოლად მიმდინარეობდა. ცდისპირები, რომლებიც თავიდანვე მესამე ეტაპის მასალას ღებულობდნენ, კომიკური ამბების პირველი წაკითხვისთანავე სიცილით ამბობდნენ: „ეს კომიკური ამბავია“. პირველი და მეორე ეტაპის მასალას ცდისპირი თავიდანვე შეფასების თვალსაზრისით უდგებოდა და ამბობდა: „აღამიანის კარგ ქცევას გამოხატავს“. საწინააღმდეგო შინაარსის ამბების შესახებ იგი აღნიშნავდა: „ეს ცუდი, ამორალური ქცევია“. აშკარად ჩანს, რომ მესამე ეტაპის მასალის კლასიფიკაცია ძნელად და თავისებურად მიმდინარეობს მხოლოდ ექსპერიმენტის წინა ეტაპზე მუშაობის შემდეგ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად მესამე ეტაპის მასალის კლასიფიკაცია არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ეს III ჯგუფის მონაცემებიდან ჩანს, მეორე ეტაპის შემდეგ აშ

მასალის კლასიფიკაციას ჩვენი ცდისპირები ვერ ახერხებენ. წინა ეტაპის გავლენა გაცილებით უფრო მკვეთრად იჩენს თავს მესამე, ვიდრე მეორე ეტაპის მასალის შემთხვევაში.

ასეთია რომელობითი ხასიათის მონაცემები, მიღებული ჩვენი ექსპერიმენტის შედეგად.

#### 4. შედეგების ანალიზი

მიღებულ მონაცემებთან დაკავშირებით, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ჩვენი ექსპერიმენტის პროცესში თავს იჩენს აქტივობა, რომელიც აზროვნების პროცესის მიმდინარეობაზე, ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაზე გარკვეულ გავლენას ახდენს.

ეს შემდეგიდან ჩანს: ცდისპირს საკლასიფიკაციოდ გარკვეული ტექსტობრივი მასალა ეძლევა, როდესაც ცდისპირი ექსპერიმენტის II ეტაპის მასალის კლასიფიკაციას პირველად აწარმოებს, ამისათვის მას 15 წუთი სჭირდება; მაგრამ, როდესაც ზუსტად იმავე მასალის კლასიფიკაციას ცდისპირი იმის შემდეგ აწარმოებს, რაც მან კლასიფიკაციის ოპერაცია უკვე აწარმოა და აწარმოა ისეთი პრინციპის მიხედვით, რომელიც ახლა აღარაა გამოსადეგი, კლასიფიკაციის ოპერაციის შესრულება ან იგვიანებს და 15 წუთის ნაცვლად, 25—30 წუთს მოითხოვს, ან სულ არ ხერხდება. როდესაც ჩვენი ექსპერიმენტის მესამე ეტაპის მასალა საკლასიფიკაციოდ ცდისპირს ექსპერიმენტის პირველ და მეორე ეტაპზე მუშაობის გარეშე ეძლევა, ის 15 წუთში ახერხებს სამი საჭირო კლასის დაარსებას და მთელ მასალას „კომიკურის“, „ამაღლებულის“ და „ამორალურის“ ჯგუფებში მოთავსებას. მაგრამ, როდესაც მესამე ეტაპის მასალა ცდისპირს იმის შემდეგ ეძლევა, რაც მან კლასიფიკაცია ქცევის კატეგორიის ან ქცევის მოტივის მიხედვით აწარმოვა, ის ამ მასალის კლასიფიკაციას ვერ ახერხებს.

სქემატურად მდგომარეობა შემდეგ სახეს იღებს: არსებობს მასალა  $abcd\bar{f}klmn$  რომლის დაჯგუფება სამ კლასად შესაძლებელია მხოლოდ პრინციპი  $x$ -ის მიხედვით. ამ მასალის ნაწილის  $abcd\bar{f}$ . ცალკე აღებული, სამ ჯგუფად დანაწილება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპი  $y$ -ის მიხედვით. როდესაც ცდისპირს საკლასიფიკაციოდ პირდაპირ ეძლევა მასალა  $abcd\bar{f}klmn$ , ის ადვილად

და სწრაფად ასრულებს დავალებას; დააჯგუფებს მას  $x$  პრინციპის მიხედვით. მაგრამ თუ წინასწარ ცდისპირს საკლასიფიკაციოდ ეძლეოდა მასალა  $abcdt$  რომელსაც ის  $y$  პრინციპის მიხედვით აჯგუფებდა და ამის შემდეგ ეძლევა მასალა  $abcd!klmno$  ის ამ უკანასკნელის კლასიფიკაციას პრინციპი  $x$ -ის მიხედვით ველარ ახერხებს და ამოცანა გადაუჭრელი რჩება.

ცხადია, რომ აქ საქმე საკუთრივ აზრობრივ ოპერაციაში არ არის. ვინაიდან ამოცანის მოთხოვნა (მასალის სამ კლასად დაჯგუფება) და ამოცანის პირობები (მასალა  $abcd!klmno$ ) და ის, რაც უნდა გაკეთდეს ( $X$ -ის მიხედვით კლასიფიკაცია) ორივე შემთხვევაში უცვლელად იგივე რჩება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში ამ ამოცანის გადაჭრას წინ უსწრებს გარკვეული, სხვა ამოცანის გადაჭრა. მეორე შემთხვევაში კი—არა.

ამგვარად, ცდების შედეგად მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლები საფუძველს იძლევიან დავასკვნათ, რომ ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში ამოცანის გადაჭრის დროს, გარდა საკუთრივ აზროვნებისა, თავს იჩენს სხვა აქტივობაც,—აქტივობა, რომლის წონა ამოცანის გადაჭრის საქმეში შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

რა ბუნებისაა ეს აქტივობა?

მივმართოთ ჩვენი ექსპერიმენტული მასალის რომელიმე მონაცემებს. პირველ რიგში გავიხსენოთ, რომ ჩვენი ცდისპირი ექსპერიმენტის ახალ ეტაპზე, რომელიც მას ახალ პრობლემას უყენებს, ვერ ახერხებს სიტუაციის პრობლემური ხასიათის შემჩნევას. ვერ ხედავს ახალი პრინციპით დაჯგუფების ამოცანას და მასალის წინათ დაარსებულ ჯგუფებში მოთავსებას განაგრძობს. ამის შედეგად. მაგალითად, მოთხრობა იმის შესახებ, რომ მოხუცმა პაპამ სული დალია თავისი პატარა შვილიშვილის გადარჩენაში, თავსდება: „მკვლელობის“ ჯგუფში, ან იგავ-არაკი „მაიმუნი სარკის წინ“—„ეგოიზმის“ ჯგუფში. გარდა ამისა, ჩვენ ვნახეთ, რომ ცდისპირები მაშინაც. როდესაც მათ ახალი პრინციპის ძიების საჭიროება უკვე გაცნობიერებული აქვთ, ვერ ახერხებენ ძველი თვალსაზრისის თავიდან აცილებას. კლასიფიკაციის ახალი პრინციპის ძიების დროსაც ჩვენ მიერ უკუგდებულ პრინციპს უბრუნდებიან, ძველ თვალსაზრისს ვერ ცილდებიან. სუბიექტმა იცის, რომ კლასიფიკაციის წინათ დადგენილი პრინციპი აღარაა გამოსადეგი, მაგრამ ამ პრინციპით კლასიფიკაციას განაგრძობს და თან თავის მოქმედებას აკრიტიკებს. მან იცის, რომ



სხვა გზით უნდა წარმართოს თავისი მოქმედება, მაგრამ ძველ, მის მიერვე დაწუნებულ გზას ვერ სცილდება. რომელ ფსიქოლოგიურ ცნებას შეუძლია გასაგები გახადოს ასეთი მდგომარეობა?

გეშტალტფსიქოლოგიის მიხედვით, პრობლემური სიტუაცია თავად შეიცავს იმ პირობას, რომელიც პრობლემის გადასაჭრელადაა საჭირო, პრობლემის გადასაჭრელად პრობლემის არსის წვდომაა საჭირო, ვერტპაიმერის მიხედვით, ამოცანის გადაჭრის დროს წარსული გამოცდილების უბრალო აღდგენა კი არ ხდება. ცდისა და შეცდომის ბრმა მონაცვლეობა კი არ სწარმოებს, არამედ მნიშვნელობა აქვს მოთხოვნას, რომელიც თვით პრობლემურ სიტუაციიდან. მისი სტრუქტურის დარღვევიდან მომდინარეობს. წარსული გამოცდილების შერჩევითი აღდგენაც, კონკრეტული ჰიპოთეზების აღმოცენებაც ამ მოთხოვნის შესატყვისად წარმოებს: მაგრამ ჩვენი ექსპერიმენტის შემთხვევაში პრობლემური სიტუაციის სტრუქტურა ერთი და იგივე რჩება მაშინაც, როდესაც კლასიფიკაციის ოპერაციას წინ უსწრებს წინა ეტაპზე მუშაობა,—მაშინაც, როდესაც ცდისპირს წინა ეტაპზე არ უმუშავნია და ის პირველად ხელს კიდებს ჩვენი მასალის კლასიფიკაციას. რითი აიხსნება, რომ ერთ შემთხვევაში ცდისპირი ახერხებს ამოცანის გადაჭრას, მეორე შემთხვევაში კი სწორ გზას ასცდება ხოლმე?

„მიმართულების“ ცნება (მაიერი) სწორედ ამოცანის გადაჭრის საკითხთან დაკავშირებით იყო შემოტანილი. მაიერის შეხედულებით, ამოცანის გადაჭრის საქმეში მნიშვნელობა ისეთ საერთო „მიმართულებას“ აქვს, რომელიც არც დეტერმინაციის ტენდენციაა და არც მიმართულების წარმოდგენაა. ბუნებრივად ისმის კითხვა: ხოც არ შეიძლება ჩვენი მონაცემების მიმართულების ცნებით ახსნა? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ცდისპირს ჩვენი ექსპერიმენტის წინა ეტაპზე მიღებული ჰქონდა ისეთი საერთო მიმართულება, რომელიც ამოცანის გადაჭრის ბედს მომდევნო ეტაპზედაც წყვეტს. მაგრამ საკითხი დგას სწორედ იმის შესახებ, თუ რატომ ხდება, რომ ჩვენი სუბიექტები ექსპერიმენტის ახალ ეტაპზე ისეთი მიმართულებით მოქმედებენ. რომელიც წინა ეტაპზე განმტკიცდა და ახალ შეუფერებელ პირობებში ისევ ძალაში რჩება.

ვუდვორთსმა<sup>21</sup> და სელსმა ფსიქოლოგიაში „ატმოსფეროს“ ცნება შემოიტანეს. შეიძლება ჩვენი მონაცემები „ატმოსფეროს“

<sup>21</sup> ვუდვორთსი ატმოსფეროს ცნებას, როგორც ცნობილია, იყენებს უმაჯრესად სილოგიზმების მიმართ.

ცნებითაა ასახსნელი. შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი ცდისპირი, მაგალითად, მოთხრობას პაპასა და შვილიშვილის შესახებ შეცდომით, როგორც „მკვლელობის“ შემთხვევას განიხილავს, ეს იმითმ ხდება, რომ ექსპერიმენტის წინა ეტაპზე ტექსტის სხვა ეგზემპლარებს მკვლელობის „ატმოსფერო“ მოიცავდა? მაგრამ საკითხი სწორედ იმის შესახებ დგას, თუ როგორ ხდება, რომ წინანდელი „ატმოსფეროს“ გავლენა ახალ სიტუაციაშიც იჩენს თავს? როგორ ხდება, რომ წინანდელი გამოცდილება ახალ პირობებში გაშლილ აზროვნებას ამ პირობებისათვის შეუფერებელი ატმოსფეროთი მოიცავს?

ჩვენ მონაცემებთან დაკავშირებით არც „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ ცნებაა გამოსადეგი. თვითონ დუნკერს ამ ცნებაში ნაგულისხმევი აქვს, ობიექტის, მისი გარკვეული ფუნქციით გამოყენების შედეგად, სხვა ახალი ფუნქციით გამოყენების სიძნელე. ჩვენ ექსპერიმენტში ახლად შემოსული მასალა ცდისპირი!: მიერ უკვე დადგენილი კლასის წარმომადგენლად ჯერ არ ყოფილა განხილული. ამ კლასის წარმომადგენლის ფუნქციით ჯერ არ ყოფილა გამოყენებული. ცდის პირი მას პირველად ხვდება. რა აიძულებს მას ამ მასალის უკვე ჩამოყალიბებულ, მაგრამ შეუფერებელ ჯგუფში მოთავსებას?

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ აქ საქმე ყურადღებაშია. მართლაც, ამ ძველ ფსიქოლოგიურ ცნებას შეიძლება მეტი პრეტენზია აქვს ფსიქოლოგიურ ფაქტთა ახსნის საქმეში—თუ არსებითად არა, ტრადიციით მაინც.

განვიხილოთ ჩვენი მონაცემები ყურადღების თვალსაზრისით. ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, მაგალითად, ცდისპირმა მოახერხა კლასიფიკაციის პრინციპის მონახვა, ამის შემდეგ ის ანაწილებს შემავალ მასალას დაწესებულ სამ ჯგუფში ქცევის მოტივის მიხედვით—ალტრუისტული, ეგოისტური და საზოგადოებრივი. შემოდინ ტექსტი იგავ-არაკით.—„დათვური სამსახური“. ცდისპირი ვერ ხედავს კლასიფიკაციის ახალი პრინციპის ძიების საჭიროებას, ახლად შემოსული მასალისთვის ძველ კლასთან შეუფერებლობას. ცდისპირი ახალ მასალას ქცევის მოტივის თვალსაზრისით განიხილავს და ყველაფერი ამ მასალაში, რაც ამ თვალსაზრისს შეესატყვისება, წინ იწევს, დანარჩენი კი იჩრდილება.

დავუშვათ, რომ აქ, მართლაც, საქმე უყურადღებობაშია. მაშინ მსჯელობა ასე უნდა გავშალოთ: მას შემდეგ, რაც ცდისპირმა წინა ეტაპზე მონახა დაჯგუფების პრინციპი, დარწმუნდა მის სისწორეში, და ამ პრინციპის მიხედვით აწარმოვა კლასიფიკაცია, ექსპერიმენტის ახალი ეტაპის ტექსტობრივ ეგზემპლარებში ის ყურადღებას იმ მხარეებს აქცევს, რომელნიც წინა ეტაპზე მონახულ იდებს, წინა ეტაპზე აღიარებულ პრინციპს შეესატყვისება. მაგრამ თუ ამ ფაქტს, რომ ერთი მხარე პირველ პლანზე იწევს, ხოლო დანარჩენი იჩრდილება, განვიხილავთ როგორც ყურადღების ეფექტს, უნდა ვაღიაროთ, რომ ცდისპირი ყურადღებას არ აქცევს შემოსული ტექსტის იმ მხარეებს. რომელიც უკვე ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, უკვე აღიარებულ პრინციპს არ შეესატყვისება. მაგრამ ჩვენი ექსპერიმენტალური მონაცემების მიხედვით, ცდისპირები ხშირად სწორედ ამ მხარეებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და ეს სწორედ კლასიფიკაციის პრინციპისადმი მათი შეუსატყვისობის გამო ხდება: ცდისპირი იმ მხარეების შესახებ იწყებს ფიქრს, რომელიც წინანდელ პრინციპს არ შეესატყვისება; ის შეუფერებელი მომენტების ძველ თვალსაზრისთან მორგებას ცდილობს. მსჯელობს მათ შესახებ. რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს შეუსატყვისი მომენტები, ეს შეუფერებელი მხარეები ყურადღების გარეშე რჩებიან?

გარდა ამისა, ძველი თვალსაზრისის განმტკიცების შემთხვევები ჩვენ ექსპერიმენტში ყურადღებითაა ასახსნელი. რომ ერთი მხარის პირველ პლანზე წამოწევა, ხოლო დანარჩენის დაჩრდილვა ყურადღების ეფექტს წარმოადგენს. უნდა ვაღიაროთ, რომ ყურადღება შერჩევითი ფუნქციაა, რომ ის სელექციას ახდენს. ყურადღების ტრადიციული გაგების მიხედვით კი: ყურადღება ისეთ წმინდა ფორმალურ ფუნქციას წარმოადგენს, რომელსაც ცნობიერების შინაარსთა მხოლოდ სინათლის ხარისხის ამადლება შეუძლია, რომელიც თვითონ ცნობიერების შინაარსს არაფერს მატებს<sup>32</sup>.

ამგვარად, არც ყურადღების ტრადიციული ცნება, არც ისეთი ცნებები, როგორცაა „ფუნქციონალური ფიქსირებულობა“, „მიმართულება“, „ატმოსფერო“ და სხვა, არაა გამოსადეგი ჩვენს ექსპერიმენტში მიღებული ფაქტების ასახსნელად. საქმე იმაშია, რომ ეს

<sup>32</sup> ყურადღების პრობლემის შესახებ იხ. დ. უზნაძის შრომა: „განწყობის ექსპერიმენტული საფუძვლები“, „ფსიქოლოგია“, VI ტომი.

ცნებები არ უწევენ საკმარის ანგარიშს არც სუბიექტს, რომელიც აზროვნებს. არც აზროვნების ობიექტს. ცნებაში, რომელსაც ობიექტური სინამდვილის სუბიექტური ასახვის ამა თუ იმ ფაქტის ახსნის პრეტენზია ენიჭება წარმოდგენილი უნდა იყოს ამსახველი სუბიექტიც, ასასახავი ობიექტიც. სწორედ ასეთია განწყობის ცნება, წარმოდგენილი დ. უზნაძის კონცეფციაში. ამ ცნებაში წმინდა სუბიექტური მომენტი—მოთხოვნილება ობიექტურ მოცემულობასთან—სიტუაციასთანაა კოორდინირებული.

ობიექტური სინამდვილის ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობა; საფუძვლად ედება მის ურთიერთობას ობიექტურ სინამდვილესთან და, ამგვარად, მის აზრობრივ პროცესთა მიმდინარეობისაგან მიმართულებასაც განსაზღვრავს. განწყობა, როგორც გარკვეული მოქმედებისთვის მზაობა, იმ ობიექტურ ვითარებას შეესატყვისება, რომლის ზემოქმედებამ მისი გაფორმება განსაზღვრა. მაგრამ ერთხელ შექმნილი განწყობა შეიძლება განმტკიცდეს, გაფიქსირდეს და ამის გამო შეუფერებელ ობიექტურ პირობებშიც გამოვლინდეს.

ჩვენი ექსპერიმენტის ზემოთ აღწერილი მონაცემების ასახსნელად სწორედ ფიქსირებული განწყობის ცნებაა გამოსადეგი. მდგომარეობა ამ ცნების შუქზე წარმოდგენილი გვაქვს შემდეგნაირად: ცდისპირმა ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე მიიღო მასალის სამ კლასად დაჯგუფების დავალება. ამ დავალების შესრულების დროს, ე. ი. იმ ცნობიერ აზრობრივ პროცესთა მიმდინარეობაში, რომელთა საშუალებით მოხდა კლასიფიკაციის ამოცანის გადაჭრა, განმტკიცდა შესატყვისი მზაობა—ტექსტობრივი მასალის გარკვეული თვალსაზრისით კლასიფიკაციის განწყობა. როდესაც შემდეგ ეტაპზე ჩნდება მასალა, რომელიც წინათ დაარსებულ კლასებს უკვე აღარ შეესატყვისება. სუბიექტი, სწორედ თავისი ფიქსირებული განწყობის გამო, ახალი მასალის ძველ პრინციპთან მორგებას ცდილობს; ახლად შემოსულ ტექსტში ყველაფერი რაც მეტ-ნაკლებად ფიქსირებულ განწყობას შეესატყვისება, წინ იწევს და მნიშვნელოვანი ხდება. ცდისპირის აზრი შერჩევით მასალის იმ მხარეებზეა მიმართული, რომელთაც ფიქსირებული განწყობის რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა შეუძლიათ. ცდისპირი შეუფერებელ მასალაში ასეთ მხარეებს ეძებს. განწყობის ასიმილაციური მოქმედებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ კლასიფიკაციის ახალი პრინციპის ძიების დროს სუბიექ-

ტის აზრი ვერ სცილდება ძველ, შეგნებულად უკუგდებულ თვალსაზრისს. იმისათვის, რომ მოხერხდეს ახალ ეტაპზე აღმოცენებულ ამოცანის გადაჭრა, საჭიროა გადანაცვლების აქტი: სუბიექტმა იმ განწყობიდან უნდა წაახდინოს გადანაცვლება, რომელიც მას წინა ეტაპზე გაუფიქსირდა. სუბიექტზე რაღაც ცვლილება უნდა მოხდეს. სუბიექტის ფიქსირებულმა განწყობამ რაღაც სხვა მდგომარეობას უნდა დაუთმოს ადგილი.<sup>1</sup>

რას უნდა წარმოადგენდეს ეს ახალი მდგომარეობა, თუ არა განწყობას, რომელიც ექსპერიმენტის ახალი ეტაპის პირობებს შეესატყვისება? თუ ახალ ეტაპზე მუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ სუბიექტი ახალ მასალას წინა ეტაპზე ფიქსირებული განწყობით ხვდება, რომ ახალ პირობებში სუბიექტი ფიქსირებული განწყობით შებოქილი და შეზღუდული აღმოჩნდა, ცხადია. რომ ახალ ეტაპზე მუშაობის წარმატებით მიმდინარეობა შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც ცდისპირს ისეთი განწყობა უჩნდება, რომელიც ამ ახალი ეტაპის პირობებს შეესატყვისება. გავიხსენოთ პირველი ჯგუფის ცდისპირები, რომელთაც ექსპერიმენტის სამივე ეტაპზე მოუხდათ მუშაობა. როგორც ვნახეთ, მეორე ეტაპზე კლასიფიკაციის წარმოება ამ ცდისპირს აშკარად უძნელებათ. რაოდენობრივ და რომელიმე მანერებელთა ანალიზიდან ჩანს, რომ ამოცანის გადაჭრას აქ ხელს უშლის განწყობა, რომელიც ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე გაფიქსირდა. ცდისპირი ვერ ახერხებს თავის დაღწევას განწყობიდან, რომელიც პირველი ეტაპის მასალას შეესატყვისება. ანალოგიური მდგომარეობა თავს იჩენს მესამე ეტაპზედაც: აქ კლასიფიკაცია არ ხერხდება იმიტომ, რომ განწყობა, შექმნილი მეორე ეტაპზე, ძალაში რჩება და მესამე ეტაპის პირობებშიც განაგრძობს მოქმედებას. ამგვარად პირველი ჯგუფის შემთხვევაში, საშუალება ეძლევა გამოვავლინოთ ორი სხვადასხვა ფიქსირებული განწყობის მოქმედება: პირველ ეტაპზე გაფიქსირებული განწყობა თავს იჩენს მეორე ეტაპზე და მეორე ეტაპზე გაფიქსირებული განწყობა თავს იჩენს მესამე ეტაპზე. ცხადია, როდესაც მეორე ეტაპზე ცდისპირი. ბოლოს და ბოლოს, კლასიფიკაციის ამოცანის გადაჭრას ახერხებს, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე ფიქსირებულმა განწყობამ ადგილი დაუთმო განწყობას. რომელმაც მესამე ეტაპზე როგორც ფიქსირებულმა იჩინა თავი. მესამე ეტაპის პირობებში მეორე ეტაპის შეესატყვისი განწყობის მოქმედების ფაქტი ამ განწყობის მეორე ეტაპის პირო-

ბებში აღმოცენების ფაქტს გულისხმობს. მეორე ეტაპის გასწვრივ ეს განწყობა თანდათან ფიქსირებულ ხასიათს იღებს. მისი ფიქსირებული ბუნება აქ იმაში ვლინდება, რომ მასალის ქცევის მოტივის მიხედვით სამ კლასად განაწილებას ცდისპირი სულ უფრო და უფრო სწრაფად, სულ უფრო და უფრო ადვილად აწარმოებს. მაგრამ, მესამე ეტაპის დაწყებისთანავე, ამ განწყობის ფიქსირებული ხასიათი შემშლელ გარემოებად იქცევა და ხელახლა დასაჭირო ხდება ექსპერიმენტის შეცვლილი პირობების შესატყვისად გადახალისება.

არსებითად იგივე მდგომარეობა შეიქმნა აზროვნების სფეროში ჩატარებულ იმ ექსპერიმენტის დროსაც, რომელიც ჩვენ წარსული გამოცდილების პრობლემასთან დაკავშირებით განვიხილეთ (ექსპერიმენტი შერეული ტექსტით). იქ ცდისპირთა ერთი ჯგუფი, როგორც იყო აღნიშნული, ადვილად და სწრაფად ახდენს კრიტიკული ფრაზების შესატყვის გაგებას. გაჩნდება თუ არა მოთხრობის ტექსტში მოთხრობის შინაარსისათვის შეუსაბამო ფრაზები, ცდისპირი მყისვე იძლევა ამაზე ადეკვატურ რეაქციას. „გა...გადააბრუნეთ“—ჯერ ჰგონია ცუდად ამოიკითხა, ამოწმებს—სწორედაა წაკითხული. შემდეგ ცდილობს დაუკავშიროს მოთხრობის შინაარსს, რწმუნდება, რომ არ შეესატყვისება. ახლა მნიშვნელობას იძენს მაგალითად, ის გარემოება, რომ ტექსტის წაკითხვა ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის პირობებში ხდება, ცდისპირს ახსენდება, რომ ის ცდისპირია, ამას შემდეგ ფრაზას „გადააბრუნეთ ფურცელი“ ამ თვალსაზრისით განიხილავს და ყველაფერი გასაგები ხდება: „ჰა, მე უნდა გადააბრუნო“. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი არ არის შეზღუდული მანამდე განცდილი სინამდვილით, ის არ არის დახურული სინამდვილის ახალი მხარეებისათვის და ამიტომ შეცვლილ ობიექტურ სიტუაციაში გარკვევას ახერხებს: გამოყოფს იმ ახალ მომენტს, რომელმაც ასე მოულოდნელად იჩინა თავი; აკვირდება მას, მის შეფასებას და კრიტიკულად განხილვას აწარმოებს.

კრიტიკული სიტყვების მნიშვნელობის გამორკვევა ამ შემთხვევაში შემდეგნაირად მიმდინარეობს: როგორც კი ამ ჯგუფის ცდისპირმა შეუფერებელ ფრაზასთან დაკავშირებით, გაკვირვება განიცადა, დაწყებული ქცევა—ტექსტის კითხვა—შეწყდა. ყველაფერი ის, რაც ახლახან აქტუალური იყო, უკან დაიხია და სუბიექტი შეუფერებელ მომენტს, წინათ წაკითხვის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად, სულ სხვა განლაგებაში განიხილავს. პირველი მოთხრობის წაკითხვას

კრიტიკული ფრაზების გაგებაზე აქ გავლენა არ მოუხდენია. აქ პირველი მოთხრობის შესატყვისმა განწყობამ ტექსტში ჩართული ინსტრუქციის შესატყვის განწყობას დაუთმო ადგილი.

აქ ცდისპირის პირველი მოთხრობის წაკითხვის დროს ამ მოთხრობის შესატყვისი განწყობა შეუმუშავდა. გაგების აზრობრივი პროცესი ამ განწყობის საფუძველზე მიმდინარეობდა. მაგრამ როგორც კი მოხდა ცვლილება თბიეპტურ ვითარებაში და ტექსტში თავი იჩინა კრიტიკულმა ფრაზამ, სუბიექტი სათანადოდ შეიცვალა: ეხლა ის კრიტიკული ფრაზის შესატყვისად განწყვო. იმიტომაა, რომ მან ამ ფრაზის ადეკვატური გაგება მოახერხა. პირველი მოთხრობის შესატყვისმა განწყობამ თავისი მოქმედება შეწყვიტა და ადგილი ტექსტის ისეთი მომენტის შესატყვის განწყობას დაუთმო, რომელიც მოთხრობის კონტექსტში არ შედის, რომელიც ამ კონტექსტისათვის უცხოა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ცდისპირმა ასეთ შემთხვევაში ადვილად მოახერხა წაკითხული მოთხრობის აზრობრივი შინაარსის შესატყვისი განწყობიდან ტექსტში ჩართული ინსტრუქციის გასაგებად საჭირო განწყობაზე გადასაცვლება.

საწინააღმდეგო სურათს იძლევა ცდისპირთა მესამე ჯგუფი. აქ სუბიექტი კრიტიკული ფრაზების შეუფერებლობას მაშინაც კი ვერ ამჩნევს, როდესაც ხელთ არის პირველი მოთხრობის შესატყვისი განწყობის შეფერხების ნიშნები; შეფერხება, გაკვირვება აქ უნაყოფოდ ჩაივლის ხოლმე. სუბიექტს გაუკვირდა, რატომაა აქ ეს შეუფერებელი სიტყვები, მაგრამ დაწყებულ ქცევას ის ვერ სწყვეტს, დაკვირვების გამომწვევ მასალაზე ვერ ჩერდება. ის ახალი ნაწყვეტის კითხვას პირველი მოთხრობის კონტექსტში განაგრძობს. როდესაც ამ მეორე ნაწყვეტის წაკითხვის დროს, მეტისმეტად შეუფერებელი მომენტი იჩენს თავს და სუბიექტის გაკვირვება თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს, ის გაუგებარ ადგილებს აკვირდება. მათი მისივნელობის გაგებას ცდილობს. მაგრამ ახლაც თავის ქცევას ცდისპირი ძველი სიტუაციის ბაზებზე აწარმოებს. ამ წინანდელი სიტუაციის რესურსებიდან ცდილობს ის ახალი მოთხოვნების — დასმული კითხვის, გაკვირვების განცდის—დაკმაყოფილებას. ერთხელ ჩამოყალიბებული განწყობა ამ შემთხვევაში იმდენად განმტკიცდა, რომ მისი მოქმედება მაშინაც გრძელდება, როცა სიტუაციაში უცხო, შეუფერებელი მომენტები იჩენენ თავს და თავად სუბიექტი ამ შეუფერებლობას ამჩნევს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქსირებული განწყობის მოქმედება მაინც ფერხდება და სუბიექტი ახალი პირობების შესატყვისად, თითქოს, გადანაცვლებას ახდენს და თითქოს ახალ ქცევას,—შეუფერებელი სიტყვების საგანგებო დაკვირვებას ცდილობს, ეს გადანაცვლება თავისებურ ხასიათს ატარებს; ახალი განწყობის რეალიზაციას სუბიექტი ძველი, წინანდელი მასალის საფუძველზე აწარმოებს.

მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ პირველი ნაწყვეტის დროს მოხდა შესაფერისი განწყობის მტკიცე ფიქსაცია. ამ განწყობის რეალიზაციის პროცესი უმთავრესად მდგომარეობს მოთხრობილი შინაარსის განვითარების გაგებაში, მის წარმოსახვაში. მაგრამ შინაარსის განვითარება ფერხდება; თავს იჩენენ უცხო, შეუფერებელი მომენტები. იმის მაგივრად, რომ შეხედოს ამ შეუფერებელ მომენტებს კრიტიკული თვალთ, განიხილოს ისინი ახალი თვალსაზრისით, ცდისპირი ცდილობს მათ მოთხრობის შინაარსთან დაკავშირებას. ამ შემთხვევაშიც დგება საკითხი შეუფერებელი მომენტების მნიშვნელობის შესახებ; აქაც ცდისპირი ცდილობს მათ გაგებას, მაგრამ ძველი, უკვე განმტკიცებული განწყობა გავლენას ახდენს გაგების თვისობრივ, შინაარსულ მხარეზე: გაუგებარი მომენტის აქნა-განმარტება წინათ წაკითხული მოთხრობის კონტექსტში ხდება. „ასეთი ჩვეულება ხომ არ იყო ესპანეთში, რომ, სანამ სიკვდილი: დასჯას სისრულეში მოიყვანდნენ, მაიმუნს ჰკლავდნენ“—ამბობს ერთი ცდისპირი. „მაიმუნით ხომ არ შესცვალეს ის, ვისაც მისჯილი ჰქონდა სიკვდილი?“—გვეკითხება მეორე. ეს ტენდენცია — დაუკავშირონ უცხო, შეუფერებელი მომენტი წაკითხული მოთხრობის შინაარსს—იმ ჯგუფის ცდისპირებსაც ახასიათებს, რომელნიც გადანაცვლებას, შედარებით ადვილად ახერხებენ. პირველ კრიტიკულ ფრაზას, ჩვეულებრივად, ასეთი ცდისპირებიც შეუცვლელი ტონით კოახულობენ—ისე, თითქოს ეს პირველი მოთხრობის გაგრძელებაა. ცდის შემდეგ ცდისპირები აღნიშნავენ, რომ მათ ჯერ ეგონათ, რომ სიტყვები—„გადააბრუნეთ ფურცელი“—მოთხრობილ ამბავს ეხებოდა, რომ „რალაც ოქმია, რომლის მეორე გვერდზე პატიების ამბავია“; რომ „ამ სიტყვებს ფრანგი ოფიცერი იძახის“ ან „რალაც დოკუმენტის შესახება ნათქვამი და საჭიროა ამ დოკუმენტის გადაბრუნება“ და სხვა. მაგრამ მეორე კრიტიკული ფრაზის შემდეგ პირველი ტიპის ცდისპირი თავს ანებებს ასეთ მოსაზრებას და გაუგებრობის გამორკვევას, მოთხრობის შინაარსისაგან დამოუკიდებლად, წინანდელი განწყობის



გავლენის გარეშე ახერხებს. სხვა ტიპის ცდისპირი კი ბოლომდე ექსპერიმენტის პირველ ნაწილში შექმნილი განწყობითაა შებოქილი; მისი აზრი ბოლომდე პირველი მოთხრობის შინაარსთა გარშემო ტრიალებს. ამგვარად, ისევე, როგორც კლასიფიკაციის ექსპერიმენტებში, აქაც, შეცვლილი ობიექტური ვითარების ადეკვატურ გაგებას ხელს უშლის სუბიექტის მტკიცედ ფიქსირებული განწყობა. აზროვნების სფეროში ჩატარებულ ამ ორ ექსპერიმენტს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ერთ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის მოქმედების გამო ფერხდება ახალი თვალსაზრისით კლასიფიკაციის წარმოება, ხოლო მეორე შემთხვევაში—ახალი შინაარსის ტექსტის გაგება. ორივე ექსპერიმენტის შემთხვევაში მდგომარეობა, არსებითად, ერთნაირია: აღძრულ ამოცანასთან დაკავშირებით, ცდისპირს ისეთი ფსიქიკური შინაარსები, ისეთი აზრები და წარმოდგენები უჩნდება, რომელნიც ამოცანის ობიექტურ პირობებს არ შეესატყვისება და რომელთა აღმოცენების ახსნა მანამდე ფიქსირებული განწყობის მოქმედებითაა შესაძლებელი.

როდესაც სუბიექტი გარკვეული ფიქსირებული განწყობითა ისეთ ობიექტურ მოცემულობას ხვდება, რომელიც, თუმცა არ არის ამ განწყობის შესატყვისი, მაგრამ მაინც მისი რეალიზაციის შესაძლებლობას შეიცავს, ფიქსირებული განწყობა ასიმილაციურად მოქმედებს: ახალ ობიექტურ ვითარებას ის თავისდა მიხედვით ასახავს. ასე, მაგალითად, კლასიფიკაციის ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე ცდისპირს ქცევის მოტივის თვალსაზრისით მასალის კლასიფიკაციის განწყობა უჩნდება. ამ მასალის შესაფერი ნიმუშების წაკითხვის დაჯგუფების შედეგად ცდისპირების ეს განწყობა განმტკიცებულ, ფიქსირებულ ხასიათს იძენს. ამ ფიქსირებული განწყობის რაგვარობა მეორე ეტაპის მასალის რაგვარობით, ამ მასალის შინაარსობრივი შემადგენლობითაა განსაზღვრული. როდესაც მესამე ეტაპის დასაწყისში ცდისპირს ახალი, წინა ეტაპის თვალსაზრისისათვის შეუფერებელი მასალა ეძლევა, წინა ეტაპზე ფიქსირებული განწყობა მოქმედებას განაგრძობს და ცდისპირი ახალ მასალას წინა ეტაპზე დადგენილი კლასების მიხედვით ანაწილებს. ახალი მასალა არ შეუფერება წინა ეტაპის კლასებს, არ შეესატყვისება წინანდელ თვალსაზრისს. სწორედ ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ წინა ეტაპზე შექმნილი განწყობა მოქმედებს. მაგრამ რა უფლება გვაქვს ჩავთვალოთ, რომ ეს ფიქსირებული განწყობა ახალი

მასალის პირობებში იმავე სახით მოქმედებს, როგორც ფიქსაციის პროცესში, ე. ი. მის შესატყვის პირობებში, მოქმედებდა. ახალ ეტაპზე სუბიექტის ფიქსირებული განწყობა წინათ დადგენილი პრინციპისათვის ჰეტეროგენული მასალის ასიმილაციას ახდენს, შეუფერებელ პირობებში ლამობს რეალიზაციას. ბუნებრივია დავუშვათ, და ჩვენს მონაცემებში ეს ნათლად გამოვლინდა, რომ თვითონ ეს პირობებიც, ის შეუფერებელი მასალაც, რომლის ასიმილაციას ახდენს ფიქსირებული განწყობა, თავის მხრივ, მასზე—ფიქსირებულ განწყობაზე ასიმილაციურად მოქმედებს, მის რაგვარობაში ცვლილებები შეაქვს. ფიქსირებული განწყობის რაგვარობა, შეუფერებელ პირობებში მოქმედების შედეგად, გადაგვარებას განიცდის: მას მისი ჩამოყალიბებული, დიფერენცირებული ხასიათი ეკარგება, ის უფრო და უფრო დიფუზური ხდება, ასიმილაციური მოქმედების ძალას კარგავს და ადგილს ადეკვატური განწყობის აღმოცენებას უთმობს. სწორედ ასეთი მდგომარეობა იჩენს თავს, როდესაც ჩვენს ექსპერიმენტში ცდისპირი, მაგალითად, მაიმუნის შესახებ მოთხრობილ კომიკურ ამბავს ეგოიზმის კლასში ათავსებს და თან ამბობს: ეგოიზმად შეიძლება ჩავთვალოთ, —თავისთავისადმი დიდ ყურადღებას იჩენსო ან ამბავს დათვური მეგობრობის შესახებ ალტრუიზმის ჯგუფში ათავსებს და თან ამბობს „აქაც მეგობრული დამოკიდებულებაა“ ან „აქაც ახლობლისადმი სიყვარულია“. როდესაც ცდისპირი მეორე ეტაპზე მუშაობის დროს კითხულობს მოთხრობას იმის შესახებ, რომ მოხუცებულმა პაპამ სიცოცხლე შვილიშვილის გადასარჩენად შესწირა და მას ალტრუიზმის ჯგუფში ათავსებს, ამ მისი ქცევის საფუძვლად ჰდებარე განწყობა თავის რაგვარობაში უფრო დიფერენცირებულა და გარკვეული, ვიდრე მაშინ, როდესაც იმავე ჯგუფში ის შეუფერებელ მასალას—დათვური მეგობრობის ამბავს—ათავსებს. ამ უკანესკენლ შემთხვევაში ქცევის მოტივის შესატყვისად კლასიფიკაციის საფუძვლად მდებარე განწყობა ფერხდება, რაც გამოთქმული არგუმენტაციის ცდაშიც ვლინდება: „ესეც ერთგვარი მეგობრობაა, შეიძლება ალტრუიზმის ჯგუფში მოთავსდეს“.

ჩვენი ექსპერიმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ გადანაცვლების პროცესი ფიქსირებული განწყობის მოქმედების თანდათანობითი აღკვეთაში მდგომარეობს. სუბიექტის ფიქსირებული განწყობა ახალი ობიექტური ვითარების ასიმილაციას ახდენს,—მას თავისივე მიხედვით ასახავს მაგრამ, ახალ და შეუფერებელ პირობებში მოქმედების

შედგად, ეს განწყობა თვითონაც განიცდის ამ პირობების ანიმიაციურ მოქმედებას. ობიექტური პირობების წინაშე, ობიექტურ პირობებთან კოლიზიაში ფიქსირებული განწყობა მარცხს განიცდის: ფიქსირებული განწყობა ახალი პირობების შესატყვისი განწყობად გარდაიქმნება. ამგვარად, გადანაცვლება ფიქსირებული განწყობის ახალი პირობების შესატყვისი განწყობით შეცვლას წარმოადგენს. ზოგჯერ ეს შეცვლა თანდათანობით, ხანგრძლივი პროცესის გზით ხორციელდება. ეს პროცესი ფიქსირებული განწყობის სტრუქტურულ გარდაქმნას, მისი რაგვარობის მოცემული პირობების მიხედვით შეცვლას წარმოადგენს.

შევეცადოთ გადანაცვლების ფაქტთა წრის დაზუსტების და გადანაცვლების პროცესის სხვა მონათესავე პროცესებისაგან გამიჯვნას. წარმოვიდგინოთ, რომ სუბიექტს შესასრულებელი აქვს გარკვეული სამუშაო—მაგალითად, შესადგენი აქვს მომავალი შრომის გეგმა, მოსაფიქრებელი აქვს თემასთან დაკავშირებულ საკითხთა რიგი. მაგრამ წინა დღით მას ისეთი ამბავი შეემთხვევა, რომელმაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. წუხანდელი ამბის განცდა დღესაც გრძელდება. სუბიექტს განზრახული აქვს მისთვის საინტერესო თემაზე მუშაობა. ის თავის მაგიდასთან ზის და ცდილობს პრობლემის შესასწავლად საჭირო მომენტების გათვალისწინებას. მაგრამ თემასთან დაკავშირებული აზრების ნაცვლად მას წუხანდელ ამბავთან დაკავშირებული მოგონებები უჩნდება; ის ამ ამბის დეტალების ანალიზს ახდენს, მოსალოდნელ შედეგებს ითვალისწინებს. ჩვენი სუბიექტი მღელვარე განცდების თავიდან აცილებას ცდილობს; ის თავს ძალას ატანს რათა შესასრულებელ სამუშაოს მიაპყროს თავისი გულისყური. აი, იგი უკვე წვდა საჭირო აზრს. უკვე მის განვითარებასა და დასაბუთებას ცდილობს, მაგრამ მუშაობის პროცესი ისევ წყდება, ცნობიერებაში ისევ წუხანდელის მოგონება აქტივტივდება. წარმოდგენის ხატები ერთმანეთს ცვლიან, სუბიექტს მომხდარი ამბის ახალ-ახალი დეტალები აგონდება, სამუშაოსთან დაკავშირებული აზრები კი ხელიდან ეცლება. სუბიექტი ისევ თავს ძალას ატანს—სამუშაოს და მასთან დაკავშირებულ აზრებს უბრუნდება.

რასთან გვაქვს საქმე ასეთ შემთხვევაში? ვფიქრობთ აქ ბრძოლა ორ განწყობას შორის წარმოებს. აქტუალური მოთხოვნის იმპულსით აღძრული განწყობა ხელს უშლის გადაწყვეტილების შედეგად შემუშავებული განწყობის განხორციელებას. განზრახვის

ბიძგით აღმოცენებული განწყობის რეალიზაცია ფერხდება იმის გამო, რომ სხვა განწყობას მეტი პიროვნული წონა, მეტი აქტივობა გააჩნია. არაფერი საერთო არ არის ამ ორ განწყობას შორის, გარდა იმისა, რომ ორივე ერთი და იმავე პიროვნების გარკვეულ მდგომარეობას წარმოადგენს. არავითარ გავლენას ერთი განწყობა მეორის რაგვარობაზე არ ახდენს; არაფერს არ სცვლის ერთი განწყობა მეორის შინაარსში. აქ საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ერთი განწყობა ხელს უშლის მეორის მოქმედებას, დროდადრო მის განდევნას ახდენს. ერთ პიროვნებაში დაპირისპირებულ ამ ორ განწყობას თავთავიანთი ფაქტორები გააჩნიათ: თითოეული გარკვეული მოთხოვნილების ბიძგითაა აღძრული და გარკვეული სიტუაციითაა განსაზღვრული.

აღწერილ შემთხვევას ჩვენს ექსპერიმენტულ მონაცემებს რომ შევადარებთ, ვნახავთ, რომ, ფსიქოლოგიურად აქ სულ სხვადასხვა მდგომარეობაა. აღწერილ შემთხვევაში ერთი განწყობა ხელს უშლის მეორე განწყობის აქტუალიზაციას, აქ ერთმანეთს ორი სხვადასხვა განწყობა უპირისპირდება. აქ მონაცვლეობით ორი განწყობა მოქმედებს და ამ მონაცვლეობაში ხან ერთი იმარჯვებს, ხან—მეორე. აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით აღძრული განწყობა გადაწყვეტილების შედეგად აღმოცენებულ განწყობას ხან განდევნის, ხან, პირიქით, ადგილს უთმობს. ერთი განწყობა მეორის რაგვარობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს: როდესაც სუბიექტი განზრახვის ნიადაგზე აღმოცენებული განწყობის რეალიზაციას აწარმოებს, რეალიზაციის პროცესში თავს არ იჩენენ ისეთი ფსიქიკური შინაარსები, რომელიც აქტუალური მოთხოვნილებით აღძრული განწყობითაა პირობადებული. იმ ფსიქიკურ შინაარსებში, რომლებიც შრომაზე მუშაობასთანაა დაკავშირებული, არ არის არაფერი ისეთი, რაც მეორე, შემწვლელი განწყობის შესატყვის გარემოს ეკუთვნის, რაც ამ გარემოსთანაა დაკავშირებული, როდესაც სუბიექტს ამ გარემოს შესატყვისი ფსიქიკური შინაარსები უჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობის განზრახვის იმპულსით აღმოცენებულმა განწყობამ ადგილი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ განწყობას დაუთმო. არავითარი ასიმილაცია აქ არ ხდება: ამ ორი სხვადასხვა განწყობის საფუძველზე, აღმოცენებული შინაარსები ერთმანეთის მიმართ ყოველთვის უცხოა და ჰეტეროგენული. აქ ორი განწყობის დაპირისპირებაა, აქ ორ განწყობას შორის ერთგვარი ბრძოლაა, ეს დაპირისპირება, ეს ერთგვარი ბრძოლა თვითონ სუბიექტის ფარგ-

ლებს არ სცილდება: წარმოებს სუბიექტის ორი სხვადასხვა განწყობის მონაცვლეობა. მოქმედებს ხან ერთი განწყობა, ხან მეორე მოქმედი განწყობა შეიძლება იყოს სუსტი იმის გამო, რომ მას სხვა განწყობა უპირისპირდება. მაგრამ მის შინაარსში თავს არ იჩენს ამ სხვა განწყობის სიტუაციიდან წამოსული მომენტები.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენი ექსპერიმენტის შემთხვევაში. აქ საგანწყობო მასალაზე ფიქსირებული განწყობა შეუფერებელი მასალის პირობებში განაგრძობს მოქმედებას და ამ მასალის ასიმილაციას ახდენს,—მას თავისდა მიხედვით ასახავს. აქ ერთმანეთს სუბიექტის ფიქსირებული განწყობა და ის ობიექტური ვითარება უპირისპირდება, რომელიც სუბიექტზე, მის განწყობაზე ზემოქმედებას ახდენს, რომელიც სუბიექტის ფიქსირებული განწყობის რაგვარობას თანდათან თავისდა მიხედვით ცვლის. იქ, პირველ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ორ განწყობას შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ეს დამოკიდებულება იმაში ვლინდებოდა, რომ ერთი განწყობა მეორე მოქმედებას გასაქანს არ აძლევდა. აქ კი, ჩვენი ექსპერიმენტების შემთხვევაში, ურთიერთდამოკიდებულება ფიქსირებული განწყობის და მოცემულ ობიექტურ ვითარებას შორის წარმოებს. ფიქსირებული განწყობის და ობიექტური პირობების ეს ურთიერთდამოკიდებულება ურთიერთასიმილაციაში ვლინდება: ერთის მხრივ, ფიქსირებული განწყობა ობიექტური მოცემულობის ასიმილაციას ახდენს.—ამ მოცემულობას თავისდა მიხედვით, თავისი რაგვარობის შესატყვისად ასახავს; მეორეს მხრივ, ობიექტური მოცემულობა ფიქსირებული განწყობის ასიმილაციას ახდენს, მის რაგვარობას თავისდა მიხედვით, თავის შესატყვისად ცვლის. ასეთი ორმხრივი ასიმილაციის შედეგად ფიქსირებული განწყობის გადაგვარებას განიცდის: განწყობა მოცემული პირობების ზემოქმედების შედეგად თანდათან ღიფუზურ ხასიათს იძენს და, ბოლოს, გარკვეულ მომენტში გზას ადევნებულ განწყობის აღმოცენებას უთმობს. ასე სწარმოებს სუბიექტის ახალ ობიექტურ ვითარებაზე გადანაცვლება.

ამგვარად, ჩვენს წინაშე ფსიქოლოგიურ ფაქტთა ორი სხვადასხვა წრეა: ერთ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ერთი და იმავე სუბიექტის ორი სხვადასხვა განწყობა. ამ დაპირისპირებაში. ამ ერთგვარ ბრძოლაში ორ განწყობას შორის არც ერთი არ განიც-

დის შინაარსობლივ ცვლილებებს, ცვლილებებს თავის რაგვარობაში. ერთი განწყობა განდევნის მეორეს ან, პირიქით, მას ადგილს უთმობს; ზოგჯერ ორი განწყობა მონაცვლეობით მოქმედებს, მაგრამ ერთი განწყობის რაგვარობა არავითარ გავლენას არ ახდენს მეორის რაგვარობაზე; არაფერი არ იჩენს თავს ერთი განწყობით გაპირობებულ ცნობიერ შინაარსში ისეთი, რაც მეორე განწყობით გაპირობებულ შინაარსს ეკუთვნის. აქ საკითხი შეიძლება დადგეს იმის შესახებ. თუ რომელი განწყობა გაიმარჯვებს და მეორის პოქმედებას შეუშლის ხელს,—იმის შესახებ, თუ როგორ ხასიათს მიიღებს ორი სხვადასხვა განწყობის მონაცვლეობა. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს მათი მონაცვლეობის ხასიათი, თითოეულის რაგვარობა არ შეიცვლება ამ პროცესის გამო: ის შინაარსობლივი სხვაობა რომელიც თავს იჩენს მათი დაპირისპირების დასაწყისში ბოლომდე, ამ დაპირისპირების დამთავრებამდე უცვლელი დარჩება. რაც არ უნდა რთული იყოს ორი განწყობის დაპირისპირების პროცესი, რაც არ უნდა მკვეთრი და ხანგრძლივი იყოს ორი განწყობის მონაცვლეობა, ამ ორ განწყობას შორის ასიმეტრიის პროცესი არ იჩენს თავს, აქ განწყობის შეცვლასთან და არა განწყობის გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე. განწყობის შეცვლა სუბიექტის ფარგლებში ხდება, მისი ორი სხვადასხვა მდგომარეობის მონაცვლეობას წარმოადგენს. გადანაცვლების პროცესი კი სუბიექტის ფარგლებს სცილდება, ვინაიდან ეს პროცესი სუბიექტის ობიექტთან კოორდინაციას, ობიექტზე ორიენტაციას გულისხმობს. გადანაცვლების პროცესი ორმხრივი ასიმეტრიის ისეთ პროცესს წარმოადგენს, რომელშიც სუბიექტის განმტკიცებული განწყობა ობიექტურ პირობებს თავისდა მიხედვით ასახავს და იმავე დროს, ამ პირობების შესატყვისად გადასხვაფერდება.

ამოცანის გადაჭრის დროს, აზროვნების პროცესის მიმდინარეობაში. გადანაცვლების აქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იქ, სადაც საქმე ახლის წედომას, სინამდვილის ახალ მხარეთა აღმოცენებას ეხება, სუბიექტს ხშირად მისი განმტკიცებული განწყობის ახალი პირობების შესატყვისად უხდება გარდაქმნა.

# VII. ამოცანის გადაჭრის პროცესი და განწყობის რეგულირების ჩამოყალიბება

## 1. პრობლემა

განწყობა (set) თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში ისეთი ტენდენციითაა წარმოდგენილი, რომელიც სუბიექტს მისი ქცევის შედეგად უმუშავდება. ის, რასაც ამერიკელი ავტორები განწყობას (set) უწოდებენ, წარმოადგენს, დაახლოებით. იმას, რაც განწყობის ფსიქოლოგიაში (უზნაძეს) „ფიქსირებული განწყობის“ სახელწოდებითაა ცნობილი. განწყობის ფიქსაცია ქცევის შედეგია: მას შემდეგ, რაც სუბიექტმა გარკვეული მიმართულებით იმოქმედა,—მას შემდეგ, რაც მან გარკვეული ქცევა შეასრულა, მას შეიძლება აღმოუჩნდეს ამ ქცევის, ამ გარკვეული მიმართულებით მოქმედების ფიქსირებული განწყობა. თავისი ფიქსირებული ბუნების გამო ასეთი განწყობა ადვილად იჩენს ხოლმე თავს იგივე ან მსგავს ობიექტურ სიტუაციაში. წარსული ქცევის პირობებში, უკვე ჩამოყალიბებული განწყობა. ადვილად ხდება აქტუალური, ადვილად იწყებს ხელახლა მოქმედებას. სწორედ ფიქსირებული ბუნების გამო, ამ განწყობას ადვილი აქტუალიზაციის შესაძლებლობა გააჩნია, სწორედ როგორც ფიქსირებულის, მას შეუფერებელ პირობებშიც მოქმედება შეუძლია.

ლაჩინსის ექსპერიმენტით გამოვლინებული „განწყობის ეფექტი“ ფიქსირებული განწყობის ეფექტის ნაირსახეობას წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ „განწყობის ეფექტის“ საკითხი ამერიკულ ფსიქოლოგიაში ქცევის რიგიდობის საკითხს დაუკავშირდა: ქცევაში რიგიდული განწყობა განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს. უზნაძის თანამშრომელთა ინტენსიურ გამოკვლევათა შედეგად დადგინდა იქნა ფიქსირებული განწყობის მოქმედების ტიპები, მათ შორის ტლანქი—სტატიკური მოქმედების ტიპიც, რომლის შემთხვევაში განწყობა განსაკუთრებით ტლანქია, რიგიდულია, და მისი მოქმედება განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს. მთელ რიგ გამოკვლევათა შედეგად, დადგინდა იქნა, სხვათა შორის, ისიც, რომ პიროვნების სიტლანქე, მისი „რიგიდობა“ ფიქსირებული განწყობის თავისებურებაში ვლინდება: ტლანქი, რიგიდული ტიპის

სუბიექტი, ერთხელ შექმნილი განწყობით შებოჭილი, შეცვლილი პირობების შესატყვისად მოქმედებას ვეღარ ახერხებს. რიგიდული ქცევის მაგალითებმა ჩვენი ზემოთ აღწერილი ექსპერიმენტების დროსაც აშკარად იჩინეს თავი. როდესაც შერეული ტექსტის ექსპერიმენტში III ჯგუფის ცდისპირი, ერთი და იმავე შერეული ტექსტის ოთხჯერ ან ხუთჯერ წაკითხვის მიუხედავად, პირველი მოთხრობის კონტექსტში ამ კონტექსტისათვის ჰეტეროგენული შინაარსების ჩართვას აწარმოებს, საქმე რიგიდულ ქცევასთან გვაქვს. ქცევის ეს რიგიდობა სუბიექტის განწყობის თავისებურებითაა გაპირობებული. პირველი ნაწყვეტის წაკითხვის პროცესში სუბიექტს, ამ შემთხვევაში. იმდენად მტკიცე და მოუქნელი განწყობა შეექმნა, რომ, ობიექტური პირობების შეცვლის მიუხედავად, მან ვეღარ მოახერხა ახალი პირობების მიხედვით გადახალისება. ახალი ობიექტური ვითარების შესატყვისად გადახალისება. ასეთ ცდისპირთ განწყობა იმდენად მოუქნელი და რიგიდული ბუნების აღმოაჩნდათ, რომ გაძნელდა მისი გარდაქმნა ობიექტური პირობების ადეკვატურ განწყობად. როდესაც კლასიფიკაციის ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტში ჩვენი ზოგიერთი ცდისპირი ახალი თვალსაზრისით მუშაობას ვერ ახერხებს, ეს იმიტომ ხდება, რომ მათი განწყობა ტლანქია, „რიგიდული“. მაგრამ ზოგიერთი ცდისპირი ადვილად ახერხებს ახალი პირობების შესატყვისად გადახალისებას: ობიექტურ პირობებთან ურთიერთობაში მათი განწყობა უფრო მოქნილი აღმოჩნდა. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ ფიქსირებული განწყობა მართლაც არსებობს და მისი ეფექტი სხვადასხვანაირია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განწყობა „რიგიდულია“, მოუქნელი და ამის გამო ადეკვატურ ქცევისათვის შემწლეულ გარემოებას წარმოადგენს.

მაგრამ განწყობის პრობლემა ფიქსირებული განწყობის საკითხით არ შემოიფარგლება. განწყობის თეორიის თანახმად (უზნაძე), ყოველგვარი ქცევის ფსიქოლოგიურ პირობას სუბიექტის მზაობა წარმოადგენს.—მზაობა, იმოქმედოს ობიექტურ პირობებში თავისი აქტუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს მზაობა, ერთი მხრივ, სუბიექტის მოთხოვნილებით, ხოლო მეორე მხრივ—ობიექტური სიტუაციითაა განსაზღვრული, ეს მზაობა წარმოადგენს სუბიექტის განწყობას, იმოქმედოს ობიექტური პირობების შესატყვისი მიმართულებით. განწყობა მოცემულ ობიექტურ პირობებში



სამოქმედოდ მზადყოფნას წარმოადგენს. როგორც გარკვეული მოქმედების მზაობა, განწყობა, ცხადია, ამ მოქმედებას წინ უსწრებს. განწყობა გარკვეულ მოქმედებისათვის საჭირო ძალთა მობილიზაციას წარმოადგენს და, ამგვარად, ის ამ მოქმედებას არა მხოლოდ წინ უსწრებს, არამედ კიდევაც აპირობებს.

კლასიფიკაციის ზემოთ განხილულ ექსპერიმენტში აღმოჩნდა, რომ, წინა ეტაპზე ჩატარებულ მუშაობასთან დაკავშირებით, ფერხდება სუბიექტის მუშაობა მომდევნო ეტაპზე: როდესაც ცდისპირს თავიდანვე III ეტაპის მასალა ეძლევა, ის ადვილად და სწრაფად ახერხებს მიწოდებულ ტექსტში მოთხრობილი ამბების კლასიფიკაციას (როგორც ამორალურის, ამადლებულის და სასაცილოს). მაგრამ იმავე მასალის იმავე თვალსაზრისით კლასიფიკაციას ცდისპირი ვერ ახერხებს, თუ წინასწარ მან სხვა თვალსაზრისით—„ქცევის მოტივის“ თვალსაზრისით—მოახდინა მასალის კლასიფიკაცია. მასალის „ქცევის მოტივის“ თვალსაზრისით კლასიფიკაციასაც ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ წინასწარ მასალის „ქცევის კატეგორიის“ თვალსაზრისით დაჯგუფება წარმოებდა. იმისათვის, რომ მოხერხდეს ახალ ეტაპზე აღმოცენებული ამოცანის გადაჭრა, საჭირო აღმოჩნდა გადანაცვლების აქტი. ამ აქტის შედეგად ფიქსირებულმა განწყობამ ადგილი ახალი პირობების შესატყვის განწყობას დაუთმო. გადანაცვლების პროცესი, როგორც ვნახეთ, ფიქსირებულ განწყობის და მოცემული ობიექტური ვითარების ორმხრივი ასიმილაციის ღინამიკაში ვლინდება.

როგორც ვნახეთ, იმ ცდისპირთა შემთხვევაში, რომელნიც ექსპერიმენტის სამივე ეტაპზე მუშაობენ, კლასიფიკაციის ოპერაცია მეორე ეტაპზე იმ განწყობის გამო ფერხდება, რომელიც პირველი ეტაპის პირობებში განმტკიცდა, ხოლო მესამე ეტაპის მასალის კლასიფიკაცია—იმ განწყობის გამო, რომელიც მეორე ეტაპზე გაფიქსირდა. ამგვარად, ექსპერიმენტის გასწვრივ საშუალება გვეძლევა გამოვავლინოთ ორი სხვადასხვა ფიქსირებული განწყობის მოქმედება: პირველ ეტაპზე შემუშავებული ფიქსირებული განწყობა თავს იჩენს მეორე ეტაპზე და ამ მეორე ეტაპზე ფიქსირებული განწყობა თავს იჩენს მესამე ეტაპზე. ცხადია, როდესაც მეორე ეტაპზე ცდისპირი, ბოლოს და ბოლოს, კლასიფიკაციის ამოცანის გადაჭრას ახერხებს, ეს ნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე ფიქსირებულმა განწყობამ ადგილი დაუთმო განწყობას, რომელიც მეორე ეტაპის მასალას შესატყვის-

ბა. მეორე ეტაპის ბოლო პერიოდში ეს ადეკვატური განწყობა თანდათან ფიქსირებულ ხასიათს იღებს. მისი ფიქსირებული ბუნება აქ იმაში ვლინდება, რომ მასალის „ქცევის მოტივის“ მიხედვით სამკლასად განაწილებას ცდისპირი უფრო და უფრო ადვილად ახერხებს. მაგრამ მესამე ეტაპის დაწყებისთანავე, ამ განწყობის ფიქსირებული ხასიათი შემწვლელ გარემოებად იქცევა და ხელახლა საჭირო ხდება, ექსპერიმენტის შეცვლილი პირობების შესატყვისად, გადახალისება.

აღნიშნული ექსპერიმენტი არა მხოლოდ ფიქსირებული განწყობის მოქმედებას, არამედ ახალი მასალის შესატყვისი განწყობის აღმოცენების ფაქტსაც ამჟღავნებს. ექსპერიმენტმა ნათელყო, რომ ამოცანის გადასაჭრელად სათანადო განწყობაა საჭირო: მეორე და მესამე ეტაპზე ამოცანის გადაჭრა მხოლოდ მაშინ ხერხდება, როდესაც ასეთი განწყობის შესაქმნელად სათანადო პირობებია მოცემული. კლასიფიკაციის ამოცანის გადაჭრა ხერხდება მაშინ, როდესაც სათანადო განწყობის შექმნას ხელს არ უშლის წინა ეტაპის პირობებში ფიქსირებული განწყობა.

ეხლა ჩვენ წინაშე ახალი საკითხი დგას: როგორ მიმდინარეობს იმ განწყობის აღმოცენების პროცესი, რომელიც ამოცანის გადაჭრის პირობას წარმოადგენს? რანაირად მონაწილეობს განწყობა ამოცანის გადაჭრის პროცესში და როგორ ხორციელდება მისი რავგარობის ჩამოყალიბება?

როგორც უკვე იყო აღნიშნული, განწყობის პრობლემურ სიტუაციაში აღმოცენება განსაკუთრებულ პირობებს გულისხმობს, როდესაც სუბიექტი თავისი აქტუალური მოთხოვნილებით განუსაზღვრელად მდიდარ და მრავალფეროვან სინამდვილეში ისეთ პირობას ხვდება, რომელსაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. საკითხი განწყობის აღმოცენების შესახებ, შედარებით, მარტივად წყდება: აქტუალური მოთხოვნილება და მოცემული ობიექტური პირობები, სუბიექტის აქტუალური ჩარევის გარეშე, მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მზაობას იწვევენ,—მზაობას, რომელშიც მონაცემი ობიექტური პირობებია ასახული. განწყობის სუბიექტური ფაქტორი—მოთხოვნილება—და განწყობის ობიექტური ფაქტორი—მოცემული სიტუაცია—ურთიერთს განსაზღვრავს, ერთმანეთს კონკრეტულ ხასიათს ანიჭებს. სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც განწყობა სუბიექტს პრობლემურ სიტუაციაში უჩნდება. ამ განწყო-

ბის სუბიექტურ ფაქტორს გნოსტიკური მოთხოვნილება—დასმული კითხვა „რა არის ეს?“—წარმოადგენს. ამ განწყობის ობიექტურ ფაქტორს ისეთი სიტუაცია შეადგენს, რომელიც სავსებით ჯერ არ არის მოცემული. სუბიექტმა უნდა მოიპოვოს ეს სიტუაცია. ამაშია მის წინაშე აღძრული ამოცანა, ეს მიზანი აქვს მის თეორიულ ქცევას. მაგრამ, ამავე დროს, ამ სიტუაციის მოპოვება იმ განწყობის საფუძველზე უნდა მოხდეს, რომელსაც თვითონ ეს მოსაპოვებელი სიტუაცია განსაზღვრავს.

როგორ ხდება, რომ სუბიექტის აზროვნება ისეთი სიტუაციის მიმართულებას იძენს, რომელიც სუბიექტისათვის პრობლემურია. ჩვენმა ახალმა ექსპერიმენტმა ამ კითხვებზე უნდა გასცეს პასუხი.

## 2. ექსპერიმენტის პროცედურა

ცდისპირს ეძლეოდა ხარვეზიანი ტექსტი რუსულ ენაზე. ტექსტი ისე იყო შედგენილი, რომ მისი წაკითხვა თავიდან ბოლომდე ორნაირად იყო შესაძლებელი: როგორც მოთხრობისა არწივის შესახებ და როგორც მოთხრობისა ვირის შესახებ. ერთ ტექსტში მოცემული ამ ორი მოთხრობის სიუჟეტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იყო.

ცდისპირს წინაღედება ეძლეოდა შეევსო ხარვეზიანი სიტყვები და ერთდროულად ხმამაღლა, ყურადღებით წაეკითხა ტექსტი, ცდისპირი გაფრთხილებული იყო, რომ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მას წაკითხულის შინაარსის გადმოცემა მოეთხოვებოდა.

ცდები ჩატარდა უმთავრესად სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული სექტორის სტუდენტებზე, და, აგრეთვე, მეცნიერ მუშაკ ფსიქოლოგებზე.

ექსპერიმენტი ჩატარდა 33 ცდისპირთან. ცდისპირებს ტექსტი ეძლეოდა შემდეგი სახით:

Те...ал о...ел, де...ал он среди ...орных... уч и с...ал. Потом вз...е...ел. Теперь уже не с...ал и ...орных ..,уч он видел очертания, он видел ...е...а с...о.... к нему тянулся он. Как было хорошо о...лу в тот летний, знойный день. Ор...л упиваясь своей о...лпной свободой, думал: „Как хорошо быть вдали от людей. Там где царит человек, и поле...ать нельзя свободно. А здесь никто мне не мешает. Вот поле...у еще, потом подня-

ться можно, уйти от этих ...орных ...уч, пробраться вот туда, поближе к ...е...у.

Вдруг что-то засверкало в небосводе. Огромное несется в облаках: со свистом рассекая воздух.

Какой большой подумал наш о...ел. как быстро мчится он. Все набирает высоту. И как шумит! Ну что же, попробуем сразиться!

Вз...е...ев, ор...л, что было сил, соревновался с самолетом ... е ... ел о...ел ... е...ел весь день, а самолета след простыл

### ამ ტექსტის წაკითხვა ორხანობადაა შესაძლებელი:

1) Летал орел, летал он среди горных туч и скал. Потом взлетел. Теперь уже не скал и горных туч он видел очертания, он видел неба свод к нему тянулся он. Как было хорошо орлу в тот летний знойный день. Орел, упиваясь своей орлиной свободой, думал: „Как хорошо быть вдали от людей, Там, где царит человек и полетать нельзя свободно. А здесь никто мне не мешает. Вот полечу еще, потом подняться можно, уйти от этих горных туч, пробраться вот туда, поближе к небу.

Вдруг что-то засверкало в небе. Огромное несется в облаках, со свистом рассекая воздух.

„Какой большой, подумал наш орел, как быстро мчится он. Все набирает высоту. И как шумит! Ну, что же, попробуем сразиться!“ Взлетев, орел что было сил, соревновался с самолетом. Летел орел, летел весь день, а самолета след простыл.

2. Лежал осел, лежал он среди сорных куч и спал. Потом взревел. Теперь уже не спал и сорных куч он видел очертания, он видел сена стог, к нему тянулся он. Как было хорошо ослу в тот летний знойный день. Орал, упиваясь своей ослиной свободой, думал: „Как хорошо быть вдали от людей. Там где царит человек и полежать нельзя свободно. А здесь никто мне не мешает, Вот полежу еще. потом подняться можно, уйти от этих сорных куч, пробраться вот туда, поближе к сему.

Вдруг что-то засверкало в небе, огромное несется в облаках, со свистом рассекая воздух.

„Какой большой, подумал наш осел, как быстро мчится он. Все набирает высоту. И как шумит, ну что же, попробуем сразиться.

Взревев осел, что было сил, соревновался с самолетом, Ревел осел, ревел, весь день, а самолета след простыл.

### 3. ექსპერიმენტის შედეგები

33 ცდისპირიდან 16 იწყებს არწივით — „летал орел“ და ბოლომდე შესატყვისად ავსებს ხარვეზებს (ყველა სიტყვას კითხულობს ადეკვატურად). 8 ცდისპირიც თავიდან კითხულობს—летал орел, მაგრამ ზოგიერთ სიტყვას ავსებს ვირის კონტექსტის შესატყვისად, ე. ი. ისე, როგორც ეს შეფერის მოთხრობას ვირის შესახებ. მაგ., ნაცვლად იმისა, რომ წაეკითხა скал, 4 ცდისპირმა წაიკითხა спал; „летал орел, летал он среди горных туч и спал.

ეს სიტყვა спал შეესატყვისება ვირის კონტექსტს „Лежал осел, лежал он среди сорных куч и спал“ მაგრამ აბსურდია, როდესაც საქმე ეხება არწივს, რომელიც დაფრინავს. ორმა ცდისპირმა ხარვეზიანი სიტყვა вз-е-ел, არწივის კონტექსტში წაიკითხა, როგორც взревел რაც მოთხრობაში არწივის შესახებ აგრეთვე უაზრობას წარმოადგენს.

8 ცდისპირმა ტექსტის შევსება და წაკითხვა ვირის კონტექსტში დაიწყო, მაგრამ მერე იძულებული შეიქნა არწივის კონტექსტზე გადასულიყო. ორი ცდისპირის შემთხვევაში ეს მოხდა მას შემდეგ, რაც...орных...туч, წაკითხული იყო როგორც горных туч—„Горных туч определило переход к орлу“—აღნიშნა ერთმა ცდისპირმა. (ოქმი № 31).

ოთხ შემთხვევაში ვირის კონტექსტი დაირღვა იმასთან დაკავშირებით, რომ ხარვეზიანი სიტყვა ор-л წაკითხულ იქნა როგორც орел და არა როგორც орал. ერთმა ცდისპირმა (ოქმი № 11) დაიწყო: лежал орел, მერე გაკვირვებით აღნიშნავს: Лежал он среди сорных куч? и спал? და განაცხადებს: нет, лучше лежал осел, ამის შემდეგ ბოლომდე ინარჩუნებს ვირის კონტექსტს.

ამგვარად, თუ პირველ შემთხვევაში—орных туч, როგორც; горных туч ვირის კონტექსტში წაკითხვამ გამოიწვია ამ კონტექსტის არწივის კონტექსტით შეცვლა, მეორე შემთხვევაში იმა-

ვე ..горных ..уч არწივის კონტექსტში, როგორც сорных куч წაკითხვამ აიძულა ცდისპირი არწივის კონტექსტი ვირის კონტექსტით შეეცვალა, ორი ცდისპირი მერყეობს ვირისა და არწივის კონტექსტს შორის: ერთმა დაიწყო ვირით, მაგრამ მას შემდეგ, რაც сорных куч ნაცვლად წაიკითხა горных туч, გადავიდა არწივის კონტექსტზე, მერე ისევ პირველ კონსტექსტს დაუბრუნდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ор-а წაკითხულ იქნა როგორც орел, არწივის კონტექსტი საბოლოოდ განმტკიცდა (ოქმი № 8). მეორე შემთხვევაშიც წაკითხვა горных туч უბიძგებს ცდის პირს არწივის მიმართულებით: Лекция орел среди горных туч მთის ღრუბლებთან დაკავშირებით, კითხულობს უკვე არა полелу, არამედ полелу; შემდეგ ისევ ვირის კონტექსტს უბრუნდება და კითხულობს взрвел, მაგრამ მაშინათვე ასწორებს: нет, взлетел орел. ამის შემდეგ კითხულობს ხან осел, ხან орел; ამთავრებს არწივით; მაგრამ მეორე ვარიანტს რომ ვაძლევ, კითხულობს ისევ ვირის კონტექსტის შესატყვისად, მერე ისევ არწივის კონტექსტის შესატყვისად და ბოლოს ისევ უბრუნდება ვირის კონტექსტს (ოქმი № 17).

რა ამოცანა დგას ცდისპირის წინაშე ჩვენი ექსპერიმენტის შემთხვევაში? ინსტრუქციის მიხედვით, მას ორი რამ ევალება: ა. შეავსოს ხარვეზიანი სიტყვები საჭირო ასოებით, ბ. გაიგოს და დაიმახსოვროს ტექსტში მოთხრობილის შინაარსი. ასეთი დავალება გულისხმობს ხარვეზიანი სიტყვების არა უბრალო შევსებას, არამედ ისეთ შევსებას, რომელიც კონტექსტს შეესატყვისება. ხარვეზიანი სიტყვები სიაში რომ მიგვეცა, ხარვეზის შევსების ამოცანა სხვანაირი იქნებოდა. ამგვარად, ამოცანა, რომელიც დგას ჩვენი ცდისპირის წინაშე, მდგომარეობს ხარვეზიანი სიტყვების რალაც გარკვეული კონტექსტის მიხედვით შევსებაში.

როდესაც ცდისპირი მუშაობას იწყებს, მას ერთმანეთის გვერდით ორი ხარვეზიანი სიტყვა ეძლევა: лел.. ал о - ел ჩვენი დაკვირვებით ეს ორი ხარვეზიანი სიტყვა ცდისპირისათვის ერთ ამოცანას შეადგენს. ცდისპირი მათ ცალ-ცალკე კი არ აკვირდება, არამედ მსჯელობს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს лел—ал о—ел, ცდისპირი ამ ორ ხარვეზიან სიტყვას ერთმანეთს უპირისპირებს და ამ დაპირისპირების საფუძველზე ხარვეზიანი სიტყვების გამოცნობას ახერხებს. ჩვენი დაკვირვებით საკმარისი იყო ამ ორი სიტყვიდან ერთის ამოკითხვა, მაგ., лелал, რათა თავი ეჩინა მის შესატყვის სიტყვას орел; ან, პირიქით, ამოიკითხავდა თუ არა ცდისპირი სიტყვას

ოსელ მას მაშინვე აზრად მოსდიოდა სიტყვა *лежал*. ცდისპირთა უმრავლესობამ (77%) ამ ხარვეზიან სიტყვებში *метал* *орел*, შედარებით უმნიშვნელო რაოდენობამ (23%) *лежал* *осел* ამოიკითხა. ეს გასაგებიცაა: არწივისათვის ფრენის მდგომარეობა გაცილებით უფრო ჩვეულებრივია და დამახასიათებელი, ვიდრე ვირისათვის—წოლის მდგომარეობა. ჩვენ წარსულ გამოცდილებაში—იქნება ეს ფანტაზია თუ რეალობა—საქმე გაცილებით უფრო ხშირად მფრინავ არწივთან გვექონია, ვიდრე მწოლიარე ვირთან.

როდესაც შემდეგში ცდისპირს ხარვეზიან სიტყვათა ახალი წყვილი—... *орных...уч* ხვდება, თავს იჩენს სიტყვათა გამოცნობის ახალი ფაქტორი. საქმე იმაშია, რომ ტექსტის დასაწყისში კონტექსტი ცდისპირისათვის ჯერ არ არსებობს. მაგრამ მას შემდეგ, რაც აღიარებულია *орел* *метал* ან *осел* *лежал*, სუბიექტი უკვე გარკვეულ კალაპოტში მოექცა. ის უკვე „მფრინავი არწივის“ ან „მწოლიარე ვირის“ კონტექსტითაა შეზღუდული. ჩვეულებრივად, თუ ცდისპირმა თავში *метал* *орел* წაიკითხა, შემდეგში ის *горных* *туч*-ს ამოიკითხავს ხოლმე. ხოლო თუ მან ტექსტის დასაწყისში ხარვეზიან სიტყვებში *лежал* *осел* გამოიცნო, შემდეგში ის *горных* *туч*-ს კი არა არამედ *сорных* *туч*-ს კითხულობს. აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ცდისპირი, რომელმაც დაიწყო *лежал* *осел*, შემდეგ კი *сорных* *куч*-ის ნაცვლად წაიკითხა *горных* *туч*. ამ გარემოებამ აიძულა ცდის პირი კონტექსტის სტრუქტურის შეცვლა მოეხდინა: შევსებული *лежал* *осел* მან სწრაფად გადააკეთა *метал* *орел*. *горных* *туч*,— აღნიშნა შემდეგში ამ ცდისპირმა—*определило поворот к орлу*.

ხარვეზიანი სიტყვების—*орных*—*уч* წყვილის როგორც *сорных* *куч*, ან როგორც *горных* *туч*-ად ამოკითხვას უკვე კონტექსტიც განსაზღვრავს.

გადავიდეთ შემდეგ ხარვეზიან სიტყვაზე: ხშირად ცდისპირები არწივის კონტექსტშიც, *спал*-ის ნაცვლად კითხულობენ *спал*-ს, მიუხედავად იმისა, რომ უაზრობა გამოდის: *орел* *метал* *среди* *горных* *туч* *и* *спал*.

აქ მნიშვნელობა უნდა ქონდეს იმ გარემოებას, რომ სიტყვის დაბოლოება —*ал*—ჩვეულებრივად დამახასიათებელია ზმნისათვის ნამყოფ ღროში (მაგ., *думал*, *звал*, *решал* და სხვა). ამ ხარვეზიან სიტყვას ზმნის კონფიგურაცია აქვს და ცდისპირები ამ შემთხვევაში,

ჩვეულებრივად, ზმნას ეძებენ „რა უნდა იყოს აქ? ამბობენ ისინი, **спая, стая?** სიტყვა **стая** კი არ მოსდით აზრად. მოცემულ ხარვეზიან სიტყვიდან აზრიანი სიტყვის **стая**-ის ამოკითხვის ალბათობა კონტექსტის გარეშე ძალიან მცირე უნდა იყოს. ის გარემოება, რომ ცდისპირები მაინც ახერხებენ მის ამოკითხვას, მოწმობს, რადიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ექსპერიმენტის შემთხვევაში კონტექსტის ფაქტორს.

ხარვეზიან სიტყვათა წყვილი **e... a c... o** არწივის კონტექსტში უნდა იქნეს წაკითხული **неи свои**. ხოლო ვირის კონტექსტში—**цена стог** ცდისპირები ახერხებენ ამ სიტყვების კონტექსტის შესატყვისად ამოკითხვას მაგრამ შედარებით ძნელად. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ აქ თანხმოვანი ასოებია გამოტოვებული და ხმოვანი ასოებით წარმოდგენილი კონფიგურაცია, კი როგორც ჩანს, არამყარი და დიფუზური აღმოჩნდა.

ხარვეზიანი სიტყვა **ор...а**, არწივის კონტექსტში ხშირად შეუფერხებლად იკითხება როგორც **орел**, მაგრამ ვირის კონტექსტში ეს ხარვეზიანი სიტყვა იწვევს შეჩერებას, გაუგებრობას, მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ ცდის პირი ხშირად იძულებული ხდება მოახდინოს წაკითხულის გადასტრუქტურება და შეეცადოს ახალი კონტექსტის—არწივის კონტექსტის აწყობა.

#### 4. ექსპერიმენტის შედეგთა ანალიზი

რა ფსიქოლოგიური პროცესი სწარმოებს, როდესაც ჩვენი ცდისპირი ხარვეზიანი სიტყვების ამოკითხვას სწორად, ე. ი. ან ერთი ან მეორე კონტექსტის შესატყვისად, ახერხებს?

შეგვიჩვენებთ სწორი ამოკითხვის რომელიმე შემთხვევაზე მაგ., ხარვეზიანი სიტყვები...**орных уч-**ს ცდისპირთა უმრავლესობა არწივის კონტექსტში კითხულობს როგორც **горных туч**, ხოლო ვირის კონტექსტში—როგორც **сорных куч**. ორივე შემთხვევაში სიტყვის სწორი გამოცნობა კონტექსტითაა განსაზღვრული და კონტექსტის მიხედვითაა სწორი. ის გარემოება, რომ არწივის კონტექსტში ხარვეზიანი სიტყვები—**орных уч** ცდის პირებმა ამოიკითხეს, როგორც **горных туч**, ხოლო მეორე—ვირის კონტექსტი, როგორც **сорных куч**, ნათელყოფს კონტექსტის ფაქტორის მნიშვნელობას. მაგრამ კონტექსტის როლი შეზღუდულია მოცე-



მული კონფიგურაციით (орнах ყყ). გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს ცდისპირის ლექსიკურ მარაგსაც, ე. ი. მის წარსულ გამოცდილებასაც. ამ თავის გამოცდილებიდან აწარმოებს ის საჭირო სიტყვების შერჩევას. სიტყვის ამოკითხვა ჩვენი ტექსტის პირობებში ამ სამი ფაქტორის—კონტექსტის, ხარვეზიანი სიტყვის გრაფიკული გამოხატულების და სუბიექტის წარსული გამოცდილების—კოორდინაციის შედეგადაა შესაძლებელი. რა უზრუნველყოფს ამ კოორდინაციას? რანაირია ის კავშირი, რომელიც მყარდება ამ სამ ფაქტორს შორის ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში?

ამ საკითხთან დაკავშირებით პირველ რიგში აღსანიშნავია. რომ ხარვეზიანი სიტყვიდან აზრიანი სიტყვის ამოსაკითხავად ჩვენი ცდისპირები, ჩვეულებრივად, ცალკე ასოთა მორგების ხერხს კი არ მიმართავენ, არამედ ამას ერთგვარი წვდომის. ერთგვარი მოულოდნელი აღმოჩენის გზით ახერხებდნენ. ბუნებრივად დგება საკითხი: ინსაიტურ (Insight) წვდომასთან ხომ არა გვაქვს აქ საქმე და მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები გეშტალტური ფსიქოლოგიის ამ ცნებით ხომ არ არის ასახსნელი?

ვერთქაიმერისათვის, როგორც აღვნიშნეთ. აზროვნება ისეთ პროცესს წარმოადგენს, რომელშიც სუბიექტი პრობლემური სიტუაციის ( $s_1$ -ის) დაქსაქსულ აგრეგაციიდან საბოლოო სიტუაციის ( $s_2$ -ის) სრულყოფილ სტრუქტურაზე გადადის. პრობლემური სიტუაციის ( $s$ -ის) სტრუქტურა მერყევეს და ნაკლოვანი აზროვნების შედეგად მოპოვებული სიტუაცია ( $s_2$ ) მყარ და დასრულებულ სტრუქტურას წარმოადგენს. აზროვნება გეშტალტფსიქოლოგიის პრობლემურ სიტუაციიდან დასრულებული სტრუქტურის სიტუაციაზე გადასვლის ისეთ პროცესს წარმოადგენს, რომელიც ოპერაციებისა და ნაბიჯების რიგს შეიცავს. ნამდვილი აზროვნების პროცესში, ეს ნაბიჯები და ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ და, ამგვარად, „სტრუქტურულად აზრიან“ ნაბიჯებსა და ოპერაციებს წარმოადგენენ.

ჩვენს ექსპერიმენტში პრობლემურ სიტუაციას ხარვეზიანი ტექსტი შეადგენს. ამ ტექსტის თითოეული ხარვეზიანი სიტყვა პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ დარღვევას წარმოადგენს. სტრუქტურულად დასრულებულ სიტუაციას კი ცდისპირის მიერ შევსებული ტექსტი წარმოადგენს. თუ ვერთქაიმერის მიხედვით აზროვნება იმ პროცესს წარმოადგენს, რომლის შედეგად სუბიექტი

პრობლემური სიტუაციის დაქსაქსულ აგრეგაციიდან საბოლოო სიტუაციის სრულყოფილ სტრუქტურაზე გადასვლას ახერხებს, ხარვეზიანი სიტყვებიდან, მაგ., — *орных-уч*, რომელიც, მართლაც, ტექსტის სტრუქტურულ დარღვევას წარმოადგენს, სტრუქტურულად უფრო გარკვეულ კონფიგურაციებზე *орных уч* ან *орных уч*-ზე გადასვლა ვერთჰაიმერისათვის აზროვნების შედეგად მოპოვებულ სიტუაციას უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ ისმის კითხვა: რა უზრუნველყოფს ასეთი სრულყოფილი სიტუაციის მოპოვებას? როგორ არის შესაძლებელი ისეთი დარღვეული სტრუქტურიდან, როგორცაა, ტექსტი ხარვეზიანი სიტყვებით—*орных-уч*, ისეთ დასრულებულ სტრუქტურაზე გადასვლა, რომელშიც აზრიანი სიტყვები *орных уч*, ან *орных уч* ტექსტის დანაკლისს ავსებენ, მისი დარღვეული სტრუქტურის აღდგენას ახდენენ? გეშტალტფსიქოლოგიას ინსაიტის (Insight) ცნება გააჩნია. განვიხილოთ ჩვენი ექსპერიმენტალური მონაცემები ამ ცნების თვალსაზრისით.

ინსაიტის ცნება ფსიქოლოგიაში პირველად კელერმა შემოიტანა. როგორც ცნობილია, თვითონ კელერთანაც ამ ცნებამ ცვლილებათა რიგი განიცადა.

პირველად ინსაიტის ტერმინი კელერმა სულტანის მიერ ახალი მიმართულების აღმოჩენის აღსანიშნავად გამოიყენა. ამასთან დაკავშირებით, საკითხთა რიგი აღმოცენდა: ა. რას აღნიშნავს ტერმინი ინსაიტი, შინაგან განცდას, თუ ისეთ რაღაცას, რისი დაკვირვება ქცევაშია შესაძლებელი? ბ. ინსაიტი წვდომის, გაგების მომენტანურ აქტს წარმოადგენს თუ პერმანენტული გაგების პროცესს? გ. ინსაიტი ამოცანის გადაჭრის პირობას წარმოადგენს თუ ამოცანის გადაჭრის შედეგს? დ. შეუძლია ინსაიტს რაიმეს ახსნა თუ ის თვითონაა ახსნენელი?

შემდეგში თვითონ კელერმაც განაცხადა, რომ ინსაიტი ისეთ აღწერით ცნებას წარმოადგენს, რომელიც ქცევის გარკვეულ სახეობას გამოხატავს. ასე გაგებული ინსაიტი ისეთ რამეს წარმოადგენს, რაც ქცევაში იჩენს თავს. ამიტომ ასე გაგებული ინსაიტი ბიჰევიორისტებისათვისაც აღმოჩნდა მისაღები.

შემდეგ კელერმა უარი განაცხადა თავის აღრინდელ შეხედულებებზე და ინსაიტი შემეცნების ისეთ კატეგორიად, ისეთ ფსიქოლო-

გიურ პრინციპად აღიარა, რომელშიც ფსიქოლოგიურ მოვლენათა მთლიანობითი სტრუქტურული ბუნებაა ნაგულისხმევი<sup>34</sup>.

ინსაიტის ცნება გეშტალტფსიქოლოგიაში ამ უკანასკნელი მნიშვნელობით განმტკიცდა. იგი ქცევის პრინციპს და ამოცანის გადაჭრის საშუალებას წარმოადგენს: ინსაიტი პრობლემური სიტუაციის მოულოდნელ რეორგანიზაციას ახდენს.

აღნიშნავენ, რომ ტერმინს ინსაიტი გეშტალტფსიქოლოგია ყოველგვარი ახსნის გარეშე იყენებს, რომ ამ ფსიქოლოგიისათვის, ინსაიტი ქცევის ისეთ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც ამოცანის გადაჭრის „დრამატიულ მოულოდნელობაში“ ვლინდება. როგორც კი ინსაიტი მოხდა, ამოცანის გადაჭრა ურყევ ხასიათს იძენს. ფსიქოლოგიური ველის იმ რეორგანიზაციას, რომელიც ამოცანის გადაჭრის პროცესში ხდება, გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგენლები ინსაიტს აწერენ<sup>35</sup>.

ჩვენი ექსპერიმენტის დროს აღმოჩნდა, რომ ხარვეზიან სიტყვაში გარკვეული მნიშვნელობის სიტყვის ამოკითხვას ჩვენი ცდისპირები მეტწილად ასოების რიგრიგობით მორგების გარეშე ახერხებენ. ჩვენი დაკვირვებისა და ზოგიერთი ცდისპირის ჩვენების თანახმად, ჩვეულებრივად, ხარვეზიანი სიტყვები, მაგ *орнхз -уу*, მოფიქრების შედეგად იწვევს იდეას *орнхх тух* ან *сорнхх куу*; მხოლოდ განსაკუთრებული სიძნელის შემთხვევაში ცდისპირი იძულებული ხდება ასოების რიგრიგობით მორგების ცდას მიმართოს. ასეთი მუშაობის დროს ცდისპირი, საჭირო სიტყვას შემთხვევით წააწყდება ზოლმე.

მაგრამ რა გზასაც არ უნდა დაადგეს ჩვენი ცდისპირი საჭირო აზრიანი სიტყვის საძიებლად, სამი გარკვეული ფაქტორი ყოველთვის იჩენს ზოლმე თავს: ხარვეზიანი სიტყვის კონფიგურაცია, წარსული გამოცდილება და უკვე წაკითხულის კონტექსტი. ამ სამი ორიენტარის მიხედვით ახერხებს ცდისპირი საჭირო სიტყვის გამოცნობას.

ხარვეზიან სიტყვებში—*орнхх—уу* აზრიანი სიტყვების *орнхх тух* ან *сорнхх куу*-ად ამოკითხვა გულისხმობს, რომ ხარვეზიანი

<sup>34</sup> გეშტალტფსიქოლოგიის ამ დებულებას ხშირად აკრიტიკებენ, აღნიშნავენ, რომ ქცევის ახსნა ფსიქოლოგიური ველის დინამიკურობით წრეში იტრიალებს. თუ თვითონ ეს დინამიკურობა არ იქნება ახსნილი ქცევისაგან დამოუკიდებლად.

<sup>35</sup> Van de Geer—„A psychological study of problem solving“.

სიტყვის მოცემული კონფიგურაცია, სუბიექტის შესატყვისი წარსული გამოცდილება (ლექსიკური ფონდი) და წაკითხულის კონტექსტური კოორდინაციაშია მოყვანილი. ხარვეზიან სიტყვებში — *орных —уч горных туч* ან *сорных куч* -ის წვდომა ამ კოორდინაციის შედეგს წარმოადგენს. ასეთე წვდომა აზრობრივ ოპერაციათა გზით ხერხდება. საკითხი ისმის ამ აზრობრივ ოპერაციათა ურთიერთკავშირის ფსიქოლოგიური პირობის შესახებ. პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ მოთხოვნათა წვდომა და, მით უმეტეს, ამ სიტუაციაში სრულყოფილი სტრუქტურის აღდგენა აზრობრივ ოპერაციათა ურთიერთ შეთანხმებული, ურთიერთთან დაკავშირებული მიმდინარეობის შედეგს წარმოადგენს.

ინსაიტის ცნება აზრობრივ ოპერაციათა ამ ურთიერთშეკავშირებას, მათ ერთიანი პროცესის კალაპოტში მიმდინარეობას ვერ განსაზღვრავს. ინსაიტი, გეშტალტფსიქოლოგიის მიხედვით, პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ დარღვევათა წვდომას წარმოადგენს. მაგრამ განა სიტუაციის სტრუქტურულ დარღვევათა წვდომა ამ დარღვევათა აღდგენასაც ნიშნავს? ინსაიტის ცნება პრობლემური სიტუაციაზე სუბიექტის მიმართულებას გულისხმობს. მაგრამ რა ურზუნველყოფს წარსული გამოცდილების არსენალიდან სწორედ ისეთი მონაცემების შერჩევასა და წამოღებას, რომელიც ჩვენს ექსპერიმენტში მოცემული კონფიგურაციის დარღვეულ სტრუქტურას კონტექსტის მიხედვით აღადგენს?

ასახსნელია ექსპერიმენტული ფაქტი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ ცდისპირმა პირველი ორი ხარვეზიანი სიტყვა *л-ал о-ел*, როგორც *лежал орел*, წაკითხა, შემდეგი ხარვეზიანი სიტყვები არწივის კონტექსტში იკითხება; მაგრამ, თუ ხარვეზიანი სიტყვების პირველი წყვილი წაკითხულ იქნა, როგორც *лежал осел*, მომდევნო ხარვეზიანი სიტყვები მეორე მოთხრობის—ვირის შესახებ მოთხრობის კონტექსტში იკითხება. ამგვარად, აღმოჩნდა, რომ მომდევნო ხარვეზიანი სიტყვების წაკითხვა, როგორც *горных туч* თუ როგორც *сорных куч*, როგორც *взлетел* თუ როგორც *взревел* როგორც *пена свод* თუ როგორც *сена стог* და ასე შემდეგ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნა წაკითხული ხარვეზიან სიტყვათა პირველი წყვილი: როგორც *летел орел* თუ როგორც *лежал осел*.

ინსაიტის ცნება ვერ იძლევა ამ ფაქტის ფსიქოლოგიურ ახსნას. ჩვენი ექსპერიმენტის შემთხვევაში არც ღუნკერის კონცეფცია გამოვადგება. ამ კონცეფციის მიხედვით, წარსული გამოცდილება ობიექტის თვისებებად კრისტალიზდება: ობიექტის გარკვეული ფუნქციით გამოყენება ობიექტის თვისებათა კონფიგურაციაზე ახდენს გავლენას. მაგრამ ჩვენი ექსპერიმენტის ამ ეტაპზე ცდისპირი კონფიგურაცია, მაგ. *орных*—პირველად ხვდება. მას ეს კონფიგურაცია ჯერ არც ერთ და არც მეორე კონტექსტში, არც როგორც *горных туч*, არც როგორც *сорных куч* არ გამოუყენებია. რატომაა, რომ მას შემდეგ, რაც წაკითხულ იქნა *метал орел*, ეს კონფიგურაცია იკითხება როგორც *горных туч*; ხოლო მას შემდეგ, რაც წაკითხულ იქნა *лежал осел*, როგორც *сорных куч*, ამაზე ფუნქციონალური თქისირებულობის“ კონცეფცია პასუხს ვერ გასცემს.

ამერიკელი ავტორები აზროვნების პრობლემას სეტის (განწყობის) ცნებას უკავშირებენ. განწყობა კი მათ გაგებულ აქვთ როგორც პიროვნების რიგიდობის, მოუქნელობის გამოვლენა, როგორც „მოქმედების გარკვეული მოდუსის შენარჩუნების ტენდენცია“. მაგრამ იქ, სადაც. არწივთან დაკავშირებით...*орных*—*уч*, როგორც *горных туч*, ხოლო, ვირთან დაკავშირებით, როგორც *сорных куч* იკითხება, პერსევერაციის ტენდენციასთან ან პიროვნების მოუქნელობასთან საქმე არ უნდა გვქონდეს: „განწყობის ეფექტი“ ამერიკელ ავტორებთან, ჩვეულებრივად, ისეთი მოქმედების პერსევერაციაში ვლინდება, რომელიც მოცემულ პირობებს არ შეესატყვისება. ჩვენს ექსპერიმენტულ შემთხვევასთან დაკავშირებით კი, სწორედ კონტექსტის შესატყვისი, სწორი წაკითხვის ფაქტია ასახსნელი. საკითხი ისმის იმის შესახებ, თუ რა უზრუნველყოფს უცნობი კონფიგურაციის მანამდე წაკითხულთან შესატყვისად გაგებას.

თითქოს, ჩვენს მონაცემებში ყველაზე უფრო ბარტლეტის კონცეფციას შეუძლია ერთგვარი შუქის შემოტანა. აზროვნება, ამ ავტორის მიხედვით, მოცემულ ინფორმაციაში ხარვეზების შევსებას წარმოადგენს: თანდათანობითი ნაბიჯების შედეგად. აზროვნება ამ ხარვეზებს წინათ დაგროვილი ინფორმაციით ავსებს და ამ გზით მოცემული ინფორმაციის გაშლას აწარმოებს. ჩვენი ექსპერიმენტის შემთხვევაში ხარვეზიანი სიტყვა სწორედ იმ ნაკლოვან ინფორმაციას წარმოადგენს, რომელიც უკვე დაგროვილი ინფორმაციით უნდა იქ-

ნეს შევსებული. მაგრამ აქ საკითხი დგება იმ ფსიქოლოგიური მექანიზმის, იმ ფსიქოლოგიური პირობის შესახებ, რომელიც წარსული გამოცდილების უშუალოდ მოცემულთან შერწყმას უზრუნველყოფს. ბარტლეტის „სქემა“ ამისათვის არაა საკმარისი, ვინაიდან სქემა მეხსიერების ფენომენს წარმოადგენს—„მეხსიერებაში ინახება“<sup>36</sup>; ვინაიდან „სქემა“ ბარტლეტისათვის ისეთ წარსულ გამოცდილებას წარმოადგენს, რომელიც „ერთგვარ სტანდარტებად“ გაფორმებული, ორგანიზმის „ორიენტაციას სწორედ იმისაკენ ახდენს, რაზედაც ეს ორგანიზმი მოცემულ მომენტშია მიმართული“<sup>37</sup>. მაგრამ, საკითხი ხომ არსებითად სწორედ სუბიექტის ამ მიმართულების ამ ორიენტაციის შესახებ დგას.

აღნიშნული ექსპერიმენტული ფაქტი განწყობის თეორიის პოზიციებიდან შემდეგნაირად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული: ცდისპირს, ინსტრუქციის შედეგად, გარკვეული მიზანი ესახება— წაიკითხოს და შეავსოს ხარვეზიანი ტექსტი. ამ მოთხოვნილებით სვდება ცდისპირი ჩვენს მიერ მიწოდებულ ხარვეზიან ტექსტს. ესაა მისი შემეცნებით მოთხოვნილების შესატყვისი სიტუაცია. ტექსტი მისთვის რომ არ მიგვეცა, ტექსტის წაკითხვისა და შევსების მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა—სათანადო ქცევა არ გაიშლებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ცდისპირისათვის ტექსტის წაკითხვისა და შევსების ინსტრუქცია, რომ არ მიგვეცა, ტექსტი მისი აქტივობის ველად არ გახდებოდა.

უნდა ვიფიქროთ. ცდისპირის აღნიშნული შემეცნებითი მოთხოვნილება და მის წინაშე ტექსტის არსებობის ფაქტი იმ განწყობის აღმოცენების პირობას წარმოადგენს, რომელიც მის შემდგომ ქცევას განსაზღვრავს. ამ მოსაზრების კანონიერებას სწორედ განხილული ექსპერიმენტული ფაქტი ადასტურებს. ჩვენი ხარვეზიანი ტექსტის იქით ორი თანასწორუფლებიანი სინამდვილეა—მოთხრობა არწივის შესახებ და მოთხრობა ვირის შესახებ. ტექსტი ერთ და იმავე დროს ორ სხვადასხვა ობიექტურ ვითარებას გამოხატავს, ორ სხვადასხვა სიუჟეტს შეესატყვისება. მას შემდეგ, რაც ცდისპირმა წაიკითხა პირველი ხარვეზიანი სიტყვები, ის უკვე ჩაბმულია ერთ-ერთი ობიექტური ვითარების კალაპოტში. მისი შემდგომი ცნო-

<sup>36</sup> Бартлет „Психология труда“.

<sup>37</sup> Bartlett „Remembering“, გვ. 208.

ბიერი აქტივობა ერთგვარად უკვე წარმართულია: ორი არსებული სინამდვილიდან სუბიექტი სწორედ იმას გაყვება, რომელმაც ხარვეზიან სიტყვათა პირველ წყვილში იჩინა თავი. მას შემდეგ, რაც სუბიექტმა, მაგალითად, *летая ора* წაიკითხა, ის უკვე განწყობილია წაიკითხოს მოთხრობა არწივის შესახებ. ამიტომაც, რომ მომდევნო ხარვეზიან სიტყვებს ის კითხულობს როგორც *горных туч* და არა *сорных туч*. როგორც *взлетел* და არა *взревел* და ასე შემდეგ.

ეს წინასწარი წარმართულობა, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენს ექსპერიმენტში, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სუბიექტის ქცევას ჩვენი ტექსტის კითხვისა და შევსების მიმდინარეობაში ის განწყობა განსაზღვრავს, რომელმაც პირველ ხარვეზიან სიტყვებთან დაკავშირებით იჩინა თავი. ტექსტის წაიკითხვის პროცესის დასაწყისში ეს განწყობა ჯერ კიდევ არ არის სავსებით ჩამოყალიბებული. სუბიექტმა ჯერ კიდევ უნდა მოიპოვოს ის ობიექტური სიტუაცია, რომელიც მისი განწყობის ფაქტორს წარმოადგენს, ის უნდა სავსებით დაეუფლოს ამ სიტუაციას; მან უნდა ყოველმხრივ, გააცნობიეროს იგი.

როგორ ხდება ამ. ჯერა კიდევ გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი, განწყობის თანდათანობითი გარკვევა და საბოლოო ჩამოყალიბება? მივყვეთ კვალდაკვალ ჩვენი ცდისპირების ქცევას.

პირველი ორი სიტყვა ხარვეზიანია: *летая ора* უნდა იქნეს წაიკითხული. ან როგორც *летая ора* ან როგორც *летая ора*; მაგრამ ამას ცდისპირი ერთბაშად ვერ ახერხებს. *летая ора* მისთვის პრობლემურ სიტუაციად იქცევა. ინფორმაცია, რომელიც მას ეძლევა, არ არის საკმარისი. მან უნდა შეაფასოს მიღებული ინფორმაცია. ამასთან დაკავშირებით, აზრობრივ ოპერაციათა რიგი იჩენს თავს: ხარვეზიან სიტყვათა კონფიგურაციის ანალიზი, მათი მიკუთვნება სიტყვათა გარკვეულ ჯგუფისათვის (ზმნა, არსებითი სახელი და სხვა), მსგავს სიტყვათა მოგონება და ა. შ. შემდეგ ჩნდება ჰიპოთეზა, რომელსაც სუბიექტი იღებს ან უკუაგდებს. მაგრამ ხარვეზიანი სიტყვის შესახებ რაიმე ჰიპოთეზის აღმოცენება შესაძლებელია ამ ცალკე აზრობრივ მოქმედებათა ურთიერთ შეფარდების შედეგად; რაიმე გარკვეული აზრის გამოტანა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს, მაგ., *орных туч*, შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც

ამ ხარვეზიანი სიტყვების კონფიგურაცია კონტექსტთან დაკავშირებით იქნა განხილული, და აგრეთვე მას შემდეგ, რაც წარსულში შექმნილი ცოდნა გრამატიკულ ფორმათა დაბოლოების შესახებ ამ კონფიგურაციის მიმართ იქნა გამოყენებული. ამასთან დაკავშირებით საკითხი დგება იმ ფსიქოლოგიური პირობის შესახებ, რომელიც ამ ცალკე აზრობრივ მოქმედებათა ურთიერთ შეთანხმებულობას, ამოცანის გადაჭრის პოცესში მათ ურთიერთგამსჭვალვას უზრუნველყოფს.

განწყობის თეორიის პოზიციებიდან ასეთ პირობად ობიექტივაციის აქტი უნდა იქნეს აღიარებული.

ობიექტივაციის აქტი შეჩერებას წარმოადგენს, მაგრამ აქტიურ შეჩერებას. ამ აქტიური შეჩერების დროს, სინამდვილესთან პრაქტიკული დამოკიდებულების შეწყვეტის ანგარიშზე, იმავე სინამდვილესთან ახალი თეორიული დამოკიდებულება მყარდება.

ობიექტივაციის აქტის გამომხატველი შეჩერების ფსიქოლოგიურ შინაარსს ს უ ბ ი ე ქ ტ - ო ბ ი ე ქ ტ ი ს დაპირისპირება შეადგენს. სინამდვილის უწყვეტ მდინარეებიდან გამოყოფილ და შეჩერებულ მონაკვეთს ობიექტივაციის აქტი ობიექტად, თავისთავთან იდენტიფიცირებულ საგნად აქცევს, იმპულსური ქცევის შემთხვევაში თვითონ სუბიექტი ჩართულია სინამდვილის „უწყვეტ მდინარეებაში“. ობიექტივაციის დონეზე სუბიექტი სინამდვილის გაობიექტივებულ მხარეს, თავის თავს უპირისპირებს. გაობიექტივების აქტის გამომხატველი შეჩერების დროს სინამდვილის მონაკვეთი, რომელიც იმპულსური ქცევის მიმდინარეობაში ერთხელ უკვე იყო მოცემული, მეორედ ეძლევა სუბიექტს, მაგრამ ეხლა უკვე როგორც გაობიექტივებული, როგორც „ფსიქოლოგიურად დამოუკიდებელი საგანი“, რომელიც ახალ: შემეცნებით ქცევაში ჩაერთვის როგორც აზროვნების საგანი.

იმისათვის, რომ სინამდვილის ესა თუ ის მონაკვეთი აზროვნების საგნად იქცეს, იმისათვის, რომ მის შესახებ სუბიექტმა აზროვნება დაიწყოს. განწყობის თეორიის მიხედვით, საჭიროა ამ მონაკვეთის ობიექტივაცია, ე. ი. პრაქტიკული დამოკიდებულების ნაცვლად, მასთან შემეცნებითი დამოკიდებულების დამყარება. გაობიექტივების აქტი. განწყობის ფსიქოლოგიის თანახმად, აზროვნების ფ:ქტის ფსიქოლოგიურ პირობას წარმოადგენს, ვინაიდან იმისათვის, რომ გავშალოთ აზროვნება სინამდვილის ამა თუ იმ მონაკვეთის შესახებ, სა-



პირა ამ მონაკვეთის პრაქტიკული ქცევის უწყვეტ მდინარეებიდან გამოთიშვა და მისი ობიექტად, თავისთავთან იდენტიფიცირებულ საგნად გაჩერება მანამდე, სანამ დასრულდება აზროვნების პროცესი. ესაა, რომ ფსიქოლოგიურად შესაძლებლად ქმნის აზროვნების დროს იგივეობის ლოგიკური კანონის დაცვას.

განწყობის თეორიის თანახმად, ობიექტივაციის ცნება სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირებას გულისხმობს: ობიექტად ქცეული სინამდვილე, ისევე როგორც მისი შემეცნებელი სუბიექტი, შემეცნების პროცესის გასწვრივ თავისთავთან იგივე რჩება. „წამოვყენებთ თუ არა ჩვენ მიერ გაობიექტივებული სინამდვილის მონაკვეთის ერთი რომელიმე მხარის იდეას,—ამბობს დ. უზნაძე,— ჩვენ იმ წამსვე მეორეზე გადასვლა გვიხდება. შემდეგ მესამეზე და ა. შ., სანამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საგანს მთლიანად არ ამოვწურავთ. მაგრამ გადავდივართ რა ერთი მხარიდან მეორეზე, ჩვენ მაინც ვერ ვუახლოვდებით ამოცანის დამაკმაყოფილებელ გადაჭრას, თუ არ დაეუშვით, რომ თითოეული ჩვენ მიერ განხილული მხარე მთელი ამ ხნის განმავლობაში თავის უცვლელ იგივეობას ინარჩუნებს“<sup>38</sup>.

დავუბრუნდეთ ჩვენს ექსპერიმენტს და განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები ამ თვალსაზრისით.

როდესაც ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში ცდისპირი მუშაობას იწყებს, მის წინაშე ინსტრუქციის შედეგად გარკვეული მიზანია აღმოცენებული—წაიკითხოს და შეავსოს ხარვეზიანი ტექსტი. ამ მიზანს შეესატყვისება გარკვეული სიტუაცია,—მოცემული ხარვეზიანი ტექსტი. მაგრამ სუბიექტი არის ამ სიტუაციას ჯერ არ დაუფლებული—ის ჯერ არ იცნობს ამ ტექსტს; სიტუაციის მოპოვება ექსპერიმენტის პროცესში უნდა მოხდეს, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ განწყობა, რომელიც თავს იჩენს ექსპერიმენტის დასაწყისში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და გარკვეული თავის რაგვარობაში. მისი რაგვარობა თვითონ ექსპერიმენტში ყალიბდება; ის თანდათან ფორმირდება და გარკვეულ, დიფერენცირებულ სახეს იძენს.

იმ ჯერ გაურკვეველი განწყობის საფუძველზე, რომელიც ტექსტის კითხვის დასაწყისში მოქმედებს და რომლის რაგვარობა ჯერ არ

---

<sup>38</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძველები, VI ტ., გვ. 116—117.

არის ჩამოყალიბებული, სუბიექტი ხარვეზიანი სიტყვების *пе-аш* *о-еш*, როგორც *летел орел* ან როგორც *лежал осел*—ად, წაკითხვას ობიექტივაციის აქტისა და მის ნიადაგზე აღმოცენებულ აზრობრივ ოპერაციათა მეშვეობით ახერხებს. მას შემდეგ, რაც *пиоротеза* *летал орел* ან *лежал осел* მიღებულ იქნა, განწყობა, რომლის საფუძველზე ცდისპირმა კითხვა დაიწყო, უფრო გარკვეული და ჩამოყალიბებული ხდება. ეხლა სუბიექტს რაგინდარა ხარვეზიანი ტექსტის წაკითხვის განწყობა კი არა აქვს, არამედ ისეთი ტექსტისა, რომელშიც მფრინავი არწივის ან მწოლიარე ვირის შესახებაა ლაპარაკი. ცდისპირი ეხლა უკვე გარკვეული კონტექსტითაა შეზღუდული. ეს კონტექსტი, მისი განწყობის რაგვარობას განსაზღვრავს. მისმა განწყობამ განვითარების, ჩამოყალიბების წინსვლა განიცადა. შინაარსობლივად ახლა უფრო ჩამოყალიბებული და დიფერენცირებული ეს განწყობა, გარკვეული აზრით, მაინც იგივე განწყობად რჩება.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს სწორედ ის გარემოებაც, რომ ცდისპირები, რომლებმაც დასაწყისში ამოიკითხეს *летал орел*, ხარვეზიან სიტყვებს *-орных -уч*—კითხულობენ როგორც: *горных туч*; ხოლო ცდისპირი, რომელმაც დასაწყისში *лежал осел* წაიკითხა *горных туч*-ის ნაცვლად *сорных туч*-ს კითხულობს. ამ ახალ ხარვეზიან სიტყვებს ის ცდისპირი, რომელმაც არწივით დაიწყო, ხვდება განწყობით წაიკითხოს რალაცა არწივის შესახებ. მას უჭირს ხარვეზიანი სიტყვის გამოცნობა, ის გაობიექტივების აქტს ახდენს, აზრობრივ ოპერაციებს აწარმოებს. მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამოიკითხოს ისეთი სიტყვა, რომელიც არწივის კონტექსტს მიუღებდა. ხარვეზიანმა სიტყვამ შეაფერხა ამ კონტექსტის შესატყვისი განწყობის მოქმედება, ამოცანა სწორედ ამ განწყობის შეფერხებასთან დაკავშირებით აღმოცენდა. როდესაც სუბიექტი ამ ახალი ხარვეზიანი სიტყვის წაკითხვის შემდეგ უბრუნდება შეწყვეტილ ქცევას, არწივზე მოთხრობის წაკითხვის განწყობა ძალაში რჩება. მართალია, ამ განწყობამ სახე შეიცვალა, თავის რაგვარობაში კიდევ უფრო ჩამოყალიბდა, ვინაიდან შეიცვალა და ჩამოყალიბდა კონტექსტი,—ის ფაქტორი, რომელიც განწყობის რაგვარობას განსაზღვრავს. იმ ერთ ცდისპირს, რომელმაც ვირის შესახებ მოთხრობის კონტექსტში *сорных туч*-ის ნაცვლად წაიკითხა *гор-*

ных туч, გადახალისება, არწივის კონტექსტზე გადანაცვლება მოუხდა. Горных туч, აღნიშნა მერე ამ ცდისპირმა, определило переход к орлу, а потом целиком был орел, ослы в сознании уже не было“.

ანალოგიური მდგომარეობა იქმნება, როდესაც შემდეგში ცდისპირები კონტექსტს, რომელიც ვირის შესახებ მოთხრობას შეესატყვისება, ხარვეზიან სიტყვას *ор-л* კითხულობს როგორც—*орел*. ამ შემთხვევაშიც ცდისპირს უხდება ახალი კონტექსტის—არწივის კონტექსტის შესატყვისად გადახალისება „А—а, значит, все было не про ослу, а про орла“, „Значит, я ошибся внамяле“,—ამბობენ ჩვენი ცდისპირები და ახალი კონტექსტის—არწივის კონტექსტის შესატყვისად მოქმედებენ.

ჩვენი ექსპერიმენტის დასაწყისში ცდისპირს, ინსტრუქციის შედეგად გაგებისა და შეფასების განზრახვა გაუჩნდა. ეს განზრახვა, ეს გნოსტიკური, შემეცნებითი მოთხოვნილება, ამოცანის გადაჭრის საფუძვლად მდებარე განწყობის ეს სუბიექტური ფაქტორი აქტუალურ მდგომარეობაში რჩება მთელი ექსპერიმენტის გასწვრივ: ყველაფერი, რასაც აკეთებს ცდისპირი, ყოველივე მისი ნაბიჯი, აღქმისა, მოფიქრების, აქტიური მოგონების თითოეული აქტი ამ მოთხოვნილების, ამ გარკვეული მიზნის იმპულსით იჩენს თავს და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ამ მიზნის მიღწევას ემსახურება და ეს ამტიკებს ჩვენ მოსაზრებას, რომ ჩვენი ცდისპირის ცალკეულ ნაბიჯებს და მოქმედებებს საფუძვლად უდევს ერთიანი, მონოლიტური განწყობა, რომელიც ცალკეულ ნაბიჯებს აპირობებს და ამ ნაბიჯების შედეგად უფრო ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. ამოცანის გადაჭრის პროცესში ერთიანი, მონოლიტური განწყობა მოქმედებს,—ესაა, რომ შესაძლებლად ხდის ამ პროცესის მიზანმიმართულ ხასიათს და ცალკეულ აზრობრივ ოპერაციათა შემეცნების ერთ მთლიან პროცესში ორგანიზაციას.

ჩვენი ექსპერიმენტის დროს სუბიექტის ქცევა თავიდან ბოლომდე ერთი და იმავე იმპულსით მიმდინარეობს. ეს იმპულსი მომდინარეობს მისი გნოსტიკური მოთხოვნილებიდან—გაიგოს მიწოდებული ხარვეზიანი ტექსტი. როგორც კი გაქრება ეს იმპულსი, ქცევა შეწყდება, ცდისპირი თავს დაანებებს კითხვას. განწყობის ერთი და იგივე სუბიექტური ფაქტორი მთელი ექსპერიმენტის გასწვრივ და-

ლაში რჩება. ეხლა საკითხი უნდა დაისვას გახსნილობის ობიექტური ფაქტორის—სიტუაციის შესახებ.

სიტუაცია შემეცნებით პროცესში სუბიექტისათვის იცვლება და იცვლება იმდენად, რამდენადაც სუბიექტი სიტუაციის ახალ მხარეთა აღმოჩენას ახერხებს. გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგენლებს—ვერთჰაიმერს, დუნკერს და სხვებს ჰქონდათ საფუძველი, რათა აზროვნების პროცესი პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციათა პროცესად ჩაეთვალოთ. პრობლემური სიტუაციის შესწავლის პროცესში ეს სიტუაცია შემეცნებლისათვის, მართლაც, იცვლება და ტრანსფორმაციათა რიგს განიცდის: აზროვნება ამ სიტუაციაში აღმოჩენათა რიგს აკეთებს, ახალ მხარეთა მოპოვებას ახერხებს. მას შემდეგ, რაც აზროვნებამ პრობლემური სიტუაციის ახალი მხარე აღმოაჩინა და, ამგვარად, ამ სიტუაციასთან დაკავშირებით აღმოცენებული ესა თუ ის ამოცანა გადაჭრა, თვითონ ეს სიტუაცია სუბიექტს სახეშეცვლილი ევლინება. სუბიექტი ეხლა ამ სახეშეცვლილი სიტუაციის ახალ მხარეთა ძიებასა და შესწავლას აწარმოებს, მასთან დაკავშირებულ ახალ ამოცანათა გადაჭრას ცდილობს. ასე, თანდათან, ახერხებს სუბიექტი პრობლემური სიტუაციის მისთვის ცნობილ, მის მიერ შესწავლილ სიტუაციად გადაქცევას, მაგრამ რა განსაზღვრავს პრობლემურ სიტუაციიდან შესწავლილ სიტუაციისაკენ წინსვლას? ვერთჰაიმერის—მიხედვით, პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციებს და სტრუქტურულად სრულყოფილ სიტუაციის მოპოვებას თვითონ პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ მოთხოვნათა წვდომა უზრუნველყოფს. მაგრამ პრობლემური სიტუაცია ხომ თვითონ არის ის, რასაც სუბიექტი ობიექტურ სიტუაციაში წვდება. ობიექტური სიტუაცია პრობლემური ხდება მაშინ, როცა ის ინფორმაცია. რომელიც სუბიექტს მის შესახებ გააჩნია, არ არის საკმარისი და სუბიექტს მის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების ამოცანა უჩნდება, მოცანა—შეავსოს ის არასაკმარისი ცოდნა, რომელიც მას ამ ობიექტური სიტუაციის შესახებ მოცემულ მომენტში გააჩნია. გარდა ამისა, ის სტრუქტურულად სრულყოფილი სიტუაცია, რომელიც ვერთჰაიმერის კონცეფციის მიხედვით პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციათა პროცესს აგვირგვინებს, ფაქტიურად ობიექტურ სიტუაციას წარმოადგენს,—იმას, რაც ნამდვილად არის. პრობლემის გადაჭრა გულისხმობს, რომ სუბიექტმა ამ ობიექტურად არსებული სიტუაციის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება მოახერ-

ხა. შექმენების პროცესში ობიექტური სიტუაცია თავიდან ბოლომდე მონაწილეობს. იგი მონაწილეობს როგორც აზროვნების სტიმული და როგორც მისი მიზანი. გეშტალტფსიქოლოგია თავის კონცეფციაში უგულვებელყოფს ობიექტურ სინამდვილეს, როგორც აზროვნების ფაქტორს. მეტიც, ეს ფსიქოლოგია თვითონ სუბიექტსაც უგულვებელყოფს. ამ უკანასკნელ გარემოებას სხვა ავტორებიც აღნიშნავენ. ვანდეგერის მოხდენილი თქმით, ვერთჰაიმერი ლაპარაკობს სუბიექტზე; მაგრამ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მას ეშინია, რომ სუბიექტი გეშტალტპროცესების მიმდინარეობას დაარღვევს. აზროვნება, ამ ფსიქოლოგიის მიხედვით, წარმოადგენს რაღაცას, რაც სუბიექტს ემართება; მაგრამ სუბიექტს, როგორც იმ პასიურ მედიუმს, რომელშიც პროცესი ადგილს პოულობს<sup>39</sup>.

ჩვენი ექსპერიმენტის დროს ცდისპირთა ქცევა ისეთი განწყობის საფუძველზე ვითარდება, რომლის ობიექტური ფაქტორი თვით ამ ქცევის პროცესში უნდა იქნეს მოპოვებული. სიტუაციის ეს მოპოვება ობიექტივაციის აქტისა და მასთან დაკავშირებული აზრობრივი პროცესების მეშვეობით ხორციელდება. ობიექტივაციის აქტისა და აზრობრივი ოპერაციების აღმოცენება იმ განწყობითაა გაპირობებული, რომლის ჩამოყალიბებაში ეს აქტი და ეს ოპერაციები თავად იღებენ მონაწილეობას. როდესაც ცდისპირი ჩვენს ტექსტში ხვდება კონფიგურაციას *орных-у* მისი ჯერ ჩამოყალიბებულ განწყობის საფუძველზე, შესატყვისი აზრიანი სიტყვების ამოკითხვა არ ხერხდება. ცდისპირი იძულებულია შეჩერდეს ამ კონფიგურაციაზე, იფიქროს მის შესახებ. მხოლოდ ამ შეჩერების და მოფიქრების შედეგად არკვევს ცდისპირი, რომ *орных-у*—ნიშნავს *орных туч* ან *сорных туч*-ს მაგრამ მას შემდეგ, რაც მან არწივის კონტექსტში *орных туч*-ის ამოკითხვა მოახერხა, მისმა განწყობამ უფრო გარკვეული, უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ჩვენი ექსპერიმენტის დროს, ამგვარად, ცდისპირის ქცევა ისეთი განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, რომლის რაგვარობა ამ ქცევის პროცესში ყალიბდება. ტექსტის კითხვის დასაწყისში აღმოცენებული განწყობა კითხვის მთელი პროცესის გასწვრივ ძალაში რჩება, ვინაიდან ძალაში რჩება მისი სუბიექტური და

<sup>39</sup> Van de Geer, „A psychological study of problem solving“.

მისი ობიექტური ფაქტორი. გნოსტიკური მოთხოვნა, ტექსტის წაკითხვის მოთხოვნა ჩვენ ცდისპირს ძალაში აქვს ექსპერიმენტის ბოლომდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კითხვას აღარ გააგრძელებდა; ყველაფერი რასაც ის აკეთებს, ყოველივე მისი ნაბიჯი ამ მოთხოვნების იმპულსით იჩენს თავს და ამ მოთხოვნების დამაყოფილებას ემსახურება. განწყობის ობიექტური ფაქტორიც იგივე რჩება ტექსტის წაკითხვის პროცესის გასწვრივ: ის ობიექტური სიტუაცია, რომელიც ჯერ პრობლემის სახით ბოლოს კი—გადაჭრილი ამოცანის სახითაა მოცემული, თავიდან ბოლომდე მონაწილეობს იმ პროცესში, რომელიც ექსპერიმენტის დროს იშლება; იგი მონაწილეობს, როგორც ამ პროცესის პირობა და როგორც მისი მიზანი. ტექსტი, რომელსაც ცდისპირს ვაძლევთ, ორპირია,—მის იქით ორი დამოუკიდებელი სინამდვილეა: არწივის ამბავი და ვირას ამბავი. მას შემდეგ რაც ცდისპირმა სიტყვათა პირველი წყვილი წაკითხა, მისი შემდგომი მოქმედება წინასწარ განსაზღვრულია—ის უკვე ჩართულია ან ერთ კონტექსტში ან მეორეში. ინიციატივა ცდისპირს მხოლოდ პირველი ორი ხარვეზიანი სიტყვის ამოკითხვაში ეკუთვნის, შემდეგში ის, არსებითად, იმ სიტუაციას ემორჩილება, რომელსაც ამ პირველ სიტყვებში წააწყდა.

ჩვენ ჩავატარეთ აღწერილი ექსპერიმენტის სხვა ვარიანტიც: ცდისპირს ისეთი ხარვეზიანი ქართული ტექსტი ეძლეოდა, რომლის წაკითხვა ისევ ორნაირად იყო შესაძლებელი: როგორც მოთხრობისა ლომისა და ქორის შესახებ და როგორც მოთხრობისა ლოთისა და ღორის შესახებ.

ცდისპირს ტექსტი ეძლეოდა შემდეგი სახით:

ერთი მა-ა-ი ლო-ი და ერთი -ორი დაძმობილდნენ. ხშირად მიაკითხავდა -ორი თავის მეგობარს.ლო-ს სადგომ... ერთი მოზრდილი ქვაბი ჰქონდა. ყოველ დილას მოელოდა ლო-ი -ორის სტუმრობას. -ორი რომ მოვიდოდა, ჯერ კრძალვით მიაჩერდებოდა -ვა-ს,მერე -ალო-ავდა მას გულმოდგინედ, ზოგჯერ არა-საც მი-აყოლებდა. ერთხელ იმ მხარეში ქორი გავრცელდა. ამბობდნენ, ვითომ ლო-ი აღარ ლო-ობსო. გაიგო რა ეს ამბავი -ორმა, მაშინვე ლო-ის სადგომს მი-აშურა. ხედავს -ორი, ზის ლო-ი დალეული, ჯა-ი სულმთლად გასტეხია და ქვაბზე მიყუდებულა. შე-უ-და -ორ-. „ესაა ნადი-თა მეფე?! შესძახა -ორმა. ახლოს მივიდა -ვა-თან, შეათვალიერა იგი და მერე გულდამ----ებულმა დაუმატა: „სულ-ც კი არ დაუღევი, მაგას“.

დარწმუნდა რა, რომ -ვა-ი ც---ლი არ არის, -ორმა წამოიძახა: „ნადი-თა მეფედ მე დავრჩი ეხლა“ და -არ-ად გა-ცალა ქვაბ-.

ამ ხარვეზიანი ტექსტის წაკითხვა ორგვარადაა შესაძლებელი:

1. ერთი მამალი ლომი და ერთი ქორი დამძობილდნენ. ხშირად მიაკითხავდა ქორი თავის მეგობარს. ლომს სადგომად ერთი მოზრდილი ქვაბი ჰქონდა. ყოველ დილას მოელოდა ლომი ქორის სტუმრობას. ქორი რომ მოვიდოდა, ჯერ კრძალვით მიაჩერდებოდა ხვადს. მერე დალოცავდა მას გულმოდგინედ, ზოგჯერ არაკსაც მოაყოლებდა. ერთხელ იმ მხარეში ქორი გავრცელდა. ამბობდნენ. ვითომ ლომი აღარ ლომობსო. გაიგო რა ეს ამბავი ქორმა, მაშინვე ლომის სადგომს მიაშურა. ხედავს ქორი, ზის ლომი დალეული, ჯანი სულმთლად გასტეხია და ქვაბზე მიყუდებულა. შეწუხდა ქორი. „ესაა ნადირთა მეფე?!“ შესძახა ქორმა. ახლოს მივიდა ხვადთან, შეათვალიერა იგი და მერე გულდამწუხრებულმა დაუმატა: „სულიც კი არ დაუღევია მაგას!“ დარწმუნდა რა, რომ ხვადი ცოცხალი არ არის, ქორმა წამოიძახა: „ნადირთა მეფედ მე დავრჩი ეხლა“ და მარდად გაეცალა ქვაბს.

2. ერთი მაგარი ლოთი და ერთი ღორი დამძობილდნენ. ხშირად მიაკითხავდა ღორი თავის მეგობარს. ლოთს სადგომში ერთი მოზრდილი ქვაბი ჰქონდა. ყოველ დილას მოელოდა ლოთი ღორის სტუმრობას. ღორი რომ მოვიდოდა, ჯერ კრძალვით მიაჩერდებოდა ქვაბს, მერე გალოკავდა მას გულმოდგინედ, ზოგჯერ არაკსაც მოაყოლებდა. ერთხელ იმ მხარეში ქორი გავრცელდა. ამბობდნენ, ვითომ ლოთი აღარ ლოთობსო. გაიგო რა ეს ამბავი ღორმა, მაშინვე ლოთის სადგომს მიაშურა. ხედავს ღორი, ზის ლოთი დალეული. ჯამი სულ მთლად გასტეხია და ქვაბზე მიყუდებულა. შეშურდა ღორს. „ესაა ნადიმთა მეფე!“, შესძახა ღორმა. ახლოს მივიდა ქვაბთან, შეათვალიერა იგი და მერე გულდამწვიდებულმა დაუმატა: „სულაც კი არ დაუღევია მაგას!“ დარწმუნდა, რა, რომ ქვაბი ცარიელი არ არის, ღორმა წამოიძახა: „ნადიმთა მეფედ მე დავრჩი ეხლა“ და ხარბად გასცალა ქვაბი.

ზემთ მოყვანილ ტექსტ ხარვეზიანი სიტყვებით და ორმაგი შინაარსით ჩვენი ცდისპირები კითხულობდნენ როგორც შერეულს. ორი სხვადასხვა ამბავი (ამბავი ლომისა და ქორის და ამბავი ლოთისა და ღორის შესახებ) ერთმანეთში გადაიხლართა და აირია. 20 ცდისპირიდან ვერც ერთმა ვერ ამოიკითხა ტექსტიდან ან ერთი ან მეორე გარკვეული ამბავი. განსხვავება ცდისპირთა შორის მდგომ-

რეობდა შემდეგში: ა. ზოგჯერ ჭარბობდა მასალა იგავ-არაკიდან „ლომი და ქორი“, ზოგჯერ კი—მისი დუბლიკატიდან „ლოთი და ღორი“; ბ. ტექსტის გაგება ზოგჯერ ძალიან არეული იყო და ცდისპირი სრულიად ვერ ახერხებდა ტექსტში რაიმე აზრის წვდომას, ხოლო ზოგჯერ კი ცდისპირი მეტად ან ნაკლებად ახერხებდა წაკითხულიდან რაიმე შინაარსის გამოტანას.

16 ცდისპირმა ტექსტში ამოიკითხა ამბავი „ლომისა და ღორის“ შესახებ. ე. ი. ტექსტი ორივე შინაარსის თვალსაზრისით არაადეკვატურად იყო გაგებული. ორმა ცდისპირმა ამოიკითხა ამბავი ღომისა და ქორის და ორმა—ლოთის და ღორის შესახებ.

შინაარსი არ იყო არეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი ორი ხარვეზიანი სიტყვა წაკითხული იყო ან როგორც ღომი და ქორი (ორი შემთხვევა) ან როგორც ღოთი და ღორი (ორი შემთხვევა).

ცდისპირს, ამგვარად, ეძლეოდა ტექსტი, რომლის წაკითხვა შესაძლებელი იყო ორნაირად: ან როგორც მოთხრობის „ლომისა და ქორის. ან როგორც მოთხრობისა „ლოთისა და ღორის“ შესახებ. ტექსტის დასაწყისში ცდისპირთა უმრავლესობამ ამოიკითხა „ლომი და ღორი“. ამის შედეგად, სიუჟეტში თავიდანვე ერთი პერსონაჟი ერთი ამბიდან იქნა ამოკითხული. დამეორე პერსონაჟი—მეორე ამბიდან. ამგვარად დაირღვა ორივე იგავ-არაკის სიუჟეტი: ტექსტში ნაგულისხმევი ორი სიუჟეტიდან ერთი ღომის ამბავი ქორთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორე სიუჟეტში ღოთის ამბავი — ღორთან. როდესაც ცდისპირმა ამოიკითხა ღომი და ღორი, ტექსტის შემდგომი კითხვის დროს პერსონაჟს პირველი სიუჟეტიდან—ღომს მოყვებოდა თავისი ასორტიმენტი, მეორე სიუჟეტის პერსონაჟს კი ღორს—თავისი: ამან წარმოშვა საერთო არეულობა სიუჟეტში. „ღორის“ ამოკითხვას მოყვა არა ის, რაც „არაყის“ ამოკითხვას, რაც ღომთან დაკავშირებით შეუფერებელია. „ღორის“ ამოკითხვამ ხელი შეუწყო ქვების ჭურჭლის მნიშვნელობით გაგებას. იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სიტყვა ხვადი თუმცა ცნობილია ცდისპირებისათვის, მაგრამ შედარებით იშვიათად იხმარება, ცდისპირებმა ხარვეზიანი სიტყვა „-ვა-ი“ წაკითხეს როგორც „ქვები“. ამან საბოლოოდ გადაწყვიტა სიუჟეტის ბედი: პრიორიტეტი ღორმა მოიპოვა. მაგრამ ღომი ღომად დარჩა. ამას კუროზული ამბავი მოყვა: სიუჟეტის განვითარების პროცესში ღომი გალოთდა: ფრაზა „ზის ღომი დალეული“ ცდისპირებმა ნასვამის



მნიშვნელობით გაიგეს. ზოგჯერ ჩვენი ცდისპირები „ჯანი“-ს ნაცვლად კითხულობენ „ჯამი“; „ლომი ქვაბზე მიყუდებულა“ ცდისპირებს ესმით არა იმ მნიშვნელობით, რომ ღონემიხდილი ლომი გამოქვაბულს მიეყრდნო, არამედ ისე, თითქოს ლომს ჯამი გასტეხია და არაყს ქვაბიდან სვამს. ცდისპირები თვითონ გამოთქვამენ ექვსა აღნიშნავენ გაუგებრობას და შეუფერებლობას: „ლოთი ყოფილა ლომი?“ ან „გალოთებულა ლომი“—აღნიშნავენ ჩვენი ცდისპირები. ამგვარად, ლომი ცდისპირებმა აიღეს ერთი სიუჟეტიდან, ლორი კი—მეორიდან. მაგრამ ლორს მოჰყვა ის შინაარსები, რომელიც მეორე კონტექსტს ეკუთვნის და ლოთს ეხებოდა.

ამ ექსპერიმენტის ტექსტს ორი პარალელური შინაარსით ცდისპირები კითხულობდნენ როგორც შერეულ ტექსტს, და ამიტომ ვერ ახერხებდნენ წაკითხულიდან რაიმე გარკვეული აზრის, დალაგებული შინაარსის გამოტანას. ამ ტექსტში ხარვეზიანი სიტყვების შევსების დროს ცდისპირი ყოველთვის ერთგვარ კომპრომისზე მიდის: „ქვაბს? მიაჩერდებოდა ქვაბს? არ ვარგა. მაგრამ იყოს“, „არაყსა? იყოს არაყსა. მაგრამ რა შუაშია აქ არაყი!“

შეუფერებლობის განცდა. ექვი. დაურწმუნებლობა აშკარად იჩენდა თავს ჩვენს ტექსტზე მუშაობის პროცესში. ცდისპირი ავსებს ხარვეზიან სიტყვას, მაგრამ არასდროს არ არის დარწმუნებული, რღმ. ამას სწორედ აკეთებს, ის ყოველთვის ეჭვს და უკმაყოფილებას გამოსთქვამს.

დაურწმუნებლობის, ეჭვისა და მერყეობის გარდა აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ცნობიერების ის შინაარსი, რომელმაც თავი იჩინა ტექსტზე მუშაობასთან დაკავშირებით, უკიდურესად არეული და უსტრუქტურო აღმოჩნდნენ. აქ ორი სხვადასხვა შინაარსი, ერთმანეთს არ უდგება.—ამბობს ერთი ცდისპირი. „აქ ორი სხვადასხვა ამბავია“,—ამბობს მეორე ცდისპირი. „ერთი ლოთს ეხება. მეორე ქვაბს“. საერთოდ, ცდისპირები ტექსტს, როგორც „უაზროს“, „უშინაარსოს“ და „გაუგებარს“ ახასიათებენ. ცნობიერებაში მათ უკიდურესად გაუნაწევრებელი უსტრუქტურო და ერთმანეთში არეული შინაარსები უჩნდებათ.

ამ ექსპერიმენტში ცდისპირებმა ვერ მოახერხეს მათ წინაშე დასმული ამოცანის გადაჭრა,—ვერ მოახერხეს ტექსტის ადეკვატურად წაკითხვა, მისი შინაარსის გაგება. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ამ ექსპერიმენტის შემთხვევაში ცდისპირთა განწყობა არ ჩამოყალიბდა.

როგორც გარკვეული რაგვარობის მდგომარეობა,—ეს განწყობა ბოლომდე დიფუზური დარჩა. როგორც ვნახეთ, სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა რუსული ვარიანტის შემთხვევაში. ჩვენმა ცდისპირებმა თითქმის უკლებლივ მოახერხეს ტექსტის ადეკვატური გაგება ერთ ან მეორე კონტექსტში. ქართულ ვარიანტში არ მოხერხდა ობიექტური ვითარების შესატყვისი განწყობის ჩამოყალიბება და არ მოხერხდა იმის გამო. რომ სუბიექტი ექსპერიმენტის დასაწყისშივე ორ მოცემულ სინამდვილის ტექსტში ნაგულისხმევ ორივე მოთხრობას წააწყდა და ვერც ერთს ვერ დაეუფლა. იყო „ლომისა და ქორის“ სინამდვილე. იყო „ლოთისა და ღორის“ სინამდვილე—ორივე ობიექტურად კანონიერი და ერთდამავე ტექსტში მოცემული. სუბიექტი ამ ორივე სინამდვილის ზეგავლენის ქვეშ მოხვდა, ხოლო იმისათვის, რომ მომხდარიყო ტექსტის ამოკითხვა ორიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ერთი იყო საჭირო. ჩვენი ცდისპირები კი ორივეს წააწყდნენ. ამიტომ როგორც კი ამოკითხულ იქნა „ლომი და ღორი“ (ორივე კონტექსტი), ორივე ობიექტური ვითარება სუბიექტს ხელიდან გაუსხლტა.

ექსპერიმენტის რუსული ვარიანტის განხილვის დროს ჩვენ დავინახეთ, რომ ტექსტის წასაკითხად და გასაგებად სუბიექტს ისეთი განწყობა უნდა გაუჩნდეს, რომლის ობიექტურ ფაქტორს ერთ-ერთი სიუჟეტი წარმოადგენს. ეს სიუჟეტი, ეს ობიექტური სიტუაცია სუბიექტისათვის დასაწყისში პრობლემურ სიტუაციას, ბოლოს კი—გადაჭრილ ამოცანას წარმოადგენს. ეს ობიექტური სიტუაცია ტექსტის დაუფლების პროცესში თავიდან ბოლომდე მონაწილეობს; იგი მონაწილეობს როგორც ამ პროცესის პირობა და როგორც მისი მიზანი. ექსპერიმენტის ქართულ ვარიანტში თავისებური მდგომარეობა შეიქმნა: პროცესში ორივე ობიექტური სიტუაცია, ორივე კონტექსტი იყო ჩართული და ცდისპირმა ვერ მოახერხა ერთ-ერთისაგან თავის დაღწევა. ორი პარალელური სინამდვილის ზემოქმედების პირობებში კი ერთ-ერთის შესატყვისი განწყობის ჩამოყალიბება აღარ მოხერხდა. წაკითხულიდან აზრის გამოტანა ექსპერიმენტის ამ ვარიანტში იმიტომ არ მოხდა, რომ ჩვენი სუბიექტისათვის ტექსტში წარმოდგენილი ორი სინამდვილიდან სუბიექტის სიტუაციად მხოლოდ ერთ-ერთი უნდა გამხდარიყო.

... აქაც ახდენს ცდისპირი ობიექტივაციის აქტს, აქაც აწარმოებს აზრობრივ ოპერაციებს, მსჯელობს თითოეული ხარვეზიანი სიტყვის

ან შეუფერებლად გაგებულ იმონიშის შესახებ. მაგრამ ყველაფერ ამას ტექსტში გარკვევა როდი მოყვება. ტექსტი გაუგებარი რჩება და ეს იმიტომ, რომ თავიდან არ იყო აღებული ან ერთი ან მეორე მოცემული სინამდვილის, ერთი ან მეორე მოთხრობის შესატყვისი გეზი. ექსპერიმენტის რუსულ ვარიანტში, როგორც კი ცდისპირი ხარვეზიანი სიტყვების პირველ წყვილს წაიკითხავდა, ან როგორც *метал опеш* ან როგორც *пеша опеш*, შემდგომი მოქმედების საერთო მიმართულება უკვე გარკვეული იყო: სუბიექტს ან ერთი ან მეორე მოთხრობის შესატყვისი განწყობა ჰქონდა. კითხვის პროცესში თითოეული ხარვეზიანი სიტყვის შევსების ცალკე ამოცანათა გადაჭრის საჭიროება ამ განწყობასთან დაკავშირებით აღმოცენდებოდა. მაგრამ თითოეული ცალკე ამოცანების გადაჭრა — თითოეული ხარვეზიანი სიტყვის გამოცნობა თვითონ ამ განწყობის რაგვარობის დიფერენციაციასა და გაშლას ახდენდა.

## VIII. ამოცანის აღმოცენება და ობიექტივაციის აქტი

### I. პრობლემა

ამოცანის გადაჭრის თეორიული განხილვის დროს ჩვეულებრივად იმ პროცესს ითვალისწინებენ, რომელიც მოცემული ამოცანის გადაჭრას წარმოადგენს. ამ პროცესს, ერთი მხრივ, ამოცანის პირობები, ხოლო—მეორე მხრივ—ამოცანის მოთხოვნა ზღუდავს. აზროვნების პროცესი, რომელიც ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საგანს შეადგენს, ყოველთვის ამოცანის მოცემული პირობების და ამოცანის მოცემული მოთხოვნის ფარგლებითაა შეზღუდული. ამ ფარგლებში მიმდინარე აზროვნებას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევს.

აზროვნების განხილვის დროს გეშტალტფსიქოლოგიას პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ ცვლილებათა დინამიკა აქვს მხედველობაში. პრობლემური სიტუაცია წარმოადგენს იმას, რაც შემეცნებელს ეძლევა და საიდანაც აზროვნების პროცესი იწყება. შემეცნების საგანი ამ მიმართულებისთვის ფენომენალურ ობიექტს წარმოადგენს, ამ ფსიქოლოგიის წინაშე ამოცანის აღმოცენების სა-

კითხი არც ისმის, ვერთჰაიმერის მიერ მოცემული აზროვნების სქე-  
მაში ( $S_1... S_2... S_n$ ) ახალი პრობლემის აღმოცენება არაა ასახული.  
ამოცანის აღმოცენების საკითხი უგულვებელყოფილია აზროვნების;  
იმ ცალკე შემთხვევათა განხილვის დროსაც, რომელიც ვერთჰაიმე-  
რის წიგნშია<sup>40</sup> მოცემული, ასე მაგალითად, ავტორი აზროვნების  
პრობლემასთან დაკავშირებით შემდეგი ეპიზოდის ანალიზს იძლევა.

ორი ბიჭი ბადმინტონს თამაშობს. უფროსი—A ყოველთვის  
იგებს. უმცროსი -B იჩაგრება., ბოლოს B თამაშზე უარს აცხადებს.  
უფროსს—A-ს თამაშის ჩაშლა სწყინს. ამიტომ ის უმცროსზე გულ-  
მოსულია. უმცროსი-დაღონებულია. ბიჭები ერთმანეთს ეგვირდში  
სხედან და ხმას არ იღებენ. ერთბაშად მდგომარეობა იცვლება: უფ-  
როსი აღარაა გულმოსული, მის სახეზე თანაგრძნობაა და ლმობი-  
ერება. „მაპატიე.—ეუბნება უფროსი პატარას.—ასეთი თამაში, მართ-  
ლაც უხეიროა.“ რამდენიმე ხანს ისევ დუმილია. უფროსი ჩაფიქრე-  
ბულია. ცოტა ხნის შემდეგ უფროსი კმაყოფილებით ჰამართავს პა-  
ტარას: „იცი რას ვფიქრობ, მოდი ერთმანეთს ვესროლოთ ბადმინ-  
ტონის ბურთი—ვნახოთ, რამდენჯერ მოვახერხებთ, მის აქეთ-იქით  
გადასროლას. ისე რომ მიწაზე არ დაეცეს“. ბავშვები ხალისიანად  
შეუდგნენ თამაშს, განსკუთრებით უფროსს ეტყობა კმაყოფილდება.

ამ ეპიზოდის შესასწავლ მონაკვეთად ავტორს ეს პროცესი მი-  
აჩნდა, რომელიც თამაშის შეწყვეტის შემდეგ იწყება. ამ პროცესის  
დასაწყისში უფროსი უმცროსზე, როგორც თამაშის ჩაშლის მიზეზ-  
ზე, გულმოსულია. პროცესის დასაწყის პერიოდს ავტორი შემდეგ-  
ნაირად აღწერს: უფროსს—A-ს თამაშის გაგრძელება უნდა, მას თა-  
მაში სიამოვნებდა. მისი პატარა ამხანაგი—B—ამ სიამოვნების ჩამშ-  
ლელია. A-ს წინაშე პრობლემური სიტუაციაა. ამ სიტუაციას და მას-  
ში შემაჯალ B-ს, თამაშს და მის ჩაშლას A ჯერ საკუთარი თვალსაზ-  
რისით უყურებს—ეს არის პროცესის პირველი ეტაპი.

მეორე ეტაპს, ვერთჰაიმერის მიხედვით, რეკონსტრუქცია ქმნის. აქ,  
A სიტუაციას სულ სხვა თვალთ—B-ს თვალსაზრისით უყურებს.  
ამის შედეგად A-სათვის გასაგები ხდება B-ს მდგომარეობაც, შე-  
წყვეტილი თამაშიც და ისიც, თუ B-მ თამაშზე უარი რატომ განაცხა-  
და. მესამე ეტაპს ავტორის თქმით, ახალი ცენტრაცია ქმნის: პრობ-  
ლემურ სიტუაციას A ახალი თვალსაზრისით—თვითონ თამაშის

<sup>40</sup> M. Wertheimer „Produktive Thinking“.

თვალსაზრისით—უყურებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თამაში, რომელიც მას ასე მოსწონდა, არ იყო ნამდვილი თამაში. ამ ცუდი თამაშის ნაცვლად, A ახალი, სტრუქტურულად კარგი თამაშის პროექტს იძლევა.

ჩვენ გვეჩვენება, რომ აზროვნების პროცესის ისტორია ამ ეპიზოდში იწყება უფრო ადრე, ვიდრე ეს ავტორის მიერ მოცემულ აღწერაშია წარმოდგენილი.

ეპიზოდის პირველი ეტაპი, ჩვენი აზრით, იმ პერიოდში იჩენს თავს, რომლის ანალიზს ავტორი არ იძლევა. ეპიზოდის ამ პერიოდში A ბადმინტონის თამაშშია ჩართული. როგორც ყოველივე თამაშ (ტენისი, კროკეტი, ფეხბურთი და სხვა), ბადმინტონიც თამაშის დადგენილ წესებსა და გარკვეულ მოწყობილობას გულისხმობს. როგორც სხვა თამაშს ბადმინტონსაც გარკვეული სტრუქტურა და გარკვეული ტრადიცია აქვს. ბუნებრივია, რომ თამაშის აზარტში შესული A ყველაფერს, რაც თამაშის სიტუაციას ეკუთვნის,—ბურთს, რაკეტას, ბადეს და თვითონ B-საც, რომელიც, როგორც პარტნიორი, თამაშის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს,—ყველაფერს ამას A თამაშის თვალსაზრისით უყურებს და თამაშის სტრუქტურის შესატყვისად იყენებს.

როდესაც თამაშის ერთ-ერთი კომპონენტი—პარტნიორი—თამაშიდან გამოვიდა, თამაშის სტრუქტურა დაირღვა, თამაშის გაგრძელებას დაბრკოლება აღმოუჩნდა. პარტნიორი თავს ანებებს თამაშს. B თამაშის ჩამშლელია! დაასკვნის A. ეს მისი მსჯელობა თამაშის ჩამლაზე რეაქციაა. რა უდევს საფუძვლად ასეთ რეაქციას? რას გულისხმობს ასეთი რეაქცია? სანამ თამაში გრძელდებოდა, A პრაქტიკულად იყენებდა B-ს, როგორც თამაშის აუცილებელ და კანონიერ კომპონენტს. B-სთან A-ს თამაშის სტრუქტურით დეტერმინირებული დამოკიდებულება, ე. ი. გარკვეული პრაქტიკული დამოკიდებულება ჰქონდა. თამაში შეწყდა და შეწყდა B-ს მიზეზით. ამის საპასუხოდ A ახდენს B-ს კატეგორიზაციას: „დამრღვეველია“, „თამაშის ჩამშლელია“. თამაშის პროცესში A უბრალოდ იყენებდა თავის ამხანაგს როგორც პარტნიორს. A-ს რომ მოეხდინა B-ს პარტნიორად კატეგორიზაცია, მას რომ გაეცნობიერებინა B, როგორც პარტნიორი, მდგომარეობა, ალბათ, უფრო ადრე შეიცვლებოდა. A ალბათ მიხვდებოდა რომ B სუსტი მოთამაშეა და პარტნიორად არ გამოდგება.

ის ეპიზოდი, რომლის ანალიზსაც ვერთპაიმიერი სწორედ აზროვნების ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ახდენს, ამ ადრინდელ

ეტაპზე იწყება—ეტაპზე, რომელიც ავტორის განხილვაში არ არის გათვალისწინებული. ვფიქრობთ, აღწერილი ეპიზოდის ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებას ის გარდატეხა წარმოადგენს, რომელიც სწორედ ეპიზოდის ამ დასაწყის პერიოდში მოხდა, A თამაშის სიტუაციაში იყო ჩართული და ყველაფერს ამ სიტუაციაში თამაშის სტრუქტურის მიხედვით განიცდიდა. ამ პერიოდში B მისთვის მხოლოდ თამაშის მთავარი კომპონენტი—პარტნიორი იყო. ერთბაშად A-ს დამოკიდებულება B-სადმი შეიცვალა. A ესლა B-ს, როგორც თამაშის ჩამშლელის, როგორც „დეზორგანიზატორის“ კატეგორიზაციას ახდენს, ასეთი კატეგორიზაცია აზრობრივი აქტია. აზროვნების ამ პროცესის ისტორია, რომელსაც ვერთპაიმიერი განიხილავს, ვფიქრობთ, სწორედ აქ იწყება. პრობლემის აღმოცენება, ჩვენი შეხედულებით, მოხდა სწორედ იმ პერიოდში, რომელიც ავტორს არა აქვს აღწერილი,—მაშინ, როდესაც A-მ ამხანაგთან თამაშის პრაქტიკული დამოკიდებულება შეწყვიტა, და მის ნაცვლად, ახალი, შემეცნებითი დამოკიდებულება დაამყარა. ამ ახალი დამოკიდებულების შედეგად, თავი იჩინა კატეგორიზაციის პირველმა აქტმა: „B-თამაშის შემშლელია“, „B-დეზორგანიზატორია“, ამ კატეგორიზაციას კითხვის დასმა უსწრებდა წინ და ეს კითხვა B-ს ეხებოდა: რას წარმოადგენს B? მანამდე უფროსი უმცროს ამხანაგს, როგორც თამაშის კომპონენტს, როგორც პარტნიორს იყენებდა. აზროვნება ამ შემთხვევაში იწყება მას შემდეგ, რაც უფროსმა ბიჭმა თავის პატარა ამხანაგისადმი პრაქტიკული დამოკიდებულება—მისი, როგორც თამაშის კომპონენტის გამოყენება შეწყვიტა და ამის ნაცვლად, მის შესახებ აზროვნება დაიწყო. უფროსის მიერ უმცროსის შესახებ წარმოებულ კატეგორიზაცია აზროვნების აქტს წარმოადგენს. ამ აქტს წინ უსწრებდა უმცროსი ამხანაგისადმი დამოკიდებულებაში მომხდარი გარდატეხა: მისი როგორც პარტნიორის პრაქტიკული გამოყენების ნაცვლად მასზე, როგორც ობიექტზე შეჩერება—მის შესახებ კითხვის დასმა. აქ მოხდა პრობლემის აღმოცენება.

პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ ცვლილებებს, მის რეკონსტრუქციას ამ სიტუაციის აღმოცენება, სუბიექტის მიერ მისი აღმოჩენა უსწრებს წინ. კონცეფცია, რომელიც აზროვნებას როგორც პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციათა რიგს წარმოადგენს, ვერ დაიტევს საკითხს პრობლემის აღმოცენების შესახებ.

ასეთი კონცეფციის შემთხვევაში პრობლემის აღმოჩენა, ახალი ამოცანის მოპოვება შესწავლის გარეშე რჩება.

სსვანაირი მდგომარეობა იქმნება, მაგალითად, რუბინშტეინის კონცეფციასთან დაკავშირებით. რუბინშტეინი აზროვნების პროცესის ფსიქოლოგიურ არსს ისეთ ანალიზში ხედავს, რომელიც მონაცემთა ურთიერთშეფარდების გზით ხორციელდება: ანალიზის ძირითად ფორმას ანალიზის სინთეზის გზით „анализ через синтез“ შეადგენს. ახალ-ახალ კავშირებში ჩართვის გამო ობიექტი ახალ-ახალ თვისებათა მატარებლად გვევლინება. ასე სწარმოებს, ობიექტის ახალ თვისებათა გათვალისწინება, მასში ახალი შინაარსების მოპოვება. ამგვარად ავტორის თქმით, სწარმოებს „არსებულის სულ ახალი და ახალი ფენების წვდომა“. „მზის სინათლეზე იმის გამოტანა, რაც მანამდე უცნობის სიღრმეში იმალებოდა“, ამ კონცეპციის მიხედვით, აზროვნებას საქმე არა ფენომენალურ ობიექტთან, არამედ ობიექტურად არსებულთან აქვს: აზროვნება აქ ობიექტურად არსებულის ახალ მხარეთა აღმოჩენას აწარმოებს—ობიექტს შესწავლის. ასეთი კონცეფციის წინაშე უნდა დადგეს საკითხი იმის შესახებაც, თუ როგორ ხდება, რომ სუბიექტის წინაშე ახალი კითხვა, შესწავლია ახალი ობიექტი იჩენს თავს. თუმცა რუბინშტეინთანაც ამოცანის აღმოცენების საკითხი სპეციალურად არაა განხილული, ეს საკითხისი კონცეფციის საფუძველზე ბუნებრივად ისმის. საკითხს ამოცანის აღმოცენების შესახებ გაკვრით ეხება კლაპარედი<sup>41</sup> და ჯონსონი<sup>42</sup>.

თუ გეშტალტფსიქოლოგიის მიხედვით აზროვნება თავს იჩენს პრობლემური სიტუაციის სტრუქტურულ დარღვევათა აღსადგენად. ხოლო ბარტლეტის მიხედვით უქმარი ინფორმაციის აღსადგენა: კლაპარედის თვალსაზრისით აზროვნება თავს იჩენს ორგანიზმსა და სიტუაციას შორის წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში. იგი თავს იჩენს ამ წონასწორობის აღსადგენად. თუ გეშტალტფსიქოლოგიისათვის აზროვნების სქემა ( $s_1... s_2... s$ ) პრობლემური სიტუაციის ტრანსფორმაციათა პროცესს გამოხატავს, კლაპარედის კონცეფციაში მნიშვნელობა აქვს არა პრობლემური სიტუაციის ცვლილე-

<sup>41</sup> Claparede-La genese de L' hypotese.

<sup>42</sup> Jonson D. M. „The Psychology of Thought and Judgment New York 1959.

ბათა ხაზს. არამედ ორგანიზმისა და ობიექტური სიტუაციის დამოკიდებულებას—მათ შორის წონასწორობის აღდგენის პროცესს. ეს პროცესი ძიებაში, მოსინჯვაში გამოიხატება, მის ამოსავალ წერტილს კითხვა წარმოადგენს. კითხვა წონასწორობის დარღვევას გვატყობინებს, ამბობს ავტორი, მის გაცნობიერებას გამოხატავს. ვინაიდან კითხვა მოთხოვნილებას, დანაკლისს ნიშნავს და ყოველი ცოცხალი ორგანიზმი თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ლამობს, კითხვას აზროვნების პროცესი მისდევს—პროცესი, რომელსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, კითხვაში გამოხატული დანაკლისის შევსება შეუძლია.

კითხვა, კლაპარედის მიხედვით გარკვეულ ორიენტაციას გულისხმობს, იგი აზროვნების მიმართულებას განსაზღვრავს და შესატყვის ჰიპოთეზებს წარმოშობს. კლაპარედის კონცეფცია ზოგიერთ სხვა ზემოთ განხილულ თეორიას რომ შევადაროთ, ნათელი გახდება, რომ ამ კონცეპციას მეტი გასაქანი აქვს: აზროვნების საკითხი აქ ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა განხილვის ფარგლებს სცილდება. ეს საკითხი კლაპარედთან სუბიექტის გარემოსთან დამოკიდებულების პერსპექტივაშია გადატანილი.

კლაპარედისათვის მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ აზროვნება საქმეში ობიექტურ სიტუაციასთან დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. ჩაერთვის, თუმცა უნდა ითქვას, ამ კონცეფციასაც არ გააჩნია ისეთი ცნება, რომელსაც თვით ამ ფაქტის ახსნა შეეძლოს. ავტორი თვითონ აცხადებს, რომ ვერ დაადგინა აზროვნების განმსაზღვრელი ფაქტორი<sup>1</sup>. „ჩვენ ვერ დავადგინეთ ის, რის დადგენასაც ვცდილობდით, ამბობს ავტორი,—ვერ დავადგინეთ, როგორ ხდება ჰიპოთეზების აღმოჩენა, რა განსაზღვრავს მათ აღმოცენებას“\* საკუთარი ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ავტორი „მოსინჯვის“ (tâtonement) პროცესს აღწერს: მოსინჯვა ყოველთვის წონასწორობისკენ მიისწრაფის, რაღაც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, ის ყოველთვის გარკვეული მიმართულებითაა ორიენტირებული. მაგრამ რა განსაზღვრავს მოსინჯვის მიმართულებას? ცნობიერებაში, ამბობს ავტორი, არის კითხვა, რომლითაც აზროვნების პროცესი იწყება და ამ კითხვის შესატყვისად გაფორმებული ჰიპოთეზა; აზროვნება ამ ჰიპოთეზას ამოწმებს, უარყოფს ან

<sup>1</sup> Claparède, „la genèse de la hypothèse“, გვ. 141.



ადასტურებს. კლაპარედის კონცეფციის მიხედვით, დასმული კითხვა აზროვნებას ორიენტაციასა და საერთო მიმართულებას აძლევს. მაგრამ კითხვას არ შეუძლია აზროვნების მსვლელობის ამომწურავი განსაზღვრა, კლაპარედის მიხედვით, კითხვა მხოლოდ საერთო ორიენტაციის ფაქტორს წარმოადგენს.

ასეთი კონცეფციის წინაშეც ბუნებრივად ისმის საკითხი ახალი ამოცანის, ახალი კითხვის აღმოცენების შესახებ. სწორედ ამასთან დაკავშირებით, ახსენებს კლაპარედი ორგანიზმსა და ობიექტურ სიტუაციას შორის წონასწორობის დარღვევას.

პრობლემის აღმოცენების საკითხს გაკვირით ჯონსონიც ეხება. ამ ავტორის მიხედვით პრობლემა მაშინ აღმოცენდება, როდესაც სუბიექტი მიზნისაკენაა მოტივირებული და მისი პირველი ცდა, ამ მიზნის მისაღწევად ამაო აღმოჩნდა. ამოცანის აღმოცენების ასეთი გაგება გულისხმობს, რომ ამოცანა ძირითადად სუბიექტზეა დამოკიდებული: იმისათვის, რომ ამოცანა აღმოცენდეს, საჭიროა სუბიექტს მიზნის მიღწევის მოტივი ჰქონდეს, ამოცანის აღმოცენებას სხვა სუბიექტური გარემოებაც აპირობებს—მიზნის მიღწევის ამაო ცდა უსწრებს. ამოცანა, ამბობს ავტორი, ყოველთვის პიროვნულ რაღაცას (personal thing) და არა სიტუაციის თავისებურებას წარმოადგენს. თქმა, რომ სიტუაცია პრობლემურია, ამ ავტორის მიხედვით, ნიშნავს, რომ სუბიექტი მოტივირებულია ისეთი მიზნისაკენ, რომლის მიღწევა პირველი ცდით არ მოხერხდა. თუ სუბიექტს მიზნის მიღწევა პირველივე ცდის შედეგად შეუძლია, ამოცანის საკითხი არა დგება. ამოცანის გადაჭრის აქტივობა თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, როცა მიზნის მიღწევა სიძნელეს წარმოადგენს.

როდესაც გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგენლები პრობლემური სიტუაციის სტრუქტურული დარღვევის, ხოლო ბარტლეტი ინფორმაციის ნაკლოვანების და ხარვეზიანი მოცემულობის შესახებ მსჯელობენ, მათ მხედველობაში აქვთ საკითხი იმის შესახებ თუ როგორია პრობლემური სიტუაცია. როდესაც ჯონსონი აღნიშნავს, რომ პრობლემის აღმოცენების ფაქტორს წარმოადგენს პრობლემური სიტუაციის სიძნელე და მისი დამოკიდებულება სუბიექტის მოტივზე. მას მხედველობაში აქვს საკითხი: რატომაა, რომ სიტუაციას სუბიექტისათვის პრობლემური ხასიათი აქვს. არსებითად იგივეს გულისხმობს კლაპარედის მოსაზრებაც, რომ კითხვა თავს იჩენს სუბიექტსა და სიტუაციას შორის წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში, რომ

კითხვა ისეთ მოთხოვნილებას გამოხატავს, რომლის დაკმაყოფილებაც აზროვნების გზითაა შესაძლებელი. აქაც საკითხი ისმის იმის შესახებ თუ რატომაა, რომ სუბიექტს ამოცანა უჩნდება, რატომაა, რომ ის აზროვნებას მიმართავს.

მაგრამ საკითხი უნდა დაისვას იმის შესახებაც თუ როგორ ხდება, რომ ობიექტურად არსებული სიტუაცია სუბიექტისათვის პრობლემურ სიტუაციად, შემეცნების საგნად იქცევა.

აზროვნების ექსპერიმენტულ გამოკვლევებში ამოცანის აღმოცენების საკითხი არც დასმულა, ამოცანის გადაჭრის მრავალრიცხოვან ექსპერიმენტებში ამოცანა ცდისპირს, ექსპერიმენტატორის მიერ იძლევა. ამ ამოცანის დანახვაში, ამოცანის მიღებაში ცდისპირი პასიურია—ის ინსტრუქციას ემორჩილება და ექსპერიმენტატორის მიერ მოცემული ამოცანის გადაჭრას ცდილობს.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება, რომ ობიექტური სიტუაცია პრობლემურ სიტუაციად იქცევა, რომ აზროვნება ახალი საგნის აღმოჩენას ახერხებს, სპეციალურ ექსპერიმენტულ კვლევას მოითხოვს.

ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტშიც ამოცანა ხარვეზიანი ტექსტის გაგებაში და ამ გაგების მიხედვით ხარვეზების შევსებაში მდგომარეობს. ამ ამოცანას ცდისპირს ექსპერიმენტატორი აძლევდა. ეს ამოცანა ინსტრუქციაში იყო გათვალისწინებული. ამოცანის აღმოჩენისათვის ცდისპირს არაფერი გაუკეთებია. ამ მხრივ ის პასიური იყო და მხოლოდ ინსტრუქციას ემორჩილებოდა. ამოცანას ცდისპირი ცდის ხელმძღვანელისაგან ღებულობდა.

ახლა ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი ექსპერიმენტული პირობები, რომელიც სუბიექტისათვის მოულოდნელ პრობლემურ სიტუაციას წარმოადგენს. ცდისპირის წინაშე უნდა აღმოცენდეს მის მიერ გაუთვალისწინებელი ამოცანა.

ამ მიზანთან დაკავშირებით ისევ ხარვეზიან ტექსტს მივმართეთ.

## 2. ექსპერიმენტის პროცედურა

ახალ ექსპერიმენტში ცდისპირს ხარვეზიანი ტექსტის ისეთი ახალი ვარიანტი ეძლევა, რომელშიც დასაწყისში ორნაირად შეიძლება იქნეს წაკითხული—როგორც ამბავი არწივის შესახებ და როგორც ამბავი ვირის შესახებ, მაგრამ გაგრძელება ყოველ-

თვის კონფლიქტშია იმასთან, რასაც ცდისპირი მანამდე კითხულობდა. ექსპერიმენტის ასეთი კონსტრუქცია შემდეგ ახალ გარემოებას ქმნის: ცდისპირის წინაშე ისეთი ამოცანა დგება, რომელიც ინსტრუქციაში არ იყო გათვალისწინებული.

ტექსტის აღნიშნული ვარიანტი ცდისპირს უშუალოდ პირველი ვარიანტის შემდეგ ეძლეოდა. ამგვარად, ცდისპირს ეძლეოდა მისთვის უკვე საკვებით ჩამოყალიბებული კონტექსტის შეუსაბამო გაგრძელება.

ამგვარად, მასალას ცდისპირი შემდეგი თანამიმდევრობით ღებულობდა.

1) Ле...ал о...ел...ле-ал. он среди...орных ...уч и с...ал, Потом вз...е...ел. Теперь уже не с...ал и ...орных ...уч он видел очертания. он видел ...е...а с... о... к нему тянулся он. Как было хорошо о...лу в тот летний знойный день. Ор...л упиваясь своей о...линой свободой думал; Как хорошо быть вдали от людей. Там, где царит человек, и поле...ть нельзя свободно. А здесь никто мне не мешает. Вот поле...у еще, потом подняться можно, уйти от этих ...орных ...уч, пробраться вот туда поближе к ...е...у.

Вдруг что-то засверкало в небосводе. Огромное несется в облаках, со свистом рассекая воздух.

„Какой большой, подумал наш о...ел, как быстро мчится он. Все набирает высоту. И как шумит! Ну что же, попробуем сразиться!

Вз...е...ев, ор...л, что было сил, соревновался с самолетом. ...е...ел о...ел ..е...ел весь день, а самолета след простыл.

2) Ле...ал о...ел, ле...ал он среди ...орных...уч и с...ал Потом вз...е...ел. Теперь уже не с...ал и ...орных...уч он видел очертания, он видел ...е...а с...о..., к нему тянулся он. Как было хорошо о...лу в тот летний, знойный день. Ор...л, упиваясь своей о...-линой свободой, думал: „Как хорошо быть вдали от людей. Там где царит человек и поле...ать нельзя свободно. Там в курятниках томится птица и в хлевах копошится скот. А здесь я один, здесь сам я господин. Вот поле...у еще, потом подняться можно“.

ცდისპირი თუ ტექსტს კითხულობდა როგორც მოთხრობას ვი-  
რის შესახებ, მას ეძლეოდა შემდეგი გაგრძელება:  
еще немного выше“.

Вдруг что-то засверкало в небе. Огромное несется в об-  
лаках, со свистом рассекая воздух.

„Какой большой,—подумал наш о...ел Не знаю птиц та-  
ких. Как быстро мчится он. Взял высоту. Нет, так мне не  
ле...ать! Он больше и сильнее меня. Быстрее меня ле...ать он  
может!“.

Так думал с горечью о...ел, смотря как тот, большой не-  
сется с шумом в облаках.

ცდისპირი თუ ტექსტს კითხულობდა როგორც მოთხრობას არ-  
წივის შესახებ, მას შემდეგი გაგრძელება ეძლეოდა.

3) и попасться немного.

Вдруг что-то засверкало в небе. Огромное несется в об-  
лаках, со свистом рассекая воздух.

„Какой большой, подумал наш о...ел, как быстро мчится  
он. Взял высоту. И как шумит Ну! что-же, шуметь я тоже  
мастер!“.

Вскочил о...ел, взмахнул хвостом, наострил уши и заор-  
рал, что было мочи

### 3. ექსპერიმენტის შედეგები

ექსპერიმენტის ამ ვარიანტში ახალი გარემოება იქმნება: ცდის-  
პირის წინაშე დგება ამოცანა, რომელიც ინსტრუქციაში არ იყო გა-  
თვალისწინებული. ექსპერიმენტის პირველ ვარიანტში და მეორე  
ვარიანტის დასაწყისში ამოცანა ხარვეზიანი ტექსტის გაგებაში და ამ  
გაგების მიხედვით ხარვეზების შევსებაში მდგომარეობდა. ამ ამო-  
ცანას ცდისპირს ექსპერიმენტატორი აძლევდა.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება, როდესაც უკვე ჩამოყალიბე-  
ბულ კონტექსტში თავს იჩენს ამ კონტექსტისათვის სრულიად შეუ-  
ფერებელი არახარვეზიანი სიტყვები ან ფრაზები. მაგ.. არწივის  
კონტექსტში— взмахнул хвостом, наострил уши, заорал, что  
было мочи და სხვ.

იმისათვის, რომ ტექსტი აზრიანი იყოს, ცდისპირმა უნდა გადააკეთოს მთელი თავისი ნამუშევარი: მან უნდა დაარღვიოს უკვე ჩამოყალიბებული კონტექსტი და იმავე მასალიდან, იმავე ხარვეზიანი ტექსტიდან ახალი კონტექსტის აგება მოახდინოს.

ამ პირობებში ცდისპირის წინაშე რთული ამოცანა დგება ან, უკეთ რომ ვთქვათ, ამოცანათა რიგი: 1. შეამჩნიოს აბსურდები, მაგ., ის, რომ არწივი ძოვას აპირებს, რომ არწივმა ყურები დაცქვიტა და სხვა, 2. გამოარკვიოს, რამ გამოიწვია აბსურდები და 3. როდესაც ცდისპირი მიხვდება, რომ ხარვეზიანი სიტყვები მის მიერ სხვანაირად უნდა ყოფილიყო შევსებული, რომ ხარვეზიანი სიტყვა, მაგ.: о-ея, ნიშნავდა осея-ს და არა ореа-ს მან უნდა მოახერხოს არწივის ჩამოყალიბებული კონტექსტის დარღვევა და მის ნაცვლად ახალი მოთხრობის, ახალი კონტექსტის ჩამოყალიბება. ამ რთულ ამოცანას ცდისპირს საქმის ობიექტური ვითარება უყენებს. ცდისპირმა უნდა დაინახოს პრობლემა, აღიაროს იგი და შეეცადოს მის გადაჭრას.

მოვიყვანოთ ექსპერიმენტის ახალი ვარიანტის შედეგები.

ცდა ჩატარდა 33 სუბიექტზე. ცდისპირთა კონტიგენტი უმთავრესად ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული სექტორის სტუდენტებია.

33 ცდისპირიდან 13-მა (40%) ვერ შეამჩნია, რომ კონტექსტში რაღაც დაირღვა, რომ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. მაგ., ცდისპირი (ოქმი №6) შეუფერხებლად კითხულობს ამბავს ვირის შესახებ, კონტექსტში, რომელიც შეესატყვისება მოთხრობას არწივის შესახებ, ისე, რომ გამოდის, ვითომ არწივმა ძოვა დააპირა, ან ვითომ არწივმა ყურები დაცქვიტა, კუდი მოიქნია და სხვ. მეტიც, თვითონ ცდისპირის მიერ მოთხრობილ ამბავშიც არწივი ისეთ რამეს ასრულებს, რაც ვირის ამბულუას შეადგენს, როდესაც ტექსტის წაკითხვის და მისი შინაარსის გადმოცემის შემდეგ ცდისპირს შეევეკითხეთ: А ореа может попасться, взмахнуть хвостом, навострить уши“ и т. д., მან გვიპასუხა: „Нет, конечно, но я над этим не задумывалась и не заметила абсурда“ მეორე ცდისპირმაც ვირის ამბავი ტექსტის შევსებისა და ზეპირი თხრობის დროსაც არწივს მიაწერა, მაგრამ წერილობით თხრობაში აბსურდული მომენტები გამოტოვა. როდესაც ვუთხარით, რომ მან არ ჩაწერა ზოგი რამ.

რაც ზეპირი თხრობის დროს იყო აღნიშნული, მაგალითად, რომ არწივმა „ყურები დაცქვიტა“, ცდისპირმა დააპირა ამის შეტანა თავის ჩანაწერებში, მაგრამ შეჩერდა და გვკითხა: „А у осла есть уши?“ (ოქმი № 12). ერთ ცდისპირს რომელმაც არწივის ვირის მოქმედებები მიაწერა, ვკითხეთ: „А орел может наострить уши?“ მან მიპასუხა: Там так было написано“.

ერთმა ცდისპირმა ვირის ამბები არწივის კონტექსტში ჩართდა და მერე, შინაარსის გადმოცემის დროს, დაწერა: „Орел подумал, какой молодец! Летит! Взял высоту и как ревет! Ну что же реветь, я тоже мастер и, раскрыв крылья и наострив уши, орел заорал во всю мочь“ (ოქმი № 25).

ოცმა ცდისპირმა შეამჩნია მათ მიერ ჩამოყალიბებული კონტექსტისა და ტექსტის გაგრძელების შეუსატყვისობა. ცდისპირები ჩერდებოდნენ გამოთქმებზე, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულ კონტექსტს არ შეესატყვისებოდა, ამჩნევდნენ, რომ, მაგალითად, ძოვა, კუდის მოქნევა, ყურების დაცქვეტა და სხვ. არწივის არ შეკფერის. სიტუაცია ცდისპირისათვის პრობლემური, ნაკლოვანი გახდა. უკვე ჩამოყალიბებულ და გარკვეულ კონტექსტში თავი იჩინა ახალმა და შეუფერებელმა გარემოებამ. სუბიექტი ახალ ამოცანასთან უკვე პირისპირ დგას. მან იცის, რომ აქ რაღაც გასარკვევია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ 20 ცდისპირიდან, რომლებმაც სიტუაციის პრობლემური ხასიათი შეამჩნიეს და შეუსატყვისობის ფაქტები აღნიშნეს, მხოლოდ 13 შეუდგა მათ წინაშე აღმოცენებული ამოცანის გადაჭრას, 7-მა ცდისპირმა კი შეამჩნია აბსურდი, დაინახა, რომ ტექსტში რაღაც გაუგებრობაა, მიხვდა რომ სიტუაცია პრობლემური გახდა, მაგრამ არ შეუდგა ახალი ამოცანის გადაჭრას. ასეთი ცდისპირები ხარვეზებს ავსებენ იმ კონტექსტის მიხედვით, რომელიც ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულია, მიუხედავად იმისა, რომ ცდისპირები ამჩნევენ შეუსატყვისობას, ჩერდებიან მასზე, იცინიან ან გაკვირვებით აღნიშნავენ: „Орел и попастись, орел и наострил уши?“— და სხვ., წაკითხულის ხელახლად გადახედვას და ტექსტის სტრუქტურის შეცვლას ისინი არ ცდილობენ. თხრობის დროს ასეთი ცდისპირები მეტწილად ან პირველად ჩამოყალიბებულ კონტექსტს ბოლომდე იცავენ, და აბსურდულ ამბებს გვერდს უვლიან

ან აღნიშნავენ, რომ დასაწყისი არწივის შესახებ იყო, ბოლო კი—ვირის შესახებ.

განვიხილოთ ჯერ მხოლოდ იმ ცდისპირთა მონაცემები, რომლებმაც არა მხოლოდ შეამჩნიეს, რომ მდგომარეობა გაურკვეველი და აბსურდული შეიქმნა, არამედ ამ მდგომარეობის ლიკვიდაციაც მოინდომეს, ე. ი. იმ ცდისპირთა მონაცემები, რომლებიც მათ წინაშე აღმოცენებული ამოცანის გადაჭრას შეეცადნენ.

ასეთ ცდისპირებს ჩვეულებრივად უჩნდებათ ჰიპოთეზა, ეს ამბავი ვირს ხომ არ ეხება? მაგ., ერთი ცდისპირი გაკვირვებით კითხულობს: *Взмахнул хвостом? наострил уши?* და აღნიშნავს—*Это к орлу не подходит, ага, осел.* შემდეგ შემოწმება: *заорать мог осел* (ოქმი №7). ჰიპოთეზა ცდისპირს პირველად იმ გამოთქმებთან დაკავშირებით უჩნდება, რომელიც ჩამოყალიბებულ კონტექსტს არ შეესატყვისება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს პირველი ჰიპოთეზა განმტკიცდა, მას შემდეგ, რაც ცდისპირი დარწმუნდა, რომ ძოვია, კულის ქნევა, ყურების დაქვევება და სხვა—ვირს ეხება, მის წინაშე ახალი კითხვა ისმის. თავიდან ხომ არ იყო აქ მოთხრობა ვირის შესახებ? თავიდანვე ვირს ხომ არ ეხებოდა მთელი ეს ამბავი?

როდესაც ამის შემდეგ ცდისპირს ისევ პირველი ხარვეზიანი ტექსტის შევსებული ეგზემპლარი ეძლევა, ის ცდილობს ახლებურად—ახალი კონტექსტის შესატყვისად—შეავსოს ხარვეზები. მის წინაშე ახალი ამოცანა დგება:—მოახდინოს უკვე ჩამოყალიბებული კონტექსტის სტრუქტურის შეცვლა. ამ ამოცანის გადაჭრის გზა ჩვენი ცდისპირებისათვის ძნელი აღმოჩნდა.

ხარვეზიან სიტყვას, *о-ея-ს* ახალი მნიშვნელობით, ცდისპირი, ჩვეულებრივად, ადვილად კითხულობს. მას შემდეგ, რაც მან დაუშვა ჰიპოთეზა, რომ მთელი ეს ამბავი არწივის კი არა ვირს ეხება, ხარვეზიანი სიტყვა *о-ея* ადვილად იკითხება როგორც *осел*, მაგრამ როდესაც ტექსტში ისეთი ხარვეზიანი სიტყვები ჩნდება, როგორცაა: *...орных ...уч, ...е...а, с...о...* და სხვა, ცდისპირს უძნელდება მათი ახალი კონტექსტის შესატყვისად წაკითხვა. ზოგჯერ ამ სიტყვებთან დაკავშირებით ცდისპირი იძულებული ხდება უკვე დაშვებულ ჰიპოთეზაზე უარი განაცხადოს. და ძველ კონ-

ტექსტს დაუბრუნდეს. ცდისპირები გამოთქვამებ ჰიპოთეზას, რომ ეს ყველაფერი ვირის და არა არწივის შესახებ იყო ნათქვამი; შემდეგ ადვილად კითხულობენ *лешал орел*-ის ნაცვლად *лешал орел*. მაგრამ მომდევნო ხარვეზიანი სიტყვების... *орных ...уч...* ახალი კონტექსტის შესატყვისად წაკითხვას ვერ ახერხებენ და ამბობენ—*но здесь „горных туч“ написано. не мог же осел лежать среди горных туч?*—ამის შემდეგ ცდისპირები იძულებული ხდებიან უარი განაცხადონ უკვე დაშვებულ ჰიპოთეზაზე *Значит, это про орла (ოქმი № 7)*. არწივის კონტექსტისათვის შეუფერებელ გამოთქმებთან—*(попасться. наострил уши და სხვა)* დაკავშირებით, ერთი ცდისპირი ამბობს: *Ага! Здесь, наверное, все про осла, буду читать про осла, но среди туч и скал осел не может лежать, да илге უბრუნდება „არწივის“ კონტექსტს (ოქმი № 9)*. *Лешал осел среди горных туч—не получается,—ამბობს სხვა ცდისპირი—и это—„неба свод, тоже про орла, взмахнул хвостом, наострил уши, это про осла (ოქმი № 10)*. განსაკუთრებულ სიძნელეს ამ მხრივ წარმოადგენს ხარვეზიანი სიტყვა *ор-л*, რომელიც ყოველთვის უბიძგებს „არწივის“ კონტექსტისაკენ („ვივის“ კონტექსტში ეს სიტყვა ნიშნავს *орла*).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ცდისპირმა დაუშვა ახალი კონტექსტის შესაძლებლობა, დაუშვა ჰიპოთეზა, რომ ყველაფერი, რაც ტექსტში იყო თქმული, ვირს ეხება, ხარვეზიანი სიტყვების წაკითხვა ამ ახალ კონტექსტში არ ხერხდება. თუ ცდისპირი ექსპერიმენტის პირველ ნაწილში ხარვეზიან სიტყვებს *ле-ал, о-ел* კითხულობდა როგორც *лешал осел*, მომდევნო ხარვეზიანი სიტყვები—*орных-уч*, ჩვეულებრივად, როგორც *сорных куч* იკითხებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც არწივთან დაკავშირებით... *орных уч...* წაკითხულ იქნა, როგორც *горных туч*, ვირთან დაკავშირებით ამ ხარვეზიანი სიტყვების, როგორც *сорных куч* ამოკითხვა აღარ ხერხდება, ან თუ ხერხდება, ძალიან ძნელად.

განვიხილოთ ეს საინტერესო ექსპერიმენტული ფაქტი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ანგარიში უნდა გაეწიოს დუნკერის კონცეფციას. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ კონცეფციის მიხედვით ობიექტის თვისებათა კონფიგურაციაზე გავლენას ახდენს ობიექტის გარკვეული ფუნქციით გამოყენების ფაქტი. ჩვენი ექსპერიმენტის აღნიშნული შედეგი ამკარად ფუნქციონალურ-



რი ფიქსირებულობის ცნების სასარგებლოდ ლაპარაკობს: მას შემდეგ, რაც ობიექტი -орных -уч გამოყენებული იქნა როგორც горных туч, მისი გამოყენება როგორც сорных куч ალარ ხერხდება.

როგორც ვნახეთ, ჩვენი სხვა ექსპერიმენტების შემთხვევაში მიღებულ ფაქტთა ასახსნელად „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ კონცეფცია არაა გამოსადეგი. შერეული ტექსტის, ისევე როგორც კლასიფიკაციის ექსპერიმენტში და აგრეთვე ჩვენი უკანასკნელი ექსპერიმენტის პირველ ვარიანტში. ფუნქციონალური ფიქსირებულობის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. შერეული ტექსტის შემთხვევაში ფრაზა „გადააბრუნეთ ფურცელი“ ცდისპირს ბალზაკის მოთხრობის კონტექსტში ესმის, მისი ამ კონტექსტში წინასწარი გამოყენების გარეშე, ფრაზა „გადააბრუნეთ ფურცელი“ წინასწარ გამამართლებელი დოკუმენტაციის მნიშვნელობით ცდისპირის მიერ არ ყოფილა გამოყენებული; ეს პირველადაა, რომ ცდისპირი ამ ფრაზას ჩვენი და მისი დოკუმენტის „ფუნქციის“ წინაო წაკითხულა გაგვლენით, მაგრამ პირველად აწერს. კლასიფიკაციის ექსპერიმენტში ცდისპირი მეორე ეტაპის საკლასიფიკაციო მასალას პირველ ეტაპზე დადგენილი პრინციპის თვალსაზრისით აკგუფებს. მაგრამ წინასწარ მას ეს მასალა პირველი ეტაპის თვალსაზრისით არ გამოუყენებია. როდესაც ცდისპირი ჩვენს ტექსტში, რომელსაც ორა პარალელური კონტექსტი აქვს. -орных -уч, детал оруд-ის წაკითხვის შემდეგ, როგორც горных туч; ხოლო лешая осел-ის წაკითხვის შემდეგ როგორც сорных куч-ს კითხულობს, „ამას „ფუნქციონალური ფიქსირებულობასთან“ საერთო არაფერი აქვს, ვინაიდან -орных -уч წინასწარ არც горных туч-ისა და არც сорных куч-ის მნიშვნელობით არ იყო გამოყენებული. ექსპერიმენტის იმ ეტაპზე საქმე -орных уч-ის პირველ წაკითხვას ეხებოდა. გარდა ამისა, თვითონ გამოთქმა горных туч ან сорных куч არ არის გავრცელებული და მაინც და მაინც ჩვეულებრივი. ერთი ცდისპირი (რუსი და რუსული ენის კარგი მცოდნე) მარწმუნებდა, რომ გამოთქმა сорных куч რუსულად ცუდად ღღერს, რომ ჩვეულებრივად ამბობენ кучи сора და არა сорные кучи (ოქმი № 32). დაახლოებით იგივეს აღნიშნავდა ზოგიერთი ცდისპირი გამოთქმის—горных туч-ის შესახებ. ისე რომ, კონფიგურაციას-орных -уч არ მიეწერება არც сорных куч, არც горных туч-ის ფუნქციონალური ფიქსირებულობა.

ამგვარად, სამივე შემთხვევაში ჩვენს ექსპერიმენტულ მონაცემებს „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ ცნებასთან საერთო არაფერი აქვს. სამაგიეროდ, უკანასკნელად განხილულ ექსპერიმენტში აშკარად იჩინა თავი ისეთმა ფაქტმა, რომელსაც არ შეუძლია არ მოგვაგონოს სწორედ „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ კონცეფცია ფუნქციონალური ფიქსირებულობის ფაქტები, რასაკვირველია არსებობენ და დუნკერის მიერ ფსიქოლოგიაში შემოტანილი ფუნქციონალური ფიქსირებულობის ცნება, უდავოდ, ამ ფაქტთა აღწერისათვის ძალიან ხელსაყრელია. იგივე შეიძლება ითქვას მაიერის მიერ წარმოდგენილ „მიმართულების“ ცნების შესახებაც. ის გარემოება, მაგალითად, რომ ცდისპირი ჩვენი ექსპერიმენტის პირველ ვარიანტში, არწივთან დაკავშირებით, -орных -ყ-ს კითხულობს როგორც горных куч, ხოლო ვირთან დაკავშირებით — როგორც сорных куч, შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც „მიმართულების“ შემთხვევა. მიმართულება, გაგებული როგორც თვალსაზრისი. აქ, მართლაც იჩენს თავს. მას შემდეგ, რაც სუბიექტი ექსპერიმენტის პირველი ნაწილის დასაწყისში არწივის კონტექსტის თვალსაზრისზე დადგა, მისი აზრთა წყობა ამ თვალსაზრისით წარმართა და ამიტომ орных-ყ-ს მან ამოიკითხა როგორც горных туч ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე ხარვეზიან სიტყვებს სუბიექტი ვირის კონტექსტის თვალსაზრისით უყურებს, ის -орных -ყ-ს კითხულობს, როგორც сорных куч მაგრამ ჩვენი ექსპერიმენტის მეორე ვარიანტის მონაცემებს მაიერის „მიმართულების“ ცნება არ უდგება. ცდისპირმა აღირა ჰიპოთეზა, რომ მთელი ეს ამბავი ვირს ეხებოდა, მას უკვე გაუჩნდა ვირის იდეა, ის უკვე დადგა ახალი კონტექსტის თვალსაზრისზე, მაგრამ ხარვეზიან სიტყვებში -орных -ყ-ს ამ იდეის, ამ ახალი თვალსაზრისის შესატყვისი სიტყვების ამოკითხვას ვერ ახერხებს. მაიერის კონცეპცია ჩვენი ექსპერიმენტის პირველ ვარიანტში მიღებულ შედეგებს უდგება, მაგრამ ექსპერიმენტის მეორე ვარიანტის მონაცემები უფრო დუნკერის კონცეპციას უახლოვდება. სამაგიეროდ ექსპერიმენტის პირველი ვარიანტის შედეგებს ფუნქციონალურ ფიქსირებულობასთან არაფერი აქვს საერთო. ჩვენ ისეთი კონცეპცია გვჭირდება, რომელიც ორივე შემთხვევაში იქნება გამოსადეგი და, როგორც „ფუნქციონალური ფიქსირებულობის“ ისე „ჩვეულებრივი მიმართულების“ ფაქტების ასახვას ნელად გამოდგება.

ექსპერიმენტის პირველი ვარიანტის შედეგები ჩვენ განწყობის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან განვიხილეთ. შევეცადოთ ჩვენი ექსპერიმენტის ახალი ვარიანტის მონაცემების ისევ განწყობის თეორიის თვალსაზრისით განხილვას.

ექსპერიმენტის პირველ ვარიანტში მიღებულ მონაცემთა განხილვის საფუძველზე, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ამოცანის გადაჭრის პროცესი ისეთი განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, რომლის სუბიექტურ ფაქტორს სუბიექტის გნოსტიკური მოთხოვნილება. ხოლო ობიექტურს—თვითონ ის ობიექტური სიტუაცია წარმოადგენს, რომელიც პროცესის დასაწყისში სუბიექტს პრობლემის სახით ევლინება. ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ აზროვნება ობიექტივაციის აქტის საფუძველზე და მისი მეშვეობით ობიექტურ სიტუაციაში ახალ მხარეთა და გარემოებათა აღმოჩენას აწარმოებს და ამ გზით განწყობის რაგვარობის დიფერენციაციას ახდენს. ობიექტივაციის აქტის ნიადაგზე აღმოცენებული თითოეული აზრობრივი ოპერაცია ამ განწყობითაა გაპირობებული და იმავე დროს ამ განწყობის რაგვარობას აყალიბებს, მის ფორმირებას აპირობებს. ამ მოსაზრების ერთ-ერთ ექსპერიმენტულ საბუთად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნდა, რომ იმ შემთხვევაში როდესაც ცდისპირმა თავიდან  $\lambda\epsilon\kappa\alpha\lambda\ \omicron\sigma\epsilon\lambda$  ამოიკითხა, შემდეგში ის ხარვეზიან სიტყვებს—... $\sigma\pi\eta\mu\chi$  ... $\gamma\chi$ -ს კითხულობს როგორც  $\sigma\pi\eta\mu\chi$   $\tau\gamma\chi$ , ხარვეზიან სიტყვებს  $\epsilon\dots\alpha$   $\sigma\dots\omicron\dots$  როგორც  $\eta\epsilon\eta\alpha$   $\sigma\upsilon\omicron\lambda$ ,  $\nu\alpha$ - $\epsilon$ - $\epsilon\lambda$ , როგორც  $\nu\alpha\lambda\epsilon\tau\epsilon\lambda$  და ასე შემდეგ; ხოლო მაშინ, როდესაც ცდისპირმა თავიდან  $\lambda\epsilon\kappa\alpha\lambda\ \omicron\sigma\epsilon\lambda$  ამოიკითხა, ის იმავე ხარვეზიან სიტყვებს, როგორც  $\sigma\pi\eta\mu\chi$   $\kappa\gamma\chi$ , როგორც  $\sigma\epsilon\eta\alpha$   $\sigma\tau\omicron\gamma$ , როგორც  $\nu\alpha\pi\epsilon\upsilon\epsilon\lambda$  კითხულობს. ექსპერიმენტის მეორე ვარიანტში ჩვენ საწინააღმდეგო გარემოებასთან გვაქვს საქმე: ცდისპირი ახერხებს  $\lambda\epsilon\kappa\alpha\lambda\ \omicron\sigma\epsilon\lambda$  ამოიკითხვას, მაგრამ  $\sigma\pi\eta\mu\chi$  - $\gamma\chi$  რჩება  $\sigma\pi\eta\mu\chi$   $\tau\gamma\chi$ -ად და  $\nu\alpha$ - $\epsilon$ - $\epsilon\lambda$  რჩება  $\nu\alpha\lambda\epsilon\tau\epsilon\lambda$ -ად და ა. შ. ცდისპირი ვერ ახერხებს მის მიერ უკვე აღიარებული კონტექსტის შესატყვისად კითხვას. ექსპერიმენტის ამ ეტაპზე ხარვეზიან სიტყვად პირველი წყვილის წაკითხვა მომდევნო ხარვეზიანი სიტყვების წაკითხვის ბედს ვეღარ სწყვეტს. საკუთარი განზრახვის და ხელსაყრელი ობიექტური პირობების მიუხედავად, სუბიექტი ვერ ახერხებს სათანადო ქცევის გაშლას.

რა უშლის ხელს ხარვეზიანი ტექსტის იმ კონტექსტში წაკითხვას, რომელიც თვითონ სუბიექტის მიერაა აღიარებული? რა აი-

ძულებს სუბიექტს ცალკე ხარვეზიანი სიტყვის ისეთ გაგებას, რომელიც მის მიერ უკუგდებულ კონტექსტს შეესატყვისება?

ვფიქრობთ, რომ აქ საქმე იმაშია, რომ ჩვენი სუბიექტები ვერ ახერხებენ ხარვეზიან სიტყვების ხელმეორედ ობიექტივაციას. ტექსტის პირველი წაკითხვის დროს -орных -уч, вз-е-ел და სხვ.; ცდისპირისათვის ამოცანას წარმოადგენდა, მან ამ ხარვეზიანი სიტყვების ობიექტივაცია მოახდინა, მათ შესახებ მსჯელობა გაშალა და თითოეული ამ ამოცანის გადაჭრა მოახერხა, -орных -уч აღმოჩნდა горных туч, вз-е-ел აღმოჩნდა взлетел და ა. შ., როდესაც ჩვენი სუბიექტი ტექსტს მეორედ კითხულობს...орных -уч, вз-е-л და სხვა მისთვის ერთხელ უკვე გადალახულ სიძნელეს, ერთხელ უკვე გადაჭრილ ამოცანას წარმოადგენს. ამ სიტყვების ხელახლა ობიექტად გადაქცევა აღარ ხდება. სუბიექტი მათ აღარ აღიქვამს, როგორც ისეთ უაზრო კონფიგურაციას, რომლის მნიშვნელობა საძებარია: კონფიგურაციას—орных -уч-ს აღიქვამს, როგორც горных туч, вз-е-ел-ს, როგორც взлетел. სუბიექტმა იცის, რომ ტექსტში მოთხრობილი ამბავი თურმე ვირს და არა არწივს ეხება. მან უკვე განაცხადა: „Ага, все это было про осла, а не, про орла“. მას გონია, რომ პირველად შეცდომით კითხულობდა და უჩნდება ხელახლა—ახალ კონტექსტში წაკითხვის განზრახვა. ხარვეზიანი სიტყვების პირველი წყვილის ახლებურად წაკითხვა ადვილად ხერხდება, მაგრამ შემდეგ ხარვეზიან სიტყვებს ცდისპირი ისევ ძველი კონსტექსტის მიხედვით აღიქვამს. მაგალითად, ხარვეზიან სიტყვას вз-е-ел ცდისპირი კითხულობს როგორც взлетел და თან ამბობს „Здесь написано „взлетел“, разве может осел взлететь“, ხარვეზიან სიტყვათა წყვილს...орных -уч-ს კითხულობს „горных-туч“ და თან ამბობს: „осел и среди горных туч? При чем здесь горные тучи?“ ვეუბნებით, რომ შეიძლება ცუდად, შეცდომით წაიკითხა. „Но здесь написано: горных туч“—ოყო პასუხი. სუბიექტმა იცის, რომ მოთხრობა ვირის შესახებაა, მას ამ მოთხრობის წაკითხვის განზრახვაც აქვს, მოცემულია სათანადო ობიექტური პირობებიც. ჩვენი ხარვეზიანი ტექსტი იძლევა ასეთი მოთხრობის ამოკითხვის შესაძლებლობას, მაგრამ სათანადო ქცევა არ ხორციელდება: -орных -уч რჩება горных туч, вз...е...ел რჩება взлетел და ა. შ. — ჩვენი ცდისპირები ხშირად აღნიშნავენ: „Там

написано горных туч. Но при чем осел и горные тучи?, „Там написано взлетел. Но осел?“.

„Если он взмахнул хвостом—ამბობს სხვა ცდისპირი,—это осел. но соревновался с самолетом—это про орла. Чтобы соревноваться с самолетом, он должен лететь. Но если он летал, не мог пасть, бессмыслица“. ამოკითხა სპალ, ამან უშველა სიტყვის ვზრეველ-ის ამოკითხვას. После того. как спал, он мог взрывать. განსაკუთრებულ სიძნელეს ხარვეზიანი სიტყვა ორ-ქმნის Буква „р“, აღნიშნავს ერთი ცდის პირი, здесь намеренно поставлена, чтобы спровоцировать. დიდხანს ჩერდება ამ სიტყვაზე მერე—Ага, здесь орал, тогда все получается. ცდისპირი თავის მოსაზრებას, რომ ტექსტში მოთხრობილია ამბავი ვირის შესახებ, ამოწმებს და ხან აღიარებს, ხან უკუაგდებას. მას თითოეული სიტყვის ან გამოთქმის სპეციალური განხილვა და ცალკე გამოთქმების ერთმანეთთან შეპირისპირება უხდება თითოეული სიტყვა თითოეული გამოთქმა პრობლემად იქცევა, პრობლემურ სიტუაციას წარმოადგენს და ცდისპირებს ამოცანათა რიგი აქვთ გადასაწყვეტი.

ჩვენი ექსპერიმენტალური მასალა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ ცდისპირთა სამი ჯგუფი: 1. ცდისპირთა 40% ვერ ამჩნევს კონტექსტის დარღვევას. ვერ ახერხებს იმ პრობლემის დანახვას, რომელსაც მათ შექმნილი ობიექტური ვითარება უყენებს; 2. ცდისპირთა 20% ამჩნევს პრობლემურ სიტუაციას, ჩერდება გამოთქმებზე, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულ სიუჟეტს არ შეესატყვისება, ცდისპირი ახალი ამოცანის პირისპირ დგას, მაგრამ მას არ აღიარებს და ძველებურად განაგრძობს მუშაობას; 3. ცდისპირთა 40%-მა დაინახა სიტუაციის პრობლემური ხასიათი, აღნიშნა შეუსატყვისობის ფაქტები და აღიარა ახალი ამოცანა. ცდისპირთა ამ ჯგუფს პირველ რიგში უჩნდება კითხვა: რატომაა აქ „ძოვს,“ ან „კულდს აქნევს,“ როდესაც აქ არწივზეა ლაპარაკი. მერე უჩნდება ჰიპოთეზა—ხომ არ იყო აქ ლაპარაკი ვირზე და არა არწივზე. ჰიპოთეზის შემოწმების შემდეგ ამ ჯგუფის ცდისპირი, ჩვეულებრივად, კონტექსტის სტრუქტურის შეცვლას ჰკიდებს ხელს.

პირველ რიგში აქ მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას: ექსპერიმენტის ერთნაირ პირობებში ცდისპირთა ერთმა ჯგუფმა ახალი ამოცანა ვერც კი შეამჩნია, მეორე ჯგუფმა დაინახა, რომ სიტუაცია პრობლემური გახდა, მაგრამ არ შეუდგა შექმნილი მდგომარეობის

რეობის გამორკვევას, მხოლოდ მესამე ჯგუფმა არა მხოლოდ შეამჩნია ახალი ამოცანის აღმოცენება, არამედ მისი გადაჭრაც სცადა. ექსპერიმენტის ასეთი შედეგები საფუძველს გვაძლევენ შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ. ამოცანის აღმოცენების პირობას ჩვენს ექსპერიმენტში საქმის ობიექტური ვითარება ქმნის. ამოცანას სუბიექტს ობიექტური სიტუაცია უყენებს.

ამ დებულების კანონიერება შემდეგი გარემოებიდანაც ჩანს: ტექსტს, რომელსაც ცდისპირს ვაწვდით, ობიექტურად ორი პარალელური სიუჟეტი, ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კონტექსტი აქვს. როგორც არ უნდა წაიკითხოს ჩვენმა ცდისპირმა მიწოდებული ტექსტი, გინდ ვირის კონტექსტში, გინდ არწივის კონტექსტში, ორივე შემთხვევაში მისი ქცევა სწორია და ობიექტურად გამართლებულია, ორივე შემთხვევაში ტექსტის წაკითხვას ობიექტური საქმის ვითარება განსაზღვრავს. როდესაც შემდეგში ცდისპირს ტექსტის ისეთი გაგრძელება ეძლევა, რომელიც იმას ეწინააღმდეგება, რაც მანამდე იყო წაკითხული, ამ წინააღმდეგობის, ამ კონფლიქტის შექმნაში თვითონ ცდისპირი არავითარ მონაწილეობას არ იღებს. კონფლიქტი ობიექტურ პირობებთან, თვითონ ექსპერიმენტის პირობებში იქმნება. სუბიექტს შეუძლია დაინახოს ან არ დაინახოს, რომ შექმნილი მდგომარეობა პრობლემურია, მას შეუძლია დაინახოს ან არ დაინახოს, კონტექსტის „სტრუქტურული დარღვევა“. შეუძლია შეამჩნიოს ან არ შეამჩნიოს მიღებული „ინფორმაციის ნაკლოვანება“, სიტუაციის სტრუქტურა ობიექტურად დაირღვა, ინფორმაცია ობიექტურად ნაკლოვანია. ეს ექსპერიმენტი ისეა დაყენებული, რომ სიტუაცია პრობლემური გახდა, და მიწოდებული ინფორმაცია ნაკლოვანი აღმოჩნდა.

მაგრამ დაინახავს თუ არა სუბიექტი მის წინაშე აღმოცენებულ პრობლემას—ეს უკვე ობიექტურ პირობებზე არაა დამოკიდებული. ჩვენი ზოგიერთი ცდისპირი ვერ ამჩნევდა შექმნილი მდგომარეობის გაუგებრობას—იმ გარემოებას რომ ტექსტის გაგრძელება ეწინააღმდეგება იმას, რაც მის მიერ მანამდე იყო წაკითხული. სიტუაცია პრობლემურია და ცდისპირთა უმრავლესობა ამას ხედავს, მაგრამ ზოგიერთი ცდისპირი ისე გაუვლის ხოლმე შექმნილ გაუგებრობას თითქოს ყველაფერი რიგზეა.

ჩვენი ექსპერიმენტის დროს ტექსტში ისეთი მომენტები იჩენენ თავს, რომელიც ცდისპირის მიერ ჩამოყალიბებულ კონტექსტთან

აშკარა წინააღმდეგობაში არიან. ამ კონტექსტის ფორმირება, როგორც ვნახეთ, სუბიექტის განწყობით იყო გაპირობებული. როდესაც ტექსტში შეუფერებელი მომენტი იჩენს თავს, ამას შეიძლება სხვადასხვა შედეგი მოყვეს. პირველი ჯგუფის შემთხვევაში ცდისპირის განწყობა შეუფერებლად განაგრძობს მოქმედებას და ამ შეუფერებელ მომენტს თავისდა მიხედვით ასახავს, მას, ასე ვთქვაო, შთანთქავს, მის ასიმილაციას ახდენს. მესამე ჯგუფის შემთხვევაში იგივე შეუფერებელი მომენტი სუბიექტის ჩამოყალიბებული განწყობის მოქმედებას აშკარად აფერხებს: სუბიექტი მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით წინანდელ ქცევას ვეღარ აგრძელებს და შემათერებელ გარემოებაზე ფიქრს იწყებს. თავისებური მდგომარეობა იქმნება მეორე ჯგუფში. ამ ჯგუფის ცდისპირიც. იმას მაგალითად, რომ არწივმა „კუდი მოიქნია“, ან „ყურები დაცქვიტა“. როგორც აბსურდს, როგორც უაზრობას უყურებს, მაგრამ ამ უაზრობის გამოსარკვევად აზროვნებას არ მიმართავს. სულ სხვანაირად იქცევა მესამე ჯგუფი. ამ ჯგუფის ცდისპირი შემათერებელი გარემოების გამოარკვევას, მისი აღმოცენების მიზეზების დადგენას ცდილობს. ის ახალ ამოცანას ითვალისწინებს და ამ ახალი ამოცანის გადაჭრას ლაშობს. მეორე ჯგუფში სხვანაირი მდგომარეობაა—შეუფერებლობის შემჩნევა აქაც იჩენს თავს: „კუდის დაქნევა“. „ყურების დაცქვიტა“ და სხვა. არწივის კონტექსტში გაკვირვებას და სიცილს იწვევს. მეტიც, ცდისპირი, ძველი კონტექსტისათვის შეუფერებელი გამოთქმების შეფასებას და ერთგვარ კვალიფიკაციას ახდენს, მაგრამ ამას, დასჯერდება ხოლმე.

რა ქმნის განსხვავებას მეორე და მესამე ჯგუფს შორის? პრობლემური სიტუაციის დანახვა ორივე შემთხვევაში მოხდა. მესამე ჯგუფმა დაინახა თუ არა ტექსტში შექმნილი შეუსატყვისობა; მაშინათვე მის გამოარკვევას შეუდგა. მეორე ჯგუფმა კი შემჩნეულ შეუსატყვისობას გვერდი აუარა. აქ, ცხადია, რაღაც ფსიქოლოგიურ ბუნების პირობა მონაწილეობს. შეიძლება, მართლაც, საქმეში ისეთი ფაქტორი ჩაერთვის, რომელსაც მაგ., ჯონსონი გულისხმობს. როდესაც პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებით „სუბიექტის მიზნისაკენ მოტივირებას“ აღნიშნავს.

ახლა ახალი საკითხი ისმის: როგორ მოხდა, რომ მეორე და მესამე ჯგუფის შემთხვევაში ისეთი რამ იქნა დანახული. რაც იმავე ექსპერიმენტულ პირობებში პირველი ჯგუფისათვის შეუმჩნეველი დარჩა?

რას ნიშნავს ეს არდანახვა? რის დანაკლისზეა დამოკიდებული ის გარემოება, რომ სუბიექტი მის წინაშე აღმოცენებულ ამოცანას ვერ ხედავს? საკუთრივ აზროვნებაზე? შეიძლება ამ ჭკუფის ცდისპირები უბრალოდ ვერ ახერხებენ იმ შეუსატყვისობაზე და აბსურდებზე აზროვნებას, რომელმაც მათ მიერ წაკითხულში და შემდეგ მათ მიერვე მოთხრობილში იჩინა თავი? აზროვნების აქტი აქ მართლაც არ მომხდარა, მაგრამ მხოლოდ აზროვნების? ჩვენ გვაქვს ცდისპირთა კიდევ მეორე და მესამე ჭკუფი, და განსხვავება მათ შორის სწორედ იმაშია, რომ ერთი ჭკუფი (მესამე) შეუღდა შემჩნეული გაუგებრობის შესახებ ფიქრს, აღმოცენებული ამოცანის გადაჭრას, მეორე ჭკუფის შემთხვევაში კი პრობლემური სიტუაციის დანახვას აზროვნების პროცესი არ მოჰყვა.

როგორც ჩანს, იმისათვის, რომ სუბიექტმა პრობლემური სიტუაცია, მის წინაშე აღმოცენებული ამოცანა დაინახოს, რაღაც საგანგებო აქტი, რაღაც ფსიქოლოგიური ბუნების პირობაა საჭირო.

განწყობის თეორიის თანახმად ასეთ პირობას ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა - ც ი ი ს ა ქ ტ ი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს; ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ი ს ა ქ ტ ი ს საჭიროებას განწყობისეულად მიმდინარე ქცევის დაბრკოლება იწვევს. ობიექტივაციის აქტი შეიქმნება ამიღგომარეობს. მაგრამ შეჩერება ფიზიკურ მსოფლიოშიც არსებობს, ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის დროსაც ხდება. შეჩერება ფსიქოლოგიური ცხოვრების განწყობისეულ მიმდინარეობისათვისაც არ არის უცხო. შეჩერება ყველგანაა მოსალოდნელი. მაგრამ ობიექტივაციის აქტისათვის დამახასიათებელი შეჩერება აქტიურია. ამ შეჩერებაში ფსიქოლოგიური ცხოვრების მაღალი დონის აქტივობა იჩენს თავს შეჩერება, რომელიც ობიექტივაციის აქტს გამოხატავს, სუბიექტის სინამდვილესთან დაწყებულ დამოკიდებულებას წყვეტს და, მის ნაცვლად, იმავე სინამდვილესთან ახალ, შექმნილი დამოკიდებულებას ამყარებს. ობიექტივაციის აქტის გამოხატვლი შეჩერება სუბიექტის სინამდვილესთან ახალ დამოკიდებულებას გულისხმობს. ის, რამაც დაწყებული ქცევის მიმდინარეობის შეფერხება გამოიწვია საგანგებო დაკვირვების საგნად, ობიექტად იქცევა.

ჩვენს ექსპერიმენტში სუბიექტმა თავისი პოზიცია შესცვალა სინამდვილის იმ მონაკვეთის მიმართ, რომელსაც მანამდე უკვე ჩამოყალიბებული განწყობის კალაპოტში იყენებდა. ამ მონაკვეთს—



შეუფერებელ ფრაზებსა და სიტყვებს, როგორც შემეცნებას ობიექტს შეხება. ჩვენ გვეჩვენება, რომ აღწერილი ექსპერიმენტის შედეგები საფუძველს იძლევიან ვიფიქროთ, რომ ახალი ამოცანის აღმოცენების შემთხვევაში სწორედ ობიექტივაციის აქტს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ყოველ შემთხვევაში ერთი ნათელია—იმისათვის, რომ სუბიექტს ახალი ამოცანა გაუჩნდეს. მან უნდა მოახდინოს იმ ვითარების ობიექტივაცია, რომელიც მას ამ ამოცანას უყენებს. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ამოცანის აღმოცენების ზოგიერთი ცნობილი შემთხვევა.

ა. კედროვს<sup>44</sup> აღწერილი და ფსიქოლოგიურად გაანალიზებული აქვს მეცნიერული შემოქმედების ერთი შემთხვევა:—მენდელეევის ცნობილი აღმოჩენა. მენდელეევი მუშაობდა თავისი „ქიმიის საფუძვლების“ მეორე ნაწილზე. პირველი ნაწილის უკანასკნელ თავებში განხილული იყო არალითონის ყველაზე ძლიერი ჯგუფები. ამას მოსდევდა ტუტიანი ლითონის ყველაზე ძლიერი ჯგუფები. განხილული წიგნის მეორე ნაწილის დასაწყისში. მენდელეევის წინაშე იდგა წმინდა პრაქტიკული ამოცანა—ელემენტთა რომელი ჯგუფი უნდა იქნეს აღწერილი ტუტიანი ლითონის ჯგუფის შემდეგ. ამისათვის საჭირო იყო გამორკვევა — ლითონის რომელი ჯგუფი უახლოვდება ყველაზე მეტად ტუტიან ლითონს. მენდელეევი ეძებდა ელემენტთა თანამიმდევარი განლაგების პრინციპს. მოულოდნელად, საუზმის დროს, მენდელეევის აზრად მოუვიდა ქიმიურად განსხვავებული ელემენტების ატომური წონის მიხედვით შედარება. მკვლევარი მაშინვე შეუდგა არალითონის ჯგუფთა ერთმანეთთან შედარებას და გარკვეული კანონზომიერება აღმოაჩინა: შეფარდებული ელემენტების ატომური წონა ყოველთვის გარკვეული სიდიდით კლებულობდა. შემდეგში მენდელეევი წერდა, რომ ნივთიერების შესწავლის დროს თავისთავად ჩნდება აზრი იმ კავშირის შესახებ, რომელიც მასისა (ატომური წონის) და ქიმიურ ელემენტთა შორის არსებობს.

მენდელეევის წინაშე პრაქტიკული ხასიათის ამოცანა იდგა: მას უნდა გამოერკვია, რა თანამიმდევრობითაა უფრო მიზანშეწონილი ელემენტთა „ქიმიის საფუძვლებში“ აღწერა. ამ ამოცანის გადაჭრის დროს მოულოდნელად მის წინაშე ახალი ამოცანა აღმოცენ-

<sup>44</sup> Кедров Б. М., К вопросу о психологии научного творчества, Вопросы психологии, 1957, № 6.

და. განსხვავებულ ქიმიურ ელემენტთა ატომური წონის სიდიდის მიხედვით შედარება, შესატყვისი კანონზომიერების დადგენა და ამ კანონზომიერების საყოველთაო მნიშვნელობის შემოწმება. კერძო ხასიათის ამოცანის გადაჭრასთან დაკავშირებით მენდელეევი ახალი პრობლემა დაინახა და ბუნების პერიოდულობის კანონი აღმოაჩინა<sup>45</sup>.

ბ. ვერთჰაიმერი ეინშტეინის აღმოჩენის ისტორია აღწერა. შეგვირდეთ პრობლემის აღმოცენების ამ მაგალითზედაც. საერთო სიტუაცია იმდროინდელ ფიზიკაში დაახლოებით შემდეგი იყო: ყურადღების ცენტრში სინათლის სისწრაფის პრობლემა და მასთან დაკავშირებული მაიკელსონის ექსპერიმენტი იყო<sup>46</sup>. თავის ექსპერიმენტში მაიკელსონს უნდა დაემტკიცებინა, რომ სინათლის სისწრაფე იმ წერტილის მოძრაობაზე დამოკიდებული, რომელსაც ხვდება სინათლე. მაიკელსონის ვარაუდი არ გამართლდა: ასეთმა დამოკიდებულებამ ექსპერიმენტში არ იჩინა თავი. მაიკელსონის ექსპერიმენტის საერთო სტრუქტურა არავითარ ექვს არ იწვევდა. ყველა ფაქტორი იყო გათვალისწინებული და ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულება იყო სავსებით გარკვეული. გაუგებარი რჩებოდა მხოლოდ საბოლოო შედეგი: რატომ არ დადასტურდა სინათლის სისწრაფის დამოკიდებულება სინათლის მოხვედრის წერტილის მოძრაობაზე. ეს კითხვა ყველა იმდროინდელი ფიზიკოსის და მათ შორის ეინშტეინის წინაშეც იდგა. პრობლემა ეხებოდა დროსა და სისწრაფის შორის არსებულ დამოკიდებულებას. ეინშტეინის წინაშე, — აღნიშნავს ვერთჰაიმერი, — შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საკითხთა რიგი აღმოცენდა: რას გულისხმობს სიმულტანობის ცნება? რამდენად კანონიერია ორი მოვლენის ერთდროულობაზე ლაპარაკი, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორი მოვლენა სხვადასხვა ადგილას ხდება? თუ ორი ბურთი ერთდროულად ერთ და იმავე მიზანს ხვდება, სავსებით გასაგებია, რას ნიშნავს ერთდროულობა; სიმულტანობა. მაგრამ, განა ნათელია რას ნიშნავს ორი მოვლენის სიმულტანობა, როდესაც ეს ორი მოვლენა სივრცეში

---

<sup>45</sup> ექსპერიმენტი მდგომარეობდა შემდეგში. სინათლე გადიოდა ორ მილში — კორიზონტალურში და ვერტიკალურში, დედამიწის მოძრაობის მიმართ. ვინაიდან კორიზონტალური მილი, თავისი მდებარეობის გამო, მოძრაობდა დედამიწის მოძრაობასთან ერთად, ე. ი. შორდებოდა სინათლის წყაროს, მოსალოდნელი იყო, რომ ამ მილში სინათლე უფრო გვიან გაივლიდა, ვიდრე ვერტიკალურ მილში.

ერთმანეთს მოშორებულია? რას ნიშნავს თქმა, რომ მოვლენა ჩემ ოთახში იმავე დროს მხდა, რაც მეორე მოვლენა, სულ სხვა, მოშორებულ ადგილას? განა შეიძლება სიმულტანობის ცნების გამოყენება ისეთი ორი მოვლენის მიმართ, რომელიც სხვადასხვა ადგილას მომხდარა?

ჩვენ აღარ შევჩერდებით ეინშტეინის აზრთა შემდგომ განვითარებაზე. ჩვენთვის აქ მნიშვნელობა აქვს ახალი პრობლემა ის აღმოცენებას.

ეინშტეინის აღმოჩენამდე ფიზიკაში იგულისხმებოდა, რომ დრო ისეთ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც სისტემის მოძრაობაზე არ არის დამოკიდებული. ასეთი იყო დროის კლასიკური ცნება.

პრობლემურ სიტუაციას ეინშტეინისათვის მაიკელსონის ექსპერიმენტის შედეგი შეადგენდა: სინათლის სისწრაფეზე უნდა ახდენდეს გავლენას სისტემის მოძრაობა. რატომ მაიკელსონის ექსპერიმენტში ეს არ დადასტურდა? რატომ სინათლე უფრო გვიან არ მოხვდა იმ წერტილს, რომელიც სინათლის წყაროს შორდებოდა? ეს საკითხი ეინტეინისა და მრავალ სხვა იმდროინდელ ფიზიკოსის წინაშე იდგა. სინათლის სისწრაფის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის განხილვის პროცესში ეინშტეინის წინაშე ახალი ამოცანა აღმოცენდა — დროის ცნება პრობლემურ სიტუაციად იქცა. დრო და მისი გაზომვა მაიკელსონის ექსპერიმენტის კომპონენტს წარმოადგენდა. დრო და მისი გაზომვა ჩართული იყო იმ ვითარებაში, რომელიც ეინშტეინისა და სხვა იმდროინდელ ფიზიკოსების შესასწავლ სინამდვილეს წარმოადგენდა. დროის კლასიკურ ცნებას ეინშტეინი როგორც ფიზიკოსი, სხვადასხვა კონტექსტში და აზრთა მიმდინარეობის სხვადასხვა ჯაჭვში მრავალჯერ იყენებდა პრაქტიკულად.

ეინშტეინი, სხვა ფიზიკოსების მსგავსად, თავის გამოკვლევებში სარგებლობდა დროის კლასიკური ცნებით, მაგრამ ფიზიკის ყველა იმდროინდელ ექსპერიმენტებში იგულისხმებოდა, რომ დრო სისტემის მოძრაობისაგან დამოუკიდებელ ფაქტორს წარმოადგენს. დროის ცნებას იყენებდნენ, დროს იგულისხმობდნენ, მაგრამ თვითონ დროს და მის ცნებას საგანგებოდ არ იკვლევდნენ, შემეცნების საგნად არ აქცევდნენ. ერთბაშად შეიცვალა ამ ცნებისადმი დამოკიდებულება. დროის ცნება თვითონ იქცა შესასწავლ საგნად.

ასე აღმოცენდა პრობლემა, რომლის გადაჭრა რელატივობის თეორიით დაგვირგვინდა.

ორივე განხილულ მაგალითში ახალი ამოცანის აღმოცენება სხვა ამოცანის გადაჭრის პროცესში მოხდა. მენდელეევი ელემენტთა თანამიმდევარი განლაგების პრაქტიკული ამოცანის გადაჭრის დროს ისეთი ახალი პრობლემა დაინახა, რომლის გადაჭრა პერიოდულობის კანონის აღმოჩენით დამთავრდა. მაიკელსონის ექსპერიმენტთან და სინათლის სისწრაფის საკითხთან დაკავშირებით ეინშტეინის წინაშე ახალი პრობლემა—დროის რელატივობის პრობლემა აღმოცენდა. ორივე შემთხვევაში ახალმა ამოცანამ სხვა უკვე მოცემული ამოცანის ანალიზის პირობებში იჩინა თავი. უკვე არსებულ პრობლემური სიტუაციიდან ახალი პრობლემა წარმოიშვა.

გ. მაგრამ დიდ მკვლევართა და სახელგანთქმულ მეცნიერთა ბიოგრაფები პრობლემის აღმოცენების სხვა შემთხვევების შესახებაც მოგვითხრობენ. როგორც ჩანს, ზოგჯერ ახალი პრობლემის ამოფეთქვა სხვა, უკვე მიცემული ამოცანის პირობათა ანალიზის გარეშეც ხდება. განვიხილოთ ასეთი შემთხვევაც. ერთხელ ალექსანდრე ფლემინგს—ბაქტერიოლოგს—მისი კოლეგა მალვინ პრაისი ეწვიოდა. ამ პერიოდში ფლემინგი სტაფილოკოკებზე მუშაობდა. როგორც ყოველთვის, მოგვითხრობს პრაისი, ფლემინგი თავის ლაბორატორიაში პეტრის ჯამებით გარემოცული იჯდა. ჯამებში მას სტაფილოკოკების კულტურა მოყავდა. მუსაიფის დროს მასპინძელმა ხუფი მოხადა რამდენიმე ჯამს. ზოგიერთი კულტურა გაფუჭებული აღმოჩნდა. მას ობი მოედო. ჩვეულებრივი ამბავია, ვინაიდან ხშირი მიკროსკოპული დაკვირვებების გამო ჯამები დიდხანს სუფახილი რჩებოდნენ და კულტურას ჰაერიდან მტვერი ხვდებოდა. „როგორც კი მოხდი ხუფს ჯამს, რაიმე უსიამოვნებას უნდა მოელოდე. ჰაერიდან უსათუოდ რაიმე მოხვდება და წაახდენს კულტურას“. წყენით თქვა ფლემინგმა. მერე უეცრად შეჩერდა, თითქოს გაშეშდა, ერთ-ერთ ჯამს ჩაატყერდა და მხოლოდ აღნიშნა: „ძალიან საკვირველი ამბავია“ ამ მოულოდნელი შეჩერებით, ამ თითქოს გულგრილად წარმოთქმული ფრაზით: „That is funny“ („საკვირველი ამბავია“) ჩაეყარა საძიკველი პენიცილინის აღმოჩენას.

პრაისსაც ხშირად უნახავს, რომ ობის მახლობლად ბაქტერიების კოლონია გამჭრალიყო, მაგრამ მას ეს ჩვეულებრივ ამბად

ეჩვენებოდა და ფიქრობდა კიდევაც, რომ ობი ალბათ სტაფილოკოკებისათვის მომაკვდინებელ სიმუქავეს გამოყოფს. ყველაფერი ეს მისთვის ჩვეულებრივი და უმნიშვნელო ამბავი იყო. მაგრამ ახლა მან დაინახა, როგორი გულსისყურით აკვირდებოდა, მისი კოლეგა იმ ცვარის მსგავს წვეთებს, რომლებმაც სტაფილოკოკების მღვრიე მასის ნაცვლად ობის მახლობლად იჩინეს თავი და მიხვდა, რომ დიდი აღმოჩენის მოწმე გახდა.

ეს მოხდა 1928 წ. ფლემინგმა თავი დაანება სტაფილოკოკებზე მუშაობას, მის წინაშე ახალი კითხვა იდგა: რა არის ობი? მეცნიერის გულისყური „იდუმალმა ობმა“ მიიპყრო.

როდესაც 1945 წ. პარიზის სამედიცინო აკადემიაში მას, როგორც პენიცილინის გამომგონებელს, ზეიმი გაუმართეს, მან საპასუხო სიტყვაში აღნიშნა: „მე პენიცილინის გამოგონება მომაწერეს. არც ერთ ადამიანს არ შეეძლო პენიცილინის გამოგონება. ამ ნივთიერებას უხსოვარ დროიდან გარკვეული სახის ობი გამოყოფს.. არა, მე არ გამომიგონებია პენიცილინის ნივთიერება, მე მხოლოდ მივაჩვენე მას ყურადღება და მივეცი მას სახელი“.

პენიცილინი მას, რასაკვირველია, არ გამოუგონებია. მან დაინახა, რომ პეტრის ჯამში ობის მახლობლად ბაქტერიების კოლონიები გაშქრალან. მან ამ გაქრობის ფაქტის ობიექტივაციით მოახდინა, ეს ფაქტი საგანგებო დაკვირვების საგნად—ახალ ამოცანად აქცია. ასე აღმოცენდა ფლემინგის წინაშე პენიცილინის პრობლემა.

სამივე აღწერილ შემთხვევაში ერთ და იმავე ფსიქოლოგიურ ფაქტს ვხვდებით. ის რაც უბრალოდ დაშვებული იყო, რაც მანამდე მხოლოდ ნაგულისხმევი იყო, აზრობრივი აქტივობის ფოკუსში მოხვდა, საგანგებო შესწავლის საგნად იქცა. დრო ყოველთვის იგულისხმებოდა ეინშტეინის და სხვა იმდროინდელ ფიზიკოსთა ექსპერიმენტებში. დროის ცნებას იყენებდნენ, მაგრამ თვითონ ეს ცნება შემეცნების ობიექტად არ გამხდარა, ეინშტეინის აღმოჩენისათვის გადამწყვეტი იყო ის გარდატეხა, რომელიც მკვლევარის ამ ცნებისადმი დამოკიდებულებაში მოხდა. ხშირად უნახავს თვითონ ფლემინგსაც და სხვა ბაქტერიოლოგებსაც ობი პეტრის ჯამებში, მაგრამ ფლემინგმა სხვა თვალით შეხედა ამ ობს. ეს ობი საგანგებო დაკვირვების საგნად—შემეცნების ობიექტად აქცია. პენიცილინის აღმოჩენისათვის გადამწყვეტი იყო მკვლევარის ახალი—

შემეცნებითი პოზიცია ისეთი მოვლენის მიმართ, რომელიც დიდი ხანია ცნობილი და შემჩნეული იყო ამ მოვლენისადმი ობიექტივაციის აქტი სწორედ პოზიციის ასეთ შეცვლას, შემეცნებითი დამოკიდებულების აღმოცენებას გულისხმობს.

ობიექტივაციის აქტი შეჩერებას წარმოადგენს, მაგრამ ისეთ აქტიურ შეჩერებას, რომლის დროს სინამდვილესთან პრაქტიკული დამოკიდებულების ნაცვლად, ახალი-თეორიული დამოკიდებულება მყარდება. ობიექტივაციის აქტის გამომხატველი შეჩერება სუბიექტის შემეცნებით პოზიციას ნიშნავს. ეს შემეცნებითი პოზიცია აზროვნების დაწყებისა და გაშლის პირობას წარმოადგენს; ობიექტივაციის ნიადაგზე ახერხებს აზროვნება შემეცნების ახალი ობიექტის მოპოვებას.

#### 4. აზროვნების სპეციფიკური ბუნების პრობლემა და ობიექტივაციის აქტის ცნება

განწყობის თეორიაში ობიექტივაციის ცნება ლოგიკური აუცილებლობით აღმოცენდა. ფსიქიკური სინამდვილის განვითარების ასპექტში განხილვამ ფსიქიკის მაღალი დონის—ობიექტივაციის დონის პრობლემა წარმოშვა. ობიექტივაციის აქტის ცნების მეშვეობით განწყობის თეორიის ავტორი ადამიანური ფსიქიკის უპირატესობას და სპეციფიკურად ადამიანურ განწყობათა აღმოცენების შესაძლებლობას ხსნის: ობიექტივაციის აქტი, განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით,—აზროვნების პირობას წარმოადგენს.

ობიექტივაციის ცნება და მასთან დაკავშირებული მოძღვრება ფსიქიკის ორი დონის—განწყობასა და ობიექტივაციის დონის შესახებ თავისებურ გაშუქებას აძლევს აზროვნების ფსიქოლოგიის ზოგიერთ ძირითად საკითხს. ასე მაგალითად, ობიექტივაციის აქტის ცნებას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აზროვნების სპეციფიკური ბუნების პრობლემისათვის. აზროვნებასა და აღქმას შორის ფსიქოლოგიური მნიშვნელოვანი განსხვავების ნიველირება თანამედროვე ფსიქოლოგიაში სხვადასხვა მხრიდან სწარმოებს. ერთის მხრივ, გეშტალტფსიქოლოგია აზროვნების პროცესების აღწერასა და ინტერპრეტაციას იმ ცნებაში და ტერმინებში ცდილობს, რომელიც მას, თავის დროზე, აღქმის ფსიქოლოგიისათვის ჰქონდა მოპოვებული. ვერთპაიმერი თავის უკანასკნელ წიგნში—პროდუქტიული აზ-

როვნების შესახებ „აზრობრივი ოპერაციების იმ ცნებებს, რომელთაც კლასიკურ ლოგიკაში და ტრადიციულ ასოციაციონიზმში ვპოულობთ, აზრობრივი აქტივობის გეშტალტფსიქოლოგიურ ცნებებს უპირისპირებს. აზროვნება, ვერთჰაიმერის მიხედვით, შემდეგ ოპერაციებს წარმოადგენს: „1. სტრუქტურულ მოქმედებათა და სიტუაციის სტრუქტურულ მოთხოვნათა წარმოსახვა, 2. სტრუქტურულ მოთხოვნათა შესატყვისად მოქმედება, 3. სიტუაციის შეცვლა მისი სტრუქტურული გაუმჯობესების მიმართულებით. ა. სიტუაციის ხარვეზების, სიძნელების, დარღვევის და სხვა მომენტების სტრუქტურული განხილვა. ბ. სტრუქტურული დარღვევის პირობებში სტრუქტურულ მიმართულებათა წვდომა და მოცემული სიტუაციის ნაწილთა—მთლიან სტრუქტურაში განხილვა, გ. სტრუქტურული დაჯგუფება და გამოყოფა, ცენტრაცია და სხვ. დ. სტრუქტურული იერარქიის დაცვა. ამისათვის სტრუქტურულად არსებითი და ძირითადი სტრუქტურულად პერიფერიულისაგან უნდა იქნეს გარჩეული“.

პროდუქტიული აზროვნებისათვის, ავტორის აზრით, ეს მოქმედებებია დამახასიათებელი.

ჩამოთვლილ მოქმედებათა შორის ჩვენ არ გვევლინება არც ერთი, რომელიც თავის დროზე არ იყო აღიარებული გეშტალტფსიქოლოგიის მიერ აღქმასთან დაკავშირებით.

ვერთჰაიმერი აზროვნების ფსიქოლოგიის პრობლემათა სამჯგუფს ასახელებს:

1. დაჯგუფება, გამოყოფა, სტრუქტურული გადატანა.

2. ნაწილთა და მთელის დამოკიდებულების პრობლემა, რომელიც ეხება საკითხს იმ როლისა, ფუნქციისა და ადგილის შესახებ, რომელიც ნაწილს მთლიანში გააჩნია.

3 „დაუმთავრებელი მთელის“; „კარგი გეშტალტის“ და სხვა ამგვარი პრობლემები, რომელ პრობლემასაც ჩამოთვლილთა შორის არ აღიარებს თავისად გეშტალტელების აღქმის ფსიქოლოგია. შთაბეჭდილება იქმნება რომ: გეშტალტფსიქოლოგიაში აზროვნების პრობლემა აღქმის პრობლემაში გაითქვიფა.

აზროვნების ნიველირება სულ სხვა, შეიძლება ითქვას, საწინააღმდეგო მხრიდანაც მოდის. აქ ისტორია ჰელმპოლცის არაცნობიერი მსჯელობებით იწყება. ჰელმპოლციდან მომდინარე მიმართულება აღქმის ბუნების შესასწავლად მეზობელ ფსიქიკურ პროცე-

სებს—შეგრძნებასა და აზროვნებას მიმართავდა. აღქმის მასალად შეგრძნებები იქნა მიჩნეული, ზოლო ინტეგრაციის ფაქტორად—აზროვნების აქტი. ჰელმჰოლცის არაცნობიერი მსჯელობების, გრაციის სკოლის „პროდუქტიული აზრითი აქტების—წმინდა რელაციების და „ფუნდირებული შინაარსების“ კონცეფციები გულისხმობდნენ, რომ აზროვნების აქტი აღქმის კონსტიტუციურ ბირთვს წარმოადგენს. საკუთარ ფსიქოლოგიურ თავისებურებას მოკლებული აღქმა შენადგენ ფენომენს—შეგრძნება პლუს აზროვნებას წარმოადგენდა.

აღქმის თანამედროვე თეორიებშიც აღინიშნება აღქმასა და აზროვნებას შორის არსებული განსხვავების ნიველირება (ეიმსის და ბრუნერის კონცეფციები ათანაბრებენ აზროვნებას და აღქმას), აღქმა ისეთ პროცესადაა წარმოდგენილი, რომელიც, გარემოცვის მოვლენებს მნიშვნელობას აწერს. აღქმა ამ ავტორთა მიხედვით მოცემულ სტიმულთა ინტერპრეტაციას ახდენს და სწრაფი არაცნობიერი აწონდაწონის შედეგს წარმოადგენს. ამ აწონდაწონას გონება (mind) აწარმოებს.

რიგ თანამედროვე გამოკვლევათა მიხედვით აღქმის პროცესი, მსჯელობის პროცესს წარმოადგენს. ავტორები ხაზს უსვამენ დებულებას, რომ აზროვნების უმნიშვნელოვანეს ფაზას აღქმითი აზროვნება წარმოადგენს. მათი შეხედულებით აღქმის სუბიექტს კრიტერიუმების სისტემა აქვს აგებული. ამ კრიტერიუმების საშუალებით აღქმის სუბიექტი სტიმულთა სიტუაციიდან შემოსული ინფორმაციის ინტეგრაციასა და ინტერპრეტაციას ახდენს. „ახალი თვალსაზრისი აღქმის სფეროში“ სპობს საზღვარს აღქმასა და აზროვნებას შორის.

ბრუნერის მიხედვით შემოსული ინფორმაცია (input) ორგანიზმის სტიმულაციას ახდენს. ორგანიზმის რეაქცია მდგომარეობს ამ შემოსული ინფორმაციის კატეგორიზაციაში. ბგერა, შეხება და სხვა, ამ ავტორის მიხედვით ინფორმაციის კატეგორიზაციას წარმოადგენს. ორგანიზმი შემოსულ ინფორმაციას შერჩევით მიაკუთვნებს ობიექტთა ამა თუ იმ კლასს. ყოველივე აღქმა ბრუნერის მიხედვით კატეგორიზაციას, გადაწყვეტილებას წარმოადგენს: აღქმის სუბიექტი ან მისი ნერვული სისტემა გადაწყვეტას ახდენს იმის შესახებ, რომ „ეს“ არის „ეს“ და არა სხვა რამე, მაგ., რომ „ეს—ფორთხალია“, აღქმითი კატეგორიზაცია, ავტორის თქმით, ხშირად



სწორედ ისეთ შეუმჩნეველ არაცნობიერ პროცესს წარმოადგენს“; როგორც „პელმპოლცს ქონდა მხედველობაში“<sup>46</sup>.

განწყობის ფსიქოლოგიის კონტექსტში აზროვნებისა და აღქმის დამოკიდებულების პრობლემა სულ სხვანაირად წყდება. აზროვნება ამ ფსიქოლოგიის მიხედვით, სინამდვილესთან ურთიერთობის ისეთი ასპექტია, რომელიც ფსიქოლოგიის განვითარების ადამანურ საფეხურზე იჩენს თავს და ობიექტივაციის აქტის ნიადაგზე ხორციელდება. აღქმა და აზროვნება შემეცნების სხვადასხვა პროცესს წარმოადგენს. შემეცნების ეს ორი პროცესი ერთმანეთისაგან თავისი ფუნქციის მიხედვით განსხვავდება: აღქმა უშუალოდ მოქმედ გამლიზიანებელთა ზემოქმედებას გულისხმობს და ამგვარად, „სინამდვილის უშუალო ასახვას წარმოადგენს“. აღქმა იმასაც კი ვერ გვეუბნება, თუ რა არის ის, რასაც აღიქვამთ“. მაგრამ გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, ზოგჯერ ამ სინამდვილის რომელიმე მხარის პირდაპირი ასახვა არაა საკმარისი და საჭირო ხდება სინამდვილის ამ მონაკვეთის გაგება, მისი არსის არაპირდაპირი, გაშუალებული გზით წვდომა. აზროვნება სინამდვილის გაშუალებული გზით ასახვას, მისი არაპირდაპირი გზით წვდომას წარმოადგენს. აღქმისა და აზროვნების ფუნქციის ეს სხვაობა მათი არსის სხვაობასაც გულისხმობს. ამიტომ არც აზროვნების აქტის აღქმაში როგორც მისი კომპონენტის ჩართვა არც აზროვნების პრობლემის. აღქმის ფსიქოლოგიის ტერმინებში განხილვა არაა მიზანშეწონილი.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აზროვნება აღქმასაა მოწყვეტილი. ხოლო აღქმა აზრიან ხასიათსაა მოკლებული.

აზროვნება თავის მიზანს—სინამდვილის მხარეთა არსის წვდომას იმ მასალის გადამუშავების შედეგად აღწევს, რომელსაც შემეცნების პირველადი პროცესები — აღქმის პროცესები იძლევიან“<sup>47</sup>. აღქმის გზით ერთხელ უკვე მოცემული სინამდვილე შემეცნებელს აზროვნების პროცესში როგორც ობიექტი ეძლევა. ობიექტივაციის აღქმული სინამდვილის მრავალმხრივი შესწავლა ობიექტივაციის აქტის შედეგათაა შესაძლებელი. აზროვნება აღქმულ მონაკვეთებს ეყრდნობა, აღქმის გზით მიღებულ ინფორმაციას იყენებს. მაგრამ

<sup>46</sup> Jer. Bruner, "On Perceptual readiness", Psych. Re view, 1957, v. 64, № 2.

<sup>47</sup> დ. უხანაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 350, 352.

იმავე დროს აღქმის ფორმირებაშიაც მონაწილეობს; მას შემდეგ რაც სუბიექტმა ამა თუ იმ მოვლენის ობიექტივაცია მოახდინა და გაშალა მის შესახებ აზროვნება, ამ მოვლენას ის უკვე იმ მნიშვნელობით აღიქვამს, რომელიც აზროვნების გზით იქნა მოპოვებული. აზროვნების მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სინამდვილეში არსებულ მიმართებათა გაშუალებული გზით წვდომის შედეგად, იცვლება სუბიექტის სინამდვილესთან დამოკიდებულება,—მისი განწყობა. ობიექტივაციის პირობებში ჩამოყალიბებულ განწყობის საფუძველზე კატეგორიული აღქმა ხორციელდება, მაგრამ თვითონ აღქმა კატეგორიზაციის აქტს არ შეიცავს. კატეგორიზაციის აქტი აღქმის კომპონენტს კი არა, მისი კატეგორიალობის პირობას წარმოადგენს — პირობას, რომელსაც მას ობიექტივაციის ნიადაგზე მომხდარი აზროვნება აწვდის. თქმა „ეს—ფორთოხალია“ გულისხმობს, რომ „ეს“ უკვე იყო მოცემული, რომ „ეს“ უკვე იყო აღქმული და აზროვნება ამ აღქმულის კატეგორიზაციას ახდენს. ამის შემდეგ აღქმა კატეგორიულია: „ეს“-ის აღქმა აზრობრივი აქტის შედეგად „ფორთოხლის“ აღქმად იქცა. თქმა „ეს—ფორთოხალია“ გულისხმობს აღქმის საგანზე შეჩერებას, და მისი მოვლენათა ცნობილ კლასისათვის მიკუთვნებას—მისი როგორც ფორთოხლის კატეგორიზაციას. ამის შემდეგ აღქმას კატეგორიალობა გაირკვევა და სუბიექტისათვის აღქმული საგანი უკვე გარკვეულ „ეს“-ს კი არა, ფორთოხალს წარმოადგენს. ამის შემდეგ სუბიექტი მას კატეგორიზაციის აქტის გარეშე ფორთოხლის კატეგორიაში აღიქვამს. შემეცნების პროცესი შეიძლება გაგრძელდეს და ამ პროცესის შედეგად გაირკვევა აღქმული ფორთოხლის ჯიში. ახალი კატეგორიზაცია: ეს ფორთოხალი—ვაშინგტონია. „ეს“-ის, როგორც ჯერ გაურკვეველი საგნის ფორთოხლის, როგორც გარკვეული ხილის და „ვაშინგტონის“, როგორც ფორთოხლის გარკვეული ჯიშის აღქმა შინაარსობლივად სხვადასხვანაირია. მაგრამ ფსიქოლოგიური არსი სამივე შემთხვევაში ერთნაირია: მოცემული სინამდვილის ასახვა ამ სინამდვილესთან უშუალო კონტაქტის გზით ხდება. სულ სხვა მდგომარეობაა თვითონ კატეგორიზაციის აქტის დროს: აქ შესასწავლი გამოსარკვევი მოცემულობის წვდომა და გამორკვევა არა ამ მოცემულობასთან უშუალო

კონტაქტის გზით, არამედ ცნობილი კატეგორიის გამოყენების გზით, ამ კატეგორიის საშუალებით ხერხდება.

ამიტომ, რომ აზროვნების აღმოცენებისათვის ახალი პირობა—ობიექტივაციის აქტი აღმოჩნდა საჭირო: იმისათვის, რომ გავარკვიოთ რას წარმოადგენს შესასწავლი მოვლენა, საჭიროა მისი ობიექტად გაჩერება მანამდე, სანამ აზროვნება, ცნობილი კატეგორიისა ან ცნების საშუალებით მის გარკვევას და საგანთა ცნობილ კატეგორიისათვის მიკუთვნებას მოახერხებს.

აზროვნების ძირითადი თავისებურება აღქმასთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ სინამდვილე, რომელთანაც აზროვნებას აქვს საქმე მის წინაშე „ობიექტად“ თავისთავთან იდენტიფიცირებულ საგნად არის გაჩერებული“. სწორედ ეს გაჩერება შესაძლებლად ხდის მოცემული სინამდვილის მრავალმხრივ და გაშუალებულ შესწავლას. აზროვნების ძირითადი თავისებურება, აღქმასთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ სინამდვილის შესასწავლი მონაკვეთი აზროვნების სუბიექტის წინაშე „ობიექტად“, „შემეცნებით საგნადაა“ გაჩერებული, რომ აზროვნებას საქმე აქვს ობიექტივირებულ სინამდვილესთან—იდენტიფიცირებულ საგანთან, რომელსაც ის არა პირდაპირი კონტაქტის, არამედ გაშუალებული გზით წვდება. უბრალო თქმაც „ეს ფორთოხალაა“, გულისხმობს, რომ ეს „ეს“, ჯერ კიდევ გაურკვეველი საგანი, შემეცნებისთვის გაჩერებულია, თავისთავთან იდენტიფიცირებულია, ე. ი. სუბიექტისათვის ერთდამავე საგნად რჩება მანამდე, სანამ მოხერხდება მისი შესწავლა და საგანთა ცნობილი კლასისათვის მიკუთვნება. აზროვნების ასეთი მარტივი აქტისთვისაც არაა საკმარისი მოცემულ საგანთან პირდაპირი კონტაქტი. კატეგორიზაციის ყოველივე აქტი შემეცნებას წარმოადგენს, იგი სუბიექტის მიერ დაგროვილი ცოდნითაა გაშუალებული და აზროვნების შედეგად ხერხდება. ობიექტივაციის აქტი აზროვნების, როგორც სინამდვილის გაშუალებული შემეცნების პირობას წარმოადგენს.

## 5. ჰიპოთეზების ფუნქციონირება ამოცანის გადაჭრის პროცესში

ჩვენ აქ არ შევეხებით ჰიპოთეზის ჩასახვისა და აღმოცენების საკითხს. ამ დიდი პრობლემის განწყობის თეორიის პოზიციებიდან განხილვა სპეციალურ ექსპერიმენტულ კვლევას მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ შევჩერდებით საკითხზე იმ როლის შესახებ, რომელსაც ასრულებენ ჰიპოთეზები ამოცანის გადაჭრის პროცესში.

ჯ. ბრუნერი ერთ-ერთ თავის ნაშრომში ამ საკითხის ექსპერიმენტულ შესწავლას იძლევა<sup>48</sup>: ექსპერიმენტულ მონაცემთა საფუძველზე დადგინდა იქნა შემდეგი:

ალტერნატიული ჰიპოთეზების სიჭარბე აფერხებდა ამოცანის გადაჭრის პროცესს. მნიშვნელობა ქონდა იმასაც, თუ როდის იქნა მიწოდებული ჰიპოთეზა—ამოცანის გადაჭრის დასაწყისში, შუაში, თუ ბოლოში. საინტერესო მონაცემები ჰიპოთეზების ფუნქციონირების შესახებ მიღებული იქნა რიგიდობის პრობლემასთან დაკავშირებით. რიგიდობის პრობლემის ისტორია სპირმენით იწყება (1927). ფსიქიკური ინერციის საკითხთან დაკავშირებით სპირმენი აღნიშნავდა, რომ შემეცნებითი პროცესების დაწყება და დამთავრება იგვიანებს მათ გამომწვევ მიზეზებთან შედარებით. კატელის მიხედვით (1935) არსებობს რიგიდობის ან ინერციის ორი სახეობა: პირველი—ფსიქიკური პროცესების რიგიდობა—თავს იჩენს მაშინ, როდესაც ისეთ ჩამოყალიბებულ ჩვეულებათა დაძლევა საჭირო, რომელიც ახალ პირობებს აღარ შეესატყვისება; რიგიდობის შესახებ ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც ობიექტურ პირობათა მოთხოვნის მიუხედავად სუბიექტი თავისი განწყობის შეცვლას ვერ ახერხებს, როდესაც ქცევა არაადეკვატურად შებოჭილია, როდესაც თავს იჩენს „ქცევის გარკვეული მოდუსის შენარჩუნების ტენდენცია“, „გადანაცვლების სიძნელე“ და სხვა. ჩოუნი<sup>49</sup> თავის მიმოხილვით წერილში აღნიშნავს, რომ რიგიდობის ცნების ეს სხვადასხვა განსაზღვრა ძალიან წააგავს ერთმანეთს. უთანხმოება თავს იჩენს იმასთან დაკავშირებით, თუ რა იგულისხმება გამოთქმებში—„მოთხოვნათა შეცვლა“, „არაადეკვატური ქცევა“, „გადანაცვლების სიძნელე“ და სხვა.

რიგიდობის ექსპერიმენტული გამოკვლევები, ჩვეულებრივად, ამოცანის გადაჭრასთან დაკავშირებულ მოქმედებათა პერსევერაციას, დასწავლილი პროცედურის შეუფერებელ მასალაზე გადატანას ავლენენ. ასე მაგალითად ლაჩინსის ცნობილ ექსპერიმენტში, რომელსაც სხვა მკვლევრები, ძალიან ხშირად იყენებენ, ცდისპირი

<sup>48</sup> მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს შევჩერდე ჯ. ბრუნერის ჯერ გამოუქვეყნებელ გამოკვლევაზე, რომელიც ავტორმა გამოიგზავნა 1963 წ. იანვარში. (J. Bruner and M. Potter „An Exploration of Visualrecognition“)

<sup>49</sup> Ch o w n S h., „Rigidity-a flexible concept“, Psych. Bulletin. vol 56, № 3. 1959.

ამოცანის გადაჭრის რთული ხერხის რამდენჯერმე გამოყენების შემდეგ („საგანწყობო ამოცანების“ შემდეგ), მარტივი ამოცანების შემთხვევაში იჩენს რთული წესით გადაჭრის ტენდენციას. ზოგჯერ, დუნკერის გამოკვლევათა ზეგავლენით, რიგიდობის შესწავლის დროს მხედველობაში ობიექტის ფუნქცია და მისი ფიქსირებულობა მიღებული.

ახლებურად აშუქებს რიგიდობის საკითხს ბრუნერი. მის ექსპერიმენტებში რიგიდობა არც იმაში, ვლინდება, რომ სუბიექტს დასწავლილი ხერხი შეუფერებელ მასალაზე გადააქვს, არც იმაში, რომ მას ობიექტის ახალი, უჩვეულო ფუნქციით გამოყენება უჭირს; რიგიდობა ბრუნერის ექსპერიმენტში გამოიხატება იმაში, რომ სუბიექტს ერთხელ აღმოცენებული ჰიპოთეზის თავიდან აცილება უჭირს. აღმოჩნდა, მაგალითად, რომ კლინიკურად რიგიდული სუბიექტები (გონებაჩამორჩენილი ბავშვები) უკვე აღმოცენებულ ჰიპოთეზაზე უარის თქმას და, ამგვარად, ახალი შესაძლებელი, ჰიპოთეზების აღმოცენებისათვის გზის გახსნას ვერ ახერხებენ. მიუხედავად იმისა, რომ რიგიდულ სუბიექტებს ჰიპოთეზები ამოცანის გადაჭრის უფრო გვიან ეტაპზე უჩნდებოდათ, მათი თავიდან აცილება, ნორმალურ შემთხვევებთან შედარებით, გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა. ამგვარად, რიგიდობის საკითხი ბრუნერთან. ახალ კონტექსტშია— ჰიპოთეზების აღმოცენების და ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებითაა განხილული. თუ ლაჩინსთან, მაგალითად, რიგიდობის საკითხი ძირითადად მოქმედების მექანიზაციასთანაა დაკავშირებული, ბრუნერთან რიგიდობის ინტერპრეტაცია შეიძლება დაუკავშირდეს ერთი მხრივ, წინასწარ შეგონებათა პრობლემას, ხოლო მეორეს მხრივ—აკვიატებულ იდეათა პათოლოგიას.

ჰიპოთეზების აღმოცენებას, ბრუნერის მიხედვით, წინ უსწრებს შეზღუდვათალოკაცია. ცნობის ამოცანის გადაჭრის შემთხვევაში, მაგალითად ცუდად ექსპონირებული სურათის შესახებ სუბიექტს შეუძლია თქვას, რომ მას ეჩვენება თითქოს ის „მოლურჯოა, მოგრძოა და გამკვირვალე“. თუ ამაზე მას დადებითად უპასუხებენ, ამის გამო ის არ იფიქრებს, რომ მან სურათი იცნო იმ აზრით, რომ მას შეუძლია უკვე აღნიშნულს დაუმატოს რაიმე სპეციფიკური, მაგრამ მის მიერ მოცემული დახასიათება უზრუნველყოფს შეზღუდვას იმ ჰიპოთეზების მიმართ, რომელიც მისაღები აღმოჩნდება მომავალში. როგორც ჩანს, სწორია მოსაზრება, ამბობს ავ-

ტორი, რომ ყოველი სისტემა, რომელიც ცნობას ახორციელებს (საანგარიშო მანქანა, ან ორგანიზმი), თუ ის ალგორითმულად არ მუშაობს (ე. ი. თუ ის არ აწარმოებს ყველა სპეციფიკურ შესაძლებლობათა ძიებას) დამოკიდებულია თავისი მოქმედების პირველ შაბლონზე—შეზღუდვათა ლოკაციაზე.

ნორმალური აღქმითი ცნობა მეტისმეტად სწრაფია, ხოლო ხანმოკლე ექსპოზიციითა პირობებში მეტისმეტად იმპრესიონისტულია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი სისტემის ზოგად წესად აღიარება.

ლოკაციასთან დაკავშირებით ავტორის თქმით, რამდენიმე მომენტია აღსანიშნავი. ჯერ ერთი, ლოკაციას განსაზღვრავს იმის საანგარიშო-ალბათობითი შეფასება, თუ რა არის მოსალოდნელი მოცემულ გარემოცვაში. ეს ნიშნავს შემდეგს: როდესაც ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა არის სახეზე, საკმარისი არ არის, დამკვირვებლისათვის, ჩვეულებრივად, ძიების ზოგად მოდელს იმის ვარაუდი წარმოადგენს, თუ საგანთა რა კლასებია მოსალოდნელი მოცემულ გარემოცვაში, მოცემულ მომენტში. მაგრამ ცნობის ცალკეულ ექსპერიმენტში ცდისპირს მოსალოდნელობის ორიენტირი არა აქვს და შეზღუდვათა ლოკაცია თავის მიმართულებას განსაკუთრებით გამოკვეთილ ან წარსულში გამოყენებულ მანიშნებლებთან დაკავშირებით იძენს. აღსანიშნავია, განაგრძობს ავტორი, რომ ტაქისტოსკოპურ ექსპერიმენტებში ცდისპირებისათვის, პირველი საორიენტაციო პიპოთეზის აგებისას ამოსავალ წერტილს მოცემული სტიმულის ის ასპექტი წარმოადგენს, რომელიც დაკვირვებისათვის ყველაზე მეტადაა მისაწვდომი: „მარჯვნივ დიდი, კვადრატის მაგვარი ფიგურაა, შესაძლებელია—სახლი“—ასეთია ცდისპირების ტიპიური ჩვენება.

სწრაფი „ნორმალური“ ცნობის დროს შეზღუდვის ლოკაცია ცნობის სწრაფ და წინასწარ ნაბიჯს წარმოადგენს. მაგრამ იქ, სადაც სასტიმულო სიტუაცია ძალიან ღარიბია, შეზღუდვის ლოკაცია არა მხოლოდ პირველ ნაბიჯს, არამედ ისეთ მყარ სტადიასაც წარმოადგენს, რომელიც საქმეში ჩაერთვის მაშინ, როდესაც სუბიექტი ვერ ახერხებს საორიენტაციო პიპოთეზასა და მოცემულ მიწოდებას შორის დამთხვევის მიღწევას. აქ ჩვენს წინაშე კიდევ ერთი განსხვავებაა „ნორმალურ“ და ლაბორატორიულ პირობებში მომხდარ აღქმას შორის. ვინაიდან, როდესაც ადგილი აქვს შეზღუდვის ლო-

კაციის გამოყენებას, ამას მოყვება მეხსიერების მარაგებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოწვევა ისეთი ახალი ჰიპოთეზების მონახვის მიზნით, რომელიც ახალ შეზღუდვებს დაემთხვევა. როგორც ვთქვით, ამ ახალი ჰიპოთეზების აღმოცენებას მიწოდების ახალი ტრანსფორმაციები მისდევს, ჰიპოთეზის და სუბსტანდარტულ მიწოდებას შორის დამთხვევის შესასწავლად. ამიტომ, ცნობის ტიპიურ ექსპერიმენტში განმეორებადი ციკლია მოსალოდნელი: შეზღუდვის ლოკაციაა, ჰიპოთეზის აგება, მიწოდების ტრანსფორმაცია, ჰიპოთეზის უარყოფა—და ეს მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული ობიექტის ცნობა, ან სუბიექტი უარს არ იტყვის მცდელობაზე.

შეზღუდვათა ლოკაციის ცნება შემეცნების ფსიქოლოგიისათვის, უდავოდ ფრიად სასარგებლოა და მნიშვნელოვანი. უნდა ვიფიქროთ, სწორეთ რაღაც შეზღუდვათა მეშვეობით ხდება შესაძლებელი შემეცნების პროცესში იმისაგან გამიჯვნა და იმის თავიდან აცილება, რაც ზედმეტია და არა არსებითი. უნდა ვიფიქროთ, სწორედ რაღაც შეზღუდვათა შედეგად, შესაძლებელი ხდება შემეცნებითი აქტივობის მეტად ან ნაკლებად გარკვეულ ფარგლებში გაშლა და ზედმეტისაგან, შემშლელისაგან დაცვა.

შეზღუდვათა ლოკაციას, ბუნების მიხედვით, ისეთი გამომთვლელ-ალბათობითი შეფასება მართავს, რომელიც მოცემულ გარემოში, მოცემულ მომენტში მოსალოდნელის ვარაუდს განსაზღვრავს.

მაგრამ, ვფიქრობთ, ბუნებრივად ისმის კითხვა: რას წარმოადგენს თავად ეს გამომთვლელ-ალბათობითი შეფასება? ფსიქიკური აქტივობის რომელ კატეგორიას ეკუთვნის იგი? შეფასება, ნავარაუდევის ალბათობის დადგენა და „გამოცნობა“—ყველაფერი ეს იმ აზრობრივ მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც ამოცანის გადაჭრას ემსახურება. უნდა ვიფიქროთ, თავად ეს ვარაუდი, ყოველთვის გარკვეულ კალაპოტში სწარმოებს, „კალაპოტში“, რომელსაც რაღაც შეზღუდვები განსაზღვრავენ.

შეზღუდვათა ლოკაცია — ეს სტარტია. შეფასება, ვარაუდი, გამოცნობა და გამოთვლა,—ეს მოქმედებაა, რომელსაც თავიდანვე, უკვე ამოსავალ წერტილში გარკვეული მიმართულება გააჩნია. ამიტომ საფიქრელია, რომ ამ შეფასებით-გამოთვლით მოქმედებებს, ამ ვარაუდს და გამოცნობას ისეთი შეზღუდვები უსწრებენ წინ, რომელნიც მათ გარკვეული გზით წარმართავენ.

საიდანაა ეს შეზღუდვები? რა განსაზღვრავს ამ პირველად და მიმართულების მიმცემ შეზღუდვებს?

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა, „შეზღუდვათა ლოკაციის“ განწყობის თეორიის კონტექსტში განხილვა. ყველა ზემოთ განხილულ და გაანალიზებულ ექსპერიმენტებში ის წინასწარი შეზღუდვა, რომელიც შემდგომ მოქმედებათა ტრასას მოხაზავს, ამოცანის მიღებულ მოთხოვნაზე და ამოცანის მოცემულ პირობებზეა დამოკიდებული. როდესაც ცდისპირს ვაძლევთ. მაგალითად, ხარვეზიან ტექსტს ორი პარალელური კონტექსტით, მანევრები. რომელთაც ცდისპირი მიმართავს, გარკვეული ფარგლებითაა შეზღუდული. ამ ფარგლებს ერთი მხრივ, ტექსტის წაკითხვისა და შეფასების მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული კონკრეტული ტექსტის მოცემულობა განსაზღვრავს. ეს ორი ფაქტორი--ცდისპირის მიზანი, შეასრულოს მოცემული დავალება და ამ მიზნის მიღწევის მოცემული პირობები. ცდისპირის ქცევას წარმართავენ, ამ ქცევის ორიენტირებას განსაზღვრავენ. სხვა დავალების, ე. ი. სხვა მიზნის შემთხვევაში (მაგ. ტექსტში კორექტული შეცდომების შესწორების) ან დავალების შესრულების სხვა ობიექტურ პირობებში (მაგ. არა რუსული, არამედ ქართული, ან, თუნდაც, ინგლისური ტექსტის მოწოდებისა, სუბიექტის აქტივობა სხვა მიმართულებით და სხვანაირად გაიშლებოდა, ვინაიდან სხვანაირი იქნებოდა მისი სამოქმედო მზაობა, სხვა მიმართულებით მოხდებოდა მის ძალთა მობილიზაცია. სუბიექტის ქცევა ჩვენ ექსპერიმენტში შეზღუდულია იმ მიზნით, რომელიც მას ინსტრუქციასთან დაკავშირებით გაუჩნდა და ექსპერიმენტის პირობებით—იმ მოცემულ პირობებით, რომელშიც ამ მიზნის მიღწევა სწარმოებს. ამა თუ იმ ხარვეზიანი სიტყვის გამოცნობასთან დაკავშირებულ ჰიპოთეზების აღმოცენება ამ შეზღუდვათა ფარგლებში ხდება.

ანალოგიური მდგომარეობა იქმნება ჩვენს სხვა ექსპერიმენტებშიც. ასე მაგალითად, კლასიფიკაციის ექსპერიმენტში აქტივობის გაშლის პირველი შეზღუდვა, მოქმედებათა ფარგლების პირველი მოხაზვა, ერთი მხრივ, მასალის სამ კლასად დაჯგუფების მოთხოვნაზე და, მეორე მხრივ, საკლასიფიკაციო მასალის რაგვარობაზეა დამოკიდებული. ეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს ჩვენ ექსპერიმენტში ცდისპირის მზაობას, მის განწყობას იმოქმედოს გარკვეული



ბიმართულებით—განსაზღვრავს მის საერთო ორიენტირებას. სხვა მოთხოვნის (ე. ი. სხვა მიზნის) ან სხვა საკლასიფიკაციო მასალის შემთხვევაში ჩვენ ცდისპირს, ექსპერიმენტის დაწყებისთანავე, გაუჩნდებოდა სხვა განწყობა, ის სხვა ბიმართულებით აიღებდა სტარტს.

თავის ექსპერიმენტში ბრუნერი ცდისპირს ცნობის ამოცანებს აძლევს: ცდისპირმა უნდა იცნოს სურათი მიწოდების სუბოპტიმალურ პირობებში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც შეზღუდვათა პირველ ლოკაციას ის განწყობა ახდენს, რომელიც ცდისპირს ამოცანის მოთხოვნასთან (იცნოს სურათი) და მოცემულ პირობებთან (სურათების რაგვარობა და მათი მიწოდების თავისებურობა) დაკავშირებით ფორმირდება. მოცემული მოთხოვნა და მოცემული პირობები სუბიექტის ძალთა გარკვეული ბიმართულებით მობილიზაციას ახდენენ, სუბიექტში გარკვეულ ორიენტირებას, გარკვეულ განწყობას იწვევენ. სწორედ ეს განწყობა, ეს გარკვეული ორიენტირება შეზღუდვათა პირველ ლოკაციას ახდენს და ამგვარად, სუბიექტის შემდგომ მოქმედებათა ტრასას და შესაძლებელი ჰიპოთეზების წრეს მოხაზავს.

ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ შეზღუდვებს, რომელიც ჰიპოთეზების აღმოცენებას წინ უსწრებენ, არა „გამოთვლით—აღბათობითი შეფასება“, არამედ სუბიექტის ის განწყობა განსაზღვრავს, რომელიც მის მიერ აღიარებულ მიზანზე და მოცემულ ობიექტურ პირობებზეა დამოკიდებული.

ყველა აღწერილ ექსპერიმენტში (როგორც ჩვენთან ისე ბრუნერთანაც) თავს იჩენს შეზღუდვათა პროგრესული განვითარება: სავარაუდო დაშვებების და ალტერნატიულ ჰიპოთეზების წრე კლებულობს. სუბიექტის განწყობა შერჩეული ჰიპოთეზასთან დაკავშირებით უფრო ჩამოყალიბებული და თავის რაგვარობაში უფრო დიფერენცირებული ხდება. მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ ის მიღებულ ინფორმაციას არ შეესატყვისება, ან, თუ ბრუნერის გამოთქმა ვინმარეთ, „როდესაც სუბიექტი ვერ ახერხებს დაშვებული ჰიპოთეზის და მიღებული მიწოდების შორის შესატყვისობის მიღებას“—მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. შეზღუდვა აღარ ვითარდება გარკვეულობის და დიფერენციაციის ბიმართულებით. სუბიექტის უკვე ჩამოყალიბებული განწყობა მოცემულ ობიექტურ ვითარებას აღარ შეესატყვისება. ამას სუბიექტის დეზორიენტაცია მოყვება. ეხლა

სუბიექტი ახლებურად უნდა აიწყოს და მიღებული ინფორმაცია ახალი ჰიპოთეზის თვალსაზრისით განიხილოს.

ბრუნერი აღნიშნავს, რომ ჰიპოთეზის აღმოცენებას ინფორმაციის შესატყვისი ტრანსფორმაცია მოყვება. ასეთი ტრანსფორმაცია, ბრუნერის მიხედვით, მიღებულ ინფორმაციასა და დაშვებულ ჰიპოთეზას შორის შესატყვისობას ზრდის და, ამგვარად, ასიმილაციურ ტრანსფორმაციას წარმოადგენს.

მაგრამ რა ახდენს ინფორმაციის ასიმილაციას? ბრუნერის კონცეპციის მიხედვით ეს ჰიპოთეზაა, რომ მიწოდებული ინფორმაციის ასიმილაციას ახდენს და ახალი ჰიპოთეზების აღმოცენებას უშლის ხელს.

ინფორმაციის ასიმილაცია და ახალი ჰიპოთეზების ინტერფერენცია, უდავოდ დაშვებულ ჰიპოთეზასთანაა კავშირში. მაგრამ საკითხი უნდა დაისვას: როგორ ხორციელდება ეს კავშირი ფსიქოლოგიურად? რა ფსიქოლოგიური ფაქტორი უზრუნველყოფს კავშირს მიღებულ ინფორმაციასა და დაშვებულ ჰიპოთეზას შორის? რა ფსიქოლოგიური ფაქტორითაა გაშუალებული ეს კავშირი?

განწყობის თეორიის პოზიციებიდან ასეთ ფაქტორს სუბიექტის განწყობა წარმოადგენს. ეს განწყობაა, რომ ინფორმაციის ასიმილაციას ახდენს და ხელს უშლის ახალი ჰიპოთეზების აღმოცენებას. ეს მას გააჩნია ასიმილაციის ძალა. ამ მოსაზრებას ჩვენი ზემოდ განხილული ექსპერიმენტიც ადასტურებს. როდესაც ცდისპირს ორკონტექსტიანი ტექსტის კითხვის დროს ისეთი ფრაზები ხვდება, რომელიც მისთვის უკვე ჩამოყალიბებულ კონტექსტს არ შეეფერის, მას ახალი ჰიპოთეზა უჩნდება და ის აცხადებს, რომ ყველაფერს შეცდომით კითხულობდა, რომ ყველაფერი თურმე არწივის შესახებ კი არ იყო მოთხრობილი, არამედ ვირის შესახებ. შემდეგ ამოწმებს ამ ჰიპოთეზას: „Нѣ, конечно, взмахнуть хвостом мог осел“, ან „Ну да, заорать мог осел“ როდესაც მას ტექსტის ახალი ეგზემპლარი ეძლევა, ის იწყებს ხარვეზებიან სიტყვების ამ. ახალი ჰიპოთეზის შესატყვისად შევსებას. დასაწყისში ეს ხერხდება: *пe-აჟ o-ეჟ* იკითხება როგორც *лeжжaჟ осел*. მაგრამ მომდევნო ხარვეზიანი სიტყვების უკვე აღიარებული და შემოწმებული ჰიპოთეზის მიხედვით წაკითხვა არ ხერხდება. ცდისპირი ისევ

წინანდელი კონტექსტის—არწივის კონტექსტის მიხედვით კითხულობს. სუბიექტი ცდილობს ახალი ჰიპოთეზის მიხედვით კითხვას, მას ეს ახალი ჰიპოთეზა შემოწმებული და აღიარებული აქვს. მან იცის, მას გაცნობიერებული აქვს, რომ ეს მოთხრობა არა არწივის, არამედ ვირის შესახებაა. მის ცნობიერებაში ახალი ჰიპოთეზაა და ის ყოველნაირად ცდილობს მიწოდებული ინფორმაციის (ხარვეზიანი სიტყვების) ამ ახალი ჰიპოთეზის შესატყვისად ტრანსფორმირებას. მაგრამ ეს არ ხერხდება. რა ბოჭავს სუბიექტს? რა აფერხებს მისი აქტივობის აღიარებული და შემოწმებული ჰიპოთეზის მიმართულებით გაშლას? ძველი ჰიპოთეზა? მაგრამ მასზე სუბიექტმა ხომ უარი თქვა, მის ნაცვლად ხომ ახალი ჰიპოთეზა მიიღო. და თუ დავუშვებთ. რომ აქ ორი ჰიპოთეზის დაპირისპირებაა, ორ ჰიპოთეზას შორის ბრძოლაა, უპირატესობა ექნება ახალს—აღიარებულს, და არა ძველს—უეუგდებულს. ცხადია, სუბიექტის მოქმედებას ამ შემთხვევაში წარმართავს რაღაცა, რაც მის მიერ არ არის გაცნობიერებული. რაც მის ცნობიერებაში არ არის რეპრეზინტირებული და რაც მისი ცნობიერი შინაარსების მიმდინარეობას აპირობებს და მის მოქმედებათა მიმართულებას განსაზღვრავს. ეს რაღაცა—განწყობაა, სუბიექტის სამოქმედო მზადყოფნაა. უკვე განხორციელებულ მოქმედებათა—ტექსტის წაკითხვის უკვე მომხდარ პროცესში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული განწყობა მოცემული ინფორმაციის ასიმილაციას ახდენს. ზოგჯერ წინათ აღიარებულ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით აღმოცენებული განწყობა იმდენად რიგიდულია და მტკიცე რომ ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც თვითონ ის ჰიპოთეზა, რომელთან დაკავშირებით მისი აღმოცენება მოხდა, შეგნებულად უეუგდებულა და მის ნაცვლად მიღებული ინფორმაციის უფრო შესატყვისი ჰიპოთეზაა აღიარებული. ასეთი „რიგიდული“ განწყობა შეუფერებელ მასალის ასიმილაციას ახდენს და ახალ, ადეკვატურ ჰიპოთეზების აღმოცენებას აფერხებს. ასეთ შემთხვევაში ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად ძველი „რიგიდული“ განწყობის დაძლევაა საჭირო.—საჭიროა სუბიექტის მოცემული ობიექტური ვითარების შესატყვისად აწყობა. ძველი, არაადეკვატური განწყობის დაძლევის შედეგად სუბიექტს ახალი ჰიპოთეზების და მასალის ახალი ტრანსფორმაციების შესაძლებლობა უჩნდება. თუ ხელახლად თავს იჩენს შეუსატყვისობა მიღებული ინფორმაციისა და სუბიექტ-

ტის განწყობას შორის, მას—სუბიექტს, ახალი ორიენტირების მოძებნა და თავისი განწყობის ხელახლა გარდაქმნა დასჭირდება.

როდესაც ბრუნერი მიწოდებული ინფორმაციის და აღიარებული ჰიპოთეზის შემთხვევათა განხილვას აწარმოებს ის აღნიშნავს, რომ სუბიექტი შეუსატყვისობას (mismatch) განიცდის. მისი თქმით სწორედ შეუსატყვისობის ეს განცდა ანიშნებს სუბიექტს ახალ შეზღუდვათა ლოკაციის, მენსიერებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოწვევის, ინფორმაციის ახალი ტრანსფორმაციების და სხვა მანევრების საჭიროებას.

მაგრამ განა ასეთი შეუსატყვისობა ყოველთვის განიცდება სუბიექტის მიერ? როგორც თვითონ ბრუნერის, ისე ჩვენ ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტებში და სხვა ავტორთა ანალოგიურ ექსპერიმენტებში თავს იჩენს მრავალი შემთხვევა, როდესაც მიწოდებული ინფორმაციისა და აღიარებული ჰიპოთეზას შორის მკვეთრი შეუსატყვისობაა. მაგრამ ცდისპირი ამ შესატყვისობას ვერ ამჩნევს—მას არ განიცდის. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივად, აღნიშნავენ ქცევის ან პიროვნების რიგიდობას. ასეთი ცდისპირის შესახებ, ჩვეულებრივად, ამბობენ, რომ ის რიგიდულობას იჩენს, რომ მას რიგიდობა ახასიათებს. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ აქ მნიშვნელობა აქვს სუბიექტის ისეთ მოდულს, მის ისეთ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება რიგიდული აღმოჩნდეს და, სწორედ თავისი რიგიდობის გამო, შეცვლილი, არაადეკვატურ პირობებში უცვლელი სახით განაგრძობდეს მოქმედებას.

ვიფიქრობთ, ფსიქოლოგიურ პლანში მნიშვნელობა აქვს არა მიწოდებული ინფორმაციისა და აღიარებულ ჰიპოთეზას შორის არსებულ შეუსატყვისობას, არამედ იმ შეუსატყვისობას, რომელიც თავს იჩენს სუბიექტის განწყობისა და იმ ობიექტურ პირობებს შორის. რომელშიც ამ განწყობის მოქმედება სწარმოებს. განწყობის თეორიის პოზიციებიდან მდგომარეობა შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი:

განწყობა, რომელიც ამოცანის აღიარებულ მოთხოვნებთან და ამოცანის მოცემულ პირობებთან დაკავშირებით აღმოცენდა, პირველ შეზღუდვათა ლოკაციას ახდენს. პირველი ჰიპოთეზების აღმოცენება ამ შეზღუდვათა ფარგლებში ხდება. ამა თუ იმ ჰიპოთეზის აღიარებასთან დაკავშირებით უკვე შექმნილი განწყობის რაგვარობა უფრო დიფერენცირებულ ხასიათს იძენს და შემდგომ მოქმედებებს გარ-

კვეული მიმართულებით ზღუდავს. თუ ამის შემდეგ ობიექტურ პირობებში ცვლილება მოხდა და თავი იჩინა ახალმა ინფორმაციამ ორი რამ არის შესაძლებელი, ერთ შემთხვევაში სუბიექტის განწყობა ამ ახალი ინფორმაციის ასიმილაციას მოახდენს — ახალ შეუფერებელ პირობებში იმოქმედებს. ამასთან დაკავშირებით საფუძველი გვეძლევა დავახასიათოთ ეს განწყობა, როგორც რიგიდული, ან მეტის-მეტად განმტკიცებული. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ზდება, როდესაც არ არის პირობები განწყობის განსაკუთრებული განმტკიცებისათვის, ან როდესაც სუბიექტისათვის რიგიდული განწყობის ტიპი არ არის დამახასიათებელი, უკვე ჩამოყალიბებული განწყობა შეუფერებელი ინფორმაციის ასიმილაციას ვერ ახდენს. ასეთ შემთხვევაში ის შეუსატყვისობა, რომელიც არის განწყობისა და მიღებულ ინფორმაციას შორის, განიცდება სუბიექტის მიერ. ეს ხომ მისი განწყობაა, რომ მოცემულ პირობებში რეალიზაციას ვერ ახერხებს. ეს ხომ მისი მზადყოფნის განხორციელებას ელოდება დაბრკოლება. ასეთ შემთხვევაში, მართლაც, თავს იჩენს ახალ შეზღუდვათა და ახალი აზრობრივი მანევრების საჭიროება.

ბუნებრივად ისმის კითხვა, როგორ არის შესაძლებელი საქმეში ამ ახალ შეზღუდვათა და ახალი მანევრების ჩართვა? თუ ამ საკითხ-განწყობის თეორიის თვალსაზრისით განვიხილავთ, მდგომარეობა შემდეგნაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

ახალ შეზღუდვათა განხორციელება ობიექტივაციის აქტის შედეგადაა შესაძლებელი. ეს აქტი სუბიექტის ახალ პოზიციას, მოცემულ პირობებისადმი მის ახალ დამოკიდებულებას მოასწავებს. „სასტიმულო მიწოდება“, „მიღებული ინფორმაცია“, მანიშნებელი თვისებები“ (cues)— ყველაფერი ეს სუბიექტისათვის ამოცანის გადაჭრის საშუალებას აღარ წარმოადგენს. მიღებული ინფორმაცია, „სასტიმულო მიწოდება“ მას ახლა თავად ამოცანად ევლინება, მისთვის შემეცნების საგნად იქცევა. ცხა-ლია, სუბიექტის ამ ახალ პოზიციასთან დაკავშირებით თავს იჩენს ახალ შეზღუდვათა ლოკაცია და ახალი აზრობრივი მანევრები.

## დასკვნები

1. იმ შინაგანი ფაქტორის გამოვლინება, რომელიც გარეზემოქმედების ფსიქიკურ ეფექტს აპირობებს, ფსიქოლოგიური მეცნიერე-

ბის კარდინალურ ამოცანას წარმოადგენს. როგორ აიხსნება ფაქტი, რომ ყოველთვის ცვალებად და მიმდინარე ფსიქიკურში ობიექტურად არსებული აისახება, რომ აზროვნების საგანი აზროვნებაში რეპრეზენტირებულია და აზროვნების მიმართულებას განსაზღვრავს. ამ საკითხებს ფსიქოლოგიისათვის ყოველთვის დიდი თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ფორმულამ  $S-R$  უკან დაიხია. ამ ფორმულაში გამოხატული მიმართების მესამე—გამაშუალებელი—წევრის მოპოვების ცდათა წინაშე. ამასთან დაკავშირებით ზოგადი ფსიქოლოგიის კონტექსტში პიროვნების ცნება იქნა ჩართული. იმისათვის, წერდა ს. ლ. რუბინშტეინი, რომ შესაძლებელი გახდეს ადამიანის ცნობიერების განხილვა, ფსიქოლოგიაში უნდა იქნეს შემოტანილი პიროვნების ცნება. „ფსიქოლოგიაში პიროვნების ცნების შემოტანა ფსიქოლოგიურ მოვლენათა ახსნის წინამძღვარს წარმოადგენს. ფსიქოლოგიური პროცესის შესწავლა მისი შინაგანი პირობების გათვალისწინებას მოითხოვს“<sup>50</sup>.

გ. ოლპორტი, რომელიც პიროვნებას როგორც მრავალმხრივ და იმავე დროს ერთიან სისტემას განიხილავს, ხაზს უსვამს, რომ ისეთი ცნება როგორცაა ობიექტურ პირობებთან შეგუება, პიროვნებასთან დაკავშირების გარეშე აზრს მოკლებული აღმოჩნდება. შეგუება ყოველთვის არის შეგუება რაღაცისა რაღაცასთან. აზროვნების ზოგიერთი თეორია, რომელიც ოლპორტის პერსონალისტური კონცეფციის საფუძველზე აღმოცენდა სტიმულზე რეაქციის გაშუალებულ ფაქტორად „ფსიქიკურ კონტექსტს“ აღიარებს<sup>51</sup>.

2. ცალკეული ფსიქიკური აქტები ყოველთვის ქცევის ამა თუ იმ სისტემაშია ჩართული. აქტივობის ცოცხალ ნაკადში ცალკეული ფსიქიკური პროცესები ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან და ერთმანეთს აპირობებენ. მაგრამ როგორ ხორციელდება ასეთი ურთიერთ-კავშირი? როგორ აიხსნება ცალკეულ ფსიქიკურ აქტთა ურთიერთშედწევა და მათი ამა თუ იმ კონკრეტული ქცევის ერთიან სისტემაში ორგანიზაცია? როგორ აიხსნება რომ „მეხსიერება აღქმაზე ზემოქმედებს, სურვილი მნიშვნელობაზე ახდენს გავლენას,

<sup>50</sup> С. Л. Рубинштейн, „Принципы и пути развития психологии“

<sup>51</sup> G. Allport, „Personality“.

მნიშვნელობა მოქმედებას განსაზღვრავს, ხოლო მოქმედება—მეხსიერებას და ასე უსასრულოდ<sup>62</sup>.

ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა ურთიერთკავშირის და ურთიერთშელწევის ასახსნელად ისეთ ცნებებს მიმართავენ როგორცაა „self, ego“, ქცევის სუბიექტი, აქტორი და სხვა—ცნებებს, რომელიც ყოველთვის პიროვნებას ან მის ერთ-ერთ არსებით ასპექტს გამოხატავს.

3. განწყობის თეორიის ამოსავალ პრობლემას გაშუალების ეს ორი ასპექტი წარმოადგენს: ერთი მხრივ, გარეგანი ზემოქმედების ფსიქიკური ეფექტის შინაგანი გაშუალება, ხოლო მეორე მხრივ, ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა ურთიერთკავშირის გაშუალება. დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგიის კონტექსტში ჩართვა გაშუალების პრობლემის ამ ორ პლანთანაა დაკავშირებული. და სწორედ ამ კონტექსტში განსაზღვრა ის გარემოება, რომ პიროვნება დ. უზნაძესთან განხილულია არა როგორც თვისებათა, განწყობათა, მოტივთა და ცნებათა უკვე ჩამოყალიბებული დინამიური სისტემა, არამედ როგორც მოქმედების სუბიექტი—ფაქტიური, რომელიც სინამდვილესთან ურთიერთობაშია ჩართული, ამ სინამდვილეს გარდაქმნის და მის ზემოქმედებას განიცდის.

4. ბუნებრივად დაისვა საკითხი იმ ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ, გარეგანი ზემოქმედების ფსიქიკურ ეფექტს აპირობებს, ხოლო მეორე მხრივ, ცალკეულ ფსიქიკური პროცესების კოორდინაციას ახდენს და მათ ურთიერთკავშირს ანხორციელებს. დ. უზნაძის კონცეფციაში ასეთ ფსიქოლოგიურ მექანიზმად განწყობაა წარმოდგენილი. როგორც ქცევის სუბიექტის ორიენტირებულობა, როგორც მისი ისეთი საერთო მიმართულება, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოცემულ ობიექტურ პირობებითაა განსაზღვრული, განწყობა იმ შინაგან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც გარეგანი ზემოქმედების ფსიქიკურ ეფექტს აპირობებს, რომელსაც შინაგანი, ფსიქიკური იმ ობიექტურ პირობებთან კოორდინაციაში მოყავს, რომელიც ამ ფსიქიკურის გაშლისათვისაა განკუთვნილი.

როგორც სუბიექტის ისეთი მზაობა, მის ძალთა ისეთი მობილიზაცია, რომელიც აქტუალური მოთხოვნილების ან დასმული მიზნის იმპულსით აღმოცენდება და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე,

<sup>62</sup> G. Allport, „Personality“

ან ამ მიზნის მიღწევაზეა მიმართული—განწყობა იმ შინაგან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ცალკეულ ფსიქიკურ მოქმედების კოორდინაციას ახდენს.

5. როდესაც სუბიექტი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს ხვდება, მას გარკვეული ქცევის მზაობა უჩნდება: დააკმაყოფილოს მოცემული მოთხოვნილება მოცემულ პირობებში. სიტუაცია, ამ შემთხვევაში, მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს, და სუბიექტი იყენებს მოცემულ სიტუაციას. მაგრამ მდგომარეობა იცვლება, როდესაც სუბიექტის წინაშე პრობლემური სიტუაციაა, როდესაც ობიექტური ვითარება მას გადასაწყვეტ ამოცანას უყენებს. ამ შემთხვევაში ის, რაც მოცემულია, რაც სუბიექტის სიტუაციას წარმოადგენს, მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად კი არ გამოიყენება, არამედ შემეცნების საგნად, აზროვნების ობიექტად იქცევა; შესწავლილი სინამდვილე ახალ კავშირებში, ჩაერთვის როგორც ობიექტი. შემმეცნებელი მასში ახერხებს ახალ მხარეთა აღმოჩენას.

ბუნებრივად ისმის საკითხი იმ პირობის შესახებ, რომელიც პრობლემური სიტუაციის მრავალმხრივ შესწავლას და მრავალი თვალსაზრისით განხილვას უზრუნველყოფს. განწყობის თეორიის მიხედვით ასეთ პირობას ობიექტივაციის აქტი წარმოადგენს. სინამდვილის უწყვეტ მდინარებიდან გამოყოფილ და შეჩერებულ მონაკვეთს ობიექტივაციის აქტი ობიექტად, თავისთავთან იდენტიფიცირებულ საგნად აქცევს. ობიექტივაციის აქტი, განწყობის ფსიქოლოგიის თანახმად, აზროვნების ფაქტის ფსიქოლოგიურ პირობას წარმოადგენს, ვინაიდან იმისათვის, რომ გაეშალოს აზროვნება სინამდვილის ამა თუ იმ მონაკვეთის შესახებ, საჭიროა ამ მონაკვეთის თავისთავთან იდენტიფიცირებულ საგნად გაჩერება მანამდე, სანამ დასრულდება აზროვნების პროცესი.

სინამდვილის რომელიმე მონაკვეთის მოსინჯვა, რომელიმე საგნის ამ მოვლენის მრავალმხრივი შესწავლა შეუძლებელია ამ მონაკვეთის, ამ საგნის ამ მოვლენის შეჩერების გარეშე—შეჩერებისა, რომელიც სუბიექტს საშუალებას აძლევს შეჩერებულის იგივეობა განიცადოს. ესაა, რომ შესაძლებლად ხდის მოცემული სინამდვილის მოსინჯვას, მის მრავალმხრივ შესწავლას. ვინაიდან იმისათვის, რომ სინამდვილის ამა თუ იმ მონაკვეთის შესწავლაზე მიმართულ



აზრობრივ ოპერაციებს გარკვეული შემეცნებითი შედეგი მოყვეს, ეს მონაკვეთი შემეცნებლისათვის უნდა იყოს ერთი და იგივე— „იდენტიფიცირებული“: „პერმანენტული“ ობიექტი მანამდე, სანამ დამთავრდება მისი შემეცნება, მისი მოსინჯვა.

ობიექტივაციის აქტი შემეცნებით პოზიციას—სუბიექტის სინამდვილისადმი შემეცნებით დამოკიდებულებას ნიშნავს.

6. განწყობის თეორიის თანახმად შემეცნებითი ქცევაც განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს. მაგრამ ამ შემთხვევაში განწყობის აღმოცენება ფსიქიკის მეორე პლანში ობიექტივაციის დონეზე ხდება. ობიექტივაციის დონეზე შექმნილი განწყობის სუბიექტურ ფაქტორს გნოსტიკური მოთხოვნილება—დასმული კითხვა წარმოადგენს; მის ობიექტურ ფაქტორს კი—ის ობიექტური ვითარება, რომელიც სუბიექტს დასაწყისში პრობლემური სიტუაციის სახით ეძლევა და რომლის საბოლოო მოპოვება სუბიექტმა თავისი აზრობრივი მოქმედების შედეგად უნდა მოახერხოს.

წიგნში წარმოდგენილ ექსპერიმენტულ გამოკვლევათა მიზანს იმ როლის შესწავლა შეადგენდა, რომელსაც განწყობა და ობიექტივაციის აქტი ამოცანის გადაჭრის და ამოცანის აღმოცენების საქმეში ასრულებს.

### ლიტერატურა

1. უზნაძე დ.—ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940.
2. უზნაძე დ.—განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგიის ინ-ტის კრებული, მე-6 ტ.
3. ელიავა ნ.—განწყობის ფიქსაცია წარმოდგენილი რომელიმე მასალაზე, ფსიქ. ინ-ტის შრომები, ტ. 7.
4. Узнадзе Д. Н.—Экспериментальные основы психологии установки Тбилиси, 1960.
5. Узнадзе Д. Н.—Основные положения теории установки, 1960.
6. Рубинштейн С. Л.—Бытие и сознание, Москва, 1957.
7. Рубинштейн С. Л.—Принципы и пути развития психологии, Москва, 1959.
8. Кедров Б. М.—К вопросу о психологии научного творчества, „Вопросы психологии“, 1957, 6.
9. Элиава Н. Л.—К вопросу об участии установки в процессе восприятия, „Вопросы психологии“, 1961, № 1.
10. Элиава Н. Л.—К проблеме переключения установки, Экспериментальные исследования по психологии установки, Тбилиси, 1958.
11. Allport G.—Personality, New-York, 1937.
12. Allport G.—The Nature of Personality, Selected papers, Cambr. 1950
13. Bartlett Fr.—Remembering, Cambridge, 1932.
14. Bartlett Fr.—Thinking, London 1958.
15. Chown S. M.—Rigidity—a flexible concept, Psyc. Bull, 1959, 56, 195—223.
16. Claparede—La genese de la hypothese. Genève, 1933.
17. Duncan C P.—Recent research on human problem solving, Psych Bull, 1959, 56, 397—429.
18. Duncker K.—Zur Psychologie des produktiven Denkens, Berlin 1935.
19. Luchins A. S.—A variational approach to the role of set in problem solving, Acta Psych, 1955, 11, 215—217.

20. Luchins A. S., Luchins E. H.—New experimental attempts preventing mechanisation in problem solving, I, Gen. Psych, 1950, 42, 279—297.
21. Osgood Th.—Method and Theory in experimental Psychology, New-York 1953.
22. Stevens—Handbook of Experimental Psychology, 1953.
23. Szekley L.—Knowledge and thinking, Acta Psychol, 1950. 7. 1—2.
24. Uznadze—Untersuchungen zur Psychologie der Einstellung, Acta Psychol, 1939.
25. Van de Geer I. P.—A Psychological study of Problem solving, 1957.
26. Vinacke W. E.—The Psychology of Thinking, New-York, 1952.
27. Wertheimer M.—Produktive thinking, New-York, 1945.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

I. ამოცანის გადაჭრის საკითხი თანამედროვე ფსიქოლოგიაში	3
II. განწყობის თეორიის (დ. უზნაძე) ზოგიერთი დებულება	18
III. განწყობის ცნება თანამედროვე ამერიკულ ფსიქოლოგიაში	24
IV. აზროვნების პროცესში წარსული გამოცდილების ჩართვის პრობლემა განწყობის ცნების შუქზე	42
V. წინათ განმტკიცებული განწყობის მოქმედების დინამიკა ახალ პირობებში	62
VI. გადანაცვლების პრობლემა აზროვნების ფსიქოლოგიაში	71
VII. ამოცანის გადაჭრის პროცესი და განწყობის რაგვარობის ჩამოყალიბება	103
VIII. ამოცანის აღმოცენება და ობიექტივაციის აქტი დასკვნა	131
	173